

# ეკონომიკა და ბიზნესი ECONOMICS AND BUSINESS

---

---



ტომი XV VOLUME

№3, 2023



ISSN 1987 – 5789

ESSN 2587 – 5426

doi 10. 56079



# ეკონომიკა და ბიზნესი ECONOMICS and BUSINESS

# 3

ტომი XV Volume

2023

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი  
საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Analytical Journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,  
2015 წლიდან - კვარტალურად  
Publish since January 2008 once in two months,  
since 2015 – Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2  
თსუ-ს მაღლივი კორპუსი, III სართული, 316-317  
ტელ. +995 32 2 25 04 84

მთ.რედაქტორი: ტელ - 599794949, მოადგილე - ტელ: 599103816,  
პ/მდ. - ტელ: 599218384, მთ.სპეც. – ტელ: 577970280.

Address: Tbilisi University str. #2. Tel: +995 32 2 25 04 84 - 9781, 9763, 9724.  
Chief editor – Tel: 599794949, Deputy Chief Editor – Tel: 599103816,

Responsible Secretary – Tel: 599218384, Chief Specialist – Tel: 577970280  
www.eb.tsu.ge e-mail: ebf.journal@tsu.ge

## სარედაქციო კოლეგია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირობებს: **იუნი ანანიაშვილი**, **გივი ბედიაშვილი**, **თეიმურაზ ბეჩიძე**, **სიმონ გეგაშვილი**, **ივანე გვედესიანი**, **ივანე გოგობია** (ხელექტრონის მოადგილე), **თამაზ ზუბიაშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი), **ნუგზახ თოდუა**, **იხაკლი კოვზანაძე**, **მუხთაზ მალხაძე**, **ედგუაა მექვაბიშვილი** (მთავარი ხელექტრონი), **დავით ნახმანია**, **ნუგზახ პაიჭაძე**, **დევან საბაუხი**, **დემურ სიჭინავა**, **მიხიან ტუხაშვილი**, **გიორგი ლალანიძე**, **თეიმურაზ შენგელია**, **ეთეი სახაიშვილი**, **იოსებ ხედაშვილი**; პირობებს: **ხამაზ აბესაძე** – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, **ანზოხ აბხადავა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **იოსებ ახრვაძე** – ქუთაისის უნივერსიტეტი, **გიორგი თუქია** – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მეხაბ კაკულია** – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მუხმან კვაჩაცხელია** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **პაატა კოლუაშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **შადვა მაჭავახიანი** – ევროპული უნივერსიტეტი, **ვლადიმერ პაპავა** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **დადი სეხნიაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **ავთანდილ სიდაგაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **ვლადიმერ ლლონი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ნიკოლოზ ჩინაძე** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **მიხეილ ჯიბუტი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

## სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

**მიხეილ ადგმანი** – ჩხიტილი კაბოლინას უნივერსიტეტის პირობესოი (აშშ); **ოლენა ბაჟუნოვა** – კიევის ტარას შევჩენკოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი (უკრაინა); **გოხლონ ბეჩიძე** – სამხეთ ფლორიდას კოლეჯის თავისუფალი მეწახმეობის ცენტრის უფოსი მკვლევარი (აშშ); **ვოლფგანგ ვენგი** – ბეჩინის ტექნიკური უნივერსიტეტის პირობესოი (გერმანია); **იოსებ კინგი** – ოსტროლდის უნივერსიტეტის პირობესოი (ნორვეგია); **ჯუზეპე დე დუკა** – მილანის უნივერსიტეტის პირობესოი (იტალია); **დმიტრო დუკიანენკო** – კიევის ვადიმ ჰეგმანის სახელობის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტის პირობესოი (უკრაინა); **იხაკლი მანავაძე** – სიდნეი უდ ბანკის სამეთვლადეუხეო საბჭოს თავმჯდომარე, J. Stern & Co Investment ოფისის კონსულტანტი, დოქტორი (დიდი ბრიტანეთი); **გეგეგოი ნ. მენქიუ** – ჰაივარდის უნივერსიტეტის პირობესოი (აშშ); **იან მიხაღეკი** – ვაიშავის უნივერსიტეტის პირობესოი (პოლონეთი); **დახი ნილი** – იდინოისის უნივერსიტეტის ემეიეტუს-პირობესოი (აშშ); **ამეზიან ფეხგუინი** – გენობრის ადპების უნივერსიტეტის პირობესოი (საფრანგეთი); **ედინაბეთ რაკო** – ჭოქ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პირობესოი (აშშ); **ტომას ჰადღმა** – გაჩტუს უნივერსიტეტის პირობესოი (ესტონეთი).

## EDITORIAL BOARD

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professors: **Ananiashvili Iuri, Bedianashvili Givi, Beridze Teimuraz, Gaganidze George, Gelashvili Simon, Gvelesiani Revaz, Gogokhia Revaz** (Deputy Redactor), **Kharaishvili Eter, Khelashvili Ioseb, Kovzanadze Irakli, Maghradze Murtaz, Mekvabishvili Elguja** (Editor-in-Chief), **Narmania Davit, Paichadze Nugzar, Sabauri Levan, Shengelia Temur, Sichinava Demur, Todua Nugzar, Tukhashvili Mirian, Zubiashvili Tamaz** (Executive Secretary); Professors: **Abesadze Ramaz** – Paata Gugushvili Economic Institute, **Abzalava Anzor** - Georgian Technical University, **Archvadze Ioseb** - Kutaisi University, **Chikhladze Nikoloz** - Akaki Tsereteli State University, **Glonti Vladimer** - Batumi Shota Rustaveli State University, **Jibuti Mikheil** – Georgian National Academy of Sciences Academician, **Kakulia Merab** - Georgian Institute of Public Affairs (GIPA), **Kvaratskhelia Murman** - Sukhumi State University, **Koguashvili Paata** - Georgian Academy of Agricultural Sciences Academician, **Machavariani Shalva** - European University, **Vladimer Papava** - Georgian National Academy of Sciences Academician, **Sekhniashvili Dali** - Georgian Technical University, **Silagadze Avtandil** - Georgian National Academy of Sciences Academician, **Turkia George** - Georgian Institute of Public Affairs (GIPA).

## FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

**Altman Michael A.** - Director, Hospitality and Tourism Management Program, Meredith College School of Business, North Carolina University, professor (USA); **Bazhenova Olena** - Professor of Economic Cybernetics Department, Taras Shevchenko Kyiv National University (Ukraine); **Brady Gordon** – Senior Research Fellow at the Center of Free Enterprise at Southern Florida College (USA); **Ferguène Ameziane** – Professor of Economics at Grenoble Alps University (France); **Chaco Elizabeth** - Professor of Geography and International Relations, George Washington University (USA); **Haldma Toomas** – Professor of Tartu University (Estonia); **King Roswitha M.** – Leader of Research Group ‘Applied Economics,’ Faculty of Economics and Social Sciences, Ostfold University College, professor (Norway); **Giuseppe De Luca** - Professor of Milan University (Italy); **Lukianenko Dmytro** – Rector of Vadym Hetman Kyiv National Economic University, Professor (Ukraine); **Managadze Irakli** - Chairman of Silk Road Bank Supervisory Board, Senior Advisor and Consultant at J.Stern & Co Investment Office Acad. Doctor (UK); **Mankiw Gregory N.** – Professor of Harvard University (USA); **Mikhalek Jan** – Professor of Warsaw University, (Poland); **Neal Larry** - Emeritus Professor of Illinois University (USA); **Weng Wolfgang** – Professor of Berlin Technical University (Germany).

## სარჩევი

### ეკონომიკური თეორია ო ეკონომიკური პოლიტიკა

<b>ედგუჯა მექვაბიშვილი</b> – გლობალიზაციის მეტამორფოზები:	
პოლიტეკონომიური ასპექტი .....	9
<b>პაატა კოლუაშვილი, გივი თადაკვაძე, იოსებ აჩრვაძე</b> – საქართველოს მთიანეთი- ქვეყნის სტრატეგიული განვითარების არსებითი კომპონენტი .....	27
<b>თეიმურაზ ბეჩიძე</b> – პროფესიულ-კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზი TVET – სამუშაო ძალის ბაზრის დაგეგმვის ყოვლისმომცველი ინფორმაციის ქვაკუთხედი.....	61

### მიკროეკონომიკა ო მაკროეკონომიკა ო ეკონომეტრიკა

<b>ეკა დეკაშვილი, ია ნაცვლიშვილი</b> – ქალთა გამონვევები სამეწარმეო საქმიანობის დანყებისას საქართველოში .....	74
<b>იხმა ცყემადაძე</b> – საქართველოს თანამედროვე შრომის ბაზარი – გამონვევები და გადაჭრის გზები .....	91
<b>ეკა გეგეშიძე, ქეთევან ღომინიშვილი</b> – ინოვაციების გენერირებისა და წარმატებული კომერციალიზაციის მიდგომა განვითარებადი ბაზრებისთვის (საქართველოს მაგალითზე) .....	115

### ბიზნესი ო მენეჯმენტი ო მარკეტინგი ო ტურიზმი

<b>ღავით ნახმანია, ხუსუდან სეთუხიძე, მუხთაზ მალხაძე, შოხენა ღავითაია, მინხილ მაჩიტაძე</b> – ელექტროენერგეტიკაში დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) განვითარების აქტუალური საკითხები .....	152
<b>ქეთევან ნადიხაშვილი</b> -რისკის მართვის პრაქტიკის შეფასება საქართველოს საჯარო სექტორში .....	172
<b>ვადეხი ახლუთაშვილი</b> ტურისტული საწარმოს გადახდისუნარობისგან დაცვის ახალი სამართლებრივი მექანიზმების გავლენა საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაზე .....	186
<b>მაჩიამ შაჩია</b> – საქართველოს ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვის გეოგრაფია განთავსების საშუალებების მაგალითზე .....	207

## **ციფრული ეკონომიკა ო ციფრული მენეჯმენტი**

<b>ეთეხ სახაიშვიდი</b> – ციფრული ტრანსფორმაციის ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში .....	222
<b>ჟანა თოდოხდავა</b> – ციფრული საგანმანათლებლო ტექნოლოგიები .....	247

## **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**

<b>იოსებ აჩვადუ, ჰევაზ გოგობია, ედგუჯა მექვაბიშვიდი</b> – მნიშვნელოვანი ნაშრომი ეროვნული ეკონომიკის ყველაზე მონყვლად სექტორზე .....	259
---	-----

## **საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

<b>პროფესორი გიორგი პაპავას</b> დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია .....	268
---	-----

## **ჩვენი იუბილარი**

<b>პროფესორი ეთეხ სახაიშვიდი</b> .....	271
--	-----



## CONTENTS

### ECONOMIC THEORY ◊ ECONOMIC POLICY

<b>Elguja Mekvabishvili</b> – Metamorphoses of Globalization: Political Economy Aspect .....	9
<b>Paata Koghuashvili, Givi Talakvadze, Ioseb Archvadze</b> , – The Mountainous Region of Georgia – An Essential Component of the Country’s Strategic Development .....	27
<b>Teimuraz Beridze</b> – Occupational Analysis of Demand and Supply of Skilled Labor – a Cornerstone of Comprehensive Labor Market Information for TVET planning .....	61

### MICROECONOMICS ◊ MACROECONOMICS ◊ ECONOMETRICS

<b>Eka Lekashvili, Ia Natsvlishvili</b> – Women’s Challenges on Starting Entrepreneurial Activity in Georgia .....	74
<b>Irma Tkemaladze</b> – Modern Labor Market in Georgia – Challenges and Solutions .....	91
<b>Eka Gegeshidze, Qetevan Lomineishvili</b> – Establishing an Approach to Generating Innovation and Successful Commercialization for Emerging Markets (The Case of Georgia) .....	115

### BUSINESS ◊ MANAGEMENT ◊ MARKETING ◊ TOURISM

<b>Davit Narmania, Rusudan Seturidze, Murtaz Maghradze, Shorena Davitaia, Mikheil Machitidze</b> – The Improvement Ways of SCADA System Management in Power Energy .....	152
<b>Ketevan Nadirashvili</b> – The Assessment of Risk Management Practice in Georgian Public Sector .....	172
<b>Valeri Arghutashvili</b> – Impact of New Legal Mechanisms of Tourism Enterprise Insolvency Protection on Georgia’s Tourism Industry.....	186
<b>Mariam Sharia</b> – Geographical Distribution of the Tourism Value Chain of Georgia by the Example of Accommodations .....	207

## DIGITAL ECONOMY ◊ DIGITAL MANAGEMENT

<b>Eter Kharaihvili</b> - Trends and Prospects of Digital Transformation in the Agri-food Sector of Georgia .....	222
<b>Zhana Tolordava</b> – Digital Educational Technologies .....	247

## CRITICISM and BIBLIOGRAPH

<b>Joseph Archvadze, Revaz Gogokia, Elguja Mekvabishvili</b> – An Important Work of National Economy on the Most Vulnerable Sector .....	259
---	-----

## INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

International Scientific Conference Dedicated to the 100th Anniversary of the Birth of Professor Giorgi Papava .....	268
---	-----

## ANNIVERSARIES

<b>Professor Eter Kharaihvili</b> is an anniversarian .....	271
---	-----

ეკონომიკური თეორია ◊ ეკონომიკური პოლიტიკა  
ECONOMIC THEORY ◊ ECONOMIC POLICY

გლობალიზაციის მეტამორფოზები: პოლიტეკონომიური  
ასპექტი<sup>1</sup>

ელგუჯა მექვაბიშვილი

პროფესორი

ივ.ჭავჭავაძის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
elguja.mekvabishvili@tsu.ge

სტატიაში გლობალიზაცია განხილულია ევოლუციური პირობების სა-  
ბით, რომელშიც გამოიყოფა გახდამტეხი მომენტები, ანუ ე.წ. ბიუჯე-  
ტაციის წიგნები, ხაც განსაზღვრავს, როგორც გლობალიზაციის დაწყ-  
ების კანონზომიერ ხასიათს, ასევე მისი ფორმების მონაცვლეობას  
და პირობების განვითარების მთავარ ტრაექტორიას. აღნიშნულია, რომ  
გლობალიზაციის საწყის ეტაპზე მის მიმართ ოპტიმისტური მოლოდინი  
ქაჩობდა. მიიჩნეოდა, რომ ის მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა მსოფ-  
ლიოში დაგროვილი მწვავე პრობლემების გადაწყვეტაში, უზრუნველყოფდა  
გაძვივრებას და სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას, როგორც მსოფლიო ეკო-  
ნომიკის, ასევე ეროვნული ეკონომიკების მასშტაბით. სამწუხაროდ, ამ  
მოლოდინების უმეტესობა ახ გამაჩთდა. მსოფლიო ეკონომიკის ზრდის  
ტემპები გლობალიზაციის პერიოდში შემცირდა, ეკონომიკურმა ახასტა-  
ბილურობამ იმატა, სოციალური უთანასწორობა გაღმავდა. გლობალი-  
ზაციის თანამედროვე ფორმაში, რომელსაც მეცნიერები „კონფრონტა-  
ციულ გლობალიზაციას“ უწოდებენ, შეინიშნება პირობების შეფუხების  
ნიშნები, ხაც გამოიხატება:

- წახმოების დეკლარაციით;
- მიწოდების გლობალური ჯაჭვების ხლვევით;
- დედოქტორაციის ტენდენციის წახმოობით;
- მსოფლიო ეკონომიკის ფრაგმენტაციით.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ გლობალიზაციის შეფუხება ახ  
ნიშნავს მის შეჩეებას და მითუმეტეს დეგლობალიზაციის დაწყებას.

კონფრონტაციული და ტუბულენტური გლობალიზაციის წინააღ-  
მდეგობები ახსნილია მენისტიმული კოჰპოზიციული გლობალიზაციით

<sup>1</sup> სტატიას საფუძვლად დაედო ავტორის მიერ საქართველოს ეკონომისტთა V რესპუბ-  
ლიკურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება (თბილისი, 8 სექტემბერი, 2023წ.)

დეგეხმინიხებული მიზეზებით და აღნიშნულია ამ წინააღმდეგობათა გადაჭრის შესაძლებლობა კოხპოხატიური გლობალიზაციის ახალი ტიპის გლობალიზაციით ჩანაცვლების გზით, ხაც იქნება უფხო დემოკრატიული, სოციალუხად სამახთიანი, ინკლუზიუხი, ანთიოპოცენტიური, ეკოლოგიუხად ეფექტიანი და მდგხად განვითაჩებაზე ოხიენტიხებული.

**საკვანძო სიგყვები:** გლობალიზაცია, ბიფუჩკაციის წეხტილები გუხბუდენტუხი და კონფიონტაციური გლობალიზაცია, კოხპოხატიური გლობალიზაცია, დეგლობალიზაცია, დოკალიზაცია, დედოდაჩიზაცია, ფიგ-მენტაცია.

## შესავალი

ეკონომიკის გლობალიზაციიდან სამ ათეულზე მეტმა წელმა განვლო, რაც საკმარისი დროა გლობალიზაციის ფენომენის სისტემური შეფასებისათვის, მისი, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეების და პრობლემების გამოვლენისთვის, რომელიც გარკვეულ მეთოდოლოგიურ პრინციპებს უნდა დაფუძნოს. კერძოდ:

- გლობალიზაცია შესანვლილი უნდა იქნეს ისტორიული მიდგომის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი მხრივ, ის განიხილება როგორც კაცობრიობის ხანგრძლივი განვითარების შედეგი და მეორე მხრივ, ამ პროცესის შემადგენელი ელემენტი, ცივილაზაციის თანამედროვე მდგომარეობა;

- გლობალიზაციის ევოლუციაში უნდა დაფიქსირდეს გარდამტეხი მომენტები, ე.წ. ბიფურკაციის წერტილები, რაც განსაზღვრავს:

- ა) გლობალიზაციის დაწყების კანონზომიერ ხასიათს

- ბ) გლობალიზაციის ფორმათა ცვლილებას

- გ) ამ ცვლილების მთავარ შინაარსსა და ცვლილების ტრაექტორიას.

- დახასიათებული უნდა იქნეს გლობალიზაციის მეინსტრიმული ტიპი ანუ, ე.წ. „ზომა“, რომლის შიგნითაც სხვადასხვა ეტაპზე, გლობალიზაციის ფორმათა ურთიერთცვლა მიმდინარეობს;

- შესანავლილი უნდა იქნეს მეინსტრიმული გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი ხასიათი, რაც თანამედროვე პირობებში, გარკვეული კანონზომიერებისა და ტენდენციების სახით ვლინდება. კერძოდ:

- ა) მსოფლიო და წამყვანი პოსტინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპის დაქვეითება

- ბ) გლობალურ და რეგიონულ დონეებზე ეკონომიკის არასტაბილურობის გაძლიერება

გ) ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის გაღრმავება, როგორც ქვეყნებს შორის, ასევე ქვეყნების შიგნით მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის.

ეკონომიკური გლობალიზაციის წინააღმდეგობრივ ბუნებაზე მიმანიშნებელ ტენდენციებს წარმოადგენს:

ა) წარმოების ლოკალიზაცია

ბ) მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევა

გ) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დედოღარიზაციის დაწყება

დ) თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მზარდი ფრაგმენტაცია.

- უნდა დასაბუთდეს მეინსტრიმული (კორპორატიული) გლობალიზაციიდან ახალი ტიპის გლობალიზაციაზე გადასვლის აუცილებლობა, შესაძლებლობა (პერსპექტივა) და განისაზღვროს ამ უკანასკნელის მთავარი მახასიათებელი ნიშნები.

- ბუნებრივია, რომ პრობლემის სირთულიდან და მოცულობიდან გამომდინარე, ყველა ჩამოთვლილი საკითხის ჯეროვანი განხილვა, ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია. ამიტომ, მოცემულ სტატიაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკის გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი ხასიათის კვლევაზე.

## ეკონომიკური გლობალიზაციის კანონზომიერი ხასიათი

ინტერნაციონალიზაციის პროცესი წინ უძღოდა გლობალიზაციას და მის წინაპირობას წარმოადგენდა. ინტერნაციონალიზაცია, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო XVIII საუკუნის ბოლოს ერი-სახელმწიფოს გაჩენასთან. როგორც პროფ. ზ. დავითაშვილი აღნიშნავს: „როცა ჯერემი ბენტჰემმა XVIII საუკუნის ბოლოს ტერმინი „საერთაშორისო“ (International) დაამკვიდრა, აშკარა იყო, რომ ეს სიტყვა ამ ეპოქის შინაარსს შეესაბამებოდა. ეს იყო ერი-სახელმწიფოების ეპოქა და „საერთაშორისო“-ს ცნება „სახელმწიფოთაშორისი“-ს სინონიმად მოიაზრებოდა. საერთაშორისო ურთიერთობები კი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებად აღიქმებოდა. სახელმწიფოები იმ დროს საერთაშორისო ურთიერთობების ერთადერთი სუბიექტები იყვნენ“ (დავითაშვილი ზ., 2003).

ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება იყო, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ სფეროში ქვეყნებს (სახელმწიფოებს) შორის ურთიერთობის გაფართოებისა და ინტენსიფიცირების პროცესი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გაძლიერდა XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე და XX საუკუნის

შვიდი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ვიდრე 1980-1990-იან წლებში არ გადაიზარდა გლობალიზაციის პროცესში.

აღნიშნულიდან ნათელია, რომ გლობალიზაციის დაწყება გარკვეული ევოლუციური პროცესის პირდაპირი შედეგია და ამ პროცესში, ისევე როგორც გლობალიზაციის მიმდინარეობაში, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ბიფურკაციის წერტილების დაფიქსირება, რაც, ერთი მხრივ, განაპირობებდა ინტერნაციონალიზაციის ტრანსფორმირებას გლობალიზაციაში, მეორე მხრივ კი – გლობალიზაციის ტრაექტორიას და მისი ერთი ფორმის მეორით შეცვლას.

პირველ ბიფურკაციის წერტილად, ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს 1980-იანი წლების ბოლო და 1990-იანი წლების დასაწყისი, რომელიც რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მოვლენით გამოირჩეოდა. კერძოდ:

ა) სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში მომხდარი თვითობრივი ცვლილებებით, უპირველეს ყოვლისა, ინტერნეტის გამოგონებით

ბ) 1970-1980-იან წლების მსოფლიო ეკონომიკური განვითარების შედეგებით, რაც განაპირობა თავდაპირველად „ენერგეტიკულმა შოკმა“ (კრიზისმა) და შემდეგ მისგან გამომდინარე მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა

გ) მსოფლიო-სოციალისტური სისტემის დაშლა, რამაც პლანეტარული მასშტაბით საბაზრო ეკონომიკის გავრცელების ბარიერები მოშალა.

გლობალიზაციის საწყის ეტაპზე ის განიხილებოდა პოსტინდუსტრიულ და განვითარებად სამყაროში დაგროვილი მწვავე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ქმედით ინსტრუმენტად. მიიჩნეოდა, რომ გლობალური ბაზრები წარმატებით ჩაანაცვლებდა ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივის როლში ეროვნულ ბაზრებს, უზრუნველყოფდა მსოფლიო ეკონომიკის მაღალ დინამიკურობას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა „მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური ლანდშაფტის“ მოსწორებაში (მექვაბიშვილი ე., 2009).

გლობალიზაცია დაიწყო აშშ-ის ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური დომინაციის პირობებში. ის ემყარებოდა ნეოლიბერალურ ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსუსის“ დოქტრინას და მიზნად ისახავდა „თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმის გავრცელებას მსოფლიოს, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში“ (Germain., 2000).

გლობალიზაციის პირველ ფორმას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინების საფუძველზე, ვუნოდებთ ანგლოსაქსურ ნეოლიბერალურ გლობალიზაციას, „Pax Americana“-ს, ანუ „გლობალიზაციას ამერიკულად“.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აშშ-ის პოლიტიკურ-ეკონომიკური (ბიზნეს) ისტებლიშმენტის დამოკიდებულება ქვეყნის საგარეო ექსპანსიის (რაც თავის მხრივ გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს) როლის მიმართ წლების მანძილზე მნიშვნელოვნად იცვლებოდა. კერძოდ, 1821 წელს აშშ-ის იმდროინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჯ. კ. ადამსმა ჩამოაყალიბა ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპი: „ამერიკა არ უნდა გავიდეს საკუთარი საზღვრებიდან საშინელებათა დევნაში. ის ყველას თავისუფლებას და დამოუკიდებლობას უსურვებს, მაგრამ ამ ფასეულობებს იცავს მხოლოდ თავის შიგნით... თუ ასე არ იქნება, ის შეიძლება მსოფლიო დიქტატორად გადაიქცეს და დაკარგოს საკუთარი სული“ (Kissinger, 2001). არასრული ერთი საუკუნის გასვლის შემდეგ (1915წ.) აშშ-ის ოცდამერვე პრეზიდენტმა ვ. ვილსონმა სრულიად საწინააღმდეგო დოქტრინა წამოაყენა, რომელმაც განსაზღვრა ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიმართულება დღემდე: „ჩვენ ეს ნაცია (იგულისხმება ამერიკელები – ე.მ.) შევქმენით თავისუფლებისთვის და ჩვენ არ ვიფარგლებით მხოლოდ ამერიკით, არამედ მსოფლიოში ყველა ადამიანს თავისუფალს გავხდით. თუკი ამას არ გავაკეთებთ ამერიკის დიდება გაქრება და მისი ძალა აორთქლდება“ (Неклесса А., 2004). ამ დოქტრინის თანმიმდევრული განხორციელების შედეგად, დღეს აშშ-ის სახელმწიფო გადაიქცა ახალ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფენომენად – ქვეყანა – სისტემად, რომლის სასიცოცხლო ინტერესები საკუთარ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში კი არ არის მოქცეული, არამედ მთელ პლანეტას ფარავს. შესაბამისად, აშშ არის გლობალიზებული სამყაროს ბირთვი და გლობალური პროცესების მარეგულირებელი მთავარი სუბიექტი (მექვაბიშვილი ე., 2009).

### **გლობალიზაციის პოზიტიური მხარეები და წინააღმდეგობები**

გლობალიზაციის დაწყებიდან თითქმის ოთხი ათეული წლის შემდეგ რა შედეგებზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ?

*პოზიტიური თვადსაზიისით*, გლობალიზაციამ გააფართოვა საერთაშორისო საფინანსო და სასაქონლო ბაზრებზე განვითარებადი ქვეყნებისათვის წვდომის შესაძლებლობა, რამაც მათი ეკონომიკური ზრდის დაჩქარების პერსპექტივა შექმნა. ამ მიმართებით განსაკუთრებით ნიშანდობლივია ჩინეთის და ინდოეთის მაგალითი. გლობალიზაციაში აქტიური ჩართულობის საფუძველზე ადგილი ჰქონდა ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას და გამომდინარე აქედან, ცხოვრების დონის გარ-



კვეულ ამაღლებას. ამ ქვეყნების მოსახლეობის, მსოფლიო მოსახლეობაში არსებული ხვედრითი წილის გათვალისწინებით, სილატაკის მოცულობა მსოფლიოში მცირედით შემცირდა. გლობალიზაციის პოზიტიური მხარე ასევე შეიძლება ჩაითვალოს ძალისხმევის გაძლიერება ისეთი პლანეტარული პრობლემების გადაჭრის მცდელობაში, როგორცაა გლობალური დათბობა, სასურსათო პრობლემა, კოვიდ 19-ის პანდემია და სხვ. მაგალითად, 2015 წელს პარიზში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიზანი გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლაა. ამ ხელშეკრულებით 194 ქვეყანამ ნებაყოფლობით აიღო ვალდებულება გლობალური გაზის ემისიების შემცირებისა და ტემპერატურის მატების შეზღუდვის ღონისძიებების გატარებაზე.

გლობალიზაციის ნეგატიური მხარეზე მსჯელობისას შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მიმართულება:

*პიხვედი, ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება.* მსკ-ს (მთლიანი სამამულო პროდუქტი) ტემპების შედარება გლობალიზაციის წინა (1950-1960-იანი წწ.) და გლობალიზაციის პერიოდებში, გვიჩვენებს „გლობალური ეკონომიკის“ ზრდის ტემპის მნიშვნელოვან ჩამორჩენას „მსოფლიო ეკონომიკის“ ზრდის ტემპთან – საშუალო წლიური ზრდის 5,4%-იდან 1990-იანი წლების დასაწყისში 2,3%-მდე, 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე კი – 2,6%-მდე (მექვაბიშვილი ე., 2018). უფრო მეტიც, გლობალიზაციის ეპოქაში „მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნები სტაგნაციამ მოიცვა, რომლის უკან იმალება 1970-იანი წლებიდან დაწყებული შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპის საგრძნობი შენელება“ (Smart, 2017). შრომის მწარმოებლურობის ასეთი შემცირება პარადოქსული ფაქტია იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ 1990-იანი წლებიდან შეინიშნებოდა ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება, რომელსაც პროდუქტიულობის გაზრდისთვის უნდა შეეწყო ხელი. აღნიშნული პრობლემის მთავარი მიზეზი ეკონომიკის ზღვარგადასული ფინანსებიზაციაა, რაც გამოიხატება უზარმაზარი ფინანსური რესურსის ეკონომიკის რეალური სფეროდან ფინანსურ სექტორში („ფინანსურ ეკონომიკაში“) გადამისამართებით, რასაც თან ახლავს ფინანსური ბუშტების მუდმივი გაბერვა-გასკდომა და, როგორც შედეგი, მწვავე ფინანსური კრიზისების დაწყება. ასე მოხდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში 1990-იანი წლებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში – 1997-1998 წლებში და ბოლოს, ყველაზე მწვავე და დამანგრეველი 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი.



ეკონომიკუი ახასტაბიღუობის გადღიეხება. გლობალიზაციის ეპოქა ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების „კასკადით“ გამოირჩა. კერძოდ, ლათინური ამერიკის ქვეყნების – მექსიკის 1994 და 1995 წლების, არგენტინის 1995 წლისა და 2001-2002 წლების კრიზისები; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 1997 წლის ფინანსური კრიზისი. განსაკუთრებით მწვავე და ზიანის მომტანი აღმოჩნდა 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი, ანუ ე.წ. „დიდი რეცესია“, რომელსაც მკვლევარები 1929-1933 წლების „დიდ დეპრესიას“ ადარებენ.

ეკონომიკუი და სოციაღუი უთანასწორობის გაღმავება. უთანასწორობა, რა თქმა უნდა, გლობალიზაციის ეპოქაში არ წარმოშობილა და მას უძველესი ისტორია აქვს. კაპიტალიზმამდე ანუ ინდუსტრიული საზოგადოების დაბადებამდე ის განპირობებული იყო არაეკონომიკური ფაქტორებით, ხოლო ეკონომიკური მიზეზებით დეტერმინირებული უთანასწორობა კაპიტალიზმიდან (ინდუსტრიული საზოგადოებიდან) იწყება<sup>2</sup>, გლობალიზაციის ეპოქაში ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა მნიშვნელოვნად გაღრმავდა, რაზედაც მიგვანიშნებს სხვადასხვა მონაცემი. კერძოდ ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში, სადაც ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 17% ცხოვრობს, თავმოყრილია გლობალური სიმდიდრის 57%. ლათინური ამერიკის ქვეყნების მოსახლეობის წილი სამჯერ, ხოლო აფრიკისა 9-ჯერ აღემატება გლობალურ სიმდიდრეში მათ წილს. ჯგუფში, ვინც 1 მლნ და მეტ აშშ დოლარს ფლობს, იმყოფება მთელი მოსახლეობის 1,1% ანუ სულ 56,1 მლნ ადამიანი (Credit Swiss. Глобальное неравенство -2021). აშშ-ში სამი ადამიანი – ბილ გეიტსი, ჯეფ ბეზოსი და უორენ ბაფეტი ერთად, უფრო მეტ სიმდიდრეს ფლობს, ვიდრე ამ ქვეყნის 160 მლნ მოქალაქე ერთად (ჰარტინგტონი, 2023). 50 მლნ დოლარზე მეტი აქტივების მფლობელთა 55% ცხოვრობს აშშ-ში, შემდეგ მოდის ჩინეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ინდოეთი, საფრანგეთი, კანადა, იტალია და შვეიცარია (Credit Swiss, 2021). ჯინის კოეფიციენტის მიხედვით დათვლილი უთანასწორობა ქვეყნების მიხედვით ასეთია: ყველაზე დიდი უთანასწორობა რუსეთშია – 87,8%, შემდეგ მოდის ბრაზილია – 86,9%, აშშ -85,0%, საფრანგეთი -82,3% და ა.შ. შედარებით ნაკლებია უთანასწორობა ჩინეთში – 70,4% და იაპონიაში – 64,4%. რუსეთში მოსახლეობის 1% ფლობს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის 63%-ს, ბრაზილიაში -49,6%-ს, ჩინეთში – 30,6%-ს, გერმანიაში – 29,1%-ს, იაპონიაში კი მხოლოდ – 18,2%-ს.

<sup>2</sup> „შემოსავალსა და სიმდიდრეს შორის უთანასწორობა, პოლიტიკურ ძალაუფლებაზე წვდომაზე რომ არაფერი ვთქვათ, ბრიტანეთის ინდუსტრიამდელ ეკონომიკაშიც დიდი იყო, თუმცა ინდუსტრიალიზაციის ადრეულ ეტაპზე ის კიდევ უფრო გაიზარდა“(წილი ნ.,2023).

ამგვარად, გლობალიზაციის ეპოქაში შეიქმნა ვითარება, როცა „მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დღეს უფრო მეტს შრომობს, ვიდრე ოდესმე, თუმცა მათი ცხოვრების დონე მაინც განუწყვეტლად ეცემა“ (Sheng, Geng, 2018).

აშკარაა, რომ იმ ფორმის გლობალიზაციამ, რომელთანაც დღეს საქმე გვაქვს, ვერ შეძლო ხელშესახები წარმატების მიღწევა ვერც ერთი ფუნდამენტური მიმართულებით. კერძოდ:

- ვერ შეძლო მსოფლიო ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება ანუ „ნამცხვრის ზომის გაზრდა“;

- ვერ ააცილა მსოფლიო ეკონომიკას სერიოზული რყევები;

- ეკონომიკის ზრდა ვერ გახადა ინკლუზიური. უფრო პირიქით მოხდა: სოციალური უთანასწორობა უფრო გაღრმავდა, როგორც „გლობალურ ჩრდილოეთსა“ და „გლობალურ სამხრეთს“ შორის, ასევე ქვეყნებს შიგნით (Stiglitz, 2015; Piketty, 2013, 2020, 2022; Milanovich, 2016 და სხვ.).

- ბუნებრივია, ყოველივე ამან განაპირობა ნიჰილიზმი და გლობალიზაციის მიმართ უკმაყოფილება საზოგადოების ფართო ნაწილში, გააძლიერა ანტიგლობალისტური მოძრაობა მთელ მსოფლიოში<sup>3</sup>.

### **გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი ხასიათის გამოვლენის ფორმები**

თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი ბუნება რამდენიმე ტენდენციის სახით ვლინდება:

1. წარმოების ლოკალიზაცია;

2. ღირებულების შექმნისა და მიწოდების გლობალური ჯაჭვის რღვევა;

3. მსოფლიო ეკონომიკაში დედოლარიზაციის დაწყება;

4. გეოეკონომიკური პრიორიტეტების ცვლილება გლობალურ ეკონომიკაში, ანუ:

- წარმოების გადანაცვლება ტერიტორიულად შორს მყოფიდან ახლოს მყოფ ქვეყნებში ანუ ე.წ. „near- shoring“

<sup>3</sup> დიდი ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირიდან – ე.წ. „ბრეკსიტი“, ტრამპის პოპულისტური პოლიტიკა – „ამერიკა უპირველს ყოვლისა“, მიგრანტოფობია და მემარჯვენე= დაჯგუფებების გავლენის ზრდა ევროპის ქვეყნებში: საფრანგეთში – „ყვითელი ჟილეტების მოძრაობა“, აშშ-ში – „დაიკავე უოლ-სტრიტი“ და „შავი სიცოცხლე მნიშვნელოვანია“, რადიკალ ანტიგლობალისტების („გლობალოფობების“) ხმაურიანი და აგრესიული გამოსვლები სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებზე, ნათლად მიაჩნებას ანტიგლობალისტური განწყობების გაძლიერებაზე.

- გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მონათესავე ქვეყნებში – „frend shoring“

- სხვა ქვეყნებიდან საკუთარ ქვეყანაში – ე.წ. „on shoring.“

5. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ფრაგმენტაცია, რაც გამოიხატება G20-სა და BRICS-ის გაერთიანებებს შორის მზარდ კონკურენციაში.

წარმოების ლოკალიზაციის ტენდენცია, რამდენად უცნაურად არ უნდა მოგვეჩენოს ეს ფაქტი, გლობალიზაციის ბირთვში აშშ-ში აღმოცენდა გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ. ის გამოიხატა ეროვნულ ეკონომიკაში სამუშაო ადგილების შექმნისთვის პრიორიტეტის მინიჭებით და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „გაქცეული ქარხნების“ (ranway factors) უკან დაბრუნების პოლიტიკის სახით, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დ. ტრამპი თავისი მმართველობის პერიოდში (მექვაბიშვილი ე., 2022). აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა კოვიდ 19 პანდემიის პირობებში. უფრო ადრე კი – კერძოდ, 2008 წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო დოკუმენტი – „American Recovery and Reinvestment“, რომლის ფარგლებში სახელმწიფომ, ეკონომიკის სტიმულირებისათვის, მათ შორის პროგრამის „იყიდე ამერიკული“ წასახალი-სებლად, გამოყო 787 მლრდ დოლარი (Hufbauer, 2013; Кондратьев, 2017).

ღირებულების შექმნისა და მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევას ასევე ადგილი ჰქონდა კორონომიკური კრიზისის პერიოდში. პანდემიის დაწყებამდე, როგორც გლობალურ, ასევე ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაში, მოთხოვნა საკმაოდ მოდუნებული იყო, მიწოდება კი სწრაფად იზრდებოდა, რამაც გამოიწვია დეფლაცია. პანდემიის დროს წარმოიშვა მოთხოვნისა და მიწოდების შოკი ერთდროულად. განსაკუთრებით დაზარალდა მიწოდება, ამის მთავარი მიზეზი იყო ქვეყნების „ჩაკეტვა“ და უკვე ჩამოყალიბებული მიწოდების ჯაჭვების განწყვეტა, რასაც შედეგად მოჰყვა ინფლაციის ტემპის ზრდა მთელ მსოფლიოში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 2018 წლამდე გლობალური სანარმოო ჯაჭვების წილი მსოფლიო ეკონომიკის კუმულატურ ზრდაში, დაახლოებით 70% იყო (Roach, 2022), გასაგები გახდება ინფლაციის ასეთი გაზრდა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთავრობათა მიერ გატარებულმა ექსპანსიონისტურმა მონეტარულმა და საბიუჯეტო პოლიტიკამ ხელი შეუწყო პრობლემის სიმწვავის შემცირებას, მაგრამ არა მის მოხსნას.

*დელოდაიზაციის დაწყება.* ეკონომისტების შეშფოთებას გამოთქვამენ აღნიშნული ტენდენციის გამო (პაპავა, 2020; Krugman, 2022, 2023; Hamid, 2022; Earle, 2023 და სხვ.). მაგალითად, პროფ. ვ. პაპავა აღნიშნავს: „დოლარზე მოთხოვნის შემცირება დღეს უკვე ყალიბდება“ და „ამაზე ის ფაქტიც

მეტყველებს, რომ 2021 წელს დოლარის წილი გლობალურ რეზერვებში 55% იყო, ხოლო 2022 წლისთვის ის 47%-მდე შემცირდა“ (პაპავა ვ., 2022). დედოლარიზაციის ობიექტური საფუძველია BRICS-ის წილის ზრდა გლობალურ მსკ-ში, რომლის პრიორიტეტული მიზანი დედოლარიზაციაა. ასე მაგალითად, 2023 წლის მარტში ჩინეთმა და ბრაზილიამ გააფორმეს ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ერთმანეთთან ვაჭრობას ჩინური იუანიტით და ბრაზილიური რეალით. იმავე პროცედურას იყენებს ჩინეთი და რუსეთი ერთმანეთთან ვაჭრობაში. საკუთარი ვალუტის გამოყენებით ვაჭრობაზე გადასვლას გეგმავენ ინდოეთი და ბრაზილია.<sup>4</sup>

### **გეოპოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილების გავლენა გეოეკონომიკაზე**

ამერიკული დიპლომატიის „მამად“ წოდებული ჰ. კისინჯერი წერდა: „ეკონომიკის გლობალიზაციას არ შეუძლია მსოფლიო წესრიგის შეცვლა, თუმცა მის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს“ (Kissinger, 2001).

ცვლილების კონკრეტული მიმართულებებია:

On shoring – წარმოების გადატანა სხვა ქვეყნებიდან საკუთარ ქვეყანაში. აღნიშნული ტენდენცია აშშ-ში პრეზიდენტ დ. ტრამპის მმართველობის პერიოდში გაძლიერდა. იგი ჯერ კიდევ წინასაარჩევნო გამოსვლებში მუდმივად საუბრობდა აშშ-ს ეკონომიკაში გლობალიზაციის გავლენით გამოწვეულ რთულ პრობლემებზე. აღნიშნავდა, რომ ქვეყნიდან კაპიტალის მასობრივმა გადინებამ წარმოქმნა დეპრესიული შიგა რეგიონები ე.წ. „დაჟანგული სარტყელი“ და პრობლემის გადაჭრის გზად მიიჩნევდა ამერიკული კაპიტალის მასობრივ დაბრუნებას ქვეყანაში. კერძოდ, ვარაუდობდა რამდენიმე წლის განმავლობაში დაახლოებით 2,4 ტრლნ აშშ დოლარის დაბრუნებას, რომლის უდიდესი ნაწილი მოხმარდებოდა ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას (მექვაბიშვილი ე., 2018).

Frend shoring – გეოპოლიტიკური პრიორიტეტებიდან გამომდინარე ეკონომიკური აქტიურობის მიმართულებების ცვლილების ბევრი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი. ჩინეთის ხვედრითი წილი აშშ-ის იმპორტში 2018 წლის 21%-იდან 2022 წელს 17%-მდე შემცირდა, მაშინ როცა

4 ბრაზილიის პრეზიდენტი ლ. სილვა წერს: „ყოველ დამე, დაძინების წინ, ჩემს თავს ვეკითხები, რატომ უნდა ივაჭროს ჩემმა ქვეყანამ აშშ დოლარზე და რატომ არ შეგვიძლია ვაჭრობა საკუთარი ვალუტით განვახორციელოთ?“ <https://thec-vadle.co/article-view/24549/inas-non-oil-trade-with-brics>

კანადიდან იმპორტი აშშ-ში იმავე პერიოდში 30%-ზე მეტად გაიზარდა (Nye, 2023). ჩინეთმა თანდათანობით, თუმცა თანმიმდევრულად შეამცირა აშშ-ის სახაზინო ვალდებულებების შესყიდვები, რომელიც ამჟამად 2010 წლის დონეზეა (Stephen S. Roach, 2022). ამავედროულად 2022 წელს რუსეთის ნავთობის ექსპორტის 80% ჩინეთსა და ინდოეთზე მოდიოდა. რუსეთსა და ჩინეთს შორის საქონელბრუნვა 2023 წლის ბოლოს 200 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს, რაც ნავარაუდები იყო 2025 წლისთვის. 2022 წელს ირანის ვაჭრობა BRICS-ის ქვეყნებთან წინა წელთან შედარებით 29%-ით გაიზარდა (JDD – Le Journal du Dimanche, 13 აპრილი, 2023). აღნიშნული და ბევრი სხვა მაგალითი მიგვანიშნებს გლობალური ეკონომიკის ფხაგმენტიაციის პიოცესზე.

დღევანდელი გლობალური ეკონომიკა, ფაქტობრივად, დაყოფილია ერთმანეთის საპირისპირო ინტერესების მქონე ორ ჯგუფად: ე.წ. „დიდი შვიდეული“ ანუ G7 და BRICS-ი<sup>5</sup>. ამ უკანასკნელში გაერთიანებული ქვეყნების ურთიერთობა ემყარება ეკონომიკურ სარგებლიანობას, როგორც საგარეო პოლიტიკური საქმიანობის წარმმართველ პრინციპს. ისინი მიიჩნევენ, რომ ყველა ქვეყანას საკუთარი ინტერესი გააჩნია, რომელიც, ხშირად, შესაძლებელია არ ემთხვეოდეს „კოლექტიური დასავლეთის ინტერესებს“<sup>6</sup>. BRICS-ის ქვეყნებში ამჟამად ცხოვრობს მთელი პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით 40%, ხოლო მისი წილი გლობალურ მსპ-ში შეადგენს 31,5%-ს. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 10%-ით გაიზარდა, მაშინ როცა იმავე პერიოდში G7-ის წილი 20%-ით შემცირდა (JDD – Le Journal du Dimanche, 13 აპრილი, 2023). „ბლუმბერგის“ პროგნოზით მომავალი ხუთი წლის მანძილზე BRICS კიდევ უფრო განიმტკიცებს პოზიციას. 2028 წლისთვის, მისი წილი გლობალურ მსპ-ში გაიზრდება 35%-მდე და გადაასწრებს „დიდ შვიდეულის“ მაჩვენებელს, 27,8%-ს. ([the cradle.com./article-view /24549/ iran's-non-oil-trade-with-brics-nations-nears-40bn](https://www.cradle.com/article-view/24549/iran-s-non-oil-trade-with-brics-nations-nears-40bn)). ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ზრდას, ძირითადად, ჩინეთის ეკონომიკა უზრუნველყოფს, რომელიც აწარმოებს BRICS-ის მსპ-ს 70%. ბოლო პერიოდში გაიზარდა ინდოეთის ეკონომიკის

5 როგორც ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: „უკვე კარგა ხანია დასავლეთის პრობლემები აღარ წარმოადგენს მსოფლიოს პრობლემებს“ (Леонард. 2023).

6 G7 შეიქმნა 1974 წელს და აერთიანებს: აშშ-ს, იაპონიას, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას და კანადას. BRICS-ის აბრევიატურაა იმ ქვეყნების ჯგუფის, რომელშიც გაერთიანებული არიან: ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრ. აფრიკის რესპუბლიკა. ის ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელსაც ამჟამად ჰყავს სამი კანდიდატი – ირანი, არგენტინა, ალჟირი და გაერთიანების მსურველი ათი ქვეყანა: ინდონეზია, საუდის არაბეთი, თურქეთი, ეგვიპტე, ტაილანდი, ნიგერია, ბანგლადეში, საბერძნეთი, სირია და ტაჯიკეთი.



ზრდის ტემპი. BRICS ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ისეთ მაღალ დონეზე ორგანიზებულ გაერთიანებას, როგორცაა ევროკავშირი (EU), თუმცა მას განვითარების საკმაოდ კარგი პერსპექტივა გააჩნია და „დიდ შვიდეულის“ სერიოზულ კონკურენტს წარმოადგენს რესურსებისა და გასაღების ბაზრებისთვის პაექრობაში.

ზემოთ ხსენებული friend shoring-ის პოლიტიკის ფარგლებში, ორი კონკურენტი ქვეყნის გარშემო შექმნილი დაჯგუფებების უშუალო მონაწილეობით ყალიბდება სხვასხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური ალიანსი. ერთ მხარეს: ევროპისა და აშშ-ის საბჭო ვაჭრობასა და ტექნოლოგიებში; უშიშროების ოთხმხრივი დიალოგი აშშ-ის, ავსტრალიის, ინდოეთისა და იაპონიის მონაწილეობით AUKUS ბლოკი, რომელიც აერთიანებს აშშ-ს, ავსტრალიასა და დიდ ბრიტანეთს. მეორე მხრივ, BRICS-ის პატრონაჟის ქვეშ ფუნქციონირებადი ისეთი სტრუქტურები, როგორცაა განვითარების ახალი ბანკი, ინფრასტრუქტურული ინვესტიციების აზიური ბანკი, საერთო სარეზერვო ფონდი, რომლებიც პერსპექტივაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, პირველ რიგში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) და მსოფლიო ბანკის (WB) ალტერნატიულ სტრუქტურებად მოიაზრება.

გლობალიზაციის პროცესში გაჩენილმა წინააღმდეგობებმა და პრობლემებმა საზოგადოებაში ეჭვი გააჩინა ამ პროცესის მომავალთან დაკავშირებით. პანდემიამ და რუსეთ-უკრაინის ომმა პირდაპირი ზეგავლენა იქონია გლობალიზაციის პროცესზე, რაც ზოგიერთი მკვლევარის მიერ შეფასდა როგორც გლობალიზაციის სერიოზული შეფერხება და დასასრულიც კი (პაპავა, 2022; Παπαβα, Ταφλαძე, 2022). ამერიკელი მკვლევარი ჯ. ნაი სტატიის „გლობალიზაციის დასასრული“ წერს: „2022 წლის ბოლოს ნახევარგამტარების ტაივანური და მსოფლიო მწარმოებლის ლეგენდარულმა დამაარსებელმა მორის ჩანგმა განაცხადა, რომ „გლობალიზაცია თითქმის მკვდარია“ და ბევრი კომენტატორი იმეორებს ამ მოსაზრებას მსოფლიოში შექმნილი რეალობის გათვალისწინებით“ (Nye, 2023). ამერიკელი მეცნიერი მ. ოსალივანი ასევე კატეგორიულია თავის მოსაზრებაში: „უკან მოვითოვებ რა გლობალიზაცია, ჩვენ უნდა დავემშვიდობოთ მას და ვკონცენტრირდეთ მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ფორმირებაზე“ (O'Sullivan, 2017). მსაგავსი მოსაზრება აქვს ე. ერიანსაც (Erian, 2022).

ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებებს (მექვაბიშვილი, 2022) და ვეთანხმებით პროფ. ვ. პაპავას, რომელიც აღნიშნავს: „თანამედროვე გლობალური ეკონომიკის კონფრონტაციული ხასიათი სულაც არ ნიშნავს

გლობალიზაციის დასასრულს“ (პაპავა,2022). პოლონელი პროფესორი გუ. კოლოდკო: „პოლიტიკოსები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აჩქარდნენ გლობალიზაციის სიკვდილის წინასწარმეტყველებაში. სინამდვილეში ეკონომიკური გლობალიზაცია მხოლოდ დროებით შესუსტდა“ (Kolodko, 2022; Колодко, 2020).

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიოში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა გლობალიზაციის სერიოზული შეფერხება, მაგრამ გლობალიზაცია არ „მომკვდარა“ და დეგლობალიზაცია არ დანყებულა. დღეს ფაქტობრივად, საქმე გვაქვს გლობალიზაციის ფორმათა მონაცვლეობასთან, მისი ერთი მოდელის – კორპორატიული გლობალიზაციის ფარგლებში.

## დასკვნა

„გლობალიზაციის ტენდენციების მოსაზრების“ საპირისპიროდ, რომლის თანახმადაც გლობალიზაციას უნდა უზრუნველყო ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, როგორც მსოფლიო, ასევე ცალკეული ეროვნული ეკონომიკების მასშტაბით, რასაც მოჰყვებოდა სოციალური უთანასწორობის შემცირება; მივიღეთ საწინააღმდეგო მდგომარეობა: ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება, მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილურობის გაძლიერება და სოციალური უთანასწორობის გაღრმავება. ასევე გამოიკვეთა წარმოების ლოკალიზაციის, მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევის, მსოფლიო ეკონომიკის ფრაგმენტაციის ტენდენციები, რაც გლობალიზაციის შეფერხებაზე მიგვანიშნებს და დეზინტეგრაციის სერიოზული საფრთხის მატარებელია.

ამის მიუხედავად, მართებულია მსჯელობა არა გლობალიზაციის შეწყვეტასა და დეგლობალიზაციაზე, არამედ გლობალიზაციის ორთოდოქსულ-ლიბერალური კორპორატიული მოდელის კრიზისზე. შესაბამისად, დღის წესრიგში უნდა დადგეს სოციალურად სამართლიანი, ინკლუზიური, ეკოლოგიურად ეფექტიანი და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული გლობალიზაციის მოდელით მისი ჩანაცვლების საკითხი.

## ლიტერატურა:

- დავითაშვილი ზ. (2003). ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.
- მექვაბიშვილი ე. (2009). ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, „ინოვაცია“

- Germain G. (2000). Globalization and its Critics: Perspective from political Economy, New-York.
- Kissinger H. (2001). Does America Need a Foreign Policy? Toward a Diplomcy for s 21 st Century, New-York – London. Simon and Shuster.
- Неклеса А. (2004). Глобальная трансформация: сущность, генезис, прогноз. Мировая Экономика, Международные Отношения № 1.
- მექვაბიშვილი ე. (2018). გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა, „ინტელექტი“
- Smart C. (2017). <http://www.project-syndicate.org/commentary/real-risk-global-economy-by-christopher-smart-2017-11>
- ნილი ნ. (2003). მსოფლიო ეკონომიკის მოკლე ისტორია (ქართული გამოცემის სამეცნიერო და მთ. რედაქტორი, აკად. ა. სილაგაძე, უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Credit Suisse (2021). Глобальное богатство, / [inosmi.ru/economic/](https://inosmi.ru/economic/)
- Sheng A.,Geng H. (2018). <https://www.projectsyndicate.org/commentary/angry-americanelite-failure-by-andrew-sheng-and-xiaogeng-2018.06>
- Stiglitz J. (2015). The Price of Inequality. New-York – London. Norton and Company
- Piketty T. (2013). Capital in the Twenty-fives Century. Harward University press.
- Piketty T. (2020). Capital and Ideology. Cambridge. MA: Harward University press.
- Piketty T. (2022). Brief History of Equality. Cambridge. MA: The Belknap Press of Harward
- Milanovich B. (2016). Global Inequality: A new Approach for the Age of Globalization. Harward University press, Belknap Press
- Hufbauer G., Shott J., Wieiro M., Wada E. (2013). Lokal Content Requirement: A Global Problem Wash. Person Institute of International Economics.
- Кондратьев Б. (2012). Политика локализации производства как инструмент модернизации. Мировая экономика, международные отношения, т.61,№ 1.
- პაპავა ვ. (2020). რატომ ატეხეს განგაში ამერიკელმა ეკონომისტებმა? „კვირის პალიტრა“ [„kvis palitra.ge/article/102744-ratom-atexec-gangashi-americe-lma-eco\\_nomistebma](https://www.kviris-palitra.ge/article/102744-ratom-atexec-gangashi-americe-lma-eco_nomistebma)
- Krugman P. (2022). The Dollar in Declaine? Not Sou Fast.[mail google.com|u|0#inbox](https://mail.google.com/u/0/#inbox)
- Krugman P. (2023). Wy Are People so Worried About Dollar Again? [mail google.com|o|0#inbox](https://mail.google.com/o/0#inbox)
- Hamid J. (2022). BRICS New Development Bank Breaks Away from US Dollar. <http://www.criptomopolitan.com/brics-new-development-banc-away-from-usd/>
- Earle P. (2023). Dedollarization Has Begun. [Redux-aieroorg|article|dedollarization-has-begun-redux](https://reduxaieroorg/article/dedollarization-has-begun-redux)
- <https://thec-radle.colarticle-view/24549/inas-non-oil-trade-with-brics-nations-nears-40bn>
- Hye J. (2003). Конец глобализации? [Mail.google.com /mail.ru|0#inbox](https://mail.google.com/mail/ru/0/#inbox)
- JDD – Le Journal du Dimanche, 13 აპრილი, 2023w.



- Леонард М. (2023). Управление постзападным миром. <http://www.ipg-journal.io/ru/regiony/mir/upravlenie-postzapadnim-mirom-1810>
- ჰაპავა ვ. (2022). Alioni 2|ge|pandemia-omi-da-ekonomikuri-sanquciebi
- O,Sullivan. ( 2017). The Eveling: What,s Next After Globalization. Affairs|Hachette|
- El Erian M.(2020). Navigating Dedolobalization. Project Syndicat. May,11/ <https://www.project-syndicate.org/commentary/covid-deglobalization-two-priorities-by-mohamed-a-e-el-erian>
- მექვაბიშვილი ე. (2022). გლობალიზამი თუ ალტერგლობალიზმი?, ეკონომიკა და ბიზნესი #4.
- Колодко Г. Последствия. Экономика и политика в постпандемическом периоде. Вопросы Экономики #5.
- Kolodko G. (2022). Irrewersibility of Globalization

### References:

- Davitashvili Z. (2003). natsionalizmi da globalizatsia. [Nationalism and Globalization.] in Georgian
- Mekvabishvili E. (2009). ekonomikis globalizatsia: mimartulebebi, gamotsvevi, perspektivebi [Globalization of the Economy: Directions, Challenges, Prospects. Publish “Innovatia”.] in Georgian
- Germain G. (2000). Globalization and its Critics: Perspective from political Economy, New-York.
- Kissinger H. (2001). Does America Need a Foreign Policy? Toward a Diplomcy for s 21 st Century, New-York – London. Simon and Shuster.
- Nekleska A. (2004). Globalnaya transformatsiya: sushnost, genezis, prognoz. [Global Transformation: Essence, Genesis, Forecast. World Economy, International Relations No. 1.] in Russian
- Mekvabishvili E. (2018). globalizatsiis epokis pinansuri krizisebi da sakartvelos ekonomika. [Financial Crises of the Era of Globalization and the Economy of Georgia. “intelekti”.] in Georgian
- Smart C. (2017). [http://www.project-syndicate.org/commentary/real-risk-global-eco\\_nomy-by-christopher-smart-2017-||](http://www.project-syndicate.org/commentary/real-risk-global-eco_nomy-by-christopher-smart-2017-||)
- Neal (2003). msoplio ekonomikis mokle istoria [A Brief History of the World Economy (scientific and chef-editor of the Georgian edition, Academician A. Silagadze, University Publishing House.) in Georgian
- Credit Suisse (2021). Globalnoye bogatstvo.[Global wealth.] In Russian /inosmi.ru/economic/
- Sheng A.,Geng H. (2018). <https://www.projectsyndicate.org/commentary/angry-americanselite-failure-by-andrew-sheng-and-xaiogeng-2018.06>
- Stiglitz J. (2015). The Price of Inequality. New-York – London. Norton and Company
- Piketty T. (2013). Capital in the Twenty-fives Century. Harward University press.

- Piketty T. (2020). Capital and Ideology. Cambridge. MA: Harward University press.
- Piketty T. (2022). Brief History of equality. Cambridge. MA: The Belknap Press of Harward
- Milanovich B. (2016). Global Inequality: A new Approach for the Age of Globalization. Harward University press, Belknap Press
- Hufbauer G., Shott J., Wieiro M., Wada E. (2013). Lokal content Requirement: A Global problem Wash. Person Institute of International Economics.
- Kondratiev B. (2012). Politika lokalizatsii proizvodstva kak instrument modernizatsii. [Production localization Policy as a Modernization Tool. World Economy, International Relations, 61, № 1.] in Russian
- Papava V. (2020). ratom atekhes gangashi amerikelma ekonomistebma? [Why did American Economists Sound the Alarm? “The Kviris Palitra magazine”] in Georgian
- kviris palitra.ge/article/102744-ratom-atexec-gangashi-americelma-economistebma
- Krugman P. (2022). The Dollar in Declaine? Not Sou Fast.mail google.com|u|#inbox
- Krugman P. (2023). Wy Are People so Worried about Dollar again? mail google.com|o|#inbox
- Hamid J. (2022). BRICS New Development Bank breaks away from US dollar. <http://www.criptonopolitan.com/brics-new-development-banc-away-from-usd/>
- Earle P. (2023). Dedollarization Has Begun. <https://redux-aieroorg/article/dedollarization-has-begun-redux>
- <https://thec-radle.colarticle-view/24549/inas-non-oil-trade-with-brics-nations-nears-40bn>
- Нье J. (2003). Конец глобализации? Mail.google.com /mail.ru|0|#inbox
- JDD – Le Journal du Dimanche, last seen 13 April, 2023.
- Леонард М. (2023). Upravleniye postzapadnym mirom. [Managing the Post-Western World.] in Russian <http://www.ipg-journal|io|ru|regiony|mir|upravlenie-postzapadnim-mirom-1810>
- Papava V. (2022). Alioni 2|ge|pandemia-omi-da-ekonomikuri-sanquciebi] in Georgian
- (O,Sallivan, 2017). The leveling: What,s Next After Globalization. Affairs|Hachette|
- El Erian M.(2020). Navigating Dedolobalization. Project Syndicat. May,11/ <https://www.project-syndicate.org/commentary/covid-deglobalization-two-priorities-by-mohamed-a-e-el-erian>
- Mekvabishvili E. (2022). globalizmi tu alterglobalizmi?. [Globalism or Alterglobalism?, Economics and Business #4.] in Georgian
- Kolodko G. Posledstviya. Ekonomika i politika v postpandemicheskiy period. [Consequences. Economics and Politics in the Post Ppandemic Period. Economics Questions #5.] in Russian
- Kolodko G. (2022). Irrewersibility of Globalization

---

## Metamorphoses of Globalization: Political Economy Aspect

**Elguja Mekvabishvili**

Professor

Iv. Javakishvili Tbilisi State University

elguja.mekvabishvili@tsu.ge

*The article discusses globalization of the economy as a component of the historical process and a natural result of its certain stage. In the evolution of globalization there are recorded turning moments or so-called bifurcation points, defining:*

- *The logic of the beginning of globalization, manifested in the transformation of the internationalization of the world economy into economic globalization at the turn of the 1980s and 1990s;*
- *Alternation of globalization forms with the forms of turbulent and confrontational globalization;*
- *The determinism of the content of globalization of the economy and the trajectory of changes in its forms.*

*It is noted that the current globalization is corporate globalization in its content. This means that it proceeds under the dictates of large transnational corporations and primarily serves their interests. Mainstream corporate globalization is characterized by internal contradictions, which are manifested at the current stage:*

- *The growth rates of both the world economy and the post-industrial countries economy are significantly reduced;*
- *Strengthening the instability of the economy at the global and regional levels and the rapid spread of the “financial-economic virus”;*
- *General deepening of economic and social inequality.*

*The global and financial-economic crisis of 2007-2009, the economic crisis caused by the covid-19 pandemic and the negative impact of the Russian-Ukrainian war on the world economy caused serious obstacles in the process of globalization, which was manifested in:*

- *Localization of production;*
- *Breaking global supply chains;*
- *Beginning of the trend of dedolarization;*
- *Growing fragmentation of the modern world economy.*

*The trend of localization of production first emerged in the United States after the end of the global financial and economic crisis. It manifested itself in the priority of job creation in the national economy and opposed the policy*

of “runaway factories”, which American TNCs have been implementing around the world for decades. This trend has intensified against the background of the covid-19 pandemic.

The breakdown of value creation and supply chains also began during the global financial crisis, but was especially aggravated during the period of the “great lockdown”, when there was a total lockdown of the economies of the countries of the world. This fact has dealt a strong blow to the world economy, since the share of global production chains in the cumulative growth of the world economy is currently about 70%. As a result, we got a significant increase in the rate of inflation around the world.

The start of the dedolarization trend is linked to the strengthening of the BRICS and the increase its share in the global GDP: it currently amounts to 31.5% and is predicted to reach 35% by 2028. Over the past ten years, BRICS’ share in the global GDP has increased by 12%, while G7’s share has decreased by 20%.

The countries in the BRICS consider de-polarization as their main priority, and for this purpose conclude agreements that provide for trade among themselves in national currencies.

The change in geopolitical priorities had an active impact on the globalization of the world economy, in terms of strengthening its fragmentation. Two directions of fragmentation are distinguished:

- On shoring of production from another country to their own country;
- Freed shoring of production in countries with similar geopolitical interests and goals.

Despite the obstacles in the globalization of the economy, there is no reason to argue about the suspension of this process, and even more so de-globalization. The article expresses the opinion that today we are not dealing with globalization in general, but with the crisis of its mainstream model – corporate globalization. Accordingly, the necessity of replacing it with a new model of globalization is on the agenda, which is very difficult and impossible to characterize today. At the same time, the fundamental qualities that should be characteristic of the new model of globalization can be theoretically determined: anthropocentricity, or a predominantly human orientation, social justice, ecological efficiency, concentration on sustainable development and multipolarity.

Undoubtedly, the future belongs to human globalization, which we consider to be the best way to avoid the existential threat to humanity.

**Keywords:** Globalization, bifurcation points, turbulent and confrontational globalization, corporate globalization, de-globalization, fragmentation.

**JEL Codes:** F02, P16, P48

## საქართველოს მთიანეთი - ქვეყნის სტრატეგიული განვითარების არსებითი კომპონენტი

### პაატა კოლუაშვილი

პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი  
paata\_koguashvili@hotmail.com

### გივი თაღაკვაძე

დოქტორი  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის საწახმოო  
ძაღებისა და ბუნებრივი  
ხესუსების შემსწავლელი  
ცენტრის განყოფილების  
გამგე  
givitala@yahoo.com

### იოსებ აჩვაძე

პროფესორი  
ქუთაისის უნივერსიტეტი  
josepharchvadze@yahoo.com

ხევი მთას ჰმონებს, მთა – ხევისა,  
წყარნი – ცყეს, ცყენი – მდინაჩეთ,  
ყვავიღნი – მიწას და მიწა –  
თავის აღზიდითა მცინაჩეთ  
და მე ხომ ყვედას მონა ვაჩ,  
პიჩხედ ოფდ-გადამდინაჩედ!  
ეხდა ცა წყნაჩობს... სოფდესაც  
გულწყნაჩად დაეძინება.

### ვაჟა

ეკონომიკის მდგმადი და დინამიკური განვითაჩებისათვის ქვეყანამ მის ხედთ აჩსებუდი ყვედა ხესუსი (ინტედექტუადუი, ფიზიკური, ფინანსური, ბუნებრივი) ჩაც შეიძება ჩაციონადუჩად და კომპდექსუჩად უნდა გამოიყენოს. ამ მხივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აჩაჩხუდ სექტორის, ჩომედიც თავისი ბუნებდინ და კვდავწაჩმოების პიჩობებიდან გამომდინაჩე, აჩამაჩტო ოჩგანუდადაა დაკავშიჩებული ეჩოვნიდი მეუჩნეობის პიჩტიკუდად ყვედა დაჩგსა და საქმიანობის სფეჩოსთან, აჩამედ ეკონომიკის დაჩგებს შოჩის ეჩთ-ეჩთი მალადი მუდტიპიკაციური ეფექტი გააჩნია. შესაბამისად, ნებისმიერი წამოწყება, დეკლაჩიება ეჩოვნიდი მეუჩნეობის დაჩქაჩებული განვითაჩების შესახებ დაჩჩება მხორედ კეთიდი ნების გამოსატუდებად, თუ ის აჩ ითვადისწინებს სოფდის მეუჩნეობის კომპდექსუჩი განვითაჩების ამოცანას, სოფდის, ჩოგოჩი ქაჩთვედი ეჩის სასიციციხლო სივჩის ფოჩმიჩების, შენაჩვისა და აღწაჩმოების პიჩობას, ეჩოვნიდი იდენტობის შენაჩჩუნების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. ამასთან, ჩადგანაც საქაჩთვედოს სოფდების დი-

დი ნაწიდი მთიანეთზე მოდის, ამ სივრცეზე ქაჩთვედთა დამკვიდრებას და ცხოვრებას ახა აქვს და ახც შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ეკონომიკურად უტილიტარული მნიშვნელობა – ის მხავადმხივი, მათ შოხის დემოგრაფიული, კულტურული და თავდაცვითი მნიშვნელობის ფუნქციის მაგაჩებელია. შესაბამისად, აუცილებლად გასათვადისწინებელია ადგილობრივი მოსახლეობის, ამ მოსახლეობის ისტორიული თანაცხოვრებით ჩამოყალიბებული ოხგანიზაციურ-საყოფაცხოვრებო ერთეულის – თემის, სოფლის ძიხეული ინტეგრაციები, მთაში ცხოვრების მოტივაცია და პირობები.

**საკვანძო სიგყვები:** მთა, სოფელი, თემი, სათემო მიწათმფლობელობა, სათემო დემოკრატია, სათემო კოოპერაცია, „ჩეკონკისტა“.

## შესავალი

ისტორიულად საქართველო მსოფლიოს პროვინცია არ იყო. ის იყო თვითმდგომი, სხვა ყველასაგან გამოყოფილი და განსხვავებული სახელმწიფო, რომელიც თვითონ ზრუნავდა თავის დაცვასა და მოვლაზე და, შესაბამისად, თვითონ საზღვრავდა თავის ე.წ. ღირებულებათა სისტემასა და სკალას, თავისი ზნეობის, თავისი სოციალური ურთიერთობებისა და პირადი ურთიერთობების წესებს. საქართველო იყო „მცირე, მაგრამ ჩამოყალიბებული ერთ-ერთი ცივილიზაცია“ (აკად. ნიკო მარი) სხვა დიდ და მცირე ცივილიზაციათა შორის.

ქართველი ერის მენტალიტეტი, ისტორიულად, დემოკრატიულია. ისტორიულად საქართველო სრულყოფილად ფეოდალური ქვეყანაა, რომელიც თავისი დამოუკიდებელი არსებობის ბოლო რამდენიმე საუკუნის მანძილზე (რუსეთის მიერ ანექსიამდე, 1801 წ.) ქანაობდა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე თავის მეზობელ მუსლიმურ იმპერიებთან ბრძოლაში (ფეოდალიზმი, როგორც ცნობილია, შუა საუკუნეთა დემოკრატიაა. საქართველოს დიდი მეზობლები – თურქეთი, ირანი და რუსეთი, მანამდე – ბიზანტიაც კი, პირიქით, დესპოტიები იყო). საქართველოს ერთმა მეოთხედმა – მთამ – ისტორიის ათასწლეულები ე.წ. სათემო-სამხედრო დემოკრატიის (უბატონო ტერიტორიული თემობის, სათემო მიწათმფლობელობის) პირობებში გაიარა. საქართველო თავისი ღრმა ქრისტიანული კულტურის, თავისი ფეოდალური ისტორიის წყალობით ტიპოლოგიურად დასავლური ქვეყანაა, თავისი მთელი ისტორიის მანძილზე სწორედ დასავლეთთან კავშირისკენ მოსწრაფე.

სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ ქართული სამართლის უგულვებლყოფა და მიწათმფლობელობის ქართული წესის მოსპობა განაპირობა.

საბჭოთა იმპერიამ ერსაც და ქართულ თემსაც ნიადაგი გამოაცალა, როდესაც, კერძო საკუთრებასთან ერთად, საერთოდაც, მოსპო სათემო საკუთრებაც, ხოლო ქართული მიწა საბჭოეთის საერთო-სახალხო საკუთრებად გამოაცხადა.

საქართველომ სახელმწიფოებრიობა XX საუკუნის მიწურულს კვლავ დაიბრუნა, რითაც შეიქმნა მთავარი პირობა, რომ თანამედროვე, რაციონალურად მოწყობილი ქართული სახელმწიფო, „ფრიად ქვეყანასაც“ და სათემო იდენტობასაც უკვე დემოკრატიული წეს-წყობილებით დაცავდა, ხოლო მიწათმფლობელობის ქართული წესი ახალ ვითარებაში შეისხამდა ხორცს.

სამწუხაროდ, ეს ფუნდამენტური პრობლემა საქართველომ დღემდე ვერ მოაგვარა. მართალია, 1990-ანი წლების დასაწყისში აგრარული რეფორმის გასატარებლად პირველი ნაბიჯები გადაიდგა, როცა სასოფლო მიწა მის ნამდვილ პატრონებს – ქართველ გლეხებს საკუთრებაში დაუბრუნდათ, მაგრამ ამ რეფორმას განვითარება არ მოჰყოლია: მიწის ფონდის უდიდეს ნაწილს, რომელიც საბჭოთა ოკუპაციისას აბსტრაქტულ საერთო-სახალხო საკუთრებას წარმოადგენდა, ჯეროვანი პატრონი დღემდე არ ჰყავს, გამოუყენებელი და უსარგებლოა, უარესიც – აღურიცხავი, დაურეგისტრირებული და მაშასადამე, იურიდიულადაც უპატრონოა.

ქართულ თემს (სოფელს) უმთავრესი უფლებები დღემდე არ დაბრუნებია – იგი მესაკუთრე სამართალ-სუბიექტს აღარ წარმოადგენს, ხოლო სათემო ქონებას მოკლებული სოფელი უკვე ქართული სოფელი კი არა, არამედ ბედისწერას მინებებული დასახლებაა, სადაც საბჭოთა დროიდან დღემდე, საზოგადო მიწა-წართმეული მოსახლეობა სახლობს და არა მკვიდრი თემი. სანამ თემი არ გახდება სათემო ქონების მესაკუთრე სამართალსუბიექტი, ძნელად სავარაუდოა, რომ მიწაზე საზოგადო საკუთრებამ კონკრეტული იურიდიული და ეკონომიკური შინაარსი დაიბრუნოს.

### **უფუნქციოდ დარჩენილი მთა – სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის განმსაზღვრელი ფაქტორი**

დღესდღეობით სოფლის მეურნეობა რჩება საქართველოს ეროვნული მეურნეობის ყველაზე სუსტ რგოლად. ამ სექტორში შრომის მწარმოებლურობა, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით, ჯერადად დაბალია.

აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ საქართველოს აგრარული სექტორი გაცილებით ნაკლებ ფინანსურ ინექციებს ღებულობს სახელ-



მნიფოსა და ინვესტორებისგან, დაბალია ამ დარგში შრომის ფონდშე-  
იარაღება. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში აგრარულ  
სექტორს 7.0% უკავია, მაშინ როდესაც ამ დარგზე მოდის სახელმწიფო  
ასიგნებების მხოლოდ 1.5% და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების 1.1%.  
უზარმაზარია საქართველოს ჩამორჩენა მონინავე ქვეყნებისგან სახელ-  
მწიფოს მხრიდან ეკონომიკის აღნიშნული სექტორისთვის განეული დახ-  
მარების მასშტაბებითაც. კერძოდ, ყოველწლიურად მოსახლეობის ერთ  
სულზე აშშ-ში სოფლის მეურნეობაზე სახელმწიფო ასიგნებების მოცუ-  
ლობა დაახლოებით 500 აშშ დოლარია (488\$), ევროკავშირში, მხოლოდ ამ  
გაერთიანების საერთო ბიუჯეტიდან – 125 აშშ დოლარი, საქართველოში  
კი აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 22 დოლარია.

სოფლის მეურნეობის არსებით ჩამორჩენაზე მიუთითებს ის, რომ  
აქ ერთი დასაქმებულის მიერ შექმნილი პროდუქცია დაახლოებით 2.5-3.0  
პირის გამოკვებისათვის არის საკმარისი (მონინავე საბაზრო ეკონომიკის  
ქვეყნებში შესაბამისად, სულ ცოტა, 80-100 კაცისთვის), ხოლო მეცხოვე-  
ლეობა ქვეყნის მოთხოვნილებებს, მაგალითად ხორცზე, მხოლოდ 30%-  
ით აკმაყოფილებს.

აგრარული სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირება საქართველო-  
ში შეუძლებელია მისი მთიანეთის პოტენციალის სრულად და კომპლექ-  
სურად გამოყენების გარეშე. საქართველო ზოგადად, მთიანი ქვეყანაა  
– მისი ტერიტორიის ნახევარზე მეტი – 53,6% – მთაზე მოდის, 1/3-ზე მე-  
ტი (33,4%) – მთისწინეთზე და მხოლოდ 13 % უჭირავს ბარს. ამასთან, მო-  
სახლეობა აბსოლუტურად არათანაბრადაა განაწილებული: ბარში ცხოვ-  
რობს მოსახლეობის 9/10-ზე მეტი, ხოლო მთასა და მთისწინეთში – და-  
ახლოებით 7-8 %. ამ დროს, მთის სათიბ-საძოვრების ფართობი თითქმის  
ორჯერ აღემატება საქართველოს სახნავ, ერთწლიანი და მრავალწლიანი  
ნარგავებით დაკავებულ ფართობს.

სამწუხაროდ, XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მთიანეთის ფუნქცია  
რადიკალურად შეიცვალა, კერძოდ, ამ პერიოდიდან არსებითად იცვლება  
სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა – მარცვლეული კულტუ-  
რების წარმოების არაპრიორიტეტულად მიჩნევითა და სამხრეთული და  
სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდების სასარგებლოდ.

საქართველოს მთიანეთს ისტორიულად სამი უმნიშვნელოვანესი  
ფუნქცია ჰქონდა: თავდაცვითი (სასაზღვრო), 2. აგრარული, 3. კულტურულ-  
ისტორიულ ფასეულობათა შენარჩუნებისა და გადანახვის.

ამათგან *პიჩვედი*, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ



გაუქმდა. მესამე ფუნქცია თავის როლს რუსეთთან საქართველოს სამეფო-სამთავროების შეერთების შემდეგ ერთი ხანობა კიდევ ასრულებდა (განსაკუთრებით – 1819-1820 წლების იმერეთის ე.წ. „საეკლესიო ამბოხის“ დროს, როდესაც საქართველოს მაღალმთიანეთში, სვანეთში გადამაღულ იქნა ბარის ეკლესია-მონასტრების ძვირფასეულობები და სინძინდეები). დარჩა მეოხე – აგრარული. თუმცა ისიც სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგა. საქართველოს ეკონომიკის წინაშე ცენტრმა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დააყენა სტრატეგიული ამოცანა: განევითარებინა შედარებით ვიწრო სპეციალიზაცია, ძირითადად თავის თავზე აეღო საბჭოთა კავშირის უზრუნველყოფა სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურებით (ჩაი, ციტრუსები, ხილი, ბოსტნეული, თამბაქო, ღვინო...). დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით (მარცვლეული, ხორცი, რძის პროდუქტები, შაქარი და ა.შ.) საქართველოს უზრუნველყოფას ცენტრი ძირითადად თავის თავზე იღებდა.

ამ გადაწყვეტილების რეალიზაციის შედეგად, საქართველოს მთიანეთში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ორმაგი დარტყმის ქვეშ მოექცა: ეკონომიკური დაჩქვამას ახორციელებდა ფასწარმოქმნის სისტემა, რის შედეგად პროდუქციის შემოტანა რამდენადმე უფრო იაფი ჯდებოდა ადგილობრივ წარმოებასთან შედარებით; პირობაგანდისგურ-ადმინისტრაციულ შეტევას ახორციელებდა იდეოლოგიური დამუშავება და ორგანიზაციული ღონისძიებები, მთიანი დასახლებებიდან ბარში გადმოსახლების მძლავრი იდეოლოგიური კამპანია და ორგანიზებული პროცესი. მრეწველობის დარგების უპირატეს განვითარებაზე აქცენტის აღებამ, რის შედეგად მთიელებს ბარისაკენ უხმობდნენ, რადგან ბარში სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას დამატებითი შრომითი რესურსები ესაჭიროებოდა, ამუშავდა საბჭოთა პროპაგანდის ყველა საშუალება, მათ შორის კინოხელოვნებაც (გაჩნდა კინოფილმები: „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, „საბუღაჩედი ჭაბუკი“ და სხვა), ამის გამო საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მკვეთრად მოიმატა დარჩენილი მოსახლეობის საშუალო ასაკმა, ადგილზე ეკონომიკურმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად დაკარგა სამეწარმეო ფუნქცია და ეფექტიანობა. ახალ რეალობაში, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, მთიელი კაცი, ხაზს ვუსვამთ, ფაქტობრივად უფუნქციოდ დარჩა.

მოგვიანებით, როცა ნათლად გამოიკვეთა მთის დაცარიელების უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური შედეგები, საბჭოთა ხელისუფლება შეეცადა გამოეხსნორებინა შეცდომა, მაგრამ ეს ვეღარ მოახერხა. მთის დაცლამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო და დამოუკიდებლობის აღ-

დგენის პერიოდისათვის მთიანეთი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, პრაქტიკულად დაცარიელებული იყო. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, ისევე როგორც დუშეთის მუნიციპალიტეტში (ქ. დუშეთის გარეშე), რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან მოსახლეობის დეპოპულაციის მხრივ, მოსახლეობის სიმჭიდროვე 10-ჯერ ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (შესაბამისად, 6.5 კაცი და 65.1 კაცი ყოველ 1 კვ.კმ-ზე), ყაზბეგის მუნიციპალიტეტში – კიდევ უფრო ნაკლებია – 3.5 კაცი 1 კვ. კმ-ზე. მაგალითად, რაჭაში მოსახლეობა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე 100 ათასი კაციდან თითქმის 8-ჯერ შემცირდა, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში საქართველოს მოსახლეობა 5-ჯერ გაიზარდა.

მდგომარეობა არ გამოსწორებულა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც, უფრო – პირიქით. ყველაზე საგანგაშო მდგომარეობაა პირიქითა კავკასიონისა (ხევი და თრუსოს ხეობა, პირიქითა ხევსურეთი, თუშეთი) და მის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიებზე (მთიულეთი, გუდამაყარი, ფშავი). აქ მთელი წლის განმავლობაში ასეულობით კვადრატული კილომეტრის ფართობზე მხოლოდ რამდენიმე ათეული ოჯახი ცხოვრობს. დემოგრაფიული მდგომარეობის ასეთი მკვეთრი გაუარესების მაპროგნოზირებელ ფაქტორებს სოფლად განუვითარებელი სოციალური ინფრასტრუქტურა და დასაქმებასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის დეფიციტი წარმოადგენს.

საქართველოს მთიანეთში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ასაკი საგრძნობლად აღემატება ეკონომიკურად აქტიურ და შესაბამისად (- ქალებში) – ფერტილურ ასაკს. – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის 28.3% 65 წელსაა გადაცილებული, მაშინ როდესაც ქვემო ქართლში აღნიშნული მაჩვენებელი 11.2%-ს არ აღემატება (საშუალოდ საქართველოში – 14.3%). აღნიშნული მდგომარეობა მნიშვნელოვნად აფერხებს მთისა და ბარის ისტორიული ფუნქციების აღდგენას და მოსახლეობის ცხოვრების დონის გამოთანაბრებას. მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სამეწარმეო სექტორის მიერ მოსახლეობის ერთ სულზე ყოველთვიურად გამოშვებული პროდუქციის მოცულობა საშუალო საბაზო პენსიის (295 ლარი) მხოლოდ 101%-ია, ხოლო მოსახლეობაზე გაცემული პენსიების ჯამური სიდიდე მნიშვნელოვნად – დაახლოებით 2.5-ჯერ – აჭარბებს ამ რეგიონში სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ პირთა შრომის ანაზღაურების მთლიან ფონდს. შინამეურნეობების 51%-ისთვის შემოსავლების ძირითადი წყარო პენსია და სახელმწიფო დახმარებაა. ოჯახების 35%-ისთვის ყოველთვიური შემოსავალი 250 ლარს არ აღემატება. ე.წ. „თვითდასაქმება“ კი სიმბოლურია

და რეალურ ეკონომიკურ დატვირთვას არ შეიცავს. ამჟამად ყოველ კვადრატულ კილომეტრზე მოსახლეობის სიმჭიდროვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯერადად ჩამორჩება მის უშუალო მოსაზღვრე რუსეთის ფედერაციის შესაბამის რეგიონებისას. ამიტომაცაა, რომ ერთ დროს მთიელებით დასახლებულ ადგილებს, არცთუ იშვიათად, უცხო ტომები იკავებდნენ და სრულად სარგებლობდნენ მთის მრავალმხრივი სიკეთით (განსაკუთრებით სათიბ-საძოვრებით), რაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან, ეკონომიკურთან ერთად მზარდი ტერიტორიული ექსპანსიის საფრთხის მატარებელია.

საქართველოს დამოუკიდებლობამ, უწინარეს სარეალიზაციო ამოცანათა შორის, მთისა და ბარის ისტორიული ფუნქციების აღდგენა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გათანაბრების საკითხი დააყენა. ამ მიმართულებით გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც, მაგრამ, მიუხედავად მთავრობების ძალისხმევისა, მთასა და ბარს შორის განვითარებაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების დაძლევა ჯერაც ვერ მოხერხდა.

აღნიშნული მონაცემები ადასტურებს რეალობას: ქართული მთის სოფელი (და, თუ ბოლომდე გულახდილები ვიქნებით, სოფელი ზოგადად) კარგავს თავის ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. სოფლის მცხოვრებლების დიდი ნაწილი სარჩო-საბადებლის საშოვნელად ან საქართველოს დიდ ქალაქებშია გადახვეწილი, ან უცხოეთში. მთის ეკონომიკური ფუნქციის აღდგენის პროცესი ჯერ-ჯერობით, ატარებს მხოლოდ ეპიზოდურ, სეგმენტურ ხასიათს, ნაცვლად იმისა, რომ მან მიიღოს საყოველთაო, ერთიანი, სისტემური ხასიათი. დღემდე არ მომხდარა მთაში მცხოვრებთა ჩართვა ქვეყნის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი აგრარული ბალანსის ფორმირებაში. ამის გამო, მთის სოფლებში შინ დარჩენილების აბსოლუტურ უმრავლესობას, პრაქტიკულად დაკარგული აქვს აგროსამეურნეო ფუნქცია, რაც ქვეყნისათვის უდიდესი საფრთხის შემცველია. ჯერ კიდევ მეფე არჩილი წერდა – „ოდეს წახდეს გდებიკაცი, საქართველო დაძაბუნდეს“.

### **საქართველოს მთიანეთის ეფექტიანი განვითარების აუცილებელი ღონისძიებები**

მდგომარეობის გამოსწორებისათვის, აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, მთისა და მთისწინეთის სამეურნეო და ბუნებრივი პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, მდგრადი ეკონომიკური განვითარება უნდა

გახდეს. მთამ „თავის თავზე“ უნდა აიღოს იმ სახეობის კულტურებისა და პროდუქციის წარმოება, რისთვისაც ბუნებრივ-კლიმატური პირობები და შესაძლებლობები გააჩნია. ეს მთისთვის ორმაგი – ეკონომიკური და დემოგრაფიული – ეფექტის მომტანი იქნება. ამისთვის კი საჭიროა კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება და რეალიზაცია.

რამდენიმე წლის წინ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა ე.წ. „მთის კანონმა“ გარკვეული პოზიტიური იმპულსი მისცა მთის რეგიონის, სასიცოცხლო ფუნქციონირების უზრუნველყოფას, თუმცა, მან მხოლოდ მცირედით შეანელა წლების მანძილზე მიმდინარე ნეგატიური პროცესები.

ამ მდგომარეობის რეალურად შეცვლისთვის სახელმწიფომ მთაში მოსახლეობის ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის მაქსიმალური სტიმულირება უნდა უზრუნველყოს. ამ მიმართულებით ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად გვესახება ის, რომ წარმოებული პროდუქცია, რომლის ძირითადი ტექნოლოგიური პროცესი ადგილზე ხორციელდება, უნდა გაათავისუფლოს დამატებული ღირებულების გადასახადისაგან, აგრეთვე გაატაროს ადგილზე ეკონომიკის ხელშეწყობის, მოსახლეობის დამკვიდრებისა და მისი ზრდის (მათ შორის, უშუალოდ კავკასიონის სამხრეთ ფერდობებსა და ხეობებში უახლოესი 5-10 წლის მანძილზე – არანაკლებ 4-6-ჯერ და შემდგომში კიდევ უფრო მეტი ზრდის პერსპექტივით) ღონისძიებები. კონკრეტულად, მთიანეთის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის (ფინანსურად, ტექნიკურ-ტექნოლოგიურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფილი სახელმწიფო პროგრამის), საქართველოს მთიანეთისათვის ხელისუფლების დახმარების ძირითადი მიზანი და მიმართულებები უნდა იყოს:

- მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, უპირატესად ეკონომიკურად აქტიურ და რეპროდუქციულ ასაკში მყოფი მოსახლეობის ზრდის ხარჯზე;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, დამუშავებისა და რეალიზაციის ორგანიზება შესაბამისი ტერიტორიის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფით და ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობით, ეკონომიკურად პროდუქტიული ზონების, მიწის სავარგულებისა და დაცული ტერიტორიების შენარჩუნება, დაცვა და განვითარება;
- საქართველოს მთიანეთის სტაბილური, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების მნიშვნელოვანი პირობა უნდა გახდეს წყლის რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება სხვადასხვა სახის ჰიდრო-ტექნიკური საშუალებების – დამბა, კაშხალი, წყალსაცავი, ოპტიმალური

ზომის ჰესი (5-დან 30-35 მეგავატამდე სიმძლავრის) და ა.შ. – მშენებლობით, ქვეყნის სტაბილურად მზარდი ეკონომიკის საჭიროებისა და იაფი ენერჯით მომარაგებისათვის. მზარდია ასეთი ჰიდროტექნიკური საშუალებების სამელიორაციო პოტენციალიც. აღნიშნულის მნიშვნელობას ხაზს უსვამდა ილია ჭავჭავაძეც, რომელიც თვლიდა, რომ გასარწყავებას ალტერნატივა არ გააჩნია აღმოსავლეთ საქართველოში;

- მალაღმთიან დასახლებებში/მალაღმთიანი დასახლებებისათვის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო პროცესის ორგანიზება (ტექნიკუმი, კოლეჯი) მთიან ზონაში აგრარული სექტორისა (სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის) და არსებული ბუნებრივი რესურსების მოპოვების, პირველადი დამუშავების, დამზადების, მიწოდებისა და ტრანსპორტირებისთვის ადგილობრივი შესაბამისი პროფილის კვალიფიციური კადრებით უზრუნველსაყოფად;

- სოციალური, სატრანსპორტო - საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-განვითარება, ურბანულ გარემოსთან დაკავშირების მაქსიმალური გაიოლება-გამარტივება და ადგილობრივი მოსახლეობის მობილობისა და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო შესაძლებლობების არსებითი გაუმჯობესება;

- საქართველოში მოქმედ მობილური კავშირის ოპერატორებს მთიანი ზონის სრული დაფარვის უზრუნველსაყოფად, უნდა შეექმნათ ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობები (გადასახადებისაგან გათავისუფლება და სხვ.), ხოლო საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ – მთის მკვიდრთათვის მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში გარკვეული დიაპაზონის (რადიუსის) ფარგლებში დაანესოს შეღავათიანი ტარიფი;

- მთიანეთის ყველა სოფლის, დასახლებულ პუნქტის წლის ოთხივე სეზონის განმავლობაში ფუნქციონირებადი გზებით უზრუნველყოფა. „არც ერთ ქვეყანას ისე არ ეჭირვება კარგი გზები, როგორც საქართველოსა“ (ილია), (კოლუაშვილი, 2013,63). ილია ჭავჭავაძისეული, ეს თითქმის საუკუნენახევრის წინანდელი ნათქვამი, დღესაც აქტუალური და გასათვალისწინებელია;

- ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერატივების განვითარება, უპირველეს ყოვლისა, მეცხოველეობის პროდუქციის (განსაკუთრებით, ეკოლოგიურად სუფთა) წარმოების განვითარებისა და რეალიზაციის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად;

- მთაში წარმოებული ბიოპროდუქციის დამამზადებელი (შემსყიდველი) ნერთების შექმნა;



- ადგილობრივი გადამამუშავებელი მრეწველობის, წარმოებისა და ხალხური რეწვის პროდუქციის ეფექტიანი მარკეტინგისა და რეალიზაციის ხელშეწყობის პირობების შექმნა;

- იმ სატრანსპორტო საშუალებების (შესაბამისი ორგანიზაციების) სუბსიდირება, რომლებიც ემსახურებიან ადგილობრივ მწარმოებლებს პროდუქციის გასაღების ბაზრებამდე ტრანსპორტირებაში;

- მთაში დამკვიდრებისა და სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობისათვის იმპულსის მისაცემად, თითოეული ადგილობრივი, მკვიდრი და დაბრუნებული კომლისთვის სახელმწიფოს მხრიდან უსასყიდლოდ არა ნაკლებ 10 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და/ან 30 ცხვრის გამოყოფა;

- სუბსიდირების სისტემა ადგილობრივ რელიეფზე ადაპტირებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ყოლაზე (ძროხაზე არანაკლებ 100 ლარის, ხოლო ხარზე – არანაკლებ 150-200 ლარის ფარგლებში), აგრეთვე კომერციული ბანკიდან აღებული სესხის საპროცენტო განაკვეთზე;

- საზღვრის დამცველთა კონტინგენტის უზრუნველყოფა ადგილობრივი წარმოების სურსათით. ამ მხრივ ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკა, რაც სასაზღვრო ჯარის გარანტირებულ გამოკვებას და ამ ზონაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების გეგმაზომიერ განვითარებას უზრუნველყოფს;

- მიზანშეწონილი უნდა იყოს მთაში მცხოვრები მამაკაცების განთავისუფლება სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან (სამსახური – მხოლოდ ნებაყოფლობით საფუძველზე) და მათი ნახევრად გასამხედროებული საზღვრის დამცველთა მხარდამჭერ რაზმებში განწევრიანება, შესაბამისი გასამრჯელოს გათვალისწინებით, ანუ მთაში მცხოვრებთათვის, ეკონომიკურთან ერთად, ინსტიტუციურ დონეზე თავდაცვითი ფუნქციის მინიჭება და ამის საფუძველზე მათი სოციალური სტატუსისა და მნიშვნელობის არსებითი ამაღლება;

- მთაში მცხოვრებ ახალგაზრდა ოჯახებს გაეხსნათ 15-წლიანი უპროცენტო საკრედიტო ხაზი 30 ათასი ლარის ოდენობით. ამასთან, ქორწინებიდან პირველი 10 წლის მანძილზე ყოველ გაჩენილ ბავშვზე ჩამოენეროთ სესხის 1/3, ხოლო მეოთხე და ყოველ მომდევნო ბავშვზე, გაენიოთ ერთჯერადი დახმარება 10 ათასი ლარის ოდენობით;

- მაღალმთიან ზონაში მცხოვრებ ყოველ მოსწავლეზე სასწავლო წლის ბოლოს მათ ოჯახებზე გაიცეს ერთჯერადი დახმარება საბაზო (პირველკლასელის) 1000 ლარის ოდენობით, რომელიც ყოველი მომდევნო სასწავლო წლის ბოლოს გაიზრდება 200-200 ლარით. ფაქტობრივად, სკოლის დამთავრების შემთხვევაში, თითოეულ ბავშვზე, რომელმაც მთელი

სასწავლო პროცესი სოფლად გაატარა, ოჯახი მიიღებს სწავლის მთელი პერიოდის მანძილზე დაახლოებით 20 ათას ლარს, მათ შორის დამამთავრებელ წელს – 3 ათას ლარს;

- მთაში დაბრუნებულ ყოველ ოჯახს დასახლებისა და სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის მხარდასაჭერად, ალპური კონვენციის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე (არანაკლებ 5 წლის მანძილზე მეურნეობის/ფერმის შექმნისა და ფუნქციონირების პირობით) გამოეყოს 28 ათასამდე ლარი;

- მთის ზონაში დემოგრაფიული და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად, უნდა განხორციელდეს მოზარდი თაობის აღზრდისა და სასწავლო ობიექტების (ბაგა-ბალები, სკოლები, მათ შორის სკოლა-პანსიონის პროფილის) თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პირობებით (სრულფასოვანი კვება და სამედიცინო მომსახურება, ინტერნეტი, გათბობისა და ენერჯის მუდმივი, ავტონომიური წყარო, სასწავლო-აღმზრდელობითი ინვენტარი და ა.შ.) უზრუნველყოფა;

- მაღალმთიან ზონაში სოციალური ინფრასტრუქტურის მუშაკების (პედაგოგები, სამედიცინო სფეროს მუშაკები, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურებით დაკავებული პირები და ა.შ.) საქმიანობის სათანადო სტიმულირება, ღირსეული ანაზღაურება და სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები შრომის მაღალი მოტივაციის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი რთული ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და მათი საქმიანობის მაღალი სოციალური მნიშვნელობის გათვალისწინებით;

- აგროტურიზმის, საკურორტო-რეკრეაციული და ზოგადად, სოციალური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის ტურისტული ბილიკების, მარშრუტების გამრავალფეროვნების გზით, საცხენოსნო, წყალჭომარდობის, ექსტრემალური (მათ შორის პარაპლანური) ტურიზმის სახით – იმგვარად, რომ ერთი მხრივ, მათში მაქსიმალურად ჩაერთოს ადგილობრივი მოსახლეობა და, მეორე მხრივ, შენარჩუნებულ იქნეს ეკონომიკურად პროდუქტიული ზონები კულტურული ლანდშაფტების დაუზიანებლად, როგორც საერთო ეროვნული საკუთრება;

- საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-კულტურული, არქიტექტურული და ქრისტიანული ძეგლები, ადგილობრივ ხალხურ კულტურასთან, ტრადიციებთან, მუსიკალურ და სამხატვრო ხელოვნებასთან, ხალხურ რენვასთან ერთად, ქმნიან ხელსაყრელ პირობებს შესაბამისი თემატური, მათ შორის თანამედროვე ტურისტული დარგის წამყვან ტრენდად ქცეულ რელიგიური, მომლოცველობითი (პილიგრიმული) ტურიზმის განვითარე-

ბისათვის, ამ მიმართულებით აუცილებელი იქნება საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება (ათონის მთა, ვატოპედი, სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრი, ვატოპედი და სხვ.)

- საქართველოს მთის პოტენციალის რეალურ, დიდმასშტაბიან ეკონომიკურ სარგებელში ტრანსფორმაციისათვის ამჟამად მოქმედი და პოტენციური ტურისტული მარშრუტებისა და საკურორტო ლოკაციების თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გამართვა და შესაბამისი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო და უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის ფორმირება (ტურიზმისა და საკურორტო ობიექტების მონიტორინგისა და წინასწარი გაფრთხილების თანამედროვე სტანდარტების ჩათვლით). ეს მძლავრ იმპულსს მისცემს არამართო რეგიონის, არამედ მთელი ქვეყნის განვითარებასაც. ამის ხელშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენს მტკნარი და მინერალური წყლების მრავალფეროვნება, კლიმატი, რელიეფი, ტურისტული, საკურორტო და სარეკრეაციო ობიექტთა უმრავლესობის ოთხსეზონიანი პროფილი. აღნიშნული მიმართულებით სპეციალური კომპლექსური პროგრამის რეალიზაცია უმოკლეს დროში არსებითად დააჩქარებს სოციალური, საწარმოო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, გადაწყვეტს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებთა დასაქმების, კეთილდღეობის ზრდის პრობლემებს, მკვეთრად შეამცირებს ემიგრაციაში წასვლას და გააჩენდა ემიგრანტთა უკან დაბრუნების მაღალ მოტივაციას.

ამის გარდა, სახელმწიფო ბიუჯეტის შესაძლებლობების ზრდის პარალელურად, აუცილებელია ისეთი პროგრამების რეალიზაცია, როგორცაა:

- პირდაპირი ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის პროგრამა;

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის სტიმულირების პროგრამა;

- სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის პროდუქციის ნაკადების პარიტეტული მიმოქცევის მხარდაჭერის პროგრამა;

- მთიან ზონაში ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და კომერციული დატვირთვის უზრუნველმყოფი თანამედროვე ტექნიკური, ტექნოლოგიური და მარკეტინგული სისტემური ცოდნის გადაცემის ორგანიზება მთის მცხოვრებთათვის;

- საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა და სხვა.

საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებს საქართველოს მთიანეთში ცხოვრებისა და საქმიანობის სამართლებრივ-ორგანიზაციულ



და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, შესაბამისობაშია მოსაყვანი თანამედროვე რეალობასთან, მათ შორის – „ალპური კონვენციის“ სულისკვეთებასთან, რომელთანაც შეერთებულია საქართველო და რაც გულისხმობს გარემოს დაცვას, კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას და შესაბამისი ტერიტორიის განვითარებას ეროვნული მთავრობის, ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით.

აღნიშნული ღონისძიებების გატარება შექმნის საფუძველს სოციალური დახმარებებისა და ე.წ. საარსებო შემწეობების პოლიტიკის კარდინალური გადასინჯვისათვის. სამწუხაროდ, ამჟამინდელი სოციალური პოლიტიკა, განსაკუთრებით სოფლად, პირდაპირ მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური დეპრესიის კიდევ უფრო გაღრმავებისა და სიღატაკის „ნახალისებისკენ“.

### **ქართული სოფლისა და მთიანეთის აღორძინების მაგისტრალური გზა კოოპერირება**

ერთ-ერთი ნაბიჯი, რამაც მთის რეგიონის, ზოგადად კი მთელი აგრარული სექტორის განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს, კოოპერირებაა. კოოპერატივებში, ჩაერთვებიან კონკრეტულ მაღალმთიან არეალში მუდმივად მცხოვრები ადამიანები. მათ მუდმივ მფლობელობასა და სარგებლობაში უნდა გადავიდეს საძოვრებისა და ტყის ფონდებიდან გენერირებული შემოსავლები.

აუცილებელია განხორციელდეს მაღალმთიან რეგიონებში, კოოპერირების გზით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების, მეცხოველეობის განვითარების და მაღალპროდუქტიული ჯიშების შერჩევა-აპრობირების ხელშეწყობა და რძის პროდუქტების წარმოების და რეალიზაციის ერთიანი სანარმოო ციკლის შექმნის მხარდაჭერა, სადაც კოოპერატივის მეპაიეები დაინტერესებული იქნებიან არა მხოლოდ რძის, არამედ რძის პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული მნიშვნელოვანად გაზრდილი შემოსავლებით. ასეთი ფორმით სამწარმოო საქმიანობის განხორციელება გამოიწვევს წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდას და მთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

მიწის სავარგულების პრივატიზაციის შედეგად მთავორიან რეგიონებში დღეისათვის შექმნილია მემცენარეობის და მეცხოველეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობები, რომელთა საკუთრებაში მყოფ

მინის ნაკვეთების უდიდესი ნაწილი 0,5-1,5 ჰა ფარგლებშია. მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი ნაწილი განლაგებულია ფერდობებზე, ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეებზე, გააჩნიათ არასწორი კონფიგურაცია და რელიეფი, ასევე ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ნიადაგის შემადგენლობა და სტრუქტურა, გაუმჯობესებისა და სწორი გამოყენების სათანადო ღონისძიებების ფონზე შესაძლებელია მივიღოთ ერთი ჰა ბუნებრივი სათიბიდან 3-5 ტონა თივა, ხოლო საძოვრიდან – 2,5-3,5 ათასი საკვები ერთეული. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საკვები კულტურების მოვლა-მოყვანა 2-3-ჯერ უფრო ძვირია, ვიდრე ბალახის წარმოება. განსაკუთრებით იაფია საძოვრული საკვები, ვინაიდან საძოვრის გაძოვების დროს გამოთიშულია მოსავლის აღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

კოოპერაცია მოსახლეობას საშუალებას მისცემს:

- დაამზადონ პირუტყვის საკვები და ამით მნიშვნელოვნად შეამცირონ რძის თვითღირებულება;
- გადაამუშაონ მათ მიერ წარმოებული რძე კოოპერაციულ საწარმოში, რომელიც მათი საკუთრება იქნება;
- უზრუნველყონ ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება და ამავე დროს აწარმოონ ჯიშთა გაუმჯობესების სამუშაოები მაღალპროდუქტიული ფურების შემოყვანის ან ხელოვნური განაყოფიერების გზით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ქვეყნის მთიანეთში ტერიტორიების მიხედვით შეიქმნას სპეციალური სამეურნეო-ეკონომიკური ერთეულები – აგრარული კლასტერები, რომელთა განკარგვაში (მუდმივ მფლობელობასა და სარგებლობაში) გადავა საძოვრებიდან და ტყის ფონდებიდან გენერირებული შემოსავლები. აღნიშნული სამეურნეო ერთეულების ფარგლებში კოოპერაციულ საწყისებზე უნდა განვითარდეს თანამედროვე ტექნოლოგიური სასოფლო-სამეურნეო წარმოება, კოოპერატივების ფარგლებში ერთიანი საწარმოო ციკლის (პირველადი პროდუქციის წარმოება, გადამუშავება, რეალიზაცია) ორგანიზებით.

ამ ტიპის ეკონომიკური ერთეულების მფლობელები გახდებიან განსაზღვრულ არეალში მუდმივად მცხოვრები ადამიანები. იჯარიდან ან სხვა სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, დემოკრატიული გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ წინასწარ განსაზღვრული საერთო მიზნებისათვის უკეთესი პირობების შესაქმნელად (განათლება, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი და სხვ.).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ლოკალური ტერიტორიული გავრცელების ოპტიმალური ფორმის განსაზღვრაში, პრიორიტეტული

მნიშვნელობა **სათემო კოოპერატივებს** ენიჭება. მათი ჩამოყალიბება მოხდება ადმინისტრაციული ერთეულების ფარგლებში, წარმოების სპეციალიზაციისა და მწარმოებლურ ძალთა კონცენტრაციის ფაქტორების გათვალისწინებით. სათემო კოოპერატივები უზრუნველყოფენ კოოპერაციის პროცესში მოსახლეობის მასობრივი ჩართულობის პირობებს, სადაც შესაძლებელი გახდება მასშტაბის ეფექტის გამოყენება და ადგილებზე მოსახლეობის შესაძლებლობების და მატერიალური რესურსების კაპიტალიზაცია.

საქართველოს მთიანეთში არსებობს სოფლის მეურნეობის მაღალხარისხიანი პროდუქტების წარმოების, მათ შორის ბიონარმოების უნიკალური შესაძლებლობები. ბუნებრივი საძოვრების რაციონალური გამოყენების საფუძველს ყველა ვერტიკალურ ზონაში წარმოადგენს პირუტყვის ნაკვეთმორიგეობითი ან მასთან მიახლოებული ძოვების სისტემის დანერგვა. ბუნებრივ საძოვრებზე ყველა სახის საკვების (მწვანე, წვნიანი, უხეში) წარმოების გადიდება, მათი ხარისხის ამაღლება და თვითღირებულების შემცირება მეცხოველეობის განვითარების ძირითადი საფუძველია, რადგან მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულების 65-75% სწორედ საკვების ხარჯებთანაა დაკავშირებული.

კოოპერატივის ფარგლებში ერთიანი საწარმოო ციკლის ორგანიზება (პირუტყვის საკვების, რძის და რძის პროდუქტების, მათ შორის ადგილწარმოშობის მიხედვით წარმოებული პროდუქციის: დამბალი ხაჭო, ტენინი ყველი, გუდის ყველი), ხორცის და ხორცის პროდუქტების, მატყლის და ტყავის წარმოება) უზრუნველყოფს სათიბ-საძოვრების რაციონალურ გამოყენებას, შეამცირებს პირუტყვის საკვების ხარჯებს და მნიშვნელოვნად გაზრდის მეპაიეთა შემოსავლებს.

საქართველოს მთიანეთში ტყის არამერქნული პროდუქტების მრავალფეროვნებისა და სწრაფად მზარდი საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სათემო კოოპერატივების ფარგლებში ველური ხილის (ასკილი, პანტა, შინდი, ქაცვი და სხვა) შეგროვებას და მათი შრობის, შენახვის ბიონარმოების განვითარებას და საერთაშორისო ბაზრებზე არსებულ ფასებში რეალიზაციას დიდი პოტენციალი გააჩნია, რაც ყველაზე უკეთ კოოპერატივების გაძლიერების მხარდაჭერით არის შესაძლებელი. ეს ადგილობრივი მოსახლეობისთვის დღესაც საარსებო საშუალების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვების, შრობისა და დამზადების მიზნით, დუშეთის მუნიციპალიტეტის მალაროსკარის ადმინისტრაციულ ერთეულში დაარსდა კოოპერატივი „მარახევი“, რომელიც აღ-

ჭურვილია უმარტივესი, დაბალი წარმადობის საწარმოო-ტექნოლოგიური დანადგარებით. აღნიშნული კოოპერატივის თანამედროვე, შესაბამისი სიმძლავრის შრობისა და დაფასოების დანადგარებით აღჭურვის მხარდაჭერის შემთხვევაში, არამართო მალაროსკარის, არამედ უკანაფშავის და ბარისახოს ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების მოსახლეობას მიეცემა ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვების, გაშრობის, დაფასოების და შენახვის კარგი შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ შემოსავლებს.

აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ბიონარმოების განვითარების კარგი შესაძლებლობები არსებობს. ბიონარმოებაზე გადასვლისას რძის სარეალიზაციო ფასი, სულ მცირე, 1,5-2 ჯერ გაიზრდება, ამის შედეგად რძის წარმოებით ერთ ფურზე მოგება მოიმატებს არანაკლებ 750 ლარამდე. ხოლო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე, დამბალი ხაჭოს ევროპულ ბაზარზე გასვლის შემთხვევაში, რომლის პოპულარიზაციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, მთაში ძლიერი ბიოფერმერული მეურნეობის მოწყობის მნიშვნელოვანი რესურსი იქნება.

ქვემო ქართლის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და რეგიონში წარმოებულ დამატებულ ღირებულებაში მისი წილი 19%-ია, სადაც დასაქმებულია მოსახლეობის 48%. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მოსახლეობა ძირითადად თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნება და თავიანთ ოჯახურ მეურნეობებში საქმიანობენ, დედაქალაქთან და მეზობელ სახელმწიფოებთან სიახლოვის გამო, საკმაოდ წარმატებით ახერხებენ საადრეო კარტოფილით, ბოსტნულითა და მეცხოველეობის სხვადასხვა პროდუქტით ბაზრებზე ოპერირებას. რეგიონში გაძლიერდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების და ფერმერული ასოციაციების ჩამოყალიბების ტენდენცია.

მეცხოველეობა წამყვანი დარგია დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის მუნიციპალიტეტებში. მემცენარეობის სექტორში კი შედარებით კარგად არის განვითარებული კარტოფილის წარმოება. კარტოფილის მწარმოებელი ფერმერებისა და კოოპერატივებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის კარტოფილის მოსავლის შენახვასთან დაკავშირებული მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა. პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა შეიქმნას მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კოოპერაციული სასაწყობო მეურნეობა, სადაც მათ შეეძლებათ შეინახონ მიღებული მოსავალი და გაყიდონ მაშინ, როცა ფასი მაღალია.

დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის მუნიციპალიტეტებში აღნიშნული დარგების განვითარების მიზნით, საჭიროა:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფორმის გამოყენებით მოხდეს პირველადი წარმოების, გადამუშავების და რეალიზაციის ერთიანი ციკლის მხარდაჭერა;

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრები უვადო სარგებლობით/მფლობელობით ან გრძელვადიანი იჯარით გადაეცეს რძის მწარმოებელ კოოპერატივებს;

- სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, რძის მწარმოებელი კოოპერატივების ფარგლებში, შეიქმნას რძის გადამამუშავებელი საწარმოები, რომელთა მიერ წარმოებული რძის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება დივიდენდების სახით განაწილდება კოოპერატივების მეპაიეებზე. აღნიშნული საწარმოები გადაეცემა კოოპერატივებს გრძელვადიანი გამოსყიდვის ვალდებულებით;

სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის მუნიციპალიტეტებში მიზანშეწონილია შეიქმნას 1000 – 1300, ხოლო დუშეთის და თიანეთის მუნიციპალიტეტებში – 500-700 ტონა კარტოფილის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კოოპერაციული სასაწყობო მეურნეობები, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და მის მეპაიეებს მისცემს შესაძლებლობას, მოსავლის აღების შემდგომ მოახდინონ მათი უდანაკარგოდ დაბინავება და მოსავლის ახალი სეზონის დადგომამდე თანდათანობითი რეალიზაცია.

მთლიანობაში, აგროსპეციალიზაციის გაღრმავება ჯერადად გაზრდის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს და სოცკულტურული განვითარებისა და კეთილდღეობის დონით მთას მაქსიმალურად მიუახლოებს ურბანული ცხოვრების დონეს.

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კოოპერაციულ მოძრაობას, რადგანაც ამგვარი წამოწყების წარმატებისთვის არაა საკმარისი ადგილებიდან წამოსული ინიციატივა და მცდელობა. – საჭიროა, აგრეთვე, სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მრავალმხრივი (იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული, ინსტიტუციური, ორგანიზაციული და ფინანსური) მხარდაჭერა საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნაში, განსაკუთრებით კოოპერირების პროცესის საწყის, ყველაზე რთულ ეტაპზე, როგორც ეს ხდება მოწინავე საბაზრო ეკონომიკის, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში. საწარმოო სიმძლავრეებითა და ინფრასტრუქტურით, განსაკუთრებით პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფი ტექნოლოგიისადმი მგრძნობიარე წარმოებაში (რძისა და რძის პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავება და წარმოება), აგრეთვე პირუტყვის სტაციონარული სადგომით (ფერმით) უზრუნველყოფა კოოპერატივების საქმიანობის პირველ ეტაპზე, სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე.



სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი მხარდაჭერით მიღწეული ეფექტი, ჯერადად გადააჭარბებს მის მიერ ყველანაირი ხარჯების ერთობლიობას. სწორად ორგანიზების შემთხვევაში, აღნიშნული წყაროებიდან მიღებული შემოსავლები შეიძლება იმდენად მასშტაბური გახდეს, რომ დედაქალაქიდან, საქართველოს სხვა ადგილებიდან და უცხოეთიდანაც კი, ბევრი ადამიანი დაუბრუნდება მშობლიურ კუთხეს. ამით, ქვეყნის შიდა ტერიტორიული მოწყობის ცვლილებების გარეშე, გადაიჭრება მაღალი მთის საზღვრისპირა სექტორებთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული საკითხები.

ამ მიზნის რეალიზაციასა და არსებულ პრობლემათა გადაჭრას უდავოდ წაადგება სახელმწიფო საკრედიტო პროგრამის შემუშავება მთიანეთისათვის, რომელიც პრაქტიკულად ხელახლა ასათვისებელია (მოსახლეობის დასაქმება-დამკვიდრება, თავდაცვითი ზოლის ფუნქციის აღდგენა, აგროსასურსათო ბალანსის ფორმირებაში საკუთარი ადგილის მიჩენა და სხვა). ყოველივე ამას დიდი სტრატეგიული დატვირთვაც აქვს. ამისათვის მთავრობამ სპეციალური პროგრამა უნდა შექმნას ევროგაერთიანების თანამონაწილეობით და ალპური კონვენციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, რომელთანაც საქართველოა შეერთებული.

მნიშვნელოვანი როლის შესრულება საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციის აღორძინებისა და დემოგრაფიული პროცესების რადიკალურად გაუმჯობესების საქმეში შეუძლიათ სახელმწიფოს დახმარებით ისეთი პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას, როგორცაა: ადგილზე სარეალიზაციო და საცალო საქსპორტო ფასებს შორის განსხვავებების დასაფარავი სუბსიდირების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის სტიმულირებისა და სხვა პროგრამები.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ სოფლად, განსაკუთრებით მაღალმთიან ზონაში, ადამიანების დამაგრება, მიგრანტების მოზიდვა- დაბრუნება, მიზიდვა ბარიდან, ცხოვრების ურბანულთან მიახლოებული კომფორტითა და სტანდარტებით. ფაქტობრივად, აღნიშნული ღონისძიებების სისტემა მიზნად ისახავს საქართველოს მთიანეთის ხელახალ კოლონიზაციას, „რეკონკისტას“, მოსახლეობით დახუნძვლას, ეკონომიკის დინამიკურ განვითარებას.

მთიანეთის ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარების გარეშე, რომელიც რჩება სოფლის მეურნეობის ფაქტობრივად ყველაზე სუსტ რგოლად. ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ საქართველოს მთაში მეცხოველეობის განვითარება – ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერიის – მთიანეთის

აღორძინების, მოსახლეობის შენარჩუნება-გამრავლებისა და თავდაცვის უპირველესი პირობაა (კოლუაშვილი, 2023,57).

ამ ასპექტით, ხორცის წარმოების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია არამარტო **მესაქონლეობის** განვითარებას, არამედ **მეცხვარეობა-საც**, რომელზეც ამჟამად მოდის საქართველოში წარმოებული ხორცის მხოლოდ 6%, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე მისი წარმოების შესაბამისი მაჩვენებელი ანალოგიურ საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს დაახლოებით 1/4-ით ჩამორჩება. მაგრამ მეცხვარეობის განვითარება არ არის მხოლოდ ხორცის წარმოების ზრდის ფაქტორი. – ის ასევე უკავშირდება შესაბამისი პროდუქტის ყველისა და მატყლის წარმოებას. ეს უკანასკნელი კი შეუცვლელი ნედლეულია შალის წარმოებისა და შესაბამისი მრეწველობის განვითარებისათვის.

მეცხვარეობის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს ზამთრის საძოვრების უქონლობა და სათიბ-საძოვრული მეურნეობის მოუგვარებლობა. დღეისათვის ქვეყანას არ გააჩნია სათიბ-საძოვრების გამოყენების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზა, არ მომხდარა ამ საძოვრების განაწილება და სარაიონთაშორისო გადანაწილება, რაც სერიოზული დამბრკოლებელი მიზეზია მეცხვარეობის განვითარებისათვის. მეცხვარეები ზამთარში, ფაქტობრივად, ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობის გამო, უარს ამბობენ მოუარონ ცხვარს. საბჭოთა პერიოდშიც კი ეს პრობლემა საკმაოდ მწვავედ იდგა და კამპანიურ ხასიათს ატარებდა.

### **სოფელი (თემი) – საქართველოს მთიანეთის განვითარების ინსტიტუციური საფუძველი**

სოფლის პროდუქციის წარმოების, აგრარული სექტორის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემების წარმატებით გადაჭრის პირობებს სოფლის, სასოფლო თემის სტატუსი, მისი და ადგილობრივი მაცხოვრებლების უფლებები, ურთიერთმოვალეობები და პასუხისმგებლობა განსაზღვრავს. ამიტომ ნებისმიერი წამოწყება, მცდელობა, პროგრამა სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების, კოოპერირების განვითარებასა და სახელმწიფოებრივ მხარდაჭერაზე საჭიროებს ინსტიტუციურ ჩარჩოებს.

ქართული ტრადიციული სამართალი, უწინარესად, მიწის საკითხს აგვარებდა. მიწაზე კერძო და საზოგადოებრივი, ე.ი. სათემო საკუთრება მიწათმფლობელობის ქართული წესის ამოსავალ პრინციპს წარმოადგე-



ნდა. მისი მნიშვნელობა და ფასეულობა განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში ვლინდებოდა, სადაც მთიელი, მთის მცხოვრები ქვეყანას საკუთარი მამულივით იცავდა, საკუთარ მამულს კი – როგორც საკუთარ სამშობლოს.

თავის დროზე, XIX საუკუნის ბოლოს, ილია ჭავჭავაძე ქართველ საზოგადოებაში, სხვადასხვა სოციალური ფენის (კლასის) ინტერესთა აცდენაზე, „ხიდჩატეხილობის“ პრობლემებზე ამახვილებდა ყურადღებას.

ამჟამად, XXI საუკუნეში, ჩვენ ვხედავთ „ხიდჩატეხილობის“ თანამდროვე ფორმას – სერიოზულ აცდენას პირად და საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ ინტერესებს, „ჩემსა“ და „ჩვენს“ შორის. ეს კი დიდწილად ინსტიტუციური ხარვეზის – მიწაზე საკუთრებით ურთიერთობათა სისტემიდან სოფლის (თემის) ამოგდების „დამსახურებაა“.

აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად, სასოფლო თემმა, აუცილებლად უნდა დაიბრუნოს უპირობო უფლება საკუთარ სამკვიდროზე;

სასოფლო თემის ეკონომიკური გამოცოცხლების, დეპრესიული მდგომარეობიდან გამოყვანის, ხოლო შემდგომ მისი ეკონომიკური განვითარებისა და აქტივობის გასაძლიერებლად, საუკეთესო (შესაძლოა, ამჟამად ერთადერთიც) გზა სასოფლო-სამურნეო კოოპერაციის ყოველმხრივი წახალისება, მხარდაჭერა და სწრაფი განვითარება; სასოფლო-სამურნეო კოოპერაციის ლოკალური ტერიტორიული გავრცელების ოპტიმალური ფორმის განსაზღვრაში, პრიორიტეტული მნიშვნელობა სათემო კოოპერატივებს ენიჭება. მათი ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიული გავრცელების ფარგლებში, პრინციპით: „ერთი თემი – ერთი კოოპერატივი“, წარმოების სპეციალიზაციისა და მწარმოებლურ ძალთა კონცენტრაციის ფაქტორებისა და სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გადასადგმელია მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომელთაგან უპირველესი სასოფლო თემის, როგორც სრულფასოვანი სამართალსუბიექტის, აღდგენაა. ჯერ 2005 წელს მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონით ადგილობრივი თვითმმართველობა გაუქმდა, ხოლო 2013 წლის „თვითმმართველობის კოდექსით“, სოფელს უკვე საკუთარი ადმინისტრაციული ორგანოც კი აღარ ჰყავს; მდგომარეობა კურიოზული და უპრეცედენტოა – სოფელი ფორმალურად შენარჩუნებულია, როგორც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული, მაგრამ თავისი ადგილობრივი თვითმმართველობისა და კიდევ უარესი – საერთოდაც საკუთრივ სოფლის ადმინისტრაციული ორგანოს გარეშე! ეს კურიოზული მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

უნინარეს ყოვლისა, სოფელში უნდა აღდგეს სოფლის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც მუნიციპალურ თვითმმართველობაში სასოფლო თემის მონაწილეობისა და ჩართულობის ეფექტიანი ინსტრუმენტი იქნება. საზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის გამსხვილებით, მისი მუნიციპალურ (ყოფილი რაიონის) დონეზე „ატანით“ არა თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელი იყო სოფლის, როგორც მუნიციპალურ თვითმმართველობაში მოქალაქეთა და თემის მონაწილეობითი პირველადი ადმინისტრაციული დონის, შენარჩუნება და ამ პირველადი ადმინისტრაციული, დონის არათუ ფაქტობრივი გაუქმება, არამედ პირიქით – მისი გაძლიერება.

სამართალსუბიექტის – სასოფლო თემის მიერ საკუთარ სამკვიდროზე უპირობო და წარუვალი უფლების დაბრუნება ნიშნავს, რომ **საერთო, სათემო სარგებლობის მინა – საძოვარი, სათიბი, სათემო ტყე, წყლის ფონდის მინა, ტყის ფონდის მინა (და არამართო!) იურიდიულად უნდა დაბრუნდეს თემის მუდმივ და უსასყიდლო მფლობელობასა და სარგებლობაში** (დღეს ამ თვალსაზრისით მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ სოფლის ტერიტორიული საზღვრებიც კი სრულიად ბუნდოვანი და გაურკვეველია); ეს მინა არა სახელმწიფო, არამედ მუნიციპალური საკუთრებისა უნდა იყოს და თემის, რომელიც მისი ერთადერთი ლეგიტიმური მფლობელი და მოსარგებლეა, დაუკითხავად შეუძლებელი უნდა გახდეს ამ მიწის, ე.ი. სოფლის სამკვიდროს, სამართლიანი და ეფექტიანი მართვა – მისი განკარგვა, რაციონალური გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების თუ მიწის, როგორც ძირითადი საწარმოო საშუალების გამოყენებით სოფლის ტერიტორიაზე სხვა ეკონომიკური საქმიანობის სწორად ორგანიზება, საბოლოო ანგარიშით – სასოფლო სამკვიდროს დაცვა და სოფლის გადარჩენის შემდეგ მის განვითარებაზე ზრუნვა.

მუნიციპალური თვითმმართველობის ეფექტიანობა არსებითად, სასიცოცხლოდ არის დამოკიდებული მოქალაქეთა და ადგილობრივი თემის უშუალო, პირდაპირ მონაწილეობაზე; ასეთი, თანამედროვეობის შესაბამისი მონაწილეობითი ინსტრუმენტები მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა ადგილობრივ სასოფლო თემში აუცილებლად უნდა შეიქმნას და სწრაფად განვითარდეს.

ამ თვალსაზრისით არსებითია, რომ თავად თემს (სოფელს), პირდაპირი, უშუალო დემოკრატიის სხვადასხვა ფორმით მიეცეს შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის სასოფლო საკითხები თავადვე გადაწყვიტოს და ამ მიზნით ძირი-

თად ინსტრუმენტად გამოიყენოს მის წინაშე ანგარიშვალდებული სასოფლო ადმინისტრაცია; სასოფლო თემი, როგორც სრულფასოვანი სუბიექტი, რომელიც უფლებებს დაიბრუნებს და ამ გზით თავადვე გახდება უმთავრესი პასუხისმგებელი საკუთარ განვითარებაზეც. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მუნიციპალური თვითმმართველობა და სახელმწიფო სოფლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას მოიხსნის, პირიქით – მათი ვალდებულებაა სუბსიდიარობის დაცვით სოფლის განვითარების სწორად დაგეგმვა და, რაც ყველაზე მთავარია, ეფექტიანი ინსტრუმენტების შექმნა თავად თემის ეკონომიკური თუ სოციალური აქტივობისათვის.

აღნიშნულის პარალელურად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოეყოს გარემოს დაცვის სამინისტრო და შეიქმნას სოფლისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ისე, რომ ის აღიჭურვოს ყველა ბერკეტით ქვეყნის სასურსათო უშიშროებისა და სოფლად მცხოვრები ყველა მოქალაქის შემოსავლების ზრდის უზრუნველსაყოფად. სამინისტრომ საქმიანობა უნდა წარმართოს დარგობრივი პრინციპით, სამი ძირითადი დარგის მიხედვით: მრავალწლიანი კულტურები და მათი პროდუქტების გადამამუშავება, ერთწლიანი კულტურები (მემინდვრეობა, სათიბ-საძოვრები და სხვ.), ხორცისა და რძის წარმოება (მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეთევზეობა). სოფლისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესასრულებლად უნდა დაუდგინდეს ის მაჩვენებლები, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავს სურსათის წარმოებისა და მოსახლეობის (ფერმერების) შემოსავლების ზრდას რეგიონების, მუნიციპალიტეტების, თემების და დარგობრივი ქრილით. მაგალითად, სასურსათო ხორბლის წარმოების ზრდის უზრუნველყოფა წელიწადში 300 ათასი ტონის ოდენობით 3-5 წლის პერიოდში სამცხე-ჯავახეთის, ქართლის და კახეთის რეგიონებში.

შესაბამისად, სოფლის როგორც ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაცია, ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენიებული ღონისძიებებისა და ინსტიტუციური რეფორმების საფუძველზე აგრარული სფეროს, მათ შორის – საქართველოს მთიანეთის განვითარებისათვის მძლავრი იმპულსის მიმცემი იქნება. იმავდროულად გაძლიერდება მთაში მცხოვრებთა, იქ დასაქმებულთა ეკონომიკური და სოციალური ფუნქცია და პრესტიჟი, რაც დაასრულებს ათწლეულების განმავლობაში სოფლად მიმდინარე ნეგატიურ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პროცესებს.

## დასკვნა

საქართველოს მომავალი დიდწილად დამოკიდებულია მისი სოფლის ბედზე, სოფლის ბედი კი – მთავრობის უნარზე, კვალიფიკაციაზე, კეთილ ნებაზე, მიზანსწრაფულობასა და პატიოსნებაზე. ამ პირობათა არსებობისა და თანხვედრის პოტენციული საქართველოს ნამდვილად აქვს. მაღალტექნოლოგიური, მაღალმწარმოებლური სოფლის მეურნეობის შექმნა აღიარებულ უნდა იქნეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უპირველეს ამოცანად და საერთო ეროვნული ზრუნვის საგნად.

მხოლოდ ასე გადარჩება ქართული სოფელი, რომლის გარეშე საქართველოს განვითარების პერსპექტივა წარმოუდგენელია.

**სოფელი** – პირველყოვლისა, არის სახლობის ტერიტორიული ერთეული და არა მეურნეობისა. სოფლის განვითარების ძირითადი მიზანია სოფლის მოსახლეობის ყოფითი (სოციალურ-კულტურული) სტატუსის მიახლოებით გათანაბრება ქალაქის მოსახლეობის სტატუსთან, რასაც სოფლად ადამიანთა რესურსების შენარჩუნება-განვითარებისთვის და ამგვარად, სოფლის მეურნეობისა და აგროსასურსათო წარმოების ზრდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს;

**მინა** – ბუნებრივი რესურსი, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის, ქალაქების, რკინიგზების მშენებლობისათვის. წარმოების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი შრომასა და კაპიტალთან ერთად. ამასთან, მინა სახელმწიფო ტერიტორიაა, ერის სასიცოცხლო სივრცე და მისი იდენტობის განმსაზღვრელი.

**სათემო კოოპერაცია** – თემის ფარგლებში ორგანიზებული კოოპერაციული პროცესი;

**სასოფლო თემი** – სოფლის ადგილობრივი საზოგადოება, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ერთობა, რომელსაც გააჩნია სახლობის საერთო სამკვიდრო ტერიტორია, ერთიანი სათემო იდენტობა, საზიარო სათემო საკუთრება და ხელისუფლების (ადგილობრივი თვითმმართველობის) საერთო ორგანოები;

ქმედითი, ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისთვის გასაცნობიერებელია, რომ არსებულ ეტაპზე სოფლის მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს განსაკუთრებული აქტუალობის პრობლემას, მთავარ გამოწვევას და სახელმწიფო პოლიტიკა უპირატესად უნდა ეყრდნობოდეს სწორედ ამ მოცემულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო აქტივობის ქმედითუნარიანობა ყოველთვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ამიტომ, სახელმწიფო პო-

ლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მოფრთხილება, მხარდაჭერა და მათი შრომის სტიმულირება (აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება) საზოგადოების გამოსაკვებად.

საქართველოს სოფლის აღორძინება უნდა მოხდეს ჩვენივე ძალებით, ჩვენი მატერიალური და დემოგრაფიული რესურსების ხარჯზე. გადამთიელებზე იმედის დამყარება, მათი მოპატიჟება „გადასარჩენად“, შეურაცხმყოფელი და ამასთანავე, ფაქტობრივად, ფუჭი მცდელობა იქნებოდა. სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, გლეხკაცს – ქართული მიწის მთავარ მეურვეს (ადგილის კაცი, მკვიდრი მიწათმოქმედი – ილია ჭავჭავაძე), (კოლუაშვილი, 2023, 79), შეუძლია არამარტო ქვეყნის გამოკვება საკუთარი წარმოების პროდუქციით, არამედ სახელმწიფოს ძლიერების საძირკვლის ჩაყრაც.

ამავე დროს, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ის შესაძლებლობა, რასაც იძლევა ჩვენი ქვეყნის მთიანი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური დეპრესიულობის დასაძლევად და განვითარების დინამიზმის უზრუნველსაყოფად ევროკავშირთან გაფორმებული ასოციირების ხელშეკრულება. შესაბამისი ცვლილებების შეტანა ხსენებულ ხელშეკრულებაში შესაძლებლობას მისცემდა საქართველოს მთიანეთს, უფრო სწრაფად და კომპლექსურად განეხორციელებინა ჩვენ მიერ ზემოხსენებული ღონისძიებების რეალიზაცია.

საქართველოს აქვს იმის პოტენციალი, რომ გარდაიქმნას ინდუსტრიულ ქვეყნად მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობით, აგრარული სექტორის, მთლიანად სოფლის მეურნეობის ამჟამინდელი კრიზისული მდგომარეობიდან, ეკონომიკის სუსტი რგოლიდან, გადაიქცეს დინამიკურად განვითარებად სფეროდ და საკუთარი დემოგრაფიულად მზარდი შრომითი რესურსებით უზრუნველყოფილ ქვეყნად. და ამ ამოცანის გადაწყვეტაში საქართველოს მთიანეთს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. ასეთ შემთხვევაში, მოსახლეობის ფიზიკური განფენილობა მიიღებდა (დაუბრუნდებოდა) ქართველი ერის განფენილობის ეკონომიკურად და გეოგრაფიულად ოპტიმალურ და სახელმწიფოებრივი სტრატეგიული ინტერესებისათვის შესაბამის მდგომარეობას.

მთის პოტენციალის ინტენსიური ათვისება უნდა მიმდინარეობდეს მდგრადი განვითარების, ეკოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხო გამოყენების ფორმატით – როგორც ბუნების, კულტურული ლანდშაფტებისა და რეკრეაციული ზონების შენარჩუნება-განვითარების ფარგლებში, ასევე, ადგილობრივ მოსახლეობასთან, ტურისტებსა და დამსვენებლებ-



MICROECONOMICS ◊ MACROECONOMICS ◊ ECONOMETRICS

ქალთა გამომწვევები სამენარმეო საქმიანობის დაწყებისას  
საქართველოში

**ეკა ლეკაშვილი**

ასოციირებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი,  
სამხეურველ პოლიტიკის კვლევის  
ცენტრის ხელმძღვანელი  
eka.lekashvili@tsu.ge

**ია ნაცვლიშვილი**

ასოციირებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ia.natsvllishvili@tsu.ge

ნაშრომში განხილულია საქართველოში ქალთა წინაშე აჩებული გამოწვევები სამეწაქმეო საქმიანობის დაწყებისას.

**2023 წლის** დასაწყისში უმაღლესი განათლების და კვლევის მიმართულებით ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის პროგრამის (APPEAR) პროექტის „ქალთა მეწაქმეობა – ქალ სტუდენტთა გაძლიერება სამეწაქმეო კარიერისთვის“ (Female entrepreneurship – Empowering female students to pursue an entrepreneurial career (FEEN) ფაზგებში ჩატარდა **ქალთა სამენარმეო შესაძლებლობების** კვლევა<sup>1</sup>, რომლის ამოცანაა, მეწაქმეობის დაწყების პერიოდში ქალთა წინაშე მდგარი გამოწვევების შესწავლა. პროექტის მთავარი თემა ქალთა მეწაქმეობაა. საერთო მიზნის მიღწევა კი ომხმხივად ხოციედება. ის ასევე მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ინიციატივას, ხაც აძლევს ქალ სტუდენტებს სამეწაქმეო პოზიციების დაკავების შესაძლებლობას.

პროექტი, მეწაქმეობის და მისი სწავლების საკითხს, ახლებუხი ქილით წაქმოარენს, კეხოდ, სტუდენტი ქალების მომზადებას სამეწაქმეო კარიერული ზეღისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** ქალთა მეწაქმეობა; სამეწაქმეო პოტენციალი, გენდეხული უთანასწორობა, მდგადი განვითარების მიზნები, კვლევის STAR მეთოდი.

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა პროექტის კოორდინატორი გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტისა და მისი პარტნიორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით. პროექტი ემსახურება აკადემიური პარტნიორობის შექმნას ავსტრიასა და საქართველოს შორის, რაც დაეხმარება ახალგაზრდა ქალების გაძლიერებას სამენარმეო საქმიანობის დაწყებაში.

## შესავალი

ნაშრომში, კვლევის საფუძველზე, შესაწავლილია საქართველოში ქალთა წინაშე არებული გამორწვევები სამეწახნაგო საქმიანობის დაწყებისას. კვლევა ჩატარდა STAR მეთოდით ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიუს გზით. კვლევის პროცესისთვის კითხვარი შემუშავდა მენარმეობის წამოწყების პოტენციალის დადგენის/შეფასების ტესტის საფუძველზე.

კვლევის შედეგად გამოვლინდა სირთულეები, რომლებიც ხელს უშლიან ქალებს სამეწახნაგო საქმიანობის არჩევასა და სამეწახნაგო კარიერულ წინსვლაში. კერძოდ, გამოიკვეთა ბიზნესის წამოწყებაზე მოქმედი შემდეგი ინდივიდუალური ფაქტორები: დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი; მამაკაცებთან შედარებით ქალ-მეწარმეთა მეტი რისკიანობა და ემოციურობა, მოლაპარაკებების დროს მეტად ეფექტურობა; ტექნიკური და ლოგისტიკური პრობლემები.

**სიტუაციურ ფაქტორებს** შორის გამოიკვეთა გენდერული სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც, თანამედროვე საზოგადოებაში ქალი არ განიხილება როგორც ლიდერი და მეწარმე. გამოვლინდა, რომ ქალებს მამაკაცებთან შედარებით აქვთ ნაკლები წვდომა ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო ფინანსებზე, ნაკლები ფინანსური უსაფრთხოება და უფრო ნაკლები მხარდაჭერა ოჯახისა და მეგობრებისგან ბიზნესის წამოწყებისას.

გამოკითხვის შედეგებით დადგინდა **ბიზნეს იდეაზე გავლენის მქონე შემდეგი ფაქტორები**: ქალთა ნაკლები ეფექტურობა ბიზნესის წამოსაწყებად შესაძლებლობების იდენტიფიცირების კუთხით; დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე, რაც აიძულებს წამოიწყონ მეწარმეობა; ბიზნესის დაწყების სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ნაკლებად ინფორმირებულობა; ნაკლები ცოდნა პროდუქტის შეფუთვისა და ექსპორტირების პროცედურებზე; მეტი რისკი და ნაკლები უსაფრთხოება ქალთა ბიზნესებისთვის.

ფოკუსჯგუფში მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობიდან (გამოიკითხა 18 ქალი-მეწარმე) და თვისებრივი კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის შედეგები არ არის რეპრეზენტატული, რადგან ვერ მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი და ბიზნესის ყველა სექტორი. შესაბამისად, დაიგეგმა კვლევის ჩატარება ქალ-მეწარმეთა უფრო მეტი რაოდენობის ჩართულობით.

## საკვლევი პრობლემის შესწავლის დონე და აქტუალურობა

მენარმეობის თემა აქტუალურია, რადგან ის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორია, რადგან მენარმეები ქმნიან სამუშაო ადგილებს (Kollmann et al. 2016), მუშობენ ინოვაციებზე (Sáez-Martínez et al., 2014) და ეს ზრდის მშპ-ს (Van Stel et al., 2005). შესაბამისად, მენარმეობა განიხილება, როგორც მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზა.

თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებით გახშირებული კრიზისების, საომარი მოქმედებების და ბოლოს, პოსტ-პანდემიის პერიოდიდან არასტაბილური დასაქმების რისკ-ფაქტორის შემცირების მიზნით, სულ უფრო მეტი ადამიანი იწყებს სამენარმეო საქმიანობას. მენარმეობა ადამიანებისთვის საკუთარი რესურსების განკარგვის და უკეთესი თვითრეალიზაციის შესაძლებლობაა. სამენარმეო საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემებით (FreshBooks, 2023), მენარმეები 5-ჯერ მეტად აფასებენ თავისუფალ დროს, ვიდრე შემოსავლებს და მათი საერთო რაოდენობის 22%-ს სწორედ მოქნილი სამუშაო დრო მოსწონს. 5-დან 1 მენარმე მართავს საოჯახო ბიზნესს, რაც ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობი ფაქტორია. მიუხედავად იმისა, რომ სამენარმეო კარიერა ნებისმიერს შეუძლია აირჩიოს, ამ გზას უფრო მეტი მამაკაცი ირჩევს ქალებთან შედარებით, რის შედეგადაც მსოფლიოში 1,5-ჯერ მეტი მამაკაცი მენარმეა, ვიდრე ქალი (Elam et al. 2021), დღეისათვის მსოფლიოში 231 მილიონი ქალი იწყებს ან მართავს საკუთარ ბიზნესს (GEM 2018-2019 Women's Entrepreneurship Report), თუმცა, აშშ-ში ისინი მამაკაცებზე 28%-ით ნაკლებ შემოსავალს გამოიმუშავენ (FreshBooks 2023). შემოსავლებში გენდერული სხვაობა კიდევ უფრო მაღალია სხვადასხვა კულტურაში, მათ შორის საქართველოში (Shneor et al. 2013). საქსტატის ინფორმაციით, საქართველოში 2021 წელს 51241 რეგისტრირებულ ახალ საწარმოთაგან 29698 საწარმოს მამაკაცი ფლობს, ხოლო 15 108 – ქალი. დარჩენილი ნაწილი სქესის მიხედვით არაიდენტიფიცირებულია. უახლესი მონაცემებით, ბიზნესის დამფუძნებელი კაცები თითქმის ორჯერ აღემატებიან ამავე კატეგორიის ქალების რიცხოვნობას (FreshBooks 2023). თუ განვიხილავთ ეკონომიკური სექტორების მიხედვით, ბიზნესის მფლობელი ქალების შედარებით მცირე რაოდენობა გვხვდება სამთომოპოვებით მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტის და დასაწყობების სფეროში და სოფლის მეურნეობაში. მეორე მხრივ, ბიზნესის მფლობელი ქალების რიცხოვნობა გაცილებით მეტია, კაცი მფლობელების რიცხოვნობაზე საქმიანობის

ისეთ სფეროებში, როგორცაა განათლება, ჯანმრთელობა და სოციალური მომსახურება და სხვა სახის მომსახურებები (ქალი და კაცი საქართველოში, 2022, 97). გენდერული უთანასწორობა დასაქმებაში, განათლებასა და შემოსავლების განაწილებაში ჯერ კიდევ არსებობს საქართველოშიც. საზოგადოების ყველა ჯგუფს არ აქვს თანაბარი წვდომა დასაქმებასა თუ სამეწარმეო შესაძლებლობებზე. საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა ფორმალურად იზიარებს იდეას გენდერული თანასწორობის შესახებ. ამავე დროს, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იზიარებს გენდერული როლების ტრადიციულ განაწილების იდეას (Natsvlishvili, 2017, 491).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი და კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, ქალებისთვის და კაცებისთვის თანაბარი უფლებების და შესაძლებლობების სამართლებრივ ჩარჩოს განსაზღვრავს, მათ შორის არსებითი თანასწორობის მისაღწევად ჩასატარებელია მნიშვნელოვანი სამუშაოები (ქალი და მამაკაცი საქართველოში, 2022). ამასთან, გაეროს მდგრადი განვითარების (SDG) მიზნების ნაციონალიზაციის მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2015 წელს დაიწყო გლობალური 17 მიზნის ადაპტაცია, განსაზღვრა რა საქართველოსთვის პრიორიტეტული ამოცანები, მაჩვენებლები და სამიზნეები (Lekashvili & Jamagidze 2022). SDG დღის წესრიგის განხორციელებით, 2030 წლისთვის ქვეყანაში მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს მდგომარეობა გენდერული თანასწორობის მიმართულებით, რაც იმავდროულად ყველა ქალისა თუ გოგოს შესაძლებლობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2022 – 2030). ქალების გაძლიერება სამეწარმეო კარიერული ზრდისთვის, თავის მხრივ, ემსახურება მდგრადი განვითარების რამდენიმე მიზანს:

1. გენდერულ თანასწორობას (#5);
2. ღირსეულ შრომას და ეკონომიკურ ზრდას (#8);
3. ინდუსტრიას, ინოვაციას და ინფრასტრუქტურას (#9). (მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი).

ამასთან, მენარმეობა თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში ქვეყნების განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვან გზად მიიჩნევა, რადგან მენარმეები ქმნიან სამუშაო ადგილებს (Kollmann et al. 2016), მუშაობენ ინოვაციებზე (Sáez-Martínez et al. 2014) და ეს ზრდის მშპ-ს (Van Stel et al., 2005). შესაბამისად, მენარმეობა ეკონომიკის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს (Lekashvili 2022).

მენარმეობის საკითხთა მკვლევარები შეეცადნენ, გაეზომათ გლობალიზაციისა და გენდერული უთანასწორობის გავლენა ეკონომიკურ გან-



ვითარებაზე. აღმოჩნდა, რომ ქალთა სამეწარმეო საქმიანობას წვლილი შეაქვს არა მხოლოდ საოჯახო შემოსავლებში, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკურ განვითარებასა და სოციალურ კეთილდღეობაში (Sajjad et al. 2020, 151). მსოფლიოს 69 ქვეყანაში (მოიცავდა, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებს) ეკონომიკურ განვითარებაში ქალთა მენარმეობის როლის შეფასებისას მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ეკონომიკურ განვითარებაზე ქალთა მენარმეობის ზეგავლენა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, რადგან განსხვავდება ამ ქვეყნების განვითარების დონე და ინფრასტრუქტურა. ქალთა მენარმეობის პროდუქტიულობა და მათი ეკონომიკური წვლილი დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონესა და კულტურულ ნორმებზე (Sajjad et al. 2020, 157). დადგინდა, რომ მენარმე ქალების მდგომარეობაზე ზეგავლენის კუთხით გლობალიზაციას უმნიშვნელო კავშირი აქვს ეკონომიკურ განვითარებასთან – მსოფლიოს უმეტეს რეგიონში, ადგილობრივი ეთიკა და კულტურული ფასეულობები მკაცრად განსაზღვრავს ქალების როლს, რაც ხელს უშლის ქალებს, მისდიონ მენარმეობას საკუთარი საცხოვრებელი ტერიტორიიდან მოშორებით მსოფლიოს მასშტაბით. ფინანსურ და ტექნიკურ სირთულეებთან ერთად, ქალებმა უნდა გადალახონ კულტურული და ეთიკური ბარიერებიც, თუ მათ სურთ იყვნენ წარმატებულნი. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებშიც მოქმედებს ქალთა სამეწარმეო საქმიანობაზე გარკვეული შეზღუდვები (მაგალითად, თავისუფლად მოგზაურობა, მემკვიდრეობის მცირე წილი, სამუშაოსა და პროფესიის არჩევანი). სწორედ ამ შეზღუდვების გამო, ქალებში სიღარიბის დონე უფრო მაღალია კაცებთან შედარებით. ქალებს შეუძლიათ ამ დისბალანსის აღმოფხვრა საზოგადოებაში სოციალურ აქტივობაში ჩართულობის გაძლიერებით, თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიური უნარების გაუმჯობესებით. ეს, თავის მხრივ, დაეხმარება ქალ მენარმეებს საკუთარი შესაძლებლობების გლობალური მასშტაბით რეალიზებაში, წარმატებულ სამეწარმეო საქმიანობასა და ეკონომიკის განვითარებაში წვლილის შეტანაში (Sajjad et al. 2020, 154).

ქალები შეადგენენ მსოფლიოში სამუშაო ძალის 40%-ს და მამაკაცებთან შედარებით ნაკლებს გამოიმუშავენ. ქალთა მენარმეობისთვის ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია გენდერული უთანასწორობა, რასაც აქვს უარყოფითი გავლენა ქალთა მენარმეობაზე. უმრავლეს შემთხვევაში, ქალებს ახასიათებთ ნაკლებ თავდაჯერებულობა და ნაკლებად მოსალოდნელია, წამოიწყონ მენარმეობა სწორედ სოციალური სტატუსის, საოჯახო და კულტურული შეზღუდვების გამო. გენდერულ უთა-

ნასწორობას მნიშვნელოვანი, მაგრამ უკუპროპორციული კავშირი აქვს ეკონომიკურ განვითარებასთან – რაც უფრო მეტია განსხვავება მამაკაცებსა და ქალებს შორის, მით ნაკლებია ეკონომიკის განვითარება. გენდერული უთანასწორობა ერთ-ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ იკავებენ ქალები მენარმეობისგან თავს (Sajjad et al. 2020, 158).

ზოგადად საქართველო და, კონკრეტულად, მისი დედაქალაქი თბილისი, ბიზნესისა და სტარტაპების დაარსებისთვის კარგ ადგილად ითვლება. მსოფლიო ბანკის ცნობილი ბიზნესის კეთების ინდექსის (2020) მიხედვით, საქართველომ ბიზნესის კეთების სიმარტივით ევროპაში მე-2 და მსოფლიოში მე-7 ადგილი დაიკავა. ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა აშკარად გაუმჯობესდა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში მენარმეობის რაოდენობის ზრდას (WKO, 2021). ასე რომ, ერთი მხრივ, საქართველო გახდა მიმზიდველი ბიზნეს ლოკაცია არამხოლოდ ქართველებისთვის, არამედ (დასავლეთ) ევროპის კომპანიებისთვისაც.

მიუხედავად იმისა, რომ მენარმეობა ქმნის სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, საქართველოში სამუშაო ძალის ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი დაახლოებით 20%-ით დაბალია ქალებში მამაკაცებთან შედარებით (საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია, 12). აღნიშნულიდან გამომდინარე, დაისვა კვლევითი კითხვა: **სამენარმეო საქმიანობის დასაწყებად რა სახის ხელშემშლელი ფაქტორები არსებობს საქართველოში ქალი მენარმეობის წინაშე?** შესაბამისად, კვლევის მიზანია შეისწავლოს ქალთა გამონწვევები სამენარმეო საქმიანობის დაწყებისას საქართველოში, რაც დაგვეხმარება მოვახდინოთ იმ სირთულეების იდენტიფიცირება, რაც ხელს უშლის ქალებს სამენარმეო საქმიანობის არჩევასა და სამენარმეო კარიერულ წინსვლაში.

ქალთა გამონწვევების შესწავლა საქართველოში მიზნად ისახავს ქალების გაძლიერებას პრესტიჟულ სამუშაოებზე საკმაოდ მასკულანურ ქართულ კულტურაში (Hofstede, 1998). შესაბამისად, კვლევა ემსახურება საქართველოში მენარმეობაში გენდერული გამონწვევების გარკვევას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- სამენარმეო პრობლემატიკაზე შესრულებული თანამედროვე მონინავე ნაშრომების შესწავლა კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზის ჩამოსაყალიბებლად
- თვისებრივი კვლევისთვის ინსტრუმენტის შემუშავება და ფოკუს-ჯგუფის ჩატარება
- კვლევის შედეგების დამუშავება ქალებისთვის სამენარმეო საქ-

მიანობის არჩევასა და სამეწარმეო კარიერულ წინსვლაში არსებული სირთულეების იდენტიფიცირების მიზნით.

### **კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები**

კვლევა ჩატარდა STAR<sup>2</sup> მეთოდით (სიტუაცია, ამოცანა, მოქმედება, შედეგი), ფოკუსჯგუფებთან ინტერვიუს გზით (ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს საფუძველზე დამწყებ და ბიზნესის განვითარების გვიანულ ეტაპზე მყოფ ქალ მენარმეებთან).

ზოგადად, STAR ინტერვიუს მეთოდი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს, როგორც კვლევების, ასევე, კონსულტირებისა და ტრენინგის დროს. წინამდებარე კვლევის პროცესში ინტერვიუს კითხვარის შემუშავებისას კონცეფტუალურ საფუძველს წარმოადგენდა მენარმეობის წამოწყების პოტენციალის დადგენის/შეფასების ტესტი (STAR-Start Up Check), რომელიც აფასებს ინდივიდის კომპეტენციებს, თვისებებს და გარემოში არსებულ ვითარებებს, რომელიც საჭიროა ბიზნესის წარმატებულად დასაწყებად (Bergner & Felfe, 2022).

**კვლევის ორიგინალურობა** ის, რომ საქართველოში პირველად განხორციელდა ქალ მენარმეთა სამეწარმეო წამოწყების პოტენციალის შეფასება STAR-Start Up Check მეთოდოლოგიით.

STAR მეთოდის ტექნიკის გამოყენებით ინტერვიუ გულისხმობს ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემას, რომელიც ოთხი კომპონენტისგან შედგება:

1. სიტუაცია: კონკრეტული შემთხვევის/ვითარების აღწერა და მითითება, თუ როდის მოხდა;
2. ამოცანა: ამოცანების ახსნა და მიზნის ჩამოყალიბება;
3. ქმედება: ამოცანების შესასრულებლად განხორციელებული ქმედებების შესახებ დეტალების გადმოცემა;

შედეგი – ქმედებების შედეგების შეჯამება (Bergner & Felfe, 2022).


კითხვარის შემუშავების მეთოდოლოგიურ მიდგომაში სამი მნიშვნელოვანი მდგენელი განიხილება:

1. პიროვნება, თავისი კომპეტენციებით და ხასიათით;
2. ბიზნეს-იდეა;
3. სიტუაცია, რომელშიც ინდივიდი (იხ. დიაგრამა).

---

<sup>2</sup> Situation, Task, Action, Rezult

## მენარმეობის წამონყების პოტენცილის შეფასება STAR-Sturt Up Check მეთოდოლოგიით



**წყარო:** Bergner, Felfe.

პიროვნების კომპეტენციების და ხასიათის შესასწავლად აქცენტი კეთდება შემდეგ მახასიათებლებზე: ემოციური სტაბილურობა, ფიზიკური გამძლეობა, ქსელის შესაძლებლობა, გაურკვევლობისადმი ტოლერანტობა, პროაქტიურობა, გამძლეობა, თვითდასაქმება, რისკის თავიდან აცილება/უგუნებობა, თვითფექტურობა, წარუმატებლობის შიში, კონტროლის ფოკუსი.

ბიზნეს-იდეის მდგენელში მოიაზრება: შესაძლებლობების აღიარება, ბიზნეს იდეის კონკრეტიზაცია, მენარმედ გახდომის მიზეზები (პირადი/ეკონომიკური), გამოხმაურება და მხარდაჭერა ბიზნეს იდეის შესახებ, განხორციელებადობა.

სიტუაცია კი, რომელშიც იმყოფება ინდივიდი და იღებს გადაწყვეტილებას მენარმეობის დაწყების შესახებ, გაისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით: ფინანსური კაპიტალი, პირადი ფინანსური უსაფრთხოება, წარმატების ისტორიები, სოციალური ნორმები, მხარდაჭერა (პროფესიული და ოჯახი), საოჯახო რესურსები, საგანმანათლებლო ინსტიტუტები, ქსელები, დროითი რესურსები, რეალისტური შეხედულება თვითდასაქმებაზე.

აღნიშნული კომპონენტების გათვალისწინებით შემუშავდა კითხვარი ფოკუსჯგუფთან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ჩასატარებლად, რომელიც ზოგად ბლოკთან ერთად სამ ნაწილს მოიცავს: ინდივიდების თვისებებზე დაფუძნებული განცხადებები; სიტუაციაზე დაფუძნებული განცხადებები; ბიზნეს იდეებზე დაფუძნებული განცხადებები. ინტერვიუ ჩატარდა სამ ფოკუს ჯგუფთან 2023 წლის 27, 29 და 31 მარტს. ანკეტაში წარმოდგენილი 21 შეკითხვიდან თითოეული შეფასდა 4 პუნქტიანი სქემის მიხედვით – ვეთანხმები – 4, ნეიტრალურად ვარ განწყობილი – 3, არ ვეთანხმები – 2, არ ვიცი – 1.

### **ფოკუსჯგუფის მონაწილეთა სამენარმეო პროფილი**

გამოკითხვაში მონაწილეობდნენ მენარმე ქალები და მენარმეობის წამოწყების შესახებ გადაწყვეტილებამიღებული რესპონდენტები შემდეგი დარგებიდან: ტურიზმი – 5 რესპონდენტი; საკვების წარმოება და რესტორნები – 6 რესპონდენტი; განათლება (უმაღლესი განათლება) – 3 რესპონდენტი; მედიცინა და ჯანდაცვა – 1 რესპონდენტი; ენერგოსექტორი (განახლებადი ენერჯია) – 1 რესპონდენტი; საინფორმაციო ტექნოლოგიები-1 რესპონდენტი; საკონსულტაციო მომსახურება – 1 რესპონდენტი (სულ – 18 მონაწილე, მათგან 50% სრული დატვირთვით, ხოლო დანარჩენი არასრული დატვირთვით (პარალელურად დასაქმებულები) მოქმედი მენარმე). გამოკითხულ ქალ მენარმეთა საშუალო ასაკი – 43 წელი. კვლევაში ჩართული მენარმე ქალების შერჩევისას გამოყენებული იქნა ე.წ. „თოვლის გუნდის პრინციპი“.

სამენარმეო საქმიანობის გამოცდილების ხანგრძლივობის კუთხით გამოკითხულთა შორის შემდეგი სურათი გამოიკვეთა: სტრატაპები ან ბიზნესის წამოწყების შესახებ გადაწყვეტილებამიღებული რესპონდენტები – 4; რესპონდენტები სამიდან ექვს წლამდე მენარმეობის გამოცდილებით – 5; შვიდიდან 10 წლამდე მენარმეობის გამოცდილებით – 3; თერთმეტიდან ოც წლამდე მენარმეობის გამოცდილებით – 3 რესპონდენტი, ოც წელზე მეტი მენარმეობის გამოცდილებით – 3 რესპონდენტი. გლობალური მენარმეობის მონიტორის მეთოდოლოგიის გამოყენებით (Global Entrepreneurship Monitor 2014, Global Report 2015,23) სამენარმეო საქმიანობის ხანგრძლივობის/ბიზნესის განვითარების სტადიების მიხედვით მონაწილეთა დაჯგუფება შესაძლებელია სამ კატეგორიაში: ახალწარმოქმნილი/„ჩვილი“ ბიზნესები/ბიზნესის წამოწყების ფაზაში მყოფი რესპონდენტები – 3; ახალი ბიზნესები (3,5 წლამდე ფუნქციონირების ხანგრძლივობა)



– 1 რესპონდენტი; „დამკვიდრებული“ ბიზნესები (3,5 წელზე მეტი ფუნქციონირების ხანგრძლივობა) – 14 რესპონდენტი. შესაბამისად, გამოკითხული რესპონდენტები წარმართავენ „დამკვიდრებულ“ ბიზნესს და შესაბამისად, შეფასებული აქვთ როგორც საკუთარი სამეწარმეო შესაძლებლობები, ასევე ბიზნეს-გარემო და მასთან დაკავშირებული გამოწვევები.

**კვლევის შეზღუდულობა:** ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობიდან და თვისებრივი კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის შედეგები ვერ იქნება რეპრეზენტატული, რადგან ვერ ფარავდა საქართველოს ყველა რეგიონსა და ბიზნესის ყველა სექტორს. შესაბამისად, საქართველოში ქალების მიერ სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისას გამოწვევების სრულფასოვნად გამოსავლენად საჭიროა ფართომასშტაბიანი კვლევა მთელი ქვეყნის დონეზე, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს დიდ რესურსებს. კვლევის აღნიშნულმა შეზღუდულობამ გვიბიძგა გვემუშავა ახალი საგრანტო რესურსების მოსაძიებლად, რათა შესაძლებელი გახდეს აღნიშნული კვლევის მასშტაბის გაზრდა შედეგების რეპრეზენტატულობისთვის.

### კვლევის შედეგების განხილვა

კვლევით კითხვაზე რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს საქართველოში ქალი მენარმეების წინაშე სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად? გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა **ინდივიდუალურ ფაქტორებს** შორის ბიზნესის წამოწყებაზე მოქმედი შემდეგი ფაქტორები: ბიზნესის წამოწყებას უპირატესად განსაზღვრავს დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი; რესპონდენტები ქალ მენარმეებს უფრო რისკიანებად და ემოციურებად, მოლაპარაკებების დროს კი უფრო ეფექტურებად მიიჩნევენ, მამაკაცებთან შედარებით. ამასთან, მათი აზრით, მენარმე ქალები ბიზნესის წამოწყებისას უფრო მეტ ტექნიკურ და ლოგისტიკურ პრობლემებს, აწყდებიან, ვიდრე მამაკაცები.

ფოკუსჯგუფთან ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს შედეგად **სიტუაციურ ფაქტორებს** შორის გამოიკვეთა გენდერული სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც, თანამედროვე საზოგადოებაში ქალი არ განიხილება როგორც ლიდერი და მენარმე (რესპონდენტებმა მიიჩნიეს, რომ ეს სტერეოტიპი განსაკუთრებით მყარია და გავრცელებულია რეგიონებსა და სასოფლო დასახლებებში). საზოგადოება სერიოზულად არ აღიქვამს ქალ მენარმეს. ქალის მიერ მართული ბიზნესი ნაკლებად რეპუტაციულად



მიაჩნიათ. დღესაც არ არის საზოგადოება მზად, მიიღოს ქალი ლიდერად; ხორციელდება ქალი-მენარმეების ე.წ. ბულინგი (დაშინება/დაცინვა), ქალის ტრადიციული როლის შესაბამისად ქალის საქმედ მხოლოდ საოჯახო საქმიანობა მიიჩნევა; ამასთან, ქალებს სამენარმეო საქმიანობისთვის აქვთ ნაკლები დროითი რესურსი სწორედ მათი ტრადიციული როლისა და ფიზიოლოგიის გამოც (ბავშვის გაჩენა და გაზრდა).

გამოვლინდა, რომ ქალებს მამაკაცებთან შედარებით, აქვთ ნაკლები წვდომა ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო ფინანსებზე, ნაკლები ფინანსური უსაფრთხოება და უფრო ნაკლები მხარდაჭერა ოჯახისა და მეგობრებისგან ბიზნესის წამოწყებისას. ნაკლებია წარმატებული ქალი მენარმეების შემთხვევებიც, შესაბამისად, ნაკლებად შუქდება ასეთი წარმატებული ისტორიები მასმედიით.

გამოკითხვის შედეგებით გამოვლინდა **ბიზნესიდაზე გავლენის მქონე შემდეგი ფაქტორები:** რესპონდენტთა აზრით, ქალები ნაკლებად ეფექტიანები არიან ბიზნესის წამოსაწყებად შესაძლებლობების იდენტიფიცირების კუთხით; ხშირად მისდევენ ე.წ. „აუცილობლობით“ წამოწყებულ მენარმეობას, რადგან აწყდებიან დისკრიმინაციას შრომის ბაზარზე; ბიზნესის წამოწყებისას იურიდიულ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით უფრო ნაკლებად ინფორმირებულები არიან; აქვთ ნაკლები ცოდნა პროდუქტის შეფუთვისა და ექსპორტირების პროცედურებზე; ნაკლები უსაფრთხოებაა შექმნილი მათი ბიზნესებისთვის.

## დასკვნა

ამრიგად, სამენარეო საქმიანობის დაწყებისას საქართველოში ქალთა გამონვევების კვლევა განხორციელდა STAR (Situation, Task, Action, Rezult) მეთოდით ინტერვიუს გზით ფოკუსგუფებთან (ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს საფუძველზე დამწყებ და ბიზნესის განვითარების გვიანულ ეტაპზე მყოფ ქალ მენარმეებთან). კვლევის შედეგების არარეპრეზენტატულობის მიუხედავად, გამოიკვეთა, რომ პიროვნული მახასიათებლების მიზეზებიდან გამომდინარე, გამოკითხულთა თვალსაზრისით ქალები მენარმეობის დაწყების გადაწყვეტილების მიღებისას თავშეკავებულნი არიან. ისინი ამ გადაწყვეტილებას უმთავრესად იღებენ ფინანსური და პიროვნული დამოუკიდებლობის მიზნის მისაღწევად. ქალებისთვის ამ გადაწყვეტილების მიღება განპირობებულია პიროვნული და სიტუაციური ფაქტორებით. აღმოჩნდა, რომ ქალი მენარმეები ნაკლებად არიან დარწმუნებულნი საკუთარ თავში ბიზნესის დაწყებისას, ვერ

აფასებენ საკუთარ სამეწარმეო შესაძლებლობებს (განსაკუთრებით საფრთხის, რისკების გადალახვის და მართვის უნარების შემთხვევაში, რაც მეწარმეობისთვის უმნიშვნელოვანესი უნარებია), თუმცა ბიზნესში პრობლემების გადალახვის თითოეულ ჯერზე მათი თვითშეფასება მალღდება. სიტუაციური ფაქტორები კი კულტურული განსხვავებებით განპირობებული ძალაუფლების გენდერული ჭრილით გადანაწილების თავისებურებით აიხსნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ საქართველოში ქალებს სჭირდებათ მხარდაჭერა პიროვნული და სამეწარმეო უნარების განვითარებისთვის, რაც შეიძლება განსხვავებული იყოს მამაკაცებთან მიმართებით. სიტუაციურ ფაქტორებზე დაყრდნობით ქალი მეწარმეებისთვის ეკოსისტემის მონესრიგება გულისხმობს არამარტო ოჯახთან მიმართებით არსებული ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესებას, როგორცაა: ბავშვთა მოვლა-მომსახურეობა, საოჯახო საქმეებში დახმარება, არამედ კულტურული აპექტების გაჯანსაღებას, როგორცაა ქალთა თავისუფლების ხარისხი, საქმიანი მოგზაურების შესაძლებლობა და სხვა, რაც მოითხოვს ცვლილებებს დამოკიდებულებებსა და ტრადიციულ საოჯახო ნორმებში.

### ლიტერატურა:

- კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (2015). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10>; /ბოლო ნახვა 29.04.23/
- მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი (2015).
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2022 – 2030
- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია. 2022 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. თებერვალი, 2023 წ. <https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=45>; /ბოლო ნახვა 29.04.23/;
- საქსტატი (2022). ქალი და კაცი საქართველოში. <https://www.geostat.ge/media/2022.pdf>; /ბოლო ნახვა 29.04.23/
- Bergner S., Felfe J. (2022). STAR. Startup Check: Testing the potential for starting a business and self-employment. Publisher: Hogrefe. pp. 341
- Elam A. B., Hughes K. D., Guerrero M., Hill S., Nawangpalupi C., & del Mar Fuentes M. (2021). Global Entrepreneurship Monitor. 2020/2021 – Women’s Entrepreneurship Report. GERA: London. pp.146
- GEM 2018-2019 (2020). Women’s Entrepreneurship Report. pp.108
- Global Entrepreneurship Monitor (2014), Global Report (2015). <https://www.gemcon->

- sortium.org/report/gem-2014-global-report; (ბოლო ნახვა 10.03.23)
- Hofstede G. (1998). Attitudes, Values and Organizational Culture: Disentangling the Concepts. *Organization Studies*, 19(3), pp. 477-493;
  - Kollmann T., Stöckmann C., Hensellek S., & Kensbock J. (2016). *European Startup Monitor 2016*. Universität Duisburg-Essen: Duisburg, Germany. pp.112;
  - Lekashvili E. ( 2022). „The Challenges of Georgia’s Economic Policy in Achieving Sustainable Development Goal 9 in the COVID-19 Pandemic Period“. 6th FEB International Scientific Conference: Challenges in Economics and Business in the Post-COVID Times. Editor Zladko Nedelko. Slovenia. University of Maribor, pp.21-33. <https://doi.org/10.18690/um.epf.5.2022.3> ISBN 978-961-286-600-6;
  - Transformation and Export Performance in Georgia: Is There a Need for the New Industrial Policy?“ STRATEGIC PLANNING AND MARKETING IN DIGITAL WORLD 2022. Publishing Complex UNWE. Editorial Board Prof. Dr. Hristo Katrandjiev and et.al). pp.4-14. <https://doi.org/10.37075/SPM.2022.1>;
  - Natsvlshvili I. (2017). Gender Inequality and Women’s Entrepreneurship-Challenges and Opportunities (Case of Georgia). Country experiences in Economic Development, Management and Entrepreneurship. Proceedings of the 17th Eurasia Business and Economics Society Conference. Volume 5. Springer International Publishing, pp. 491-505.
  - Sáez-Martínez F., González-Moreno Á., & Hogan T. (2014). The Role of the University in Eco-Entrepreneurship: Evidence from the Eurobarometer Survey on Attitudes of European Entrepreneurs towards Eco-Innovation. *Environmental Engineering and Management Journal*, 13(10), pp.2541.
  - Sajjad M., Kaleem N., Irfan Chani M., Ahmed M. (2020). Worldwide Role of Women Entrepreneurs in Economic Development. *Asia Pacific Journal of Innovation and Entrepreneurship*, Emerald Publishing Limited, Volume 14 Issue 2. pp. 150-160.<https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/APJIE-06-2019-0041/full/html#sec012> /ბოლო ნახვა 21.05.23/.
  - Shneor R., Metin Camgöz S., Bayhan Karapinar P. (2013). The Interaction between Culture and Sex in the Formation of Entrepreneurial Intentions. *Entrepreneurship & Regional Development*, 25(9-10), pp. 781-803.
  - Van Stel A., Carree M., Thurik R. (2020). The Effect of Entrepreneurial Activity on National World Bank. *Doing Business 2020: Measuring Regulatory Quality and Efficiency*. The World Bank: NY, US.
  - WKO Wirtschaftskammer Österreich Georgien Wirtschaftsbericht (2021). WKO: Wien. <http://www.wko.at>; (ბოლო ნახვა 29.04.23);
  - FreshBooks, <https://www.embroker.com/blog/entrepreneur-statistics/> (ბოლო ნახვა 29.04.23)

## References:

- kanoni genderuli tanastorobis shesakheb (2015). [Law on Gender Equality, 2015.] in Georgian <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10> last seen 29.04.23/
- mdgradi ganvitarebis miznebis erovnuli dokumenti (2015). [National document of sustainable development goals, 2015.] in Georgian
- sakartvelos ganatlebisa da metsnierebis ertiani strategia 2022-2030 tsts. [Unified strategy of education and science of Georgia 2022-2030.] in Georgian
- sakartvelos ekonomikisa da mdgradi ganvitarebis saministro (2023). sakartvelos mtsire da shida metsarmeobis ganvitarebis 2021-2025 tslebis strategia; 2022 tslis samokmedo gegma tsliuri angarishi. [Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia (2023). 2021-2025 strategy for the development of small and domestic entrepreneurship of Georgia. 2022 Action Plan Annual Report.] in Georgian <https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=45> (last seen 29.04.23/)
- Geostat (2022). kali da katsi sakartveloshi. [Woman and man in Georgia.] in Georgian <https://www.geostat.ge/media/2022.pdf> last seen 29.04.23/
- Bergner S., Felfe J. (2022). STAR. Startup Check: Testing the potential for starting a business and self-employment. Publisher: Hogrefe. pp. 341
- Elam A. B., Hughes K. D., Guerrero M., Hill S., Nawangpalupi C., & del Mar Fuentes M. (2021). Global Entrepreneurship Monitor. 2020/2021 – Women’s Entrepreneurship Report. GERA: London. pp.146
- GEM 2018-2019 (2020). Women’s Entrepreneurship Report. pp.108
- Global Entrepreneurship Monitor (2014), Global Report (2015). <https://www.gemconsortium.org/report/gem-2014-global-report>; last seen 10.03.23)
- Hofstede G. (1998). Attitudes, Values and Organizational Culture: Disentangling the Concepts. Organization Studies, 19(3), pp. 477-493;
- Kollmann T., Stöckmann C., Hensellek S., & Kensbock J. (2016). European Startup Monitor 2016. Universität Duisburg-Essen: Duisburg, Germany. pp.112;
- Lekashvili E. (2022). „The Challenges of Georgia’s Economic Policy in Achieving Sustainable Development Goal 9 in the COVID-19 Pandemic Period“. 6th FEB International Scientific Conference: Challenges in Economics and Business in the Post-COVID Times. Editor Zladko Nedelko. Slovenia. University of Maribor, pp.21-33. <https://doi.org/10.18690/um.epf.5.2022.3> ISBN 978-961-286-600-6;
- Lekashvili E., & Jamagidze L. (2023). „Structural Transformation and Export Performance in Georgia: Is There a Need for the New Industrial Policy?“ STRATEGIC PLANNING AND MARKETING IN DIGITAL WORLD 2022. Publishing Complex UNWE. Editorial Board Prof. Dr. Hristo Katrandjiev and et.al). pp.4-14. <https://doi.org/10.37075/SPM.2022.1;>
- Natsvlivili I. (2017). Gender Inequality and Women’s Entrepreneurship-Challenges and Opportunities (Case of Georgia). Country experiences in Economic Develop-

ment, Management and Entrepreneurship. Proceedings of the 17th Eurasia Business and Economics Society Conference. Volume 5. Springer International Publishing, pp. 491-505.

- Sáez-Martínez F., González-Moreno Á., & Hogan T. (2014). The Role of the University in Eco-Entrepreneurship: Evidence from the Eurobarometer Survey on Attitudes of European Entrepreneurs towards Eco-Innovation. *Environmental Engineering and Management Journal*, 13(10), pp.2541.
- Sajjad M., Kaleem N., Irfan Chani M., Ahmed M. (2020). Worldwide Role of Women Entrepreneurs in Economic Development. *Asia Pacific Journal of Innovation and Entrepreneurship*, Emerald Publishing Limited, Volume 14 Issue 2. pp. 150-160. <https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/APJIE-06-2019-0041/full/html#sec012> (last seen 21.05.23).
- Shneor R., Metin Camgöz S., Bayhan Karapinar P. (2013). The Interaction between Culture and Sex in the Formation of Entrepreneurial Intentions. *Entrepreneurship & Regional Development*, 25(9-10), pp. 781-803.
- Van Stel A., Carree M., Thurik R. (2020). The Effect of Entrepreneurial Activity on National World Bank. *Doing Business 2020: Measuring Regulatory Quality and Efficiency*. The World Bank: NY, US.
- WKO Wirtschaftskammer Österreich Georgien Wirtschaftsbericht (2021). WKO: Wien. <http://www.wko.at>; (last seen 29.04.23);
- FreshBooks, <https://www.embroker.com/blog/entrepreneur-statistics/> (last seen 29.04.23)

## **Women's Challenges on Starting Entrepreneurial Activity in Georgia**

### ***Eka Lekashvili***

*Associate Professor  
Iv.Javakhishvili Tbilisi State University,  
Head of Industry Policy Research Center  
Eka.lekashvili@tsu.ge*

### ***Ia Natsvlshvili***

*Associate Professor  
Iv.Javakhishvili Tbilisi State University  
ia.natsvlshvili@tsu.ge*

*The work is dedicated to the study of the challenges faced by women in Georgia when starting an entrepreneurial activity. The research was conducted using the STAR method interviews with focus groups. For the research process, a questionnaire was developed based on a test to determine/assess the potential of starting an entrepreneurship.*

Gender inequality in employment, education and income distribution still exists in Georgia. Not all groups in society have equal access to employment or entrepreneurial opportunities. The majority of the population in Georgia formally shares the idea of gender equality. At the same time, a certain part of the population shares the idea of the traditional distribution of gender roles.

Empowering women for entrepreneurial career growth, in turn, serves several sustainable development goals:

Gender equality (#5)

Decent work and economic growth (#8)

Industry, innovation and infrastructure (#9).

In modern economic science, entrepreneurship is considered one of the important ways of developing and increasing the competitiveness of countries, because entrepreneurs create jobs, work on innovations, and it increases GDP. Accordingly, entrepreneurship ensures sustainable development of the economy.

It was found that women's entrepreneurial activity contributes not only to family income, but also plays an important role in economic development and social welfare. The impact of women's entrepreneurship on economic development varies from country to country, as the level of development and infrastructure of these countries differ. The productivity of women's entrepreneurship and their economic contribution depends on the country's level of development and cultural norms. In most regions of the world, local ethics and cultural values strongly define the role of women, which prevents women from pursuing entrepreneurship far from their home areas around the world.

Despite the fact that entrepreneurship creates jobs, ensures the achievement of sustainable development goals, the economic activity rate of the labor force in Georgia is about 20% lower among women compared to men. Based on the above, **a research question** was formulated: what kind of hindering factors exist for women entrepreneurs in Georgia to start entrepreneurial activities?

The purpose of the study is to examine the challenges faced by women on starting an entrepreneurial activity in Georgia, which will help society to identify the difficulties that prevent women from choosing an entrepreneurial activity and advancing their entrepreneurial career.

In order to achieve the mentioned goal, the following tasks were defined:

- To review of modern advanced scientific literature on entrepreneurial problems to establish the theoretical-methodological base of the research;
- To develop a tool for qualitative research and conducting a focus group interview using STAR method;



- *To process the results of the research in order to identify the difficulties of choosing entrepreneurial activity and entrepreneurial career for women.*

*As a result of the research, the difficulties that prevent women from choosing entrepreneurial activities and advancing their entrepreneurial career have been revealed. In particular, the following individual factors affecting business start-up were identified: the desire to gain independence; compared to men, women-entrepreneurs are more risky and emotional, more effective during negotiations; women face more technical and logistical problems. Among the situational factors, a gender stereotype was identified, according to which women are not considered as the leaders and entrepreneurs in modern society. Research revealed that women have less access to business start-up finance, less financial security and less support from family and friends when starting a business than men.*

*The results of the survey revealed the following factors influencing the business idea: women's lower efficiency in terms of identifying opportunities for starting a business; discrimination in the labor market, which forces them to start entrepreneurship; lack of awareness regarding the legal issues of starting a business; less knowledge of product packaging and export procedures; more risk and less security for women's businesses. Due to the limited number of participants in the focus group and the specificity of the qualitative research, the research results are not representative, as they could not cover all regions of Georgia and all business sectors. Accordingly, it was planned to conduct research with the involvement of a larger number of women entrepreneurs.*

**Keywords:** *Women's entrepreneurship, entrepreneurial potential, gender inequality, sustainable development goals, STAR method of research.*

**JEL Codes:** *J16, L20, L26.*

## საქართველოს თანამედროვე შრომის ბაზარი - გამოწვევები და გადაჭრის გზები

### იჩმა ცყემალაძე

ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული დოქტორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Irma.tkemaladze@tsu.ge

სტატიაში, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან და ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, შესწავლილია განათლების, სამუშაო გამოცდილების და პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების კავშირი ეფექტიან დასაქმებასთან. პიხსონის კოხედაციის კოეფიციენტი დადგენილია მათი გავლენა დასაქმების აღნიშნულ ფორმაზე. შრომის ბაზარზე ახსებური მდგომარეობის კვლევით გამოვლენილია ფაქტორები, რომლებიც, ერთი მხრივ, ხელს უშლიან სამსახურეხივ წინსვდას და მეორე მხრივ, ხელოვნური ბარიერი უქმნიან დასაქმების ბაზარზე პიხვედაც გასულ სამუშაო დასა. იდენტიფიციციებულია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მეორე და ახასხუდ დასაქმებაზე. დასაბუთებულია უახყოფით ფაქტორთა შემციციებით დასაქმების აღნიშნულ ფორმაზე მოთხოვნის კდება. გამოკვდეულია შრომის ბაზარზე ახასტანდახტური დასაქმების ფორმების გავტყელების მასშტაბები და განვითაიების პეხსპექცივები. კვდევის პიხტესში გამოიკვეთა ეიოვნური შრომის ბაზრის ახსებითი ტენდეციები, თავისებუიებები, მოხდა გამოწვევების იდენტიფიციცება, გაკეთდა დასკვნები, იის საფუძველზეც შემოთავაზებულია კონკრეტული ეკომენდაციები.

**საკვანძო სიყვები:** შრომის ბაზრის ეგუდიცება, მაკიოკომომიკური პოლიტიკა, ეფექტიანი დასაქმება, ზეგანაკვეთუი მუშაობა, ადამიან-კაპიტილი.

### შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, საბოლოოდ კი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა, მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. დარგის ექსპერტები, თეორეტიკოსები თუ პოლიტიკის შემმუშავებლები აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის შრომის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას ცალსახად უსვამენ ხაზს. ღირსეული სამუშაო ად-

გილების გარეშე ადამიანები ვერ იქნებიან უზრუნველყოფილი შემოსავლებით, შემოსავლების არქონა სხვა მრავალი უარყოფითი ეკონომიკური მოვლენის სათავეა. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ დასაქმება იყოს ეფექტიანი და ასრულებდეს ყველა იმ ფუნქციას, რაც მას როგორც ეკონომიკურ და სოციალურ კატეგორიას აქვს მინიჭებული. შესაბამისი ანაზღაურების გარეშე დასაქმებულები ვერ გახდებიან ძლიერი მომხმარებლები და სათანადო უფლებების გარეშე, მათ არ ექნებათ ეკონომიკური სტაბილურობის შეგრძნება. დღეს ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის პირველი რიგის ამოცანად სამუშაო ადგილების შექმნა უნდა მოიაზრებოდეს (IMF, 2021). საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველმა დირექტორმა ქრისტინა ლაგარდმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ეფექტიანად მომუშავე შრომის ბაზარი წარმოადგენს მდგრადი ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის შემადგენელ მნიშვნელოვან ელემენტს“ (Lagarde, 2012).

ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში მუდმივად იცვლებოდა შეხედულებები დასაქმებასა და შრომის ბაზარზე. რომლის პარალელურად შრომის ბაზრის თეორიებმა ევოლუციური განვითარების გრძელი გზა გაიარა, რაც წარმოდგენილია ეკონომიკური აზრის ისტორიის მრავალრიცხოვან მიმართულებებსა და სკოლებში.

### **თეორიული შეხედულებები შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების შესახებ**

XX საკუნემდე ეკონომიკური სკოლების წარმომადგენლები ემხრობოდნენ შრომის ბაზრის თვითრეგულირების შესაძლებლობას, XX საუკუნის დასაწყისში კი, სოციალური კრიზისის პერიოდში, რამაც მასობრივი უმუშევრობა გამოიწვია, შეიცვალა სახელმწიფოს როლი, შრომის ბაზრისა და მასში მიმდინარე პროცესების რეგულირებასთან დაკავშირებით. ამ პროცესის დარეგულირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჯონ მეინარდ კეინზმა, რომელმაც თავის ნაშრომში – „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“, ხაზგასმით აღნიშნა დასაქმების პროცესების სტაბილიზაციაში სახელმწიფო ღონისძიებების ჩართვის შესახებ. იგი ხაზს უსვამს, რომ შრომის ბაზარი ვერ იქნება დასაქმების დონისა და რეალური ხელფასის მდგენელი. კეინზის მოდელში ჩნდება იძულებითი უმუშევრობა ეფექტიანი მოთხოვნიდან გამომდინარე. საწარმოები საპროგნოზო მაჩვენებლებზე დაყრდნობით განსაზღვრავენ საკუთარი წარმოების მოცულობას და მისთვის საჭირო სამუშაო ძალის ოდენობას. შე-

დეგად ვიღებთ დასაქმების გარკვეულ დონეს, რომელიც, კეინზის აზრით, „არ არის სავალდებულო იყოს სრული დასაქმების ტოლი“. კეინზი ემხრობა მკაცრი სახელფასო პოლიტიკის წარმართვას მოქნილთან შედარებით. მისი აზრით, ნომინალური ხელფასის შემცირება, მართალია, კრიზისიდან თავის დაღწევის კარგი საშუალებაა, მაგრამ ის შესაძლებელია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც ხელისუფლებას ძალუძს ხელფასის საყოველთაო და მკვეთრი შემცირება. „ფულადი მასის ზრდა არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ფასებზე მანამ, სანამ რჩება უმუშევრობა... ეფექტიანი მოთხოვნის ნებისმიერი გადიდება გამოიხატება დასაქმების მკვეთრად პროპორციულ ზრდაში“. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიღწეულია სრული დასაქმება, ფასები იზრდება ფულის რაოდენობის ზრდის პროპორციულად (Keynes,1937).

მოგვიანებით, კეინზის შეხედულებების ევოლუცია მოხდა ახალ კეინზიანელებთან, რომელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმატებაა უმუშევრობის ახალი თეორიის ჩამოყალიბება. ჩვეულებრივ, ეკონომისტები თვლიდნენ, რომ შრომის ბაზარზე მუშახელის ქარბი მიწოდება იწვევს ხელფასის შემცირებას, რაც ზრდის შრომაზე მოთხოვნას და ამცირებს უმუშევრობას. სწორედ ამიტომ, კლასიკური თეორიის თანახმად, უმუშევრობა მიიჩნეოდა თვითრეგულირებად პრობლემად. კეინზიანელები აღნიშნავენ, რომ ამგვარ მექანიზმს არ შეუძლია ბაზრის „განმენდა“ და აღნიშნული თეზისის დასასაბუთებლად იყენებენ ე.წ. „ეფექტიანი ხელფასის თეორიას“. ამ მიმართულების ეკონომისტთა ნაშრომებში, მაღალი ხელფასი მიიჩნევა დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორად. ახალი კეინზიანელები, ეფექტიანი ხელფასის მოგებაზე ზეგავლენის რამდენიმე მიმართულების შემოთავაზებით, უპირისპირდებიან კლასიკოსების შეხედულებებს. ეს მიმართულებებია: პირველი – მუშაკთა დენადობის შემცირება, მეორე – ეფექტიანი ხელფასის გავლენა სამუშაო ძალის ხარისხზე, მესამე – მაღალი (ეფექტიანი) ხელფასის გავლენა მუშაკთა შრომისმოყვარეობაზე. ამ თვალსაზრისითაც ეფექტიანი ხელფასი უფრო მაღალმწარმოებლური შრომის განმსაზღვრელი ფაქტორია.

შრომის მიწოდების ქრილით შრომის ბაზრის გამოწვევების გადაჭრას ცდილობდა უილიამ არტურ ლუისი. შრომის ბაზრის მიწოდების მხარის ანალიზისას იგი გამოდის შრომითი რეზერვების ბაზარზე შეუზღუდავი მიწოდების ჰიპოთეზიდან და ასკვნის, რომ თუკი სამუშაო ძალა არაკვალიფიციურია, ხელფასი შეიძლება გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს. ლუისის მოდელში „ეკონომიკის დუალიზმი შრომის ქარბი მიწოდების

პირობებში“ (Lewis’ dual-sector model) დუალიზმის არსებობის საფუძვლად მიჩნეულია განაწილების სხვადასხვა კანონი. სამრეწველო სექტორში განმსაზღვრელია ბაზარი და მოქმედებს ზღვრული მწარმოებლურობის კანონი, რომელიც რეალურ ხელფასს უთანაბრებს შრომის ზღვრულ პროდუქტს. აგრარულ სექტორში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ადგილობრივი ინსტიტუტები, რომლებიც არეგულირებენ შრომის სამუალო პროდუქტით განსაზღვრულ ინსტიტუციურ ხელფასს. პრობლემის გადაჭრის გზად იგი მოდერნიზაციას განიხილავს, რისთვისაც აუცილებელია რესურსების გადანაწილება აგრარული სექტორიდან ინდუსტრიულ სექტორში. პარალელურად, დაგროვების (დანაზოგის) მობილიზაცია და მათ ინვესტიციებად გადაქცევა, სამუშაო ძალის გადადინება ქარბიშრომითი რესურსების მქონე სექტორიდან დეფიციტის მქონე სექტორში აუცილებელ პირობად არის მიჩნეული. შეიძლება ითქვას, რომ მოდელი გვთავაზობს შრომის ბაზარზე არსებული პრობლემების დაძლევის გზებს, თუმცა გააჩნია რიგი ნაკლოვანება: პირველი – ის ახდენს სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ბაზრის როლის იდეალიზაციას, რაც პირველ რიგში, შეეხება ბაზრის სუბიექტების ლუისისეულ ინტერპრეტაციას. რეალური მენარმე და დაქირავებული მუშა საკმაოდ შორს დგას შემპეტერისეული ხედვისგან. მეორე – ასევე არასწორია აქცენტის დასმა წარმოების მხოლოდ შრომატევად მეთოდებზე და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, გაუთვალისწინებლობა. პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი ეკონომიკური ეფექტი მიიღწევა იმ ქვეყნებში, სადაც ოპტიმალურადაა შერწყმული წარმოების კაპიტალტევადი და შრომატევადი დარგები. მესამე – შრომატევად ტექნოლოგიებზე აქცენტის გადატანას შედეგების მოტანა შეუძლია მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში. გრძელვადიან პერიოდში კი ის ინვეზს დასაქმების მკვეთრ ზრდას, ხელფასის ერთობლივი ფონდისა და ერთობლივი მოთხოვნის გადიდებას, რასაც საბოლოოდ „ჭენებად“ ინფლაციამდე მივყავართ. ლუისის მოდელის წანამძღვარი იმის შესახებ, რომ მუდმივი ხელფასის არსებობა ინვეზს ფარული უმუშევრობის მთლიანად აღმოფხვრას, არ აღმოჩნდა მართებული. აგრარული სექტორიდან არაკვალიფიციური სამუშაო ძალის გადადინება სამრეწველო სექტორში ავტომატურად არ ინვეზს მის კვალიფიციურ სამუშაო ძალად გარდაქმნას. საჭიროა დიდი დრო და სახსრები ასეთი კვალიფიციური სამუშაო ძალის მოსამზადებლად. ასევე, ეჭვს ინვეზს ლუისის თეზისი იმის შესახებ, რომ შემოსავლების უთანაბრობა წარმოადგენს სწრაფი ეკონომიკური ზრდის წანამძღვარს. იგი არ ითვალისწინებს იმ აშკარა ფაქტს, რომ ეს უთანაბ-

რობა მესამე სამყაროს ქვეყნებში ისედაც ძალიან დიდია. მდიდრები მაღალ შემოსავლებს ხშირ შემთხვევაში იყენებენ არა მწარმოებლური დაგროვებისათვის, არამედ პრესტიჟული მოხმარებისათვის, რაც არ წარმოადგენს სწრაფი ეკონომიკური ზრდის სტიმულს. ლუისის დუალისტური ეკონომიკის თეორია ადეკვატურად ვერ ასახავს ჩამორჩენილ ქვეყნებში ამჟამად ინტენსიურად მიმდინარე ურბანიზაციის პროცესებს. ქალაქების მოსახლეობის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აჭარბებს მოსახლეობის მწარმოებლურობის გამოყენების შესაძლებლობას, რაც ამწვავებს დასაქმების პრობლემას (მექვაბიშვილი, 2016).

შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების გზით შრომის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას შესაძლებლად მიიჩნევს ნობელის პრემიის ლაურეატი გუნარ მიურდალი. სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დემოგრაფიული აფეთქებების შედეგად გამოწვეულმა ცხოვრების დონის მნიშვნელოვანმა დაქვეითებამ მეცნიერი მიიყვანა დასკვნამდე, რომ მესამე სამყაროს სუსტი განვითარების მიზეზი არა უცხოური კაპიტალის ნაკლებობაა, არამედ შრომითი რესურსების არაეფექტიანი გამოყენება და სამუშაო ძალის დაბალი მწარმოებლურობა. იგი გარკვეულწილად დაუპირისპირდა კუზნეცის მოსაზრებას, რომ ინდუსტრიალიზაციის სანყის ეტაპზე ყველაზე მეტად ზარალდებიან მოსახლეობის უღარიბესი ფენები, რაც ჯინის კოეფიციენტის ზრდითაც გამოიხატება და მას გარკვეულ კანონზომიერებადაც მიიჩნევს. მიურდალი კი პირიქით თვლის, რომ შრომის ანაზღაურების სისტემა ზრდის მიმართულებით უნდა იყოს შრომის მწარმოებლურობის განმაპირობებელი. სწორედ ამიტომ, მიურდალი ყველა იმ სოციალური ძალის მხარდამჭერად გამოდის, ვინც შეძლებს დაუსაქმებელი სამუშაო ძალის პრობლემის გადაწყვეტას. იგი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ ღონისძიებების გატარების აუცილებლობას, რომლებიც არ გამოიწვევს სხვა ფაქტორთა დეფიციტს. ერთ-ერთ ასეთ მეთოდად კი ადგილობრივი სარეწების განვითარება მიაჩნია. გუნარ მიურდალის მოსაზრებების გამგრძელებლად გვევლინება თეოდორ შულცი, რომელიც შრომის ბაზრის პრობლემების გადაწყვეტის მთავარ გზად მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობას მიიჩნევს, რაც ადამიან-კაპიტალში ინვესტირებისგან მიიღწევა და შედეგი ამავდროულად უზრუნველყოფს სიღარიბის დაძლევას და ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს. მისი დასკვნები გამომდინარეობდა ომისშემდგომ პერიოდში გერმანიის და იაპონიის სწრაფი აღდგენის მიზეზების შედარებით ევროპის სხვა ქვეყნებთან. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობა და განათლება ადამიანისეულ რესურსს უფრო პროდუქტიულს ხდის, რაც



ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას უწყობს ხელს. სასკოლო ასაკიდან ადამიან-კაპიტალში ინვესტირებას და შესაბამისად, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ფორმირებას მიიჩნევენ სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვან მიმართულებად 2019 წელს ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი მაიკლ კრემერი, აბედჯიდ ბენერჯი და ესთერ დიუფლო (Banerjee, Duflo, Kremer, 2012).

შრომის ბაზარზე უარყოფით მოვლენად მიიჩნევა არასრული დასაქმების ზრდა, რომლის მიზეზები და მაკროეკონომიკური შედეგები შესწავლილია ახალი კვინზიანური მოდელის გაფართოების საფუძველზე აშშ-ში. კვლევით დასტურდება, რომ რეცესიის პერიოდში არასრული დასაქმების ზრდის განმაპირობებელი იყო ფინანსური კრიზისი, ხოლო კრიზისის შემდგომ პერიოდში ის უკვე გამოწვეული იყო სამუშაო ძალის არასრული მიწოდებით. ნახევარგანაკვეთიან სამუშაო დღეზე სამუშაო ძალის მიწოდების შოკი ასევე რეცესიის დროს მთლიანი შრომის ანაზღაურების ნელი აღდგენის პროცესს ხსნის, რამდენადაც შოკი, ამცირებს ხელფასს, როგორც არასრულ სამუშაო დღეზე ასევე, სრული სამუშაო დღით დასაქმებულთა წილს მთლიან დასაქმებაში. რაც შეეხება მაკროეკონომიკურ შედეგებს, შეიძლება ითქვას, რომ ნახევარ განაკვეთზე გადასვლამ განაპირობა მთლიანი დასაქმების მკვეთრი შემცირება დიდი რეცესიის პერიოდში, მაგრამ მან მხოლოდ შეზღუდული როლი ითამაშა რეცესიის წნეხის შემსუბუქებაში.

შრომის ბაზრის კვლევას კიდევ უფრო ართულებს ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებული ტემპი და ცვალებადი გარემო. ამ პრობლემით დაინტერესებულია არაერთი მკვლევარი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციოლოგი გაია სტენდინგი რომელიც, ნაშრომში – „პრეკარიატი<sup>1</sup>: ახალი საშიში კლასი“, ყურადღებას ამახვილებს არასტაბილურ დასაქმებაზე, მისგან გამოწვეულ პრობლემებსა და შემოთავაზებულ უპირატესობებზეც. სტენდინგის საზოგადოების სტრუქტურა წარმოადგენს პირამიდას, რომლის მწვერვალზე პლუტოკრატები არიან, ქვემოთ სალარიატები (სტაბილური დასაქმების და სოციალური გარანტიების მქონე კლასი), შემდეგ პროლეტარები, პრეკარიატი და ლიუმპენი. პრეკარიზაცია მოიცავს დასაქმების შემდეგ სახეობებს: საკონტრაქტო სამუშაო, დაქირავებული შრო-

<sup>1</sup> ტერმინი – პრეკარიატი (ლათ.)ნიშნავს უგარანტიო, არასტაბილურს. ამ ტერმინს იყენებდნენ 1980-იან წლებში ფრანგი სოციოლოგები სეზონური დასაქმების შესწავლის დროს. პრეკარიატის წარმომადგენლები, სტენდინგის მიხედვით, განსხვავდებიან მუდმივი დასაქმების არარსებობით, ხოლო შრომითი ურთიერთობების სპეციფიკა მოიაზრებს სამართლებრივი გარანტიების ნულოვან დონეს.

მა, მუშაობა გამოძახებით, მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებები, დასაქმება არასრული სამუშაო დღით და სხვა. მისი წარმომადგენლები ცხოვრობენ „ერთი დღით“. დახმარება, სოციალური გარანტიები, პენსია მათთვის არაა ხელმისაწვდომი. თვითრწმენის ნაკლებობას და არასტაბილურობის განცდას აუთსორსინგის (outsourcing) და ლიზინგის ეპოქაში განაპირობებს მოქნილი შრომის ბაზრის სპეციფიკა. სტენდინგი მომხრეა სახელმწიფოს შემოსავლები გადანაწილდეს თითოეულ მოქალაქეზე. პრეკარიატის გადაჭრის როლში ავტორი გვთავაზობს „სამოთხის პოლიტიკას“, ანუ უფრო ზუსტად, მოქალაქეებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის რადიკალურ გარდაქმნას (McCarthy & Anagnostou, 2004).

გლობალიზებული და მუდმივად ცვლადი გარემოს პირობებში, ბაზრების და მათ შორის, შრომის ბაზრის ახალი ფორმატი, მოითხოვს პრობლემემატიკის შესახებ განსხვავებული პრიორიტეტების ფორმირებას, რომლის შესახებ ქართველი მეცნიერების არაერთი ნაშრომი შეიძლება დასახელდეს (მაგ. Kharaiashvili et al., 2023; Silagadze, 2022; Papava, 2020; Tukhashvili, 2018; Kakulia, 2017; Tsartsidze, 2021; Lobzhanidze, 2022; Chikobava, 2021; BedianaSvili et al., 2021; Tkemaladze, 2017).

### **ეროვნულ შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევების გამოვლენის მიზნით ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზი**

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული შრომის ბაზრის ეფექტიანობის გაუმჯობესება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებადაა აღიარებული, ხელშესახები და შესამჩნევი შედეგები ჯერ კიდევ ბევრი მიმართულებით არ ჩანს. სწორედ აღნიშნული ფაქტით არის დასაბუთებული ავტორის დაინტერესება შრომის ბაზრის პრობლემების კვლევის მიმართ. საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა სამეცნიერო აბსტრაგირების, სისტემური, სინთეზის და ანალიზის, ინსტიტუციური მიდგომები, სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზი, ლოგიკურისა და ისტორიულის ერთიანობის, ევრისტიკული მეთოდები. გამოყენებულია როგორც მარტივი, ისე რთული სტატისტიკური ანალიზის მეთოდები: აღწერითი, სიხშირული, კროსტაბულაციური (Crosstabulation) და სამომხმარებლო ცხრილების ანალიზი, ჯგუფებს შორის განსხვავებათა ანალიზი: საშუალოთა შედარება, t-ტესტები, გრაფიკული ანალიზი, დისპერსიული ანალიზი (Analysis of Variance, ANOVA).


არსებული თეორიების, მეცნიერთა ფუნდამენტური ნაშრომების ანალიზის და სინთეზის, პირველადი მონაცემების შეგროვების საფუძველზე ჩამოყალიბებული და შემოწმებულია ჰიპოთეზები.

შრომის ბაზრის ინსტიტუციური ბაზის მდგომარეობის შესწავლის მიზნით რესპონდენტები გამოიკითხნენ შრომითი საქმიანობის დაწყების გზებისა და საშუალებების შესახებ. მათი 37%-ის აზრით პრესა, ტელევიზია ან ინტერნეტი გახდა ვაკანსიის მოძიების საინფორმაციო წყარო, მომდევო ეტაპზე კი გასაუბრების ან ტესტირების გავლის შემდეგ დასაქმდა. 26%-მა სამსახური ნაცნობების მეშვეობით დაიწყო. 12,3%-ს დამსაქმებელმა შესთავაზა, მხოლოდ 2,3% მიუთითებს დასაქმების სამსახურის თანადგომაზე.

დასაქმების პროცესისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენის მიზნით გავარკვეეთ რა მიზეზები არსებობდა აპლიკაციის შეტანის შემდეგ სამსახურში არმიღებისათვის (იხ. დიაგრამა 1).

### პასუხების კონფიგურაცია კითხვაზე: სამსახურში არაყვანის მიზეზები

დიაგრამა 1.



**წყარო:** ყველა დიაგრამა და ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ რესპონდენტთა ანკეტური გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით

სამსახურში მიღებაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზი გამოცდილების არქონა აღმოჩნდა. ოჯახურ მდგომარეობას, სქესსა და ასაკს, თითქმის არ აქვს გადანყვეტი მნიშვნელობა მუშაობის დაწყების დროს. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი კვალიფიკაციის შეუსაბამობა, ხოლო მესამე – ხელფასთან დაკავშირებული მოლოდინებია.

ჩვენი აზრით, გამოცდილების არქონა უკავშირდება სტაჟირების პროგრამის არაეფექტიან ფუნქციონირებას. ასევე, ვაკანტური სამუშაო ადგილების გამოცხადებისას დამსაქმებლის გაუაზრებელ და დაუსაბუთებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვაკანსიების კვლევის შედეგად ნათლად ჩანს შესასრულებელ ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს


შორის აშკარა შეუსაბამობა, რაც დასაქმების ბაზარზე პირველად გასულ პირებს ხელოვნურ ბარიერს უქმნის შრომის ბაზარზე ადაპტირებისთვის. ოჯახური მდგომარეობის, სქესის და ასაკის გამო მხოლოდ მცირე ნაწილს უთხრეს დასაქმებაზე უარი. თუმცა, გამოცხადებულ ვაკანსიებში ძალიან ხშირად არის მითითებული მოთხოვნა აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით, ამიტომ პირველივე ეტაპზე (საკონკურსო საბუთების გაგზავნის) ხდება არასასურველი კატეგორიის სამუშაო ძალის გაფილტვრა და შესაბამისად, გამოკითხვის შედეგებში დაბალი პროცენტული მაჩვენებელი გასაკვირი არაა. ეროვნული შრომის ბაზრის მნიშვნელოვანი მახასიათებელი – სამუშაო ძალის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის შეუსაბამობა – დასტურდება გამოკითხვის შედეგებით. სადაც კვალიფიკაციის შეუსაბამობის მიზეზით რესპონდენტთა 24%-ს უარი ეთქვა დასაქმებაზე, მიუხედავად არსებული ვაკანსიებისა.

მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეფექტიანი დასაქმების შესასწავლად კვლევაში შევეცადეთ მოგვეხდინა იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენენ მის უზრუნველყოფაზე. ფაქტორთა ეს ჯგუფი კომლექსურია, მაგრამ ჩვენ გამოვყავით რამდენიმე მათგანი, მათ შორის – სამუშაო გამოცდილება, სოციალური გარანტიები, რომლებიც უფრო მეტად უკავშირდება და მოქცეულია შრომის ბაზრის გარემოში. დავუშვით ჰიპოთეზა, რომ სამუშაო გამოცდილების ზრდა იწვევს ადამიან-კაპიტალის დაგროვებას, რაც შესაბამისად უნდა აისახოს შემოსავლების ზრდასა და ეფექტიან დასაქმებაში. გამოკითხულ რესპონდენტთა 40,6% ერთ წელზე ნაკლებია, რაც ამ სამსახურში მუშაობს. დაახლოებით 1/5-ის სტაჟი 1-დან 3 წლამდე მერყეობს, ამდენივეს აქვს, მოცემულ პოზიციაზე მუშაობის 10 წელზე მეტი ხნის გამოცდილება, 11%-ს – 3-5 წლამდე, ხოლო 10%-ს – 5-10 წლამდე სტაჟი აქვს. სამუშაო სტაჟისა და შემოსავლების სიდიდეს შორის კავშირის დასადგენად ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა:

ჰიპოთეზა H1: სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა განსაზღვრავს შემოსავლების სიდიდეს.

გამოკითხულ დასაქმებულთა საშუალო შემოსავლის ანალიზით ირკვევა, რომ 300 ლარამდე ხელფასი გამოკითხულთა 5%-ს აქვს, 300-დან 500 ლარამდე – 18,3%, 500-1000 ლარის ფარგლებში – 44,3%, 1000-1500 ლარამდე – 16,9%, 1500-2000 ლარი – 5,9%, 2000-2500 ლარი – 4%, 2500-3000 ლარი – 3,7%, 8000 ლარზე მეტი – 1,8%. ჰიპოთეზის შემოწმების პროცესში გაკეთდა დასკვნა, რომ გამოკითხულთა 85 %-ზე მეტი ვერ იღებს საშუალო ხელფასის ოდენობის ანაზრაურებას, რაც არაეფექტიანი დასაქმების არსებობაზე მიუთითებს.

**ძირითად სამსახურში შემოსავლის საშუალო სიდიდე დიაგრამა 2.**



**პირსონის კორელაციის კოეფიციენტით** შესაძლებელი გახდა დაგვედგინა, რამდენად განსაზღვრავს სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა შემოსავლების სიდიდეს. ცვლადებს შორის კავშირი არსებობს, თუმცა ცვლადებს შორის დამოკიდებულება არც თუ ისე ძლიერია (Pearson's  $R=0.326$ ).

შედეგად, სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა ყოველთვის არ განსაზღვრავს შემოსავლებს. შესაბამისად, ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა H1: სტაჟის ხანგრძლივობა განსაზღვრავს შემოსავლების სიდიდეს, ნაწილობრივ დადასტურდა. სამუშაო გამოცდილების ზრდას კავშირი აქვს შემოსავლების ზრდასთან, მაგრამ პირველი ცვლადის ცვლილება ყოველთვის არ იწვევს მეორე ცვლადის ცვლილებას მავე მიმართულებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში აქცენტირებულია, შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესების გაჯანსაღების მიზნით, ადამიან-კაპიტალის მნიშვნელობის ზრდა. კვლევის პროცესში დავინტერესდით, პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების ღონისძიებები როგორ ხორციელდებოდა და რამდენად ახდენს ის საქართველოს შრომის ბაზარზე გავლენას. ჩამოვაყალიბეთ ჰიპოთეზა:


H2: პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები გავლენას ახდენს შემოსავლების ზრდაზე.

რესპონდენტებს დაესვათ კითხვები მსგავსი ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ, ასევე ბოლო სამი წლის განმავლობაში შრომის

ანაზღაურების ზრდასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა 72%-ს ამბობს, გავლილი აქვთ ტრენინგები პროფესიული საქმიანობის და უნარ-ჩვევების გაუჭობების მიზნით, როგორც საკუთარი, ასევე კომპანიის ხარჯით (იხ. დიაგრამა 3).

პასუხების კონფიგურაცია კითხვაზე: ბოლო 5 წლის განმავლობაში პროფესიული საქმიანობის და უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით გაიარეთ თუ არა ტრენინგები, კურსები, ვორკშოპები და ა.შ. (%)

**დიაგრამა 3.**




ამავე მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, გავარკვიეთ შეიცვალა თუ არა გამოკითხულთა შრომის ანაზღაურება ბოლო 3 წლის განმავლობაში, აღმოჩნდა, რომ დასაქმებულთა ხელფასები ძირითადად უმნიშვნელოდ გაიზარდა. მხოლოდ 23%-სთვის გაიზარდა მნიშვნელოვნად. 28% ამბობს რომ არ შეცვლილა, ხოლო 6%-სთვის ბოლო 3 წლის განმავლობაში ანაზღაურება შემცირდა. მაღალი ინფლაციის ფონზე, გამოკითხულ დასაქმებულთა თითქმის 77%-სთვის ხელფასის უცვლელობა ან უმნიშვნელოდ ცვლილება, რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ძალის ნორმალურ კვლავნარმოებას და შესაბამისად, ეფექტიანი დასაქმების არსებობას ქვეყანაში.



პასუხების კონფიგურაცია კითხვაზე: შეიცვალა თუ არა თქვენი შრომის ანაზღაურება ბოლო 3 წლის განმავლობაში? (%)

**დიაგრამა 4.**



აღსანიშნავია, რომ პროფესიული განვითარების ტრენინგების გარეშე დარჩენილთა 70% აფიქსირებს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში მათმა შრომითმა ანაზღაურებამ მოიმატა, მხოლოდ 6%-ისთვის იკლო, ხოლო 24%-ის ხელფასები უცვლელი დარჩა.

**პროფესიული უნარების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობასა და შრომის ანაზღაურებას შორის კავშირი ცხრილი 1.**

		პროფესიული საქმიანობის და უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით გაიარეთ თუ არა ტრენინგები?	
		დიახ	არა
შეიცვალა თუ არა თქვენი შრომის ანაზღაურება ბოლო 3 წლის განმავლობაში?	გაიზარდა	53.2%	70.1%
	არ შეცვლილა	40.3%	23.6%
	შემცირდა	6.5%	6.4%

ზემოთ აღნიშნული კავშირების დადასტურება მოხდა პირსონის კოეფიციენტით, რომლის მნიშვნელობაც (Pearson's R =0.243) ცვლადებს შორის სუსტ კავშირზე მიგვიჩვენებს.

შემოსავლების ზრდასა და პროფესიული საქმიანობისა და უნარ-ჩვევების მიზნით გავლილი ტრენინგების არსებობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულებაა, თუმცა, კავშირი სუსტია. ფაქტის ახსნაც გაანგარიშებით ვერ მოხერხდა, თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ

დამოკიდებულება მნიშვნელოვანია. შედეგად, ჰიპოთეზა H2: პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები გავლენას ახდენს შემოსავლების ზრდაზე, დადასტურდა.

თანამედროვე ლიტერატურისა და სამეცნიერო კვლევების შესწავლით გამოვლინდა პრეკარიტის ზრდა დასაქმებულთა შორის, რაც არასტანდარტული დასაქმების ფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ასევე, ცნობილია მოსაზრებები იმის შესახებ, რომ სამუშაო გამოცდილების ზრდა სახელფასო ფაქტორებთან ერთად, იწვევს არახელფასო ფაქტორებზე მოთხოვნის ზრდას და ზოგადად, სოციალურ გარანტიებზე მოთხოვნა მაღალია პოსტკომუნისტური ქვეყნების მოსახლეობაში. ფაქტებიდან გამომდინარე, დასაქმების არასტანდარტული ფორმების გავრცელების პერსპექტივის დასადგენად გამოკვლეულ იქნა დასაქმებულთა დამოკიდებულებები სოციალურ გარანტიებთან მიმართებით. საკითხის კვლევის მიზნით ჩამოყალიბდა მეორე ჰიპოთეზა:

H3: სამუშაო სტაჟის ხანგრძლივობა ზრდის სოციალურ გარანტიებზე მოთხოვნას.

საკითხის კონკრეტიზებისათვის რესპონდენტებს ჯერ დაესვათ კითხვა ჰქონდათ თუ არა რაიმე სახის სოციალური გარანტიები. გამოკითხულთა თითქმის 61%-ს არ ჰქონდა სოციალური გარანტიები. აქედან 5 წელზე მეტი სტაჟის მქონეთა 73% დარჩენილი იყო მსგავსი ტიპის სარგებლის მიღმა (იხ. ცხრილი 3).

## სოციალურ გარანტიებსა და სტაჟის ხანგრძლივობას შორის კროსტაბულაცია

### ცხრილი 2.

q10 გაქვთ თუ არა რაიმე სახის სოციალური (დაზღვევა, ფასიანი შვებულება და ა.შ.) გარანტიები? * q5_r სტაჟის ხანგრძლივობა დამქირავებელთან Crosstabulation				
% within q5_r სტაჟის ხანგრძლივობა მიმდინარე დამქირავებელთან				
		q5_r სტაჟის ხანგრძლივობა მიმდინარე დამქირავებელთან		Total
		5 წელი ან ნაკლები	5 წელზე მეტი	
q10 გაქვთ თუ არა რაიმე სახის სოციალური (დაზღვევა, ფასიანი შვებულება და ა.შ.) გარანტიები?	0 არა	57.3%	73.1%	60.9%
	1 დიახ	42.7%	26.9%	39.1%
Total		100.0%	100.0%	100.0%

ერთ წლამდე ხანგრძლივობით დასაქმებულთა 96% მიიჩნევს, რომ სოციალური გარანტიების არსებობა მნიშვნელოვანია, მოლოდ 4% ამბობს, რომ ის ნაკლებად მნიშვნელოვანია. ერთიდან სამ წლამდე ხანგრძლივობით დასაქმებულებში 5% მიიჩნევს, რომ საერთოდ არ აქვს მათთვის მნიშვნელობა მსგავსი ტიპის გარანტიების არსებობას. სხვა შემთხვევებში პროპორციები შენარჩუნებულია. მიუხედავად სტაჟისა, გამოკითხულთა უმრავლესობისთვის სოციალური გარანტიების არსებობა დასაქმების პროცესში მნიშვნელოვანია (იხ. ცხრილი 4).

**სოციალური გარანტიების და სტაჟის ხანგრძლივობის ურთიერთმიმართება ცხრილი 3.**

q26 დასაქმების პროცესში რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური გარანტიების არსებობა?	ერთ წლამდე	1-3 წელი	3-5 წელი	5 წელზე მეტი	10 წელზე მეტი
მნიშვნელოვანია	96	95	96	100	95
ნაკლებად მნიშვნელოვანია	4		4		2
არ არის მნიშვნელოვანი		5			2

პირსონის კორელაციის კოეფიციენტით შემოწმდა აღნიშნული ჰიპოთეზა (H3): სამუშაო სტაჟის ხანგრძლივობა ზრდის სოციალურ გარანტიებზე მოთხოვნას (Pearson’s R =0.535). კოეფიციენტით დადასტურდა ცვლადებს შორის კავშირი და დადგინდა, რომ ნებისმიერი სამუშაო სტაჟის მქონე დასაქმებულისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დასაქმების პროცესში სოციალური გარანტიების არსებობას. სხვადასხვა სახის დახმარებების მიღების და სახელმწიფოზე დამოკიდებულების ისტორიული მესხიერება შესაძლებელია სწორედაც რომ გახდეს საქართველოში დასაქმების არასტანდარტული ფორმების (უფრო მეტად ნეგატიური ფორმების) გავრცელების ხელისშემშლელი ფაქტორი.


შრომის ბაზრის გაუმართავ ფუნქციონირებაზე მიგვითითებს მეორადი და არასრული დასაქმების მაღალი დონე.

მეორადი დასაქმების კვლევის მიზნით რესპონდენტებს დაესვათ კითხვა რამდენიმე დამსაქმებელთან მუშაობის მიზეზის შესახებ. აღმოჩნდა, რომ მეორადი დასაქმების უმთავრესი მიზეზი ძირითად სამუშაო ადგილზე შემოსავლების სიმცირეა (74,35%), ასევე მნიშვნელოვან ფაქტორთა რიცხვს მიეკუთვნება პირველადი სამუშაოს არასტაბილური ხასიათი

(21,3%), რის გამოც დასაქმებულები თავის დაზღვევის მიზნით ცდილობენ ჰქონდეთ პარალელურად სხვა სამსახური.

**პასუხების კონფიგურაცია კითხვაზე: მეორადი დასაქმების მიზეზები**

**დიაგრამა 5.**



სამუშაოთი კმაყოფილებასა და მეორად დასაქმებას შორის კროს-ტაბულაცია

**ცხრილი 4.**

q28_r კმაყოფილი ხართ თქვენი სამუშაოთი? * q2_r ერთ დამსაქმებელთან მუშაობთ? Crosstabulation				
% within q2_r ერთ დამსაქმებელთან მუშაობთ?				
		q2_r ერთ დამსაქმებელთან მუშაობთ?		Total
		1.00 დიახ	2.00 არა	
q28_r კმაყოფილი ხართ თქვენი სამუშაოთი?	0 არა	21.9%	34.5%	23.7%
	1 დიახ	78.1%	65.5%	76.3%
Total		100.0%	100.0%	100.0%

ჰიპოთეზა H4: სამუშაოთი კმაყოფილების ზრდა ამცირებს მეორადი დასაქმების მასშტაბებს შემონმდა პირსონის კოეფიციენტით (Pearson's R =-0.105), ცვლადებს შორის კავშირი დადასტურდა. რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ მეორადი დასაქმება გამოწვეულია არა პოზიტიური, არამედ ნეგატიური ფაქტორებით.

იგივე პრინციპით დავაჯგუფეთ ფაქტორები და გავაერთიანეთ სამუშაოთი კმაყოფილების ჯგუფში, მათი გავლენის შესასწავლად არასრულ დასაქმებაზე. ჩამოვყალიბეთ ჰიპოთეზა:

H5: სამუშაოთი კმაყოფილების ზრდა ამცირებს არასრული დასაქმების მასშტაბებს.

დასაქმებულთა 65%, რომლებიც კმაყოფილი არიან საკუთარი სამუშაოთი, თანახმა არიან იმუშაონ უფრო მეტი, მეტი ანაზღაურების სანაცვლოდ, 35% კი არ შეეცვლიდა სამუშაო დროს ანაზღაურების მიუხედავად. ამავდროულად, უკმაყოფილო დასაქმებულთა 84% იმუშავებდა მეტს, თუ მათი ანაზღაურება გაიზრდებოდა.

**არასრული განაკვეთით მომუშავეთა სამუშაოთი კმაყოფილების დონე**

**ცხრილი 5.**

q17 არასრული სამუშაო განაკვეთით მუშაობის შემთხვევაში: * q28_r კმაყოფილი ხართ თქვენი სამუშაოთი?		
	დიახ	არა
არ შეეცვლიდი ჩემს სამუშაო დროს ანაზღაურების ზრდის მიუხედავად	34.9	16.2
ვიმუშავებდი უფრო მეტს, მეტი ანაზღაურების მიზნით	65.1	83.8

**პასუხების განაწილება კითხვაზე: არასრული სამუშაო განაკვეთით მუშაობის შემთხვევაში შეეცვლიდნენ თუ არა სამუშაო დროს**

**ცხრილი 6.**

q17 არასრული სამუშაო განაკვეთით მუშაობის შემთხვევაში:					
		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	0 არ შეეცვლიდი ჩემს სამუშაო დროს ანაზღაურების ზრდის მიუხედავად	88	20,1	30,1	30,1
	1 ვიმუშავებდი უფრო მეტს, მეტი ანაზღაურების მიზნით	204	46,6	69,9	100,0
	Total	292	66,7	100,0	
Missing	-7	146	33,3		
Total		438	100,0		

დადგინდა, რომ სამუშაოთი კმაყოფილებასა და არასრული დასაქმების მასშტაბებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულებაა, თუმცა კავშირი უარყოფითად სუსტია (Pearson's R=-0.177).

როგორც კვლევით ირკვევა, არასრული დასაქმების მიმართ ინტერესი დაბალია. არასრული დასაქმების ფორმით მომუშავე ადამიანების 70 %-ს უნდა იმუშაოს უფრო მეტი დროით – შესაბამისი ანაზღაურების მიღებით, ვიდრე ამჟამად არის დასაქმებული. მხოლოდ 30% იმუშაებდა უფრო მეტს, ვიდრე მიმდინარე პერიოდში მუშაობს. შეიძლება დავასკვნათ, რომ არასრული დასაქმება გამოწვეული ობიექტური რეალობით – დაბალი შემოსავლების მიზეზით და არა დასაქმებულთა სურვილით. შედეგად, ჰიპოთეზა H5: სამუშაოთი კმაყოფილების ზრდა ამცირებს არასრული დასაქმების მასშტაბებს, დადასტურდა.

### დასკვნები და რეკომენდაციები

ეროვნული შრომის ბაზრის არსებული მდგომარეობის შესწავლის და შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული ემპირიული მასალის ანალიზით, ჰიპოთეზების ჩამოყალიბებისა და შემოწმების შედეგად გაკეთებულია ძირითადი დასკვნები:

- ადამიან-კაპიტალი გავლენას ახდენს სამუშაო ძალის დასაქმების შესაძლებლობების ზრდაზე, მაგრამ არ უზრუნველყოფს ეფექტიან დასაქმებას. რაც სიტუაციურ ანალიზთან ერთად დასტურდება ჩვენ მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგების ანალიზითაც. ამ მიმართულებით ჰიპოთეზების ჩამოყალიბებისა და შემოწმების შემდეგ გამოჩნდა (ჰიპოთეზა:H1), რომ სამუშაო სტაჟის, გამოცდილების და შესაბამისად ადამიან-კაპიტალის ზრდა ყოველთვის არ აისახება შემოსავლების ზრდაზე. ასევე, პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისკენ მიმართულმა ღონისძიებებმა რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილში გამოიწვია შრომის ანაზღაურების ზრდა (ჰიპოთეზა: H2). გამომდინარე აქედან, განათლება ამ ეტაპზე მხოლოდ სიგნალია დამსაქმებლისათვის გამოარჩიოს მრავალრიცხოვან კურსდამთავრებულთა შორის შესაბამისი კადრი. განათლებისა და დასაქმების სისტემებს შორის არ არსებობს ინსტიტუციური კავშირები, შედეგად არ იქმნება ინოვაციური სამუშაო ადგილები, უფასურდება მიღებული განათლება და ადამიან-კაპიტალი.

- მეორადი და არასრული დასაქმების ფორმებზე მოქმედი ფაქტორების ანალიზმა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა. არასრული და მეორადი დასაქმება ნეგატიური ეკონომიკური მოვლენებით გამოწვეული ობიექტური რეალობაა. უმრავლეს შემთხვევაში მათ არსებობას იძულებითი ხასიათი აქვს, განპირობებულია დაბალი შემოსავლებით და არა დასაქმებულთა სურვილით (ჰიპო-



თეზა H4 და H5). რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი სტაბილური სამუშაო პირობების და სათანადო შრომის ანაზღაურების არსებობის შემთხვევაში, უარს იტყობდა როგორც მეორად, ასევე არასრულ დასაქმებაზე.

- გამოცდილების არქონა ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდებისათვის შრომის ბაზარზე შესვლის წინააღმდეგ, რაც თავის მხრივ უკავშირდება სტაჟირების პროგრამის არაეფექტიან ფუნქციონირებას. მეორე მხრივ, ვაკანტური სამუშაო ადგილების გამოცხადებისას დამსაქმებლის გაუაზრებლად და დაუსაბუთებლად გაცხადებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო ძალის ამ სეგმენტს ხელოვნურ ბარიერს უქმნის შრომის ბაზარზე ადაპტირებისთვის.

- არასტანდარტული დასაქმების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, დისტანციური დასაქმება გლობალური პანდემიის პირობებში მოსახლეობის ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების შრომითი საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. ამავდროულად, მისი გავრცელება საქართველოში ერთგვარად „იძულებით“ ხასიათს ატარებს და ეს არ არის დასავლეთში აპრობირებული სტანდარტული დასაქმების ფორმების არასტანდარტულით ჩანაცვლების ევოლუციური გზა. ფაქტობრივად, პროცესი კოვიდ 19-ის პანდემიის გავლენით რევოლუციური გზით განვითარდა. როგორც ემპირიულმა კვლევამ აჩვენა, დისტანციური დასაქმების ლეგალური ბაზარი ზრდის ტენდენციით ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: მონაწილეების რაოდენობა, ბრუნვისა და პროექტების მოცულობა, პროფესიული ნიშანი, ასაკობრივი ზღვარი, დაბალკონკურენტუნარიანი ფენების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობა, რეგიონული დისბალანსის დაძლევა, ბიზნესის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება.

- გამოიკვეთა მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ ნებისმიერი სამუშაო სტაჟის მქონე დასაქმებულისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დასაქმების პროცესში სოციალური გარანტიების არსებობას. სხვადასხვა სახის დახმარებების მიღების და სახელმწიფოზე დამოკიდებულების ისტორიული მესხიერება შესაძლებელია სწორედაც რომ გახდეს საქართველოში დასაქმების არასტანდარტული ფორმების (უფრო მეტად ნეგატიური ფორმების) გავრცელების ხელისშემშლელი ფაქტორი.

- გადასაჭრელი საკითხების ერთობლიობამ ნათლად დაგვანახა შრომის ბაზრის თვითრეგულირების უნარის შეზღუდულობა, რამაც სახელმწიფოს წინაშე სრული, ეფექტიანი, თავისუფლად არჩევადი სამუშაო ადგილებისა და ღირსეული დასაქმების შესაძლებლობების შექმნის ამოცანა დააყენა.

- ნაშრომში მიღებული ძირითადი დასკვნები საშუალებას გვაძლევს ჩამოვყალიბოთ შრომის ბაზრის მდგომარეობის გაუმჯობესების მისაღწევად გარკვეული რეკომენდაციები:

- აუცილებელია შრომის ბაზრის რეგულირების პროცესში, უცხოურ გამოცდილებასთან ერთად, გათვალისწინებულ იქნეს ეროვნული შრომის ბაზრის თავისებურებები. მნიშვნელოვანია დასაქმების პოლიტიკის მოქნილობა და სწრაფი მისადაგება (რეაგირება) შეცვლილ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან.

- რეგულირების მაკროეკონომიკური საშუალებების გამოყენებით სახელმწიფომ შრომის ბაზრის ფუნქციონირების მიმართულებები უნდა შეცვალოს იმგვარად, რომ აღმოფხვრილ იქნეს უკვე გამოვლენილი პრობლემები, შემცირდეს მათი უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური შედეგები, მოხდეს ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელშემშლელი პირობების პრევენცია.

- ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით და მათი სტიმულირებისათვის საგულისხმოა სტაჟირების პროგრამის ეფექტიანი ფუნქციონირება, შრომის ბაზარზე კონკურენტული და სამართლიანი გარემოს შენარჩუნება. რაც მიღწევადი გახდება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფით და დამქირავებელთა დამოკიდებულებების და სტერეოტიპების ცვლილებით.

- დასაქმებულთა ღირსეული შრომის პირობების უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხების დროულად გადაჭრა.

- არასტანდარტული დასაქმების ფორმების გავრცელების საპასუხოდ, საჭიროდ მიგვაჩნია საკანონმდებლო დონეზე ცვლილებების განხორციელება შეძლებისდაგვარად მოკლე დროში. ამ ეტაპზე შრომით კანონმდებლობაში არ არის ჩანანერი არასტანდარტულ დასაქმების ფორმებთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვისა და ღირსეული შრომის პირობების უზრუნველსაყოფად, შრომითი ხელშეკრულება უნდა აზუსტებდეს დასაქმების ფორმას და განსაზღვრავდეს კონკრეტული ფორმის შესაბამის სამუშაო პირობებს.

### ლიტერატურა:

- ბედიანაშვილი და სხვ. (2021) სამენარმო აქტიურობის განვითარება, შრომის ბაზარი და უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები. გლობალიზაცია და ბიზნესი #12, თბილისი.

- ლობჯანიძე მ. (2022). კოვიდ-19 პანდემიის გავლენა სასწავლო მიგრაციაზე და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კოვიდ-19-ის პანდემია და ეკონომიკა“ მასალების კრებული.
- მექვაბიშვილი ე. (2016). სალექციო კურსი „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“, თსუ, გვ.8-25.
- პაპავა ვ. (2020). ეკონომიკურ მეცნიერებასა და ეკონომიკურ პოლიტიკაში კორონომიკის ასახვის შესახებ. გლობალიზაცია და ბიზნესი #10, 15-24, თბილისი.
- სილაგაძე ა. (2022). თანამედროვე გლობალური ეკონომიკური ტენდენციები: გარდამავალი ეკონომიკები კოვიდდეპრესიის პირობებში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 16, #3, თბილისი
- ჩიქობავა მ. (2021). წამყვანი ცენტრალური ბანკების ანტიკრიზისული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე. გლობალიზაცია და ბიზნესი #12. თბილისი.
- ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ. (2021). შრომის ბაზარი და არაფორმალური დასაქმების თავისებურებები გლობალური პანდემიის პირობებში. გლობალიზაცია და ბიზნესი #12, 123-132.
- Appelbaum E. (1979). “Post-Keynesian Theory: The Labor Market, Challenge”. vol. 21, issue 6 <https://www.jstor.org/stable/40719703> (ბოლო ნახვა 2023, მაისი).
- Banerjee Vinayak Abhijit., Duflo E. (2012). “Poor Economics: A Radical Rethinking of the Way to Fight Global Poverty”. New York: Public Affairs, 5-17. <https://paxmongolicadotorg.files.wordpress.com/2019/11/poor-economics-a-radical-rethinking-of-the-way-to-fight-global-poverty-by-abhijit-v-banerjee-and-esther-duflo-pdf.pdf> (ბოლო ნახვა 2023, მაისი).
- Fei John, Ranis Gustav (1964). “Development of the Labour Surplus Economy: Theory and Policy”. Homewood: Irwin, 407-409. <https://academic.oup.com/ej/article-abstract/77/306/346/5235643> (ბოლო ნახვა 2023, მაისი).
- Hansen, A.H. (1953) A Guide to Keynes. McGraw-Hill Book Company, New York. <http://bibliotecadigital.econ.uba.ar/download/Pe/113918.pdf> (ბოლო ნახვა 2023, მაისი).
- Kakulia N. (2017). The Characteristics of Transformation of Institutional Changes and Georgia. Journal of Economics and Management Engineering, 1(5), pp.1159-1161.
- Kharashvili E. et al. (2023). “Challenges and Opportunities for Promoting Sustainable Development in Small and Medium-Sized Enterprises(Case of Georgia)”. Medicon Agriculture & Environmental Sciences 4.5, pp.5-15.
- Lewis W. A. (1954). “Economic Development with Unlimited Supplies of Labour”. The Manchester School.
- [https://www.jstor.org/stable/27853709?searchText=&searchUri=&ab\\_segments=&searchKey=&refreqid=fastly-default%3A04e7cad02a48345f7d739fae112ec755](https://www.jstor.org/stable/27853709?searchText=&searchUri=&ab_segments=&searchKey=&refreqid=fastly-default%3A04e7cad02a48345f7d739fae112ec755) (ბოლო ნახვა 2023, მაისი).
- Myrdal Gunnar (1968). “Asian Drama: An Inquiry into the Poverty of Nations”. Vol. 1-3, NY, [https://www.jstor.org/stable/41981674?searchText=&searchUri=&ab\\_seg-](https://www.jstor.org/stable/41981674?searchText=&searchUri=&ab_seg-)

ments=&searchKey=&refreqid=fastly-default%3A8038c1b9515b1ede2fd38699a2c-3ba5f&seq=7 (ბოლო ნახვა 2023, მაისი).

- Schumpeter J.A. (1934). The Theory of Economic Development: An Inquiry into Profits, Capital, Credits, Interest, and the Business Cycle. Transaction Publishers, Piscataway. <https://www.researchgate.net/publication/> (ბოლო ნახვა 2023, მაისი).
- Schultz W. Theodore (1961). "Investment in Human Capital: The Role of Education and of Research". The American Economic Review, Vol. 51, No.1, 3-17. <https://www.jstor.org/stable/1818907>(ბოლო ნახვა 2023, მაისი).
- Standing G. (2017). Basic Income: And How We Can Make It Happen. London: Pelical. <https://www.rentabasicuniversal.es/wp-content/uploads/2018/09/> (ბოლო ნახვა 2023, მაისი).
- Tkemaladze I. (2017). Effective Employment as an Important Factor for Increasing Inclusive Economic Growth and Living Standards. Journal of International Economic Research, ISSN 2500-965 Volume 3, No. 1.
- Tukhashvili M. (2018). Retrospective Comprehension of Post-Soviet Georgia's Population Migration, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences 12(1):175-182.

## References:

- BedianaSvili G. et al., (2021). sametsarneo sakmianobis ganvitareba, shromis bazari da umaghlesi ganatlebis tanamedrove gamotsvevebi. [Development of Entrepreneurial Activity, Labor Market and Modern Challenges of Higher Education, Globalization and Business #12, Tbilisi.] in Georgian
- Lobzhanidze M. (2022). Covid-19-is pandemiis gavlena saganmanatleblo migratsiaze da mis sotsialur-ekonomikur shedegebze. [The Impact of the Covid-19 Pandemic on Educational Migration and Its Socio-Economic Consequences. Collection of Materials of the International Scientific Conference Dedicated to the 100th Anniversary of the University "Covid 19 Pandemic and Economy".] in Georgian
- Mekvabishvili E. (2016). saleksio kursi "tanamedrove ekonomikuri teoriebi". ["Modern Economic Theories", Course of lectures, TSU: pp. 8-25.] in Georgian
- Papava V. (2020). ekonomikur metsnierebashi da ekonomikur politikashi koronomikis asakhvis shesakheb. ["On the Reflection of Coronomics in Economic Science and Economic Policy". Globalization and Business 10: pp.15-24.] in Georgian
- Silagadze A. (2022). tanamedrove globaluri ekonomikuri tendentsiebi: gardamavali ekonomikebi Covid-19-is depresiis pirobebshi. [Contemporary Global Economic Trends: Transitional Economies during Covid-Depression. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 1 6, no. 3, Tbilisi.] in Georgian
- Chikobava M. (2021). tsamqvani tsentraluri bankebis antikrizisuli politika tanamedrove etapze. [The Anti-Crisis Policy of the leading Central Banks at the Modern Stage. Globalization and Business #12. Tbilisi.] in Georgian

- Tsartsidze M., Latsabidze N. (2021). shromis bazari da arapormaluri dasakmebis taviseburebebi globaluri pandemiis pirobebshi. [Labour Market and Peculiarities of Informal Employment in the Context of the Global Pandemic. Globalization and Business. #12, pp.123-132, Tbilisi.] in Georgian
- Appelbaum E. (1979). "Post-Keynesian Theory: The Labor Market, Challenge". vol. 21, issue 6. <https://www.jstor.org/stable/40719703> (Last seen 2023, May).
- Banerjee V. A., Duflo E. (2012). "Poor Economics: A Radical Rethinking of the Way to Fight Global Poverty". New York: Public Affairs, pp.5-17. <https://paxmongolicadotorg.files.wordpress.com/2019/11/> (Last seen 2023, May).
- Fei J., Ranis G. (1964). "Development of the Labour Surplus Economy: Theory and Policy". Homewood: Irwin, pp.407-409. <https://academic.oup.com/ej/article-abstract/77/306/346/5235643> (Last seen 2023, May).
- Hansen, A.H. (1953) A Guide to Keynes. McGraw-Hill Book Company, New York. <http://bibliotecadigital.econ.uba.ar/download/Pe/113918.pdf> (Last seen 2023, May).
- Kakulia N. (2017). The Characteristics of Transformation of Institutional Changes and Georgia. Journal of Economics and Management Engineering, 1(5), 1159-1161.
- Kharashvili E. et al. (2023). "Challenges and Opportunities for Promoting Sustainable Development in Small and Medium-Sized Enterprises (Case of Georgia)". Medicin Agriculture & Environmental Sciences 4.5 pp.5-15.
- Lewis W. A. (1954). "Economic Development with Unlimited Supplies of Labour". The Manchester School. [https://www.jstor.org/stable/27853709?searchText=&searchUri=&ab\\_segments=&searchKey=&refreqid=fastly-default%3A04e7cad02a48345f7d739fae112ec755](https://www.jstor.org/stable/27853709?searchText=&searchUri=&ab_segments=&searchKey=&refreqid=fastly-default%3A04e7cad02a48345f7d739fae112ec755) (Last seen 2023, May).
- Myrdal Gunnar (1968). "Asian Drama: An Inquiry into the Poverty of Nations". Vol. 1-3, NY, <https://www.jstor.org/stable/41981674?> (Last seen 2023, May).
- Schumpeter J.A. (1934). The Theory of Economic Development: An Inquiry into Profits, Capital, Credits, Interest, and the Business Cycle. Transaction Publishers, Piscataway. <https://www.researchgate.net/publication/> (Last seen 2023, May).
- Schultz W. Theodore (1961). "Investment in Human Capital: The Role of Education and of Research". The American Economic Review, Vol. 51, No.1, pp.3-17. <https://www.jstor.org/stable/1818907> (Last seen 2023, May).
- Standing G. (2017). Basic Income: and how We Can Make It Happen. London: Peltical. <https://www.rentabasicuniversal.es/wp-content/uploads/2018/09/> (Last seen 2023, May).
- Tkemaladze I. (2017). Effective Employment as an Important Factor for Increasing Inclusive Economic Growth and Living Standards. Journal of International Economic Research, ISSN 2500-965 Volume 3, No. 1.
- Tukhashvili M. (2018). Retrospective Comprehension of Post-Soviet Georgia's Population Migration, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences 12(1). pp.175-182.

## **Modern Labor Market in Georgia – Challenges and Solutions**

***Irma Tkemaladze***

*Doctor of Economics, Invited lecture  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Irma.tkemaladze@tsu.ge*

In today's labor market, it is crucial to understand the relationship between education, work experience, and professional skills in order to ensure effective employment. This article aims to investigate the impact of measures aimed at improving these aspects on the employment landscape. By analyzing the correlation coefficient, specifically Pearson's coefficient, we can determine their influence on effective employment. Furthermore, we will identify factors that hinder career progression and create barriers for new entrants to the job market. Additionally, we will explore the prevalence of non-standard employment forms and their potential for growth. Extensive research on the current labor market situation has shed light on the factors that impede career advancement and create artificial barriers for newcomers. Moreover, we have identified the factors influencing secondary and incomplete employment. In this article, we will delve into the scale of non-standard employment in the labor market and investigate its future prospects.

Several working hypotheses were formulated and tested to gain a deeper understanding of the subject matter. The first hypothesis (H1) posits that "increasing work experience affects earnings growth." Through examination, we discovered that accumulated human capital from work experience does enhance employment opportunities but does not guarantee effective employment.

The second hypothesis (H2) explores the impact of measures aimed at improving professional skills on wage increases. The findings indicate that while such measures did lead to wage growth for a small portion of respondents, it is clear that education, at this stage, primarily serves as a signal to employers in the selection process rather than creating institutional connections between education and employment systems. This lack of connection ultimately devalues education and human capital, limiting the creation of innovative job opportunities.

The third hypothesis (H3), which has been confirmed through our research, explores the correlation between the length of work experience and the demand for social guarantees. This hypothesis specifically aims to assess the potential for the proliferation of non-standard forms of employment. It is paramount to acknowledge that the provision of social guarantees within the employment pro-



cess holds significant importance for employees with substantial work experience. Consequently, our research has led us to a crucial conclusion: the historical memory of receiving diverse forms of assistance and the reliance on the state can pose as significant obstacles to the widespread adoption of non-standard employment arrangements, particularly those with more negative connotations, within the context of Georgia.

Our analysis of the factors influencing secondary and incomplete employment has yielded significant insights. We have determined that these forms of employment are often a result of negative economic events. Most individuals engage in such employment out of necessity, driven by low incomes, rather than by choice (H4 and H5). The majority of respondents expressed a willingness to abandon secondary and part-time employment if provided with stable working conditions and adequate remuneration.

Our research has highlighted the barriers faced by young individuals seeking to enter the labor market. Insufficient work experience, largely due to the ineffective functioning of internship programs, often hampers their ability to secure employment. Additionally, employers' ill-considered and unsubstantiated qualification requirements for vacant positions create artificial barriers for this segment of the labor force to adapt to the job market.

Based on the findings of this study, we have formulated several recommendations to improve the labor market situation. It is crucial to establish stronger connections between education and employment systems, fostering innovation and creating more opportunities for job seekers. Furthermore, internships should be redesigned to provide young individuals with practical experience and enhance their employability. Employers should also reassess their qualification requirements to ensure they accurately reflect the needs of the job and do not unnecessarily exclude qualified candidates.

In conclusion, by understanding the interplay between education, work experience, and professional skills, we can enhance employment effectiveness. By addressing the identified challenges and implementing the recommended improvements, we can create a more inclusive labor market that offers better opportunities for individuals to achieve meaningful and effective employment.

**Keywords:** Labor market regulation, Macroeconomic policy, Effective employment, Overtime work, Human capital.

**JEL Codes:** J40, J41, J45, J49

## ინოვაციების გენერირებისა და წარმატებული კომერციალიზაციის მიღვომა განვითარებადი ბაზრებისთვის (საქართველოს მაგალითზე)

### ეკა გეგეშიძე

პროფესორი  
საქართველოს უნივერსიტეტი  
e.gegeshidze@ug.edu.ge

### ქეთევან ღომინეიშვილი

დოქტორანტი  
საქართველოს უნივერსიტეტი  
keti\_lomineishvili@yahoo.com

თანამედროვე საზოგადოებაში ინოვაციების ხორცი ყოველდღიურად იხილება. ინოვაციები, თავის მხრივ, ექსპედიმენტებს, ცდისა და შეცდომის მეთოდის მუდმივ გამოყენებას ეფუძნება. სტატიაში გაანალიზებულია ექსპედიმენტის მნიშვნელობა სხვადასხვა მოდელის საფუძველზე.

ინოვაციების ნამდვირი ღირებულება კომეხციალიზაციით იქმნება (Schendel & Hill / 2007). ნაშრომში წახმოგენილია ინოვაციების კომეხციალიზაციის ინსტრუმენტები, მეთოდები და მოდელები.

სტატიაში ასევე დეტალურადაა განხილული ინოვაციების წახმოგებული კომეხციალიზაციის ინსტრუმენტები აშშ-სა და ჩინეთის მაგალითზე.

ნაშრომში განხილულია ინოვაციების კომეხციალიზაციის ოდები-ხენკო & შველიუგას (2017) სამეგაპიანი მოდელი, კადვერის (2019) „ხვა საფეხური ინოვაციების კომეხციალიზაციისთვის“, ასევე ინფომატიური ტექნოლოგიების სფეხოში ინოვაციების კომეხციალიზაციის ხუთეგა-პიანი მოდელი.

სტატიაში გაანალიზებულია ავტოხების მიეხ საქართველოს ცყავის ინდუსტრიაში ჩატახებული ხაოდენობიხივი კვლევის შედეგები, ხომდის მიზანს წახმოგენდა ცყავის ინდუსტრიაში ჩახთული მეწახიმე-სუბი-ექტების ინოვაციუხ აქტივობაში ჩახთულობის მაჩვენებდის დადგენა, მათი მზაობის დონის შეფასება ინოვაციუხი პოცესების სამახთავად; ცყავის ინდუსტრიაში ინოვაციების კომეხციალიზაციის დონის გან-საზღვხა, ინოვაციების კომეხციალიზაციის პოცესში წახმოქმნიდი გამოწვევების დადგენა, ძიხითადი ხედისშემშდელი და ხედშემწყობი ფაქ-ტოხების გამოვდენა.

ნაშრომი სხუდდება ჩვენ მიეხ ჩატახებული კვლევის საფუძველზე მიღებული დასკვნებითა და ხეკომენდაციებით.

**საკვანძო სიყვები:** ინოვაციები, ინოვაციების გენეხიხება, ექ-სპედიმენტები, კომეხციალიზაცია, ინოვაციების კომეხციალიზაცია.

## შესავალი

ინოვაციები ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. ინოვაციების დანერგვა, ფაქტობრივად, ყველა სფეროში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება; დღესდღეობით კომპანიის არსებობა შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, თუ ისინი საკმარისად ინოვაციურები არ იქნებიან და ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესს წარმატებით ვერ წარმართავენ.

თანამედროვე საზოგადოება ვითარდება ინოვაციების საფუძველზე, რაც ტექნოლოგიურ რევოლუციებს იწვევს, ხოლო ექსპერიმენტები კრეატიულობისა და ინოვაციების მთავარი ფაქტორია. ექსპერიმენტები ინოვაციების აუცილებელი პირობაა. მზარდი, ევოლუციური ტიპის ინოვაციაც ექსპერიმენტების შედეგად მიიღწევა. უმთავრესი ცდისა და შეცდომის მეთოდის მუდმივი, პერმანენტული გამოყენებაა. სტატიში წარმოდგენილი მოდელები ექსპერიმენტების მნიშვნელობას გამოკვეთს და ინოვაციური პროცესების წარმატებით სამართავად ცდისა და შეცდომის მეთოდის მუდმივი გამოყენების აუცილებლობას უსვამს ხაზს.

გარემოსთან ადაპტაციისა და ცვლილებების განხორციელების უნარი გადამწყვეტია ორგანიზაციის არსებობის შენარჩუნებისათვის. თანამედროვე სამყაროში კომერციალიზაცია ორგანიზაციისთვის როგორც გადარჩენის, ასევე ბაზარზე წარმატების მოპოვების საშუალებაა. ინოვაციების კომერციალიზაცია გულისხმობს მეცნიერული აღმოჩენებისა და გამოგონებების საბაზრო პროდუქტებად და სერვისებად გადაქცევის პროცესს (Mohannak & Samtani, 2014). „მეცნიერების კომერციალიზაცია – ეს არის მეცნიერული კვლევის შედეგად მიღებული პროდუქტის ბაზარზე გატანის და მისგან დამატებული ღირებულების ე.წ. add-value-ს მიღების პროცესი“ (გეგეშიძე 2020, 50).

ორგანიზაციები ახალი პროდუქტის – საქონლისა და სერვისის კომერციალიზაციის გზით შემოსავალს, ფინანსურ სარგებელს იღებენ, ინარჩუნებენ კონკურენტუნარიანობას ბაზარზე და ყველაზე წარმატებული ფირმები კი კონკურენტული უპირატესობის მოპოვებასაც ახერხებენ.

### **ექსპერიმენტები, როგორც ინოვაციების საფუძველი**


ინოვაციების საფუძველი ექსპერიმენტები, ცდისა და შეცდომის მეთოდის მუდმივი გამოყენებაა. ექსპერიმენტების შედეგად მიიღება ახა-

ლი ინფორმაცია, ახალი ცოდნა; ექსპერიმენტი ამცირებს გაურკვევლობის დონეს; საარელაინენიმ, 2018 წელს, ნაშრომში – „რატომ არ არსებობს ინოვაცია ექსპერიმენტების გარეშე“ (“Why there’s no innovation without experimentation”) შემოგვთავზა ექპერიმენტების და დროის გავლენა ინოვაციაზე, რომლის მიხედვით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ექსპერიმენტების და დაგეგმვის საფუძველზე გაურკვევლობა მცირდება (Saarelainen / 2018).

### ექსპერიმენტის გავლენა

ექსპერიმენტებს მოაქვს ხელშესახები შედეგები ბიზნესპროცესების სანყისი ეტაპიდანვე, როდესაც ჯერ კიდევ შესაძლებელია ოპერაციების მიმართულების ცვლილების სწრაფად განხორციელება დიდი დანახარჯების გარეშე. შესაბამისად, რაც უფრო ადრე დაიწყებენ ორგანიზაციები ექსპერიმენტებს და ამის საფუძველზე ინფორმაციის შეგროვებას, მით უფრო სწრაფად შეეძლებათ შეამცირონ გაურკვევლობის დონე და უპასუხონ გამონვევებს (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.




წყარო: Saarelainen / საარელაინენი, 2018.

თანამედროვე ბიზნესგარემო, სადაც ორგანიზაციებს უწევთ მუშაობა, სულ უფრო და უფრო მზარდი სირთულეებითა და გაურკვევლობით ხასიათდება. გამონვევებისათვის, რომელთა გამკლავებასაც კომპანიები

ცდილობენ, არ არსებობს მზა გადაწყვეტილებები. ტრადიციული მიდგომა „დაგეგმვა-მომზადება-განხორციელება“ დღეს აღარ არის საკმარისი, სხვა მეთოდებია საჭირო წარმოქმნილ სირთულეებთან და გაურკვევლობასთან გასამკლავებლად (იხ. დიაგრამა 2).


**დიაგრამა 2.**



**წყარო:** საარელაინენი, 2018.

ორგანიზაციაში ინოვაციების გუნდს არ შეუძლია მიაღწიოს წარმატებას, პროგრესი განიცადოს ექსპერიმენტების განხორციელების გარეშე, ცდისა და შეცდომის მეთოდი განვითარების წინაპირობაა. იდეა გარდაიქმნება პროდუქტად სწორედ ექსპერიმენტების შედეგად. ახალი ტექნოლოგიები, როგორცაა კომპიუტერული სიმულაცია, პროდუქტის პროტოტიპის სწრაფად შექმნის საშუალებას იძლევა. დღეს ექსპერიმენტები უფრო სწრაფად ხორციელდება და შედარებით ნაკლებდანახარჯიანია. ინოვაციების სასიცოცხლო ციკლში გაურკვევლობის დონის შემცირება სწორედ ექსპერიმენტების განხორციელების, მიღებული ცოდნის საფუძველზე ხდება. ტროტი (2017) თავის წიგნში „ინოვაციების მენეჯმენტი და ახალი პროდუქტის განვითარება“ (“Innovation management and New Product Development” (6th ed.)) გვთავაზობს ერთგვარ მოდელს თუ როგორ მცირდება გაურკვევლობის დონე ინოვაციების სასიცოცხლო ციკლში, რომელიც შედგება სწავლის, ინოვაციის და გავლენის ეტაპებისგან (იხ. ილუსტრაცია 1).

## გაურკვევლობის დონე ინოვაციების სასიცოცხლო ციკლში ილუსტრაცია 1.



**წყარო:** ტროტი, 2017.

1. სწავლის, ათვისების ეტაპი – მაღალი დონის გაურკვევლობა (Learning stage – High uncertainty) – საწყის ეტაპზე განუსაზღვრელობის დონე მაღალია, ხდება იდეისა და სამიზნე ბაზრის ტესტირება.

2. ინოვაციის ეტაპი – საშუალო დონის გაურკვევლობა (Innovation stage – Medium uncertainty) – აღნიშნულ ეტაპზე ახალი იდეები ტესტირებულია და დაწყებულია მათი განხორციელება. განუსაზღვრელობის მაჩვენებელი, დონე თანდათანობით იკლებს, შედეგზე ორიენტირებაც უფრო მარტივდება.

3. გავლენის ეტაპი – გაურკვევლობის დაბალი მაჩვენებელი – (Impact stage – Low uncertainty) – აღნიშნულ ეტაპზე ინოვაციური საქმიანობის შედეგების გაზომვა, შეფასება ხდება, მაგალითად, ბიზნესისა და პროდუქტის შეფასების მეთოდების (Business & Product metrics) გამოყენებით. აღნიშნულ სტადიაზე, რადგან გაურკვევლობის მაჩვენებელი თანდათან მინიმუმამდე მცირდება, შესაძლებელია ინოვაციურ საქმიანობაში განხორციელებული ინვესტიციების ამონაგების, სარგებლის შეფასება.

ექსპერიმენტები ინოვაციების, ახალი ღირებულებების ძიებაა. იდეების სისტემატური ტესტირება საშუალებას აძლევს კომპანიას შექმნას ახალი და დახვეწოს არსებული პროდუქცია. ბევრი დიდი კომპანია, მსგავსად მრავალი წარმატებული მცირე მენარმისა, არ ერიდება ექსპერიმენტებს, „გარდაუვალ, აუცილებელ ქაოსს განვითარებისათვის.“ (“essential chaos of development”). ისინი უდიდეს ყურადღებას აქცევენ თავიანთი



მომხმარებლების საჭიროებებსა და სურვილებს, არ ერიდებიან დეტალური ტექნიკური თუ მარკეტინგული გეგმების ცვლილებას. ნებისმიერი ინოვაცია ალბათობას უკავშირდება. არცერთ კომპანიას არ აქვს გარანტია წარმატებული ტექნიკური შედეგის და შემდგომ გარანტია იმისა, რომ პროდუქტი ბაზარზე მოთხოვნადი აღმოჩნდება. წარმატებული შედეგის მიღმა ათობით და ასობით წარუმატებელი მცდელობა და ექსპერიმენტი იმალება. „ჩვენი წარმატება ამაზონში დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენ ექსპერიმენტს ვატარებთ წელიწადში, თვეში, კვირაში, დღეში,“ აღნიშნავს ჯეფ ბეზოსი, ამაზონის დამფუძნებელი და მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი (Simmons / სიმონსი 2017).

ექსპერიმენტები გარანტირებულ წარმატებას არ გულისხმობს, ის შესაძლოა მარცხით ან წარმატებით დასრულდეს. წარუმატებლობა ხშირად შემდგომი წარმატებების საფუძველი ხდება, მარცხი საუკეთესო მასწავლებელია (Maidique & Zirger, 1985). წარმატებულ ამერიკულ კომპანია 3M-ში მიღებული მანტრია: „მარცხი კარგია.“ 3M-ში თანამშრომელს არავინ აგდებს სამსახურიდან შეცდომების დაშვების გამო, თუკი აღნიშნული შეცდომები ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქტების გამოგონების მცდელობას უკავშირდება. როგორც 3M-ში ხშირად აღნიშნავენ, ძალიან ხშირად ახალი პროდუქტის გამოგონება დაკავშირებულია „შემთხვევითობასთან, მარცხთან, შეცდომასთან“ (Farrell, 2003, 119 – 120). კომპანიას, რომელსაც სურს იყოს ინოვაციური, უნდა დაამკვიდროს ორგანიზაციული კულტურა, სადაც ექსპერიმენტების წახალისება ხდება და ექსპერიმენტები კომპანიის ყოველდღიური აქტივობის განუყოფელ ნაწილად უნდა იქცეს.

ინოვაცია ზრდის ფირმის მწარმოებლურობას. (Schreyer & Pilat 2001). მწარმოებლურობა ზომავს გამოყენებული წარმოების ფაქტორების შედეგად მიღებულ პროდუქტიულობას. მაღალი მწარმოებლურობა ზრდის ორგანიზაციის რენტაბელობას, მომგებიანობას და აუმჯობესებს ფირმის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე.

## **ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესი და მოდელები**

ინოვაცია ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი მამოძრავებელია.

კონკურენტული ინოვაციების შექმნა არაერთ სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ტექნოლოგიურ პრობლემას წყვეტს. ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესში მიღწეული წარმატება სტრატეგიული მნიშვნელობისაა ფირმებისთვის (Nerkar & Shane, 2007). ინოვაციების კომერციალიზაცია

გულისხმობს ყველა იმ აქტივობის განხორციელებას, რაც აუცილებელია ინოვაციების ბაზარზე წარსადგენად (Datta, Reed, & Jessup, 2013). ინოვაციების კომერციალიზაცია უმნიშვნელოვანესია დაინტერესებული მხარეებისთვის, რაც ფართო გაგებით, გულისხმობს პროცესს, რომელიც მოიცავს კვლევისა და განვითარების (R&D) შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტების, სერვისების ან პროცესების ბაზარზე წარდგენასა და კომერციული ეფექტის მიღებას. საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციურ საქმიანობას, დაინტერესებული არიან მათ მიერ შექმნილი ინოვაციების კომერციალიზაციით, თუმცა, ყოველთვის ვერ ხერხდება ბაზარზე წარმატების მიღწევა (Shcherbachenko & Kotenko, 2022).

ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის წარმატებას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს; ჰამიდისა და რაჰმანის (Hamid & Rahman) მიხედვით, აღნიშნული ფაქტორები შესაძლებელია განზოგადდეს მომდევნო ჩამონათვალის სახით: ორგანიზაციული რესურსები, ცოდნის მართვა (knowledge management), სტრატეგიული ორიენტაცია, ორგანიზაციული მხარდაჭერა (organizational support), კონტექსტური ფაქტორი (contextual factor), დაბოლოს, თანამშრომლობა (2014). ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის წარმატებას ასევე ხელს უწყობს ორგანიზაციის ღიაობა, მზაობა ინოვაციების მიმართ, საბაზრო შესაძლებლობების არსებობა. კულტურულ მრავალფეროვნებასა და ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყანაში, რეგიონში, ასევე შესაძლოა ჰქონდეს ძლიერი გავლენა ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის ეფექტურობაზე. ასევე აქტიურ სახელმწიფო მხარდაჭერას, რომელიც მიზნად ისახავს ახალი პროდუქტებისა და მარკეტინგული ინოვაციების ბაზარზე პრომოციას (წინ წაწევას), შეუძლია დადებითი როლი ითამაშოს ინოვაციების წარმატებულ კომერციალიზაციაში. ამასთან, არაერთი მკვლევარი გამოყოფს ორგანიზაციულ ფაქტორებს, რომლებიც კომერციალიზაციის პროცესს უწყობს ხელს: ცოდნა (ინფორმაცია), კულტურა (ორგანიზაციული კულტურა), ორგანიზაციული სტრატეგია, პორტფოლიო, პროექტების მართვის სისტემა (შჩერბაჩენკო & კოტენკო 2022).

კომერციალიზაციის ინსტრუმენტები, მეთოდები და მიდგომები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყანაში. ჩვენ, აშშ-ისა და ჩინეთის მაგალითზე განვიხილავთ ინოვაციების წარმატებული კომერციალიზაციის ინსტრუმენტები, მიდგომებს.

აშშ-ის კომერციალიზაციის ძირითადი ინსტრუმენტები, რაც გამოიყენება ინოვაციური გარემოს შესაქმნელად, შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ სქემაში – 1.

**ინოვაციების კომერციალიზაციის ინსტრუმენტები აშშ-ში**

**სქემა 1.**

ინსტრუმენტები, მიდგომები	CRM პოლიტიკა
	CMS მიდგომა
	სააქციო კაპიტალით ახლადშექმნილი პროდუქტები, მომსახურება ან კომპანიები

**წყარო:** *Atvare, Kudurs & Blumberga / ატვარე, კუდურსი & ბლუმბერგა, 2022.*

აშშ-ის კომერციალიზაციის ერთ-ერთი ინსტრუმენტია მომხმარებელბთან ურთიერთობის მართვის (CRM -Customer Relationship Management) პოლიტიკა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიებს მიიღონ და გააანალიზონ დიდი რაოდენობით მომხმარებელთა მონაცემები, რაც ასევე ხელს უწყობს ინოვაციების უფრო წარმატებულ კომერციალიზაციას. ეს ასევე განაპირობებს უფრო ეფექტურ შიდა კონტროლს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპანიების განვითარებისთვის. ტექნოლოგიების გამოყენება ასევე ზრდის მომხმარებელთა მხრიდან ლოიალურობას და მარკეტინგის უფრო ეფექტურად წარმართვას უწყობს ხელს. მარკეტინგი ეფუძნება ხუთ ძირითად ფაქტორს: პროექტის მენეჯმენტის რესურსები, საკონსულტაციო და სასწავლო მასალები, ზედა რგოლის მენეჯმენტის მხარდაჭერა და მომხმარებლების ჩართულობა. მომხმარებელბთან ურთიერთობის მართვის (CRM) სისტემა ქმნის კონკურენტულ უპირატესობას მომხმარებლებზე ორიენტირებული პროცესების მხარდაჭერით, რაც ასევე წარმოადგენს აშშ-ში კომერციალიზაციის განვითარების ერთ-ერთ ფაქტორს.

მეორე ყველაზე გავრცელებული მიდგომაა ე.წ. საკვანძო სიტყვების (Keyword Management) მენეჯმენტი (CMS), რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან მომხმარებელბთან საქმიანი ურთიერთობების ორგანიზების სტრატეგიულ და კორპორატიულ მართვას, რაც აუმჯობესებს კომერციალიზაციის პროცესს. ეს მოიცავს დამატებით ქმედებებს, რაც მიმართულია უშუალოდ ყველაზე რელევანტური მომხმარებლების მოზიდვაზე.


აშშ-ის კომერციალიზაციის სისტემა ეფუძნება ასევე სააქციო კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობას ახლადშექმნილი პროდუქტების, სერვისების ან კომპანიებისთვის. კომპანიები სხვადასხვა მასშტაბის ურთიერთთანამშრომლობით ინოვაციების გლობალიზაციას ახდენენ. ორ-

განზაციები მიღებული შემოსავლების რეინვესტირებას ახორციელებენ ახალი პროდუქტების, სერვისების შესაქმნელად, ხდება ბაზრების გაფართოება და ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ქვეყანაში არსებული ანტიმონოპოლიური რეგულაციები ბიზნესს კიდევ უფრო წაახალისებენ შექმნან ახალი იდეები, ბიზნესმოდელები და გასწიონ გონივრული რისკი კაპიტალის დაბანდებით.

აშშ-ში, 1970-იან და 1980-იანი წლების დიდი კორპორატიული რესტრუქტურზაციის შემდეგ, მსხვილი კომპანიები ფოკუსირდნენ ძირითად კომპეტენციებზე, რაც ახლადშექმნილ კომპანიებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ ინოვაციურ აქტივობაში, კონცენტრაცია მოახდინონ წარმოების კონკრეტულ ეტაპებზე. რამაც განაპირობა დღევანდელი ფრაგმენტირებული ინოვაციების ეკოსისტემის დაფინანსებისა და ქსელური ღონისძიებების შემუშავება.

აშშ-ში ინოვაციური პოლიტიკის ტრადიციული მოდელი სწრაფად გადავიდა სტარტაპებზე, ახალი პროდუქტის ინოვაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ეროვნული პოლიტიკის ძლიერი კომპონენტები, კონვენციური მოდელი ფოკუსირებულია ეროვნულ და რეგიონულ ურთიერთქმედებებზე ტექნოლოგიური კლასტერების სახით. განახლებული ინოვაციური პოლიტიკის მოდელის არსებითი ნაწილია ახალი კანონებისა და რეგულაციების ნაკრები, რომელიც ასტიმულირებს ფინანსური ინსტრუმენტების შექმნას, როგორცაა ვენჩურული კაპიტალი, რაც მოკლევადიანი ფინანსური მოგების საშუალებას იძლევა ახალი ბაზრებისთვის. რეგიონული ტექნოლოგიური კლასტერები ასევე მუშაობენ ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ფირმებისთვის პროფესიონალური მხარდაჭერის სერვისების ეკოსისტემის შემუშავებაზე. რეგიონული ტექნოლოგიური კლასტერები იკვლევენ ახალი პროდუქტის ბაზარზე წარუმატებლობის მიზეზებს, სწავლობენს ახალი პროდუქტის ინოვაციასთან დაკავშირებულ სოციალურ და საინფორმაციო ქსელებში წარმოქმნილ გამოწვევებს. აღნიშნული რეგიონული კლასტერები აფინანსებს საბაზისო და გამოყენებით კვლევებს, კვალიფიციური მკვლევარებისა და ინჟინრების სწავლებას, უზრუნველყოფს ინტელექტუალურ საკუთრების უფლების დაცვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიური სტარტაპებისთვის და ადგენს კონკურენციის წესებს, რომელიც ხსნის ბაზარს ახალი მსურველებისთვის.


## აშშ-ის კომერციალიზაციის მოდელის უპირატესობები ილუსტრაცია 2.



წყარო: ატვარე, კუდურსი & ბლუმბერგა, 2022.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მონაცემებით, აშშ-მა მსოფლიოს ყველაზე ინოვაციური ქვეყნების ჩამონათვალში მეორე პოზიცია დაიკავა (იხ. ილუსტრაცია 3)

## მსოფლიოს ყველაზე ინოვაციური ქვეყნები 2022 წელს ილუსტრაცია 3.



წყარო: [www.statista.com](http://www.statista.com)

ინოვაციების წარმატებული კომერციალიზაციის კიდევ ერთი მაგალითია ჩინეთი, რომლის ინოვაციური პოტენციალი დინამიკურად იზრდება და ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად მაღალი იყო, ვიდრე ევროკავშირში 2008-2018 წლებში, რაც მიუთითებს კონვერგენციის პროცესზე.

გლობალური ეკონომიკა ამაჰამად განიცდის სტრუქტურულ ცვლილებას, მაღალი და საშუალო დონის ტექნოლოგიების ინდუსტრიების გადატანით განვითარებად ქვეყნებში, ძირითადად ჩინეთში. განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებმა მიაღწიეს მნიშვნელოვან პროგრესს ინოვაციებში, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნები ცოდნის კონკურენტული უპირატესობის დაკარგვის რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ. ჩინეთის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორებია: მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) პოლიტიკა, ახალი ინოვაციური კლასტერების შექმნა, ადამიანკაპიტალის განვითარება მომხმარებლებთან უკეთესი კომუნიკაციის გზით და ტექნოლოგიის საერთაშორისო გავრცელება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით

**ინოვაციების კომერციაღიზაციის ინსტრუმენტები ჩინეთში**

**სქემა 2.**

ინსტრუმენტები, მიდგომები	STI პოლიტიკა (მეცნიერება, ტექნოლოგია და ინოვაცია)
	ახალი ინოვაციური კლასტერები
	ადამიან-კაპიტალის განვითარება, მომხმარებლებთან მიდგომა
	ტექნოლოგიების საერთაშორისო გავრცელება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით

**წყარო:** Atvare, Kudurs & Blumberga / ატვარე, კუდურსი & ბლუმბერგა, 2022.

ჩინეთის განვითარების, კომერციაღიზაციის წარმატების მთვარი განმაპირობებელი ფაქტორი ინოვაციური კლასტერების შექმნაა, რაც წარმოადგენს გეოგრაფიულად ლოკალიზებულ ქსელებს ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, მომწოდებლების, სერვისის პროვაიდერებისა და შესაბამისი ინსტიტუტების (როგორცაა უნივერსიტეტები, სტანდარტების დამდგენი სააგენტოები და სავაჭრო ასოციაციები), რომლებიც ქმნიან რეგიონული და დარგობრივი ინოვაციების სისტემის საერთო ელემენტს. ჩინეთში, კვლევებში ინოვაციების ძლიერი კონცენტრაცია განსაკუთრებით იგძნობა ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონში, მნიშვნელოვანი რეგიონული ინსტიტუტების მხარდაჭერის გამო, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების დაფინანსებას, ასეთი ინსტიტუტებია ბეიჯინგის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომისია,



შანხაის მუნიციპალური მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომისია და გუანგდონგის პროვინციის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი. აღსანიშნავია, რომ ამ კომისიების მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობა.

კვლევები აჩვენებს, რომ ჩინეთში დახურული ინოვაციური პროცესების მომხრე კომპანიები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც ეფუძნება ე.წ. გუანქსის მიდგომას (guanxi approach), რომლის საფუძველია ურთიერთნდობა და ერთგულება. ამგვარი თანამშრომლობის სტილი წარმოადგენს ჩინეთში საქმიანი ურთიერთობების ძირითად მახასიათებელს. ამის საპირისპიროდ, ღია ინოვაციური პროცესების მიმდევარი კომპანიები მუშაობენ შორ მანძილზე და ეყრდნობიან STI (მეცნიერება, ტექნოლოგია და ინოვაცია) სწავლის სტილს.

დახურული ინოვაციური პროცესები ეფუძნება კომპანიის შიდა შესაძლებლობებს და ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს ბიზნესპარტნიორებსა და მომხმარებლებთან. კომპანიები დამოუკიდებელნი არიან და აქვთ საკმარისი შიდა რესურსები კვლევებისა და განვითარების (R&D) მიმართულებით დასაბანდებლად, ინოვაციური აქტივობის განსახორციელებლად. თავის მხრივ, ამ პროცესში პარტნიორებთან ტერიტორიული სიახლოვე აუცილებელია ცოდნის გადაცემისთვის, გაზიარებისთვის. განვითარებაზე ორიენტირებული მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კეთებით სწავლაზე – (learning by doing), ცოდნის გამოყენებასა და ურთიერთქმედებაზე, ავითარებს შიდა რესურსებს, მომხმარებელთა საჭიროებების შესახებ სიღრმისეულ ცოდნის მოპოვებას უწყობს ხელს და აშენებს ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს. ამის საპირისპიროდ, ღია ინოვაციური პროცესები ეფუძნება ტექნოლოგიების შექმნას კოლაბორაციების საშუალებით და მოიცავს პარტნიორობას შორ მანძილზე ღია ბიზნესურთიერთობების ფარგლებში. ამგვარ ურთიერთობებში ჩართულ კომპანიებს სჭირდებათ ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუს შექმნა ღია ინოვაციური პროცესების განსახორციელებლად. ტერიტორიული სიახლოვე აქ არ არის მნიშვნელოვანი და შესაბამისი ტექნოლოგიური ცოდნის გაერთიანებისთვის, უპირატესობა ენიჭება მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებას, სადაც უნივერსიტეტები და სხვა კვლევითი ინსტიტუტებია საკვანძო პარტნიორები ინოვაციის პროცესში. განსხვავება ჩინეთის დახურულ და ღია ინოვაციურ პროცესებს შორის ასევე ნაჩვენებია სქემაში – 3.

**ჩინეთის დახურული და ღია ინოვაციური პროცესების მახასიათებლები**

**სქემა 3.**

მახასიათებელი	დახურული ინოვაციის პროცესი	ღია ინოვაციის პროცესი
განმარტება	ეყრდნობა შიდა შესაძლებლობებს და ბიზნესპარტნიორებთან ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს	ეყრდნობა ტექნოლოგიების შექენას კოლაბორაციების საშუალებით და მოციავს პარტნიორობას შორ მანძილზე ღია ბიზნესურთიერთობების ფარგლებში
ზოგადი მახასიათებლები	ფირმები (დიდი ზომის) სრულიად დამოუკიდებლები არიან და აქვთ საკმარისი შიდა რესურსები ინოვაციისთვის, ფოკუსირებას ახდენენ კვლევებსა და განვითარებაზე (R&D). ეს ფირმები ცდილობენ აითვისონ ცოდნა, რათა განავითარონ ინოვაციები, რაც შეესაბამება მომხმარებლის საჭიროებებს.	ფირმები შედარებით მცირე ზომისაა და არ ამავილებენ ყურადღებას კვლევებსა და განვითარებაზე (R&D). ამ ფირმებს სჭირდებათ ტექნოლოგიური, კოდიფიცირებული ცოდნის წყარო, რათა განავითარონ პროდუქტის ინოვაციები ღია ინოვაციების საშუალებით.
ტერიტორიული სიახლოვე	პარტნიორებთან ტერიტორიული სიახლოვე საკვანძოა ცოდნის გადაცემისთვის	ტერიტორიული სიახლოვე არ არის მნიშვნელოვანი, ამიტომ, თანამშრომლობა გამოიყენება ტექნოლოგიური, კოდიფიცირებული ცოდნის მისაღებად, რომლის გადაცემა მარტივია შორ დისტანციაზე
DUI, STI შეპირისპირება	სწავლის DUI რეჟიმები მნიშვნელოვანია ფირმებისთვის, რათა განავითარონ შიდა რესურსები და სიღრმისეული ცოდნა მომხმარებელთა საჭიროებების შესახებ	STI-რეჟიმები უპირატესია საჭირო ტექნოლოგიური ცოდნის მისაღებად. უნივერსიტეტები და კვლევითი დაწესებულებები საკვანძო პარტნიორები არიან ინოვაციურ პროცესებში
გუანქსი (Guanxi)	ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, რაც ხელს უწყობს ინტერაქციულ სწავლებას, ზრდის ფირმების შიდა შესაძლებლობებს ინოვაციების განვითარებისთვის.	გუანქსი (Guanxi) არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, რადგან პარტნიორები უნდა მოერგონ ერთმანეთს ტექნოლოგიურად და ურთიერთობები უფრო ფორმალურია, ვიდრე პერსონალური, არაფორმალური

**წყარო:** Atvare, Kudurs & Blumberga / ატვარე, კუდურსი & ბლუმბერგა, 2022.

ზოგადად, ინოვაცია შესაძლებელია არსებობდეს 3 ძირითადი მიმართულებით, ესენია ა. პროდუქცია ან მომსახურება, რომელმაც გადაჭრა პრობლემა, თუმცა მანამდე არ ჰქონდა ახსნა/ამოხსნა; ბ. ცვლილებები ან გაუმჯობესება მიმდინარე საქონელსა და მომსახურებაში; და გ. პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც განვითარდა პირის უნიკალური ცოდნის საფუძველზე.

ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესს განზოგადებული სახით სამი რამ სჭირდება: იდეა, ფინანსები და დანერგვა. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, თავდაპირველად ფინანსებია და შემდეგ იდეა.

მაგალითისათვის განვიხილოთ სამეტაპიანი, რვასაფეხურიანი და ხუთეტაპიანი მოდელები. თითოეული მათგანი გულისხმობს ცალკეულ ბიზნესპროცესს, რომელიც კომპონენტების დიდი რაოდენობით და აღნიშნულ კომპონენტებს შორის რთული ურთიერთმიმართებით ხასიათდება.

სამეტაპიან მოდელს გვთავაზობს ოლეფირენკო & შევლიუგა (2017) ნაშრომში „ინოვაციების კომერციალიზაცია: გაყიდვების პოლიტიკის თავისებურებები ინოვაციურად აქტიურ საწარმოში“ (“Commercialization of innovations: peculiarities of sales policy at innovation active enterprise”). იხ. სქემა 4.

### ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესი

სქემა 4.

ინოვაციების კომერციალიზაცია
პირველი ეტაპი: ინოვაციების შესაქმნელად საუკეთესო იდეების შეფასება და შერჩევა
მეორე ეტაპი: ინოვაციების შექმნის პროცესების დასაფინანსებლად სტაბილური ფინანსური მხარდაჭერისთვის შესაბამისი წყაროების მოძიება და ფორმირება
მესამე ეტაპი: ინოვაციური პროდუქტების წარმოება და დანერგვა

წყარო: Olefirenko & Shevliuga / ოლეფირენკო & შევლიუგა, 2017.

ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის აღნიშნული სამეტაპიანი ოლეფირენკო & შევლიუგას მოდელი არის ყველაზე მარტივი და ერგება, როგორც ინდივიდუალურ პირებს, ასევე უკვე ჩამოყალიბებულ კომპანიებს.

რვასაფეხურიან მოდელს საწარმოო ინდუსტრიისთვის გვთავაზობს კალდველი (2019) ნაშრომში – „რვა საფეხური ინოვაციების კომერციალიზაციისთვის“ (“The eight steps to commercialize innovation”), სადაც ავტორი ადასტურებს, რომ კომერციალიზაციის მაჩვენებელი საწარმოო ინდუსტრიაში საშუალოდ 5 %-ია, თუმცა არსებობს კომპანიები, რომლებიც ახერხებენ ინოვაციური, ახალი პროდუქტების 95%-ის კომერციალიზაცია მოახდინონ თავიანთი მეთოდოლოგიის წყალობით. ეს მეთოდოლოგია რვა თანმიმდევრულ საფეხურად იყოფა:

- პირველ ეტაპზე ბევრი მწარმოებელი იდეების გენერირების პროცესს იწყებს წინასწარ განსაზღვრული კონცეფციის გარეშე, თუ როგორ, რატომ და სად გამოიყენებს აღნიშნულ იდეას. ამგვარი მიდგომა წარუმატებლობისთვისაა განწირული. სანამ იდეების გენერირების პროცესი დაიწყება, უმნიშვნელოვანესია საჭირო დრო და რესურსები გამოიყოს და დადგინდეს ვისზეა ფოკუსირებული ინოვაცია: მომხმარებლებზე, დილერებზე, დისტრიბუტორებზე, თანამშრომლებზე თუ ყველაზე ერთად? და განისაზღვროს ინოვაცია მათ წინაშე წამოჭრილი კონკრეტულად რა საკითხის, რა პრობლემის გადაწყვეტას ისახავს მიზნად. ამგვარი მიდგომა ინოვაციის პროცესს სწორ მიმართულებას აძლევს;

- ორგანიზაციაში იდეების გენერირების საუკეთესო გზა დაახლოებით ათკაციანი ჯგუფის შექმნაა, რომელშიც გაერთიანდებიან კომპანიის თანამშრომლები სხვადასხვა ფუნქციური ერთეულებიდან: მარკეტინგის, გაყიდვების, დიზაინის, საინჟინრო მიმართულებებიდან. ისინი გააზიარებენ თავიანთ უნიკალურ, განსხვავებულ ხედვას, კონცეფციას ამა თუ იმ განსახილველი საკითხის გარშემო;

- მესამე საფეხური ე.წ. ფილტრაციის ეტაპია. ამ დროს ინოვაციების სესიების შედეგად მიღებული იდეების დეტალური შეფასება ხდება. გამოიყოფა კონცეფციები, რომლებსაც კომერციალიზაციის მაღალი ალბათობა აქვთ;

- მეოთხე საფეხურზე პროტოტიპის შექმნა ხდება. ესთეტიკასა და დიზაინს ამ ეტაპზე ნაკლები ყურადღება ექცევა, მთავარი აქცენტი პროდუქტის ფუნქციონალურ მახასიათებლებზეა გადატანილი – რეალურად შეძლოს იმ პრობლემის გადაწყვეტა რა მიზნითაც იქმნება;

- მეხუთე საფეხურზე პროდუქტის გარეგნულ იერსახეზე ხდება ყურადღების გამახვილება. ამ ეტაპზე დიზაინერები აქტიურად ერთვებიან პროცესში, მათ მიზანს წარმოადგენს იდეა ვიზუალურად და სტილისტურად ისე შეფუთონ, რომ პროდუქტმა ბაზარზე წარმატებას მიაღწიოს;

- მეექვსე საფეხური მეოთხე და მეხუთე ეტაპების ერთგვარი გაერთიანებაა: პროდუქტის ფუნქციონალური და ვიზუალური მახასიათებლები ერთად იყრის თავს პროტოტიპში. ამ ეტაპზე ფოკუს ჯგუფებისა და სატესტო სესიების ჩატარება ხდება, მათი მიზანია პროტოტიპის შემდგომი დახვეწა და გაუმჯობესება;

- მომდევნო საფეხურზე, როდესაც პროდუქტის პროტოტიპი უკვე შექმნილია და შესწორებები შეტანილი, უნდა მოხდეს პროტოტიპის მახასიათებლების გათვალისწინებით დამატებით 10 -12 ერთეული ახალი პროდუქტის შექმნა, რაც მწარმოებელს შესაძლებლობას მისცემს გააგრძელოს პროდუქტის გამოცდის, ტესტირების ეტაპი, ამასთან კიდევ უფრო ნათლად დაინახავს რა არის საჭირო პროდუქტის დიდი რაოდენობით წარმოებისა და ბაზარზე მასშტაბური მიწოდებისთვის. საბოლოო ანგარიშით, ორგანიზაციის გრძელვადიანი კომერციული წარმატება პროდუქტის სწრაფ და ხარჯთეფექტიან წარმოებაზე, შენახვა-დასაწყობებასა და მიწოდებაზეა დამოკიდებული;

- პროდუქციის ბაზარზე მასშტაბურად მიწოდებამდე, მიზანშეწონილია, ინოვაციური პროდუქტის მიწოდება განხორციელდეს მიზნობრივი სამომხმარებლო სეგმენტისთვის ან კონკრეტულ ლოკაციაზე. ეს არის ის აუცილებელი ნაბიჯი, რაც განსაზღვრავს ინოვაციური პროდუქტის წარმატებული კომერციალიზაციის პროცესს, თუმცა, ბევრი მწარმოებელი მას არ ითვალისწინებს. რეალურად ეს არის საბოლოო შესაძლებლობა პროდუქტის ტესტირების (გაუმჯობესების), ფუნქციონალურობისა და მოხმარების სიმარტივის შეფასების, ფასისა და ეფექტურობის დადგენის, რაც თავიდან აარიდებს მწარმოებელს მასობრივ სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციის წარუმატებელ გაშვებას და ამის შედეგად დამდგარ ფინანსურ დანაკარგსა და რეპუტაციის შელახვას (Caldwell, 2019).

აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი ძირითადად ესადაგება უკვე არსებულ საჭიროებას, ანუ მოთხოვნას და ფაქტობრივად ფინანსები უკვე არსებობს, ანუ მზაობა მხარდაჭერის სახეზეა, რადგან ყველაფერი იწყება იმის დადგენა-დეკლარირებით „თუ როგორ, რატომ და სად გამოიყენებს აღნიშნულ იდეას; ანუ დასაწყისშივე გუნდი შებოჭილია დანიშნულებით და ჯგუფიც ეჯაილ (Agile) პროექტის მსგავსად იმართება. სწორედ ამიტომ გამოირჩევა კალდველის რვასაფეხურიანი მიდგომა წარმატების მაღალი მაჩვენებლით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესი შესაძლებელია განსხვავებული სახით მიმდინარე-

ობდეს. ინოვაციების კომერციაღიზაცია შესაძლოა ხუთ ეტაპად განხორციელდეს (ხუთი ნაბიჯი ინოვაციის წარმატებული კომერციაღიზაციისკენ).

აღნიშნული ხუთი ეტაპი მოიცავს:

- ბიზნესის პოტენციალის შეფასება – იმისთვის რომ ინოვაცია ბიზნესად გარდაიქმნას, ის მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მომხმარებელთა საჭიროებებთან. თუმცა ხშირად მომხმარებელი თავად არ არის გარკვეული საკუთარ საჭიროებებში, ამიტომ შესაძლებლობების აღმოჩენის საუკეთესო საშუალებაა ბაზრის მონიტორინგი, საბაზისო კვლევების ჩატარება და მომხმარებელთა ქცევაზე დაკვირვება. შემდეგ კი მოპოვებული ინფორმაციის შეფასება, ანალიზი და შეჯერება.

- ღირებულების ჯაჭვის ჩართვა – ახალი პროდუქტის ან სერვისის შექმნაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებისას მნიშვნელოვანია განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა. განსხვავებული მოსაზრებებისა და უნარების წარმატებით გაერთიანება შეიძლება მოხდეს, როდესაც პროექტის განხორციელებაში ღირებულებათა ჯაჭვის სრულად ჩართვა ხდება. მაგალითად, ტექნოლოგიური პროექტის განხორციელებაში შეიძლება ჩართული იყოს: გამოყენებითი კვლევები, ტექნოლოგიების დეველოპერები, ნედლეულის ჯაჭვის ექსპერტები, მომხმარებლები, ინვესტორები, მომწოდებლები, სტარტაპ კომპანიები და კლიენტები.

- მკაფიო როლები და პასუხისმგებლობები – ყველა სამუშაოში, წარმატებული თანამშრომლობის გასაღებია. ერთობლივი მუშაობისას საჭიროა ნდობა და ინფორმაციის ღია გაზიარება პარტნიორებს შორის. ნდობა არ შეიძლება ჩამოყალიბდეს, თუ მხარეებს შორის არის კონკურენცია კვლევითი კონსორციუმის ფარგლებში. კვლევებისა და განვითარების (R&D) პროექტებში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამუშაოს განაწილება, ხარჯები და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების საკითხი. თუ ეს არ არის შეთანხმებული დასაწყისში, დავა და უთანხმოება აუცილებლად წარმოიქმნება – მიუხედავად იმისა, რამდენად წარმატებულია პროექტი.

- რისკის მართვა – ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისას, ლაბორატორიული მასშტაბის ინოვაციებიდან სრულმასშტაბიან ქარხანაზე გადასვლა ხშირად წარმოშობს ძალიან ბევრ გაურკვევლობას. ამ ტიპის რისკის მართვას ხელს უწყობს საკმაოდ დიდი მასშტაბის, საპილოტე ტესტები – სრულმასშტაბიანი განხორციელების დაწყებამდე.

- კომერციაღიზაცია – როდესაც ზემოაღნიშნული საკითხები სწორადაა შესრულებული, კომერციაღიზაცია მარტივდება. პრაქტიკაში, წარ-



მატებული კომერციალიზაცია არ არის დამოკიდებული მხოლოდ კომპანიის ქმედებებზე – კომერციალიზაციის განხორციელების დრო და ბაზარზე არსებული ვითარებაც შესაბამისი უნდა იყოს. გარდა ამისა, ორგანიზაციის ყველა ერთეული შეთანხმებულად უნდა მუშაობდეს. წარმატებული კომერციალიზაცია მოითხოვს უწყვეტ თანამშრომლობას ორგანიზაციის გაყიდვების, მარკეტინგის, წარმოების, შესყიდვებისა და ფინანსების ერთეულებს შორის.

ინოვაციებს ბაზარზე წარდგენის შემდეგ მხოლოდ ტექნოლოგიების მოყვარულები ყიდულობენ ადრეულ ეტაპზე და ასეთი ენთუზიასტები შეადგენენ ბაზრის 3%-ზე ნაკლებს. ბაზრის ძირითადი ნაწილი შედგება ე.წ. პრაგმატისტებისა და კონსერვატორებისგან და, შესაბამისად, წარმატებული კომერციალიზაცია ხდება მაშინ, როდესაც ახალი პროდუქტითა და სერვისით ინტერესდება ბაზრის ძირითადი ნაწილი. (Datta, Reed, & Jessup, 2013, 4).

### **ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის გამონვევები საქართველოს ტყავის ინდუსტრიის მაგალითზე**

ინოვაციები, როგორც აღინიშნა, თანამედროვე სამყაროში ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის გლობალური ინოვაციის ინდექსის მიხედვით საქართველო 63-ე ადგილს იკავებდა 132 ქვეყნიდან, 2022 წლის მონაცემებით კი 74-ე ადგილს იკავებს. გლობალური ინოვაციების ინდექსი (GII – Global Innovation Index) აფასებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკას მათი ინოვაციური შესაძლებლობების მიხედვით. შეფასება 80 ინდიკატორის მიხედვით წარმოებს (გლობალური ინოვაციების ინდექსი, 2021, 2022). ირაკლი ქაშიბაძე, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) ყოფილი ხელმძღვანელი და Future Laboratory-ის დამფუძნებელი, აფასებს საქართველოს შესაძლებლობებსა და დაბრკოლებებს ინოვაციის გლობალური ინდექსის მაჩვენებელში:

ერთ-ერთი კომპონენტი, რომელშიც გვაქვს დაბალი მაჩვენებელი ან საერთოდ არ გვაქვს, არის წვდომა ვენჩურულ კაპიტალთან. ზოგადად, ამ მიმართულებით მოქმედებს გადასახადების გადამხდელთა თანხების ინვესტირების საკმაოდ სარისკო სტრუქტურა. 2016 წელს, როდესაც არ არსებობდა არანაირი ე.წ. ბენჩმარკები და მონაცემები, ამ ფორმით ინვესტირება “სტარტაპ საქართველოს” ფარგლებში მიზანშეწონილი იყო, მაგრამ ახლა უკვე არსებობს მნიშვნელოვანი მონაცემები, რომლითაც

შესაძლებელია ტენდენციების შესწავლა და პროცესების მკაფიო ანალიზი. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში სტარტაპების დაფინანსების ხელშეწყობისთვის შესაძლებელია უფრო ეფექტიანი სისტემების ფორმირება. ასევე, გვეძლევა შესაძლებლობა, დავამატოთ კომპონენტები, რომლებიც უკვე უზრუნველყოფს კერძო სექტორის ჩართულობის ზრდას, კერძო სააქსელერაციო პროგრამებში სტარტაპების მიგრაციასა და მათი მეშვეობით დაფინანსების განხორციელებას. შემდგომ კი ვენჩურული კაპიტალის ამოქმედებას ზრდის უზრუნველსაყოფად (ლომსაძე 2022).

აღფრედ მარშალის მოსაზრებით, რომლის იდეებმა და შეხედულებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დანგრეული ევროპის აღდგენასა და განითარებაზე, ქვეყნის ინოვაციურ შესაძლებლობებზე, ინოვაციების დონეზე, ინოვაციების კომერციალიზაციაზე, ტექნოლოგიების გადაცემაზე არაერთი ფაქტორი ახდენს გავლენას: ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობა; მენარმეებსა და ინვესტორებს, ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთობები; სიახლეებისადმი საზოგადოების მზაობა და აღქმა; მეცნიერებისა და ტექნოლოგიების წახალისება; სამეცნიერო, აკადემიური საზოგადოებისა და ბიზნეს წრეებს შორის ნეთვორქინგი; განვითარებული ფინანსური ინსტიტუტები და ა.შ. (ტროტი 2017, 50).


ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის შესასწავლად, მენარმეების წინაშე კომერციალიზაციის პროცესში არსებული დაბრკოლებებისა და გამონწვევების გამოსავლენად შეირჩა საქართველოს ტყავის ინდუსტრია და ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა კითხვარების საშუალებით. შერჩევა მოიცავდა ტყავის ინდუსტრიაში ჩართულ მენარმე-სუბიექტებს. ჯგუფის შერჩევა იყო არაალბათური, კონკრეტულად კი დანიშნულებითი შერჩევის დიზაინის გამოყენება მოხდა. ჯგუფიდან შერჩევის ერთეულების ამოკრების მიზნით, მოხდა მოხერხებული შერჩევის დიზაინის გამოყენება, ანუ ერთეულების ამოკრება განისაზღვრა მათი ხელმისაწვდომობით (ფრანკფორტ-ნაჩმიასი და ნაჩმიასი 2009, 266-267). კითხვარის მიზანი იყო ტყავის ინდუსტრიაში ჩართული მენარმე-სუბიექტების ინოვაციურ აქტივობებში ჩართულობის მაჩვენებლის განსაზღვრა და მათი მზაობის დონის შეფასება ინოვაციური პროცესების სამართავად; ტყავის ინდუსტრიაში ინოვაციების კომერციალიზაციის დონის შეფასება, ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესში ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენა, სახელმწიფო სერვისებზე მენარმე-სუბიექტე-

ბის წვდომის განსაზღვრა. კვლევითი პროექტის ფარგლებში კითხვარის საშუალებით 23 რესპონდენტი – მენარმე სუბიექტი გამოიკითხა, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულები საქართველოს ტყავის ინდუსტრიაში, პირველწყაროს წარმომადგენენ; მათ უხდებათ ინოვაციების კომერციალიზაციის გამონწვევებთან პირისპირ შეხვედრა და გამკლავება.

რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები სტატისტიკურად დამუშავდა კომპიუტერული პროგრამა IBM SPSS-ის საშუალებით. კვლევაში მონაწილეთა 87% იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, 13% მამრობითი სქესის წარმომადგენელი.

ნებისმიერი კომპანიის სტაბილურ ზრდასა და წარმატებას ინოვაციების კომერციალიზაცია განაპირობებს. ლაიკერტის 10 – ბალიან სკალაზე, სადაც 1 ძალიან დაბალი მაჩვენებელია, 10 კი საუკეთესო, რესპონდენტების მხრიდან ინოვაციების კომერციალიზაციის უნარის შეფასება შემდეგნაირად გამოიყურება:

**ინოვაციების კომერციალიზაციის უნარის შეფასება რესპონდენტთა დიაგრამა 3.**




**წყარო:** დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ.

ინოვაციების წარმატებული კომერციალიზაცია დამოკიდებულია არამხოლოდ ცოდნაზე, უნარზე, არამედ რესურსების ხელმისაწვდომობა-

ჲე, შესაძლებლობაჲე, რომელიც ინოვაციების კომერციაღიზაციისათვის აუცილებელია.

**ინოვაციების კომერციაღიზაციის შესაძლებლობის შეფასება  
რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგით.**

**დიაგრამა 4.**




**წყარო:** დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ.

ტყავის ინდუსტრიაში არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან მენარ-  
მე სუბიექტები, როგორცაა კვაღიფიკაციის დაბალი დონე, ფინანსების  
სიმცირე და ა.შ. გამოკითხულმა რესპონდენტებმაც არაერთი პრობლემა  
დაასახელეს, მათ შორის, უმრავლესობა – 56.5% თვლის, რომ მთავარი გა-  
მონწვევა ფინანსების სიმცირეა, 52.2 % კვაღიფიკაციის ნაკლებობას ასა-  
ხელებს, 47.8% მიიჩნევს, რომ პრობლემას წარმოადგენს ასევე თანამედ-  
როვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის არქონა, გასაღების ბაზრის  
სიმწირე:

**ტყავის ინდუსტრიაში ინოვაციების კომერციალიზაციის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები**

**დიაგრამა 5.**



**წყარო:** დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ.

**რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგები. ტყავის ინდუსტრიაში ინოვაციების კომერციალიზაციის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები. რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება**


**ცხრილი 1.**

1. კვალიფიკაციის ნაკლებობა	12	52.2 %
2. ფინანსების სიმცირე	13	56.5 %
3. თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის არქონა	11	47.8 %
4. გასაღების ბაზრის სიმწირე	11	47.8 %
5. ტექნოლოგიების ცოდნის ნაკლებობა	9	39.1 %
6. სხვა ფაქტორები	3	13%

**წყარო:** ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ.

ინოვაციების საფუძველი ექსპერიმენტების ჩატარება, საკვლევ-საკონსტრუქტორო საქმიანობის წარმართვაა. გამოკითხული რესპონდენტების 60.9% აღნიშნავს, რომ კვლევებისა და განვითარების მიმართულებით (R&D) არ აქტიურობენ.

**რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგი – აქტივობა კვლევებისა და  
განვითარების (R&D) მიმართულებით**  
დიაგრამა 6.



**წყარო:** დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში კვლევისა და განვითარების (R&D) საქმიანობის მაჩვენებლის გადანაწილება სქესის მიხედვით კროსტაბულაციის – ჯვარედინი ცხრილის საშუალებითაა წარმოდგენილი (მონაცემები დამუშავებულია IBM SPSS-ში):



**კვლევისა და განვითარების საქმიანობის განაწილება სქესის მიხედვით, კროსტაბულაცია – ჯვარედინი ცხრილი**

**ცხრილი 2.**


სქესი * კვლევისა და განვითარების (R&D) საქმიანობა კროსტაბულაცია						
სქესი	მაშრობითი	Count	კვლევისა და განვითარების (R&D) საქმიანობა			
			არ ვახორციელებ	გვსურს განხორციელება	ვახორციელებ	Total
		Count	2	0	1	3
		Expected Count	1.8	.7	.5	3.0
		% within სქესი	66.7%	0.0%	33.3%	100.0%
მდედრობითი		Count	12	5	3	20
		Expected Count	12.2	4.3	3.5	20.0
		% within სქესი	60.0%	25.0%	15.0%	100.0%
Total		Count	14	5	4	23
		Expected Count	14.0	5.0	4.0	23.0
		% within სქესი	60.9%	21.7%	17.4%	100.0%

**წყარო:** ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ.

გაცემული პატენტების რაოდენობა ინდუსტრიაში ინოვაციების, ინოვაციების კომერციალიზაციის დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა – 69.6% აცხადებს, რომ ინოვაციურ პროდუქტზე პატენტს არ ფლობს.

**პატენტი ინოვაციურ პროდუქტზე**


**დიაგრამა 7.**



**წყარო:** დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების – ტყავის ინდუსტრიაში ჩართული მენარმეების უმრავლესობას – 43.5%-ს, არ აქვს ინფორმაცია ინოვაციების კომერციაღიზაციის მეთოდების შესახებ:

**რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგი – ინოვაციების კომერციაღიზაციის მეთოდოლოგიის გამოყენება ინოვაციების კომერციაღიზაციის პროცესში**  
**დიაგრამა 8.**



**ნყარო:** დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ.

რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგი – ინოვაციების კომერციაღიზაციის მეთოდოლოგიის გამოყენება ინოვაციების კომერციაღიზაციის პროცესში.

**რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება**


**ცხრილი 3.**

1. არ მაქვს ინფორმაცია ინოვაციების კომერციაღიზაციის მეთოდების შესახებ	10	43.5 %
2. ინოვაციების კომერციაღიზაციის მეთოდების შესახებ ინფორმაცია მაქვს, თუმცა პრაქტიკაში მათ გამოყენებას ვერ ვახერხებთ	1	4.3 %
3. არ ვიყენებთ	3	13.0 %
4. ვიყენებთ	3	13.0 %
5. ვაპირებთ გამოყენებას	4	17.4 %
6. სხვა ფაქტორები	2	8.7 %

**ნყარო:** ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ.

მოცემული შედეგის შესაბამისად, გამოკითხული მენარმე სუბიექტების მხოლოდ 13 % აცხადებს, რომ ინოვაციების კომერციალიზაციის მეთოდოლოგია მათ პრაქტიკაში დახმარებას უწევს.

**ინოვაციების კომერციალიზაციის მეთოდოლოგიის ეფექტურობის აღქმა დიაგრამა 9.**




**წყარო:** დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ.

სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოვანესია ინოვაციური აქტივობის წახალისებაში, ინოვაციური პროცესების წარმართვაში, თუმცა, გამოკითხული მენარმეების 39.1%-მა აღნიშნა, რომ არ სარგებლობს სახელმწიფო პროგრამებით.

**რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგი – სახელმწიფო პროგრამებით  
სარგებლობა, რომელთა მიზანიც ინოვაციების კომერციაღიზაციის  
პროცესში კომპანიების ხელშეწყობაა**

**დიაგრამა 10.**



**წყარო:** დიაგრამა შედგენიღია ავტორების მიერ.

**რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგი – ინოვაციების კომერციაღიზაციის  
ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობა. რაოდენობრივი და  
პროცენტული განაღიღება**


**ცხრიღი 4.**

1. არ ვარ ინფორმირებული ასეთი პროგრამების შესახებ	7	30.4 %
2. არ ვსარგებლობ, რადგან არაეფექტური პროგრამებია	2	8.7 %
3. ვსარგებლობ და ნაკლებად ეფექტურია	1	4.3 %
4. ვსარგებლობ, ძალიან კმაყოფიღი ვარ	3	13.0 %
5. არ ვსარგებლობ	9	39.1 %
6. მსურს ვისარგებლო	1	4.3 %

**წყარო:** ცხრიღი შედგენიღია ავტორების მიერ.

არაერთხელ აღინიშნა, რომ ინოვაციების კომერციალიზაცია კომპანიის წარმატებული მომავლის გარანტი და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის საფუძველია. გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობამ, 73.9 %-მა დააფიქსირა, რომ ინოვაციების კომერციალიზაცია ორგანიზაციის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია.

**რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგი – ინოვაციების კომერციალიზაციის მნიშვნელობის შეფასება**  
**დიაგრამა 11.**




**წყარო:** დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ.

ინოვაციების კომერციალიზაციის ამერიკულმა მოდელმა, რომელიც ზევით დეტალურად იქნა განხილული, აჩვენა, რომ წარმატება ურთიერთანამშრომლობას მოაქვს: სახელმწიფოს, ბიზნესსექტორს, კვლევით ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებს შორის. ურთიერთანამშრომლობის დროს მუშაობს სინერჯის ეფექტი და ეკონომიკური დოვლათის შექმნას ხელი მაქსიმალურად ეწყობა. კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობამ – 56.5 %-მა აღნიშნა, რომ კვლევით ცენტრთან, სამეცნიერო წრეებთან არ თანამშრომლობს, რადგან ინფორმირებულები მსგავსი შესაძლებლობის შესახებ არ არიან.

**რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგი – თანამშრომლობა კვლევით  
ცენტრებთან, სამეცნიერო წრებთან**

**დიაგრამა 12.**



**წყარო:** დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ.

**დასკვნები და რეკომენდაციები**

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინოვაციების კომერციაღიზაციის მაჩვენებლი საქართველოს ტყავის ინდუსტრიაში დაბალია, არასახარბიელოა, რაც არაერთი ფაქტორით არის განპირობებული: დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის დაბალი დონე, ფინანსებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა, უახლესი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარების სიმცირე, ტექნოლოგიების გადაცემის დაბალი მაჩვენებლი სამეცნიერო წრებს, კვლევით ცენტრებსა და ბიზნესებს შორის. სახელმწიფოს მხრიდან სფეროს განვითარებისათვის განხორციელებული მიზანმიმართული ქმედებების არასაკმარისი მაჩვენებელი. ტყავის ინდუსტრიაში ინოვაციების კომერციაღიზაციის ხელშესაწყობად განსახორციელებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები და ღონისძიებები, კერძოდ:

- სამეცნიერო წრებს, კვლევით ცენტრებსა და ბიზნესს შორის ტექნოლოგიების გადაცემის პროცესი უნდა გააქტიურდეს;



- უნდა ამოვადეს დარგში დასაქმებული მუშახელის კომპეტენციის დონე, მათი გადამზადება და თანამედროვე და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვა;

- უნდა მოხდეს საწარმოო ინფრასტრუქტურის განახლება, წარმოების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

- ეკო ტყავისა და ეკო ტყავით ნაწარმოები პროდუქციის მიმართ ინტერესი (რაც პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამაც აჩვენა), როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ ბაზარზე იზრდება. მენარმებს, რომლებსაც სურთ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება ტენდენციას ფეხი უნდა აუწყონ და წარმოებაში აქტიურად დაიწყონ ეკო-ტყავის გამოყენება.

- ფირმები აქტიურად უნდა ჩაერთონ კვლევებისა და განვითარების (R&D) პროცესში, რათა მოახდინონ ინოვაციების კომერციალიზაცია – სი-ახლეების დანერგვა ბაზარზე.

- სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის განვითარების, ინოვაციური აქტივობის წახალისების თვალსაზრისით: ინფრასტრუქტურის განვითარება, ტექნოლოგიური შესაძლებლობების წახალისება, ადამიან-კაპიტალის ფორმირება-განვითარება და ა.შ.

რეკომენდაციების ნაწილში გასაზიარებელია ქართველი მეცნიერების გიორგი ჭილაძისა (2020) და ეკა გეგეშიძის შეხედულებები:

- მიზანშეწონილი იქნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს რევიონული ოფისების გაძლიერება, აგრეთვე, ევროპული ტექნოლოგიური თანამშრომლობის პროექტების ქსელის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა. სააგენტომ, ინოვაციური საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების და ახალი ინოვაციური პროექტების მხარდაჭერისას, მიზანშეწონილია, გასცეს უპროცენტო საშუალოვადიანი სესხები, რომელიც დაექვემდებარება დაბრუნებას პროექტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში და რაც დაფარავს ინოვაციური ან ტექნოლოგიის გადაცემის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული მთლიანი ხარჯების 50%-ს (35).

- „მნიშვნელოვანია საქართველოში შეიქმნას ვენჩურული კაპიტალის ფონდები, როგორც ინტელექტუალური შემოქმედების, ინოვაციების მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტი“. (ჭილაძე 2020, 39).

- აქტიურად მოხდეს ე.წ. ტექნოლოგიური პლატფორმების ფორმირება და გამოყენება. მაგალითად, ევროკავშირმა დაადგინა, რომ ტექნო-

ლოგიური პლატფორმა ეს არის მთავარი აქტორი, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციებს, ცოდნის გადაცემას, კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

- „ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაციის ეფექტური სქემის გამოყენების მიზნით, მნიშვნელოვანია გაიზარდოს სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოებში განხორციელებულ ინვესტიციებში კერძო სექტორის მიერ დაფინანსების წილი, რომ იგი მიუახლოვდეს ეკონომიკური კოოპერაციისა და განვითარების ორგანიზაციის საშუალო მაჩვენებელს“ (ჭილაძე 2020, 41).

ადეკვატური განათლების უზრუნველყოფით, ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობითა და სხვა სოციალური აქტივობის განხორციელებით, სახელმწიფოს შეუძლია გავლენა იქონიოს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება აღმოჩენებს, სიახლეებს და ახდენს ადაპტაციას თანამედროვე ტექნოლოგიებთან. სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოვანესია ადამიან-კაპიტალის ჩამოყალიბებაში. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს წარმოების ეროვნული კულტურის ფორმირებას, სადაც სიახლეების მიღება, სიახლეებისადმი სწრაფვა სწორედ ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდება.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია მეცნიერებას, ბიზნესს – ტყავის ინდუსტრიასა და სახელმწიფოს შორის მჭიდრო კოორდინაცია, რაც ხელს შეუწყობს ტყავის ინდუსტრიაში ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის წარმატებით განხორციელებას.

### ლიტერატურა:

- გეგეშიძე ე. (2020). ტექნოლოგიური პლატფორმებისა და მეცნიერების კომერციალიზაციის პროცესის სინქრონიზაციის გამოწვევები საქართველოში. ევროპული ინოვაციური და ეკონომიკური მოდელების ფორმირების პრობლემები და გადაჭრის გზები საქართველოში. <https://gawb.ge/wp-content/uploads/2021/11/> (ბოლო ნახვა დეკემბერი, 2022).
- ლომსაძე ე. (2022). ინოვაციების გლობალური ინდექსი და საქართველო – რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ინოვაციები? Entrepreneur Georgia. <https://www.entrepreneur.com/ka/siakhleebi-da-tendantsiebi/inovatsiebis/437328>
- (ბოლო ნახვა მაისი, 2023).
- ფრანკფორტ-ნაჩმიასი ჩავა & ნაჩმიასი დევიდ. (2009). კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- ჭილაძე გ. (2020). საუკეთესო ევროპული პრაქტიკა და ინტელექტუალური

საკუთრების, ინოვაციების მართვის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში. ევროპული ინოვაციური და ეკონომიკური მოდელების ფორმირების პრობლემები და გადაჭრის გზები საქართველოში. <https://gawb.ge/wp-content/uploads/2021/11/> (ბოლო ნახვა დეკემბერი, 2022).

- Atvare E., Kudurs E. & Blumberga D. (2022). Differences in Commercialization Policies of Innovations. Customer Perspective. [https://www.researchgate.net/publication/365329308\\_Differences\\_in\\_Commercialization\\_Policies\\_of\\_Innovations\\_Customer\\_Perspective](https://www.researchgate.net/publication/365329308_Differences_in_Commercialization_Policies_of_Innovations_Customer_Perspective) last seen May, 2023).
- Caldwell L. (2019). The Eight Steps to Commercialize Innovation. Forbes on the Web. <https://www.forbes.com/sites/lisacaldwell/2019/11/04/the-eight-steps-to-commercialize-innovation/?sh=758527eb2127> (last seen March, 2022).
- Datta A., Reed R. & Jessup L. (2013). Commercialization of Innovations: an Overarching Framework of Research Agenda. Cleveland State University. [https://engaged-scholarship.csuohio.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1029&context=bus\\_facpub](https://engaged-scholarship.csuohio.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1029&context=bus_facpub) (last seen May, 2022).
- Farrell L.C. (2003). Getting Entrepreneurial! Creating and Growing Your Own Business in the 21st Century. United States of America: John Wiley & Sons, Inc.
- Five Steps to Successful Commercialization of an Innovation. (n.d.). <https://www.valmet.com/media/articles/experts-voice/five-steps-to-successful-commercialization-of-an-innovation/> (last seen May, 2022).
- Hamid N. A. & Rahman A. A. (2014). A Systematic Literature Review on the Success Factor of Innovation Commercialization Performance. [https://www.researchgate.net/publication/287337486\\_A\\_systematic\\_literature\\_review\\_on\\_the\\_success\\_factor\\_of\\_innovation\\_commercialization\\_performance](https://www.researchgate.net/publication/287337486_A_systematic_literature_review_on_the_success_factor_of_innovation_commercialization_performance) (last seen February, 2023).
- Maidique A. M. & Billie Jo Zirger B. J. (1985). The New Product Learning Cycle, Research Policy, Vol. 14, No. 6, pp. 299, 309.
- Mohannak K. & Samtani L. (2014). A Criteria-based Approach for Evaluating Innovation Commercialization. DRUID Society Conference 2014.
- Nerkar A. & Shane S. (2007). Determinants of Invention Commercialization: an Empirical Examination of Academically Sourced Inventions. Strategic Management Journal. Vol. 28 No. 11, pp. 1155-1166.
- Olefirenko O. M. & Shevliuga O. (2017). Commercialization of Innovations: Peculiarities of Sales Policy at Innovation Active Enterprise. [https://www.researchgate.net/publication/318379894\\_Commercialization\\_of\\_innovations\\_peculiarities\\_of\\_sales\\_policy\\_at\\_innovation\\_active\\_enterprise](https://www.researchgate.net/publication/318379894_Commercialization_of_innovations_peculiarities_of_sales_policy_at_innovation_active_enterprise) (last seen February, 2023).
- Saarelainen E. (2018). Why There's No Innovation without Experimentation. UNHCR Innovation. <https://www.unhcr.org/innovation/why-theres-no-innovation-without-experimentation/> (last seen April, 2022).
- Schendel D. & Hill M.A. (2007). Comments from Editors: Introduction to Volume 1. Strategic Entrepreneurship Journal, Vol. 1. pp. 1-7.

- Schreyer P. & Pilat D. (2001). Measuring Productivity. OECD Economic Studies No. 33, 2001/II. <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.448.4021&rep=rep1&type=pdf> (last seen May, 2022).
- Shcherbachenko V.O. & Kotenko S. I. (2022). Analysis of Obstacles and Success Factors of Innovation Commercialization. [https://www.researchgate.net/publication/362998870\\_ANALYSIS\\_OF\\_OBSTACLES\\_AND\\_SUCCESS\\_FACTORS\\_OF\\_INNOVATION\\_COMMERCIALIZATION](https://www.researchgate.net/publication/362998870_ANALYSIS_OF_OBSTACLES_AND_SUCCESS_FACTORS_OF_INNOVATION_COMMERCIALIZATION) (last seen February, 2023).
- Simmons M. (2017). Forget 10,000-Hours: Edison, Bezos and Zuckerberg follow the 10,000-Experiment rule. Observer. <https://observer.com/2017/11/forget-10000-hours-edison-bezos-zuckerberg-follow-the-10000-experiment-rule/> last seen April, 2022).
- Trott P. (2017). Innovation Management and New Product Development (6th ed.). United Kingdom: Pearson.

### Referenses:

- Gegeshidze E. (2020). tehnologiuri platpormebsi sinkronizatsiisa da metsnierebis komertsializatsiis protsesis gamotsvevebi sakartveloshi. evropuli inovatsiuri da ekonomikuri modelebis pormirebis problemebi da mati gadachris gzebi sakartveloshi. [Challenges of Synchronization of Technology Platforms and Science Commercialization Process in Georgia. The Problems of Formation of European Innovative and Economic Models and Ways to Solve them in Georgia.] in Georgian <https://gawb.ge/wp-content/uploads/2021/11/>
- Lomsadze E. (2022). globaluri inovatsiebis indeksi da sakartvelo – ra mimartulebit unda ganvitardes inovatsiebi? [Global Innovation Index and Georgia – In which Direction should Innovations be Developed?] in Georgian <https://www.entrepreneur.com/ka/siakhleebi-da-tendentsiebi/inovatsiebis/437328> (last seen May, 2023).
- Frankfort-Nachmias Chava & Nachmias David (2009). kvlevis metodebi sotsialur metsnierebebshi. [Research Methods in Social Sciences. Publishing House “Ilia State University”, Tbilisi.] In Georgian
- Chiladze G. (2020). sauketeso evropuli praktika da intelektualuri sakutrebis, inovatsiebis menejmentis zogierti aspekti sakartveloshi. evropuli inovatsiuri da ekonomikuri modelebis pormirebis problemebi da mati gadachris gzebi sakartveloshi. [Best European Practices and some Aspects of Intellectual Property, Innovation Management in Georgia. The Problems of Formation of European Innovative and Economic Models and Ways to Solve them in Georgia.] in Georgian <https://gawb.ge/wp-content/uploads/2021/11/> – last seen December, 2022).
- Atvare E., Kudurs E. & Blumberga D. (2022). Differences in Commercialization Policies of Innovations. Customer Perspective. [https://www.researchgate.net/publication/365329308\\_Differences\\_in\\_Commercialization\\_Policies\\_of\\_Innovations\\_Cus](https://www.researchgate.net/publication/365329308_Differences_in_Commercialization_Policies_of_Innovations_Cus)

- tomere\_Perspective last seen May, 2023).
- Caldwell L. (2019). The Eight Steps to Commercialize Innovation. Forbes on the Web. <https://www.forbes.com/sites/lisacaldwell/2019/11/04/the-eight-steps-to-commercialize-innovation/?sh=758527eb2127> (last seen March, 2022).
  - Datta A., Reed R. & Jessup L. (2013). Commercialization of Innovations: an Overarching Framework of Research Agenda. Cleveland State University. [https://engaged-scholarship.csuohio.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1029&context=bus\\_facpub](https://engaged-scholarship.csuohio.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1029&context=bus_facpub) (last seen May, 2022).
  - Farrell L.C. (2003). Getting Entrepreneurial! Creating and Growing Your Own Business in the 21st Century. United States of America: John Wiley & Sons, Inc.
  - Five Steps to Successful Commercialization of an Innovation. (n.d.). <https://www.valmet.com/media/articles/experts-voice/five-steps-to-successful-commercialization-of-an-innovation/> (last seen May, 2022).
  - Hamid N. A. & Rahman A. A. (2014). A Systematic Literature Review on the Success Factor of Innovation Commercialization Performance. [https://www.researchgate.net/publication/287337486\\_A\\_systematic\\_literature\\_review\\_on\\_the\\_success\\_factor\\_of\\_innovation\\_commercialization\\_performance](https://www.researchgate.net/publication/287337486_A_systematic_literature_review_on_the_success_factor_of_innovation_commercialization_performance) (last seen February, 2023).
  - Maidique A. M. & Billie Jo Zirger B. J. (1985). The New Product Learning Cycle, Research Policy, Vol. 14, No. 6, pp. 299, 309.
  - Mohannak K. & Samtani L. (2014). A Criteria-based Approach for Evaluating Innovation Commercialization. DRUID Society Conference 2014.
  - Nerkar A. & Shane S. (2007). Determinants of Invention Commercialization: an Empirical Examination of Academically Sourced Inventions. Strategic Management Journal. Vol. 28 No. 11, pp. 1155-1166.
  - Olefirenko O. M. & Shevliuga O. (2017). Commercialization of Innovations: Peculiarities of Sales Policy at Innovation Active Enterprise. [https://www.researchgate.net/publication/318379894\\_Commercialization\\_of\\_innovations\\_peculiarities\\_of\\_sales\\_policy\\_at\\_innovation\\_active\\_enterprise](https://www.researchgate.net/publication/318379894_Commercialization_of_innovations_peculiarities_of_sales_policy_at_innovation_active_enterprise) (last seen February, 2023).
  - Saarelainen E. (2018). Why There's No Innovation without Experimentation. UNHCR Innovation. <https://www.unhcr.org/innovation/why-theres-no-innovation-without-experimentation/> (last seen April, 2022).
  - Schendel D. & Hill M.A. (2007). Comments from Editors: Introduction to Volume 1. Strategic Entrepreneurship Journal, Vol. 1. pp. 1-7.
  - Schreyer P. & Pilat D. (2001). Measuring Productivity. OECD Economic Studies No. 33, 2001/II. <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.448.4021&rep=rep1&type=pdf> (last seen May, 2022).
  - Shcherbachenko V.O. & Kotenko S. I. (2022). Analysis of Obstacles and Success Factors of Innovation Commercialization. [https://www.researchgate.net/publication/362998870\\_ANALYSIS\\_OF\\_OBSTACLES\\_AND\\_SUCCESS\\_FACTORS\\_OF\\_INNOVATION\\_COMMERCIALIZATION](https://www.researchgate.net/publication/362998870_ANALYSIS_OF_OBSTACLES_AND_SUCCESS_FACTORS_OF_INNOVATION_COMMERCIALIZATION) (last seen February, 2023).

- Simmons M. (2017). Forget 10,000-Hours: Edison, Bezos and Zuckerberg follow the 10,000-Experiment rule. Observer. <https://observer.com/2017/11/forget-10000-hours-edison-bezos-zuckerberg-follow-the-10000-experiment-rule/> last seen April, 2022).
- Trott P. (2017). Innovation Management and New Product Development (6th ed.). United Kingdom: Pearson.

## **Establishing an Approach to Generating Innovation and Successful Commercialization for Emerging Markets (The Case of Georgia)**

**Eka Gegeshidze**

Professor  
University of Georgia  
[e.gegeshidze@ug.edu.ge](mailto:e.gegeshidze@ug.edu.ge)

**Qetevan Lomineishvili**

PhD student  
University of Georgia  
[keti\\_lomineishvili@yahoo.com](mailto:keti_lomineishvili@yahoo.com)

*the role of innovation in modern society is growing systematically. Innovation is the main driver of the economy. In fact, the introduction of innovations is becoming vitally important in all fields. Nowadays, the existence of an organization may be questioned if they are not innovative enough and cannot successfully lead the process of commercialization of innovations.*

*Modern society develops on the basis of innovations that lead to technological revolutions, and experiments are the main factor of creativity and innovation. Experimentation is a necessary precondition for innovation. An incremental, evolutionary type of innovation is also achieved through experimentation. The main thing is the constant, permanent use of the trial and error method. The models presented in the article highlight the importance of experimentation and emphasize the necessity of the continuous use of the trial and error method to successfully manage innovation processes.*

*The ability to adapt to the environment and make changes is crucial for maintaining the existence of the organization. In today's world, commercialization is a way for an organization to both survive and succeed in the market. The real value of innovations is created by commercialization (Schendel & Hill, 2007). Commercialization of innovations refers to the process of turning scientific discoveries and inventions into marketable products and services (Mohannak & Samtani, 2014). "Commercialization of science – this is the so-called marketing*



of the product obtained as a result of scientific research and the value added from it. The process of receiving added value” (Gegeshidze 2020, 50). Through the commercialization of new products – goods and services, organizations receive income, financial benefits, maintain competitiveness in the market, and the most successful firms even manage to gain a competitive advantage.

The paper presents different tools, methods, and models of commercialization of innovations, including: a three-stage model proposed by Olefirenko & Shevliuga (2017) in the work “Commercialization of Innovations: Peculiarities of Sales Policy at Innovation Active Enterprise”; an eight-step model for the manufacturing industry proposed by Caldwell (2019) in the work “The Eight Steps to Commercialize Innovation”; and a five-step approach to successful commercialization of an innovation.

The paper discusses each of the above-mentioned models in detail. The article also covers a detailed consideration of the tools for successful commercialization of innovations using the examples of the US and China.

The article presents the results of primary, quantitative research conducted by the authors in the Georgian leather industry. The goal of the mentioned research was to determine the rate of involvement of entrepreneurs working in the leather industry in innovative activities, to assess the level of their preparedness to manage innovative processes; determining the level of commercialization of innovations in the leather industry of Georgia, revealing the challenges arising in the process of commercialization of innovations, identifying the main hindering and facilitating factors.

The paper ends with conclusions and recommendations based on the research carried out by the authors, including:

- The process of technology transfer between scientific circles, research centers, and business should be activated.
- The level of competence of the workforce employed in the field should be raised; they should be retrained and equipped with modern and practical knowledge.
- The production infrastructure should be updated, and modern technologies should be introduced in the production process.
- Interest in eco-leather and products made with eco-leather (as shown by the research conducted within the project) is growing both in the local and global markets. Entrepreneurs who would like to remain competitive in the market should follow the trend and actively start using eco-leather in production.
- Firms should actively engage in research and development (R&D) to commercialize innovations – bring innovations to the market.

- *The most important role of the state in terms of the development of innovative potential of the country, encouragement of innovative activities is: development of infrastructure, encouragement of technological capabilities, formation and development of human capital, etc.*

- *It is important to create venture capital funds in Georgia as an instrument of state policy supporting intellectual creativity and innovation (Chiladze 2020, 39).*

- *The formation and use of so-called technological platforms are essential. For example, the European Union has determined that the technological platform is the main actor that promotes innovation, knowledge transfer, and increasing competitiveness (Gegeshidze 2020, 50).*

**Keywords:** *Innovations, generation of innovations, experiments, commercialization, commercialization of innovations.*

**JEL Codes:** O30, O31, Q55

**ბიზნესი ◊ მენეჯმენტი ◊ მარკეტინგი ◊ ტურიზმი**  
**BUSINESS ◊ MANAGEMENT ◊ MARKETING ◊ TOURISM**

**ელექტროენერგეტიკაში დისპეტჩერული მართვისა და  
კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA)  
განვითარების აქტუალური საკითხები<sup>1</sup>**

**დავით ნაჩმანია**

პროფესორი  
ივ. ჭავჭავაძის  
სახელობის თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
davit.narmania@tsu.ge

**რუსუდან სეთურიძე**

ასოციირებული პროფესორი  
ივ. ჭავჭავაძის  
სახელობის თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
rusudan.seturidze@tsu.ge

**მურთაზ მაღრაძე**

ემეჩიგუსი  
ივ. ჭავჭავაძის  
სახელობის თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
murtaz.maghradze@tsu.ge

**შოჩენა დავითაია**

დოქტორი  
ივ. ჭავჭავაძის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
shorena.davitaia@tsu.ge

**მიხეილ მაჩიტაძე**

დოქტორი  
ივ. ჭავჭავაძის სახელობის  
თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
misha.machitidze@gmail.com

მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი როლი ითამაშა ენერჯეტიკის მართვის სფეროში. ელექტროენერჯეტიკის განვითარების დონე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მწარმოებელი ძალების განვითარების დინამიკასა და გააღვივებაზე, ქმნის აუცილებელ წინაპირობას მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და შიომის პირობების გასაუმჯობესებლად. ეროვნული ეკონომიკის დონე და მოსახლეობის ენერჯომომთავადა დიდწილად დამოკიდებულია ენერჯეტიკულ ინფრასტრუქტურაზე. მისი განვითარების ტემპები და მასშტაბები განმსაზღვრავს გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საბოლოო შედეგებზე.

დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემა (SCADA) ელექტროენერჯეტიკული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი და აქტუალური კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერჯის

<sup>1</sup> სტატია შესრულებულია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კვლევითი პროექტის – „დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) სრულყოფის გზები ელექტროენერჯეტიკაში“ ფარგლებში.

წახმოების, გადაცემის, განაწილების მონიტორინგს და მართვას ჰეაღუ-  
ხი დროის ხეუმით. SCADA სისტემის მთავარი დანიშნულებას წახმოა-  
გენს ტექნოლოგიური ავტომატიზებული პოცესების მართვა და ექსპლუ-  
ატაცია.

კვდევის ძიხითადი მიზანია გააანადიზოს საქახთველოს მაგა-  
დითზე ელექტროენერგეტიკაში დანეხგიდი სისტემების განვითარების  
ეგაპები. შეისწავდოს SCADA სისტემაში ენეხგოობიექტებიდან მონა-  
ცემების შეგხოვება, დამუშავება, მიღებული შედეგების ანადიზი და თა-  
ნამედხოვე SCADA სისტემის განვითარების სხვა აქტუალური საკითხები.

ჩატახებული კვდევის ფახგდებში შემუშავდა დასკვნები და ხეკო-  
მენდაციები, ხომედთა გათვადისწინების შემთხვევაში საქახთველოს  
ენეხგოსისტემა გახდება სტაბილური და ეფექტიანი. აღნიშნული სამეც-  
ნიეხო კვდევა სასახგებდო იქნება იმ ენეხგოკომპანიებისთვის, სადაც  
ინეხგება ან დანეხგიდია SCADA სისტემა.

**საკვანძო სიტყვები:** ენეხგეტიკა, ელექტროენერგეტიკა, SCADA,  
მართვის ავტომატიზებული სისტემები, ენეხგოობიექტები, ენეხგოკომ-  
პანიები.

## შესავალი

ენერგეტიკა ეკონომიკის საბაზისო დარგია, რომელიც დაკავშირებუ-  
ლია ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების გამოყენების შედეგად მიღე-  
ბული სხვადასხვა სახის ენერგიის გარდაქმნასთან, განაწილებასა და გა-  
მოყენებასთან. ენერგეტიკა რთული საწარმოო – ეკონომიკური სისტემაა.  
სამეურნეო კომპლექსში ის მრეწველობის ორი დარგის – ელექტროენერ-  
გეტიკისა და სათბობის მრეწველობის ერთობლიობაა. ბოლო წლებში,  
ელექტროენერგეტიკის მნიშვნელოვანი როლი განისაზღვრება იმ ფაქ-  
ტით, რომ მრეწველობის სხვადასხვა დარგში ადგილი აქვს ელექტროე-  
ნერგიის სულ უფრო და უფრო მზარდ გამოყენებას. ელექტროენერგეტი-  
კის განვითარების დონე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მწარმოებლური  
ძალების განვითარების დინამიკასა და განლაგებაზე, ქმნის აუცილებელ  
წინაპირობას მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და შრომის  
პირობების გასაუმჯობესებლად. მისი განვითარების ტემპები და მასშტა-  
ბები განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების  
საბოლოო შედეგებზე. ელექტროენერგეტიკის დარგის განვითარე-  
ბამ, ახალი სადგურების, ქვესადგურების და გადამცემი ხაზების მშენებ-  
ლობამ\რეაბილიტაციამ წარმოქმნა ელექტროენერგეტიკულ საწარმო-  
ებში ენერგეტიკული პროცესების სხვადასხვა მართვის ავტომატიზებული  
სისტემების დანერგვის აუცილებლობა.

ოუსამა ლაიათის და სხვა ავტორების გადმოცემით „ელექტროენერჯია არის და ყოველთვის იქნება მნიშვნელოვანი ყველა ინდუსტრიული დარგისთვის. ტექნოლოგიების განვითარებამ და ციფრულმა რევოლუციამ გაზარდა ენერჯიის მოხმარების ზრდა. ენერჯოსისტემის მდგრადობის და სტაბილურობის შესაფასებლად აუცილებელი გახდა სხვადასხვა აპლიკაციების დანერგვა ენერჯოობიექტების რეალურ დროში მონიტორინგისთვის“ (Laayati O. and all, 2020), ხოლო ოპირულ ქაიასმა და სხვა ავტორებმა აღნიშნეს, რომ საყურადღებოა, განახლებადი ენერჯიის წყაროების, როგორც ქარისა და მზის ენერჯიის სადგურები და ასევე, ენერჯიის შემნახველი მოწყობილობების ტექნოლოგიის განვითარება და მათი აუცილებელი ინტეგრირება ენერჯეტიკულ ქსელში (Qays M. and all 2022, 1874-1885).

სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე) ელექტროენერჯიის გადამცემი სისტემის ერთადერთი ოპერატორია. კომპანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფლობს და ექსპლუატაციას უწევს 4357 კმ სიგრძის ელექტროგადამცემ ხაზებსა და 93 ქვესადგურს ([www.gse.com.ge](http://www.gse.com.ge)), გადამცემ ქსელს მართავს ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრი, ხოლო მის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ექსპლუატაციის დეპარტამენტის ოთხი რეგიონული ფილიალი (აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთის და კახეთის რეგიონული ქსელები). სსე მართავს ასევე მეზობელ სახელმწიფოებთან დამაკავშირებელ ყველა ელექტროგადამცემ ხაზს. ორგანიზაციის საოპერაციო შემოსავალს შეადგენს კვალიფიციური სანარმოებისთვის ელექტროენერჯიის გადაცემის და დისპეტჩერიზაციის მომსახურების სანაცვლოდ მიღებული ფულადი სახსრები ([www.gse.com.ge](http://www.gse.com.ge)).

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ერთ-ერთი მონიწვევა თანამედროვე ინფორმაციული სისტემების დანერგვაში. სსე-ს ფუნქციაა, როგორც ხანმოკლე, ასევე გრძელვადიან პერიოდებში სისტემის მდგრადობის და საიმედოობის შენარჩუნება.

ციფრული აპლიკაციები წარმოადგენს პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც გამოიყენება ელექტროენერჯეტიკული ქსელის მონიტორინგის, შეფასებისა და მართვისთვის. აღნიშნული სისტემები ხელს უწყობს გენერაციის, მოხმარების, ელექტროენერჯიის ხარისხის, გადამცემი ხაზების და ენერჯეტიკული მოწყობილობების მუშაობის კონტროლს. ასევე მნიშვნელოვანია მათი როლი ფინანსური ანგარიშსწორებისას საბოლოო მომხმარებელს, ენერჯიის მწარმოებელსა და სადისტრიბუციო კომპანიას შორის (მოჰამედ ალი, 2021,19).

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში განხორციელდა ცენტრალური დისპეტჩინგი კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების სისტემის (SCADA- Supervisory Control And Data Acquisition) პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის განახლების პროექტი SINAUT SPECTRUM 7-ის (SIEMENS) ბაზაზე, რაც განპირობებული იყო ელექტროენერგეტიკული ქსელის სწრაფი განვითარებით, რასაც თან სდევდა სისტემაში ახალი ენერგობიექტების დამატება და შესაბამისად შემოსული მონაცემების გაზრდილი რაოდენობა. სსე-ში ძველი აპარატურული უზრუნველყოფა არ იყო გათვლილი ასეთი სიდიდის დატვირთვაზე და შესაბამისად, იწვევდა სერვერების/აპარატურის გადატვირთვას, რაც თავის მხრივ, ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა ეფექტიანი დისპეტჩინგი მართვისა და კონტროლისთვის.

კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოს მაგალითზე ელექტროენერგეტიკაში დანერგილი სისტემების განვითარების ეტაპების გაანალიზება. შეისწავლოს SCADA სისტემაში ენერგობიექტებიდან მონაცემების შეგროვება, დამუშავება, მიღებული შედეგების ანალიზი და თანამედროვე SCADA სისტემის განვითარების აქტუალური საკითხების შესწავლა.

## **დისპეტჩინგი კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების სისტემა – SCADA**

SCADA არის ელექტროენერგეტიკული ინდუსტრიის მნიშვნელოვანი და აქტუალური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემისა და განაწილების მონიტორინგს და კონტროლს რეალური დროის რეჟიმით. SCADA-ს სისტემის მთავარ დანიშნულებას ელექტროენერგეტიკაში წარმოადგენს ტექნოლოგიური ავტომატიზებული პროცესების მართვა და ექსპლუატაცია. ასეთი სახის სისტემების გამოყენება დაიწყო ა.შ.შ-ში 1960-იან წლებში და დღეისათვის ის მრავალ ინდუსტრიას მოიცავს.

SCADA სისტემა მოიცავს აპარატურულ და პროგრამულ კომპონენტებს. აპარატურა აგროვებს მონაცემებს ენერგობიექტზე არსებულ გარდამსახებიდან და აწვდის სავსელ კონტროლერებს, რომელიც, თავის მხრივ, გადასცემენ მონაცემებს პირველი და მეორე დონის სისტემებს, ხოლო ისინი, თავის მხრივ, ამუშავებენ და ასახავენ ინფორმაციას შესაბამისი გრაფიკული ინტერფეისის საშუალებით მართვის ფარზე ან ოპერატორის სამუშაო ადგილზე. SCADA სისტემები ასევე აღრიცხავენ ენერგოსისტემაში მომხდარ ყველა პროცესის სტატუსს და შესაბამის ცვლილებებს.



SCADA სისტემის მთავარ უპირატესობად ითვლება ყველა ძირითადი პროცესის ავტომატიზება:

- მონაცემების და გაზომვების ცვლილებების დაფიქსირება და შესაბამისი მომხმარებლის სამუშაო გარემოს სერვერებსა და სამუშაო ადგილებზე ასახვა;
- ენერგოსისტემაში სიხშირისა და გენერაციის რეგულირება;
- მონაცემთა ბაზებსა და ელექტრონულ არქივებში მონაცემების ჩანერა და სხვა.

SCADA სისტემა ასევე ხშირად გამოიყენება ე.წ. დახურული ქვესადურების და სადგურების სამართავად, როდესაც გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ენერგობიექტი განთავსებულია რთულად მისასვლელ ადგილას ან კომპანიას არ ჰყავს საკმარისი რაოდენობის კადრი. ამ შემთხვევაში სისტემის გამართულად ოპერირებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება SCADA სისტემის საკომუნიკაციო ქსელს.

ელექტროსისტემის სამართავად SCADA სისტემა ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს. ის ახორციელებს:

- მონაცემების კონტროლს რეალური დროის რეჟიმით;
- გადართვებს;
- მეზობელ ქვეყნებთან მაღალი ძაბვის ქსელებზე გადადინების კონტროლს;
- სისტემური ავარიების აღრიცხვას და მათზე სწრაფ რეაგირებას;
- ავარიის საწინააღმდეგო ლოგიკის (ალგორითმების) შემუშავებას.
- ენერგობიექტებზე არსებული ტექნიკის მუშაობის მონიტორინგს;
- საპროგნოზო გეგმა/გრაფიკების შემუშავებას და ენერგობალანსის დაცვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, SCADA სისტემის დანერგვამ ელექტროენერჯის წარმოების/დისტრიბუციის ინდუსტრიაში შესაძლებელი გახადა პროცესების ავტომატიზება. აღსანიშნავია, რომ ამან გამოიწვია ადამიანისეული ფაქტორის მნიშვნელოვნად შემცირება.

### **SCADA -ს დანერგვისა და განვითარების ეტაპების ანალიზი SCADA-ს დანერგვამდე არსებული სისტემის ანალიზი**

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში ტექნიკური განახლება ხდებოდა პერიოდულად სახელმწიფოსგან დადგენილი ენერგეტიკის სექტორის განვითარების კონცეფციის შესაბამისად.

2009 წლამდე „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სადისპეტჩეროში იყო განთავსებული მართვის ფარი, რომლის სიგრძე აღემატებოდა 10 მეტრს და მასზე დატანილი იყო საქართველოს ენერგოსისტემის მნემოსქემები, რელები, საინფორმაციო სიგნალების გამომცემი და სხვადასხვა ტიპის მზომი ხელსაწყოები. თითოეულ ხელსაწყოს ჰქონდა მხოლოდ საინფორმაციო დანიშნულება. ენერგოსისტემის დისტანციური მართვა არ ხორციელდებოდა ცენტრალური სადისპეტჩეროდან. ქვესადგურში გადართვების შესასრულებლად ცენტრალური დისპეტჩერი უკავშირდებოდა ქვესადგურის მორიგეს და აძლევდა შესაბამის დავალებას, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გადიოდა ენერგობიექტის ღია ტერიტორიაზე, სადაც განთავსებული იყო შესაბამისი მოწყობილობები და წინასწარ შეთანხმებული დირექტივის მიხედვით ხელით ახორციელებდა მათ ჩართვას. მართვის ფარზე განლაგებული იყო ტექნოლოგიური პროცესების სტატიკური მნემოსქემა, ელექტროენერჯის გადადინების აღმნიშვნელი მიმართულებებით და მრავალრიცხოვანი მწვანე, ყვითელი და წითელი ფერის სიგნალიზაციის ნათურებით. ეს ნათურები იწყებდნენ ციმციმს ავარიული სიტუაციის შექმნის დროს. განსაკუთრებით საშიშ სიტუაციაში ოპერატიული პერსონალის სწრაფად გასაფრთხილებლად გათვალისწინებული იყო ხმოვანი სიგნალის გამოცემის შესაძლებლობა. ასევე, სქემაზე განთავსებული იყო საკვანძო სადგურების და მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების, შესაბამისად გამომუშავების და გადადინების მონაცემები. ინფორმაციის გადაცემა ენერგობიექტიდან ცენტრალურ სადისპეტჩერომდე წარმოებდა მაღალსიხშირული კავშირის საშუალებით. გადაცემის პროცესში ხშირად ხდებოდა კავშირის დაყოვნება, ვინაიდან მაღალსიხშირული კავშირი მიუყვებოდა მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებს. მათზე გაჩენილი ელექტრო „კორონა“ ნაწილობრივ ან სრულებით ახშობდა გადასაცემ სიგნალს, რაც ხშირად იწვევდა დაგვიანებულ რეაგირებას და ქმნიდა ავარიულ სიტუაციას.

მნიშვნელოვანი იყო ადამიანისეული ფაქტორი სისტემის ფუნქციონირებაში. დისპეტჩერებს ან მათ დამხმარე თანამშრომლებს ევალებოდათ შემოსული მონაცემების რეგისტრირება, ავარიული სიტუაციების დაფიქსირება, ჟურნალების წარმოება, ოპერატიული პატაკების, ანგარიშებისა და სხვა დოკუმენტების შედგენა, მიღებული მონაცემების ანალიზი და მათი შედარება სადღეღამისო დავალებებთან და კალენდარულ გეგმებთან, ასევე ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობებისა და მოწყობილობების მდგომარეობების შესახებ ზემდგომ სამსახურებში მონაცემების წარდგენა. შესაბამისად, საქართველოს ენერგოსისტემა

მთლიანად დამოკიდებული იყო ადამიანისეულ ფაქტორზე და თითოეულ უმნიშვნელო შეცდომასაც ენერგოსექტორში შეეძლო გამოეწვია დიდი ტექნოლოგიური ავარია, რაც დიდ ზიანს აყენებდა როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ასევე სამოქალაქო სექტორს.

### **SCADA-ს დანერგვის თავისებურებანი**

მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი როლი ითამაშა ენერგეტიკის მართვის სრულყოფაში და 2009 წელს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში დაინერგა და ექსპლოატაციაში შევიდა ახალი სისტემა – SCADA, რომელმაც სრულებით ჩაანაცვლა ზემოთ აღწერილი სისტემა.

SCADA სისტემის დანერგვის პირველ ეტაპზე სატესტოდ შეირჩა რამდენიმე სადგური და სხე-ს საკუთრებაში არსებული ქვესადგურები. თითოეულ შერჩეულ ენერგობიექტზე დამონტაჟდა შესაბამისი აპარატურული უზრუნველყოფა. ობიექტზე განლაგებულ დისტანციური მართვის ტერმინალში RTU (Remote Terminal Unit) და ცენტრალური მართვის სისტემის სერვერებზე არსებულ მონაცემთა ბაზებში აღინერგებოდა ტექნოლოგიური მისამართები, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა სიგნალის გადაცემა ცენტრალურ სადისპეტჩეროზე და ასახვა მართვის ფარზე. ინფორმაციის გადაცემა ხორციელდებოდა შესაბამისი ენერგეტიკული პროტოკოლებით, რომელიც სრულიად შეესაბამებოდა ევროკავშირის სტანდარტებს.

ცენტრალურ სადისპეტჩეროზე ძველი მართვის ფარის მნემოსქემები შეიცვალა ვიდეო კედლით, რომელიც უკავშირდებოდა მომხმარებლის სამუშაო გარემოს სერვერებს და რეალური დროის რეჟიმით ასახავდა ენერგოსისტემაში მიმდინარე პროცესებს.

პროცესების ავტომატიზების მიუხედავად, შეუძლებელი იყო ქვესადგურებში დისტანციური გადართვების წარმოება ობიექტზე არსებული პერსონალის დახმარების გარეშე. ასევე, გამორთვების/ავარიების, გენერაცია/მომხმარებლის, მოწყობილობის შეკეთებაში ჩაყენება/გამოყვანის შესახებ რეპორტების წარმოება ხორციელდებოდა ხელით. გეგმური ან არაგეგმური განაცხადები კეთდებოდა ტელეფონის მეშვეობით, რაც ცვლაში მყოფი დისპეტჩერებისგან გარკვეულ რესურსს მოითხოვდა და ყურადღება გადაჰქონდა ენერგოსისტემაში მიმდინარე პროცესიდან განაცხადის ჩაწერაზე. ახალი სისტემის დანერგვისას არ შეცვლილა ქვესადგურებში არსებული მართვის სისტემა, რაც აიძულებდა დისპეტჩერს

კვლავ სატელეფონო კავშირის მეშვეობით განეხორციელებინა გადართვები ობიექტებზე.

მოცემული სერვერების გამოთვლითი სიმძლავრეები იყო საკმაოდ დაბალი და ვერ უზრუნველყოფდა მთლიანად SCADA სისტემის გამართულ მუშაობას. ხშირად ფერხდებოდა ენერგობიექტებთან კავშირი, მონაცემთა ბაზაში ჩანაწერების ლიმიტის გამო, საჭირო ხდებოდა ძველი არაკრიტიკული ჩანაწერების ამოშლა/ოპტიმიზაცია. ვინაიდან ენერგობიექტებიდან არ შემოდიოდა ყველა აუცილებელი მონაცემი, ენერგეტიკული ამოცანების და პროგნოზირების სისტემა მუშაობდა ხარვეზებით. მაგალითად, ვერ აღირიცხებოდა შემდეგი დღის საპროგნოზო მოხმარება და გადადინების დანაკარგები. მომხმარებლის სამუშაო სერვერებზე მომხმარებლების რაოდენობა იყო ლიმიტირებული, აქედან გამომდინარე, ერთდროულად SCADA-ს სისტემაში მუშაობა შეეძლო მხოლოდ 16 მომხმარებელს.


ფიზიკურ დონეზე მონაცემები გადაეცემოდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხებით, რადიოკავშირის (Microvawe) და მაღალსიხშირული სიგნალის გადამცემი კონტროლერი – PLC (Programmable Logic Controllers) სისტემების საშუალებით. SCADA წარმოადგენდა დახურულ სისტემას, რომელსაც არ ჰქონდა კავშირი ინტერნეტთან.

## **SCADA სისტემის განვითარების აქტუალური საკითხები**

2014 წლიდან „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ დაიწყო ქვესადგურების მართვის სისტემის (mini SCADA) რეაბლიტაცია და პარალელური რეჟიმით ცენტრალური SCADA სისტემის განახლებაზე მუშაობა. ქვესადგურების მართვის სისტემის განახლების ფარგლებში, ყველა ობიექტზე დამონტაჟდა ციფრული გარდამსახები და რელეები, რაც მონაცემების ცვლილებას, აპარატურის სტატუსებს და ავარიულ სიგნალებს აგზავნის დაბალი დონის ენერგეტიკული პროტოკოლების მეშვეობით (DNP, MODBUS TCP/IP და 61850 ) მონაცემების შემკრებ აპარატურულ კომპლექსში (Gateway). Gateway თავის მხრივ ამ მონაცემებს ამუშავებს და უგზავნის როგორც ქვესადგურების მართვის სისტემას (HMI – Human Machine Interface), ასევე ცენტრალური SCADA სისტემის სერვერებს, რაც ამ მონაცემების დამუშავების შემდგომ აისახება დისპეტჩინგის სამუშაო ადგილებსა და მართვის ფარზე. მონაცემების გადაცემა გარდამსახიდან/რელედან HMI-მდე ხორციელდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელით, რომელიც ლოკალურად არის მოწყობილი ქვესადგურში. ამ ქსელის თითოეულ

ელემენტს გააჩნია თავისი IP და ტექნოლოგიური მისამართი, რომელიც აღწერილია Gateway მონაცემთა ბაზაში და ასახავს მიმდინარე ცვლილებებს რეალური დროის რეჟიმით HMI-ში. ზუსტად ამ მისამართების საშუალებით ხდება ქვესადგურის მართვის პროცესის დროს (იხ. სქემა) დაკავშირება მოწყობილობებთან და მათი ჩართვა/გამორთვა, გაზომვების ასახვა და ა.შ. HMI წარმოადგენს ქვესადგურების მართვის ვიზუალურ სისტემას, სადაც სქემატურად ასახულია ქვესადგურის თითოეული მინაერთი, უჭრედი, აღწერილია თითოეული მოწყობილობა და მათზე მიბმული სიგნალები.

### ქვესადგურის მართვის შიდა სისტემა



**წყარო:** სქემა შემუშავებულია ავტორების მიერ

2019 წელს სსე-ში დაიწყო ცენტრალური SCADA-ს სისტემის დანერგვა. პროექტი მოიცავდა, როგორც ტექნიკური, ასევე პროგრამული კომპლექსის სრულ განახლებას. დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის კრიტიკულობიდან გამომდინარე, დაზღვევის მიზნით მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების მიხედვით მოეწყო სამი სასერვერო, ძველი stand-alone სერვერების მაგივრად მოეწყო სსე-ს კუთვნილი ვირტუალური გარემო, ე.წ. ღრუბელი (Cloud).

SCADA-ს თითოეული აპარატურული და პროგრამული ელემენტი წარმოადგენს Spectrum power 7 მოდულს. ძველი სისტემისგან განსხვავებით,

ახალ სისტემას გააჩნია საკმაოდ ბევრი საშუალება ენერგოსისტემის სამართავად, ესენია:

- ქვესადგურის და ელექტროსადგურის მონაცემების მიღება, დამუშავება, დისტანციური მართვა;
- საგანგაშო სიტუაციების მართვა (alarm management);
- დისპეტჩინგის მოქმედებების კონტროლი (Dispatcher log management);
- ანალოგური სიგნალის ციფრულში გადაყვანა და მართვა (DSO data acquisition, processing, control);
- გადართვების მიმდევრობის მართვა (Switching sequence management);
- დარღვევების/შეფერხებების შესახებ მონაცემების შეგროვება (Disturbance data collection);
- სისტემის მარტივი განახლება და გაფართოება.

ყველაზე მნიშვნელოვანი მოდული, ქსელის სტატუსის მონიტორინგი და შეფასება შემომავალ მონაცემებზე დაყრდნობით, მოიცავს SCADA-ს ანალიტიკურ ფუნქციებს. ეს არის ექსპერტული სისტემები, რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ენერგეტიკული ქსელის დინამიკური ინდიკატორების გაანგარიშება და მონიტორინგი, შემოსული ინფორმაციის შეფასება და აუცილებლობის შემთხვევაში, განგაშის სიგნალის გენერირება. ინტელექტუალური ფუნქციები იყოფა ფუნქციონირების ჯგუფების მიხედვით, რომლებიც ხელს უწყობს ისეთი პროცესების განხორციელებას, როგორცაა: დისპეტჩინგული გადართვების წინასწარ მოსამზადებელი ეტაპი, ქსელის მდგომარეობის შეფასება, მონაცემების მდგომარეობის სტატუსი, გადამცემი ქსელის და ენერგეტიკული ბაზრის მართვის ფუნქციები. როგორც წესი ისინი წყვეტენ კომპლექსურ გამოთვლით ამოცანებს, რომლებიც დამყარებულია SCADA-ს სისტემაში შემავალ მონაცემებზე. ამ ფუნქციურ ჯგუფებს მიეკუთვნება შემდეგი მოდულები: დაბვისა და რეაქტიული სიმძლავრის კონტროლი; მაღალი დაბვის ქსელის მართვის აპლიკაციები; გათიშვების გრაფიკი; განრიგის მართვა; ენერჯის მოთხოვნილების, დატვირთვის და სიხშირის კონტროლი; ავარიის აღგელმდებარეობის დადგენა; ანალიტიკური ფუნქციები და სხვ.

დაბვისა და რეაქტიული სიმძლავრის კონტროლი უზრუნველყოფს დაბვის პროფილების ცვლილების, დაბვის ლიმიტების დარღვევის აღმოფხვრას და ელექტროენერჯის გადადინების პროცესში დანაკარგების მინიმიზაციას. ფუნქციის ძირითადი ამოცანაა მაღალი დაბვის ელექტროსადგურიდან შემომავალ ან შემავალ ხაზზე დაბვის მნიშვნელობის განსაზღვრა.



გათიშვების გრაფიკის ფუნქცია მოიცავს მიმდინარე და მომავალში დაგეგმილი გათიშვების შემთხვევაში, ენერგეოსისტემის დატვირთულობის გადანაწილების მოდელს.

ენერჯის მოთხოვნილების, სიმძლავრის და სიხშირის კონტროლის ფუნქციური ჯგუფი მოიცავს ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის კონტროლის ფუნქციას. ავტომატური გენერაციის კონტროლი სისტემა (AGC) ითვალისწინებს აქტიური სიმძლავრის კონტროლის ამოცანებს. აქტიური სიმძლავრის კონტროლი ემთხვევა რეგულირებადი სადგურების ელექტროენერჯის წარმოებას, რომელიც ითვალისწინებს ელექტროენერჯის მოხმარებას დროის სხვადასხვა მონაკვეთში. გენერაციის ავტომატური კონტროლი ურთიერთქმედებს დისპეტჩერის და ელექტროენერგეტიკული ბირჟის მიერ წინა დღეს დადგენილ მონაცემებთან და ახორციელებს სიხშირის რეგულირებას, სიმძლავრის გადადინების კონტროლს, რომელიც შეესაბამება ENTSO-E ( The European Association for the Cooperation of Transmission System Operators) სტანდარტებს.

ავარიის ადგილმდებარეობის დადგენის ფუნქცია პასუხისმგებელია დაავიქსიროს დაზიანების ადგილი.

ანალიტიკური ფუნქციები გამოიყენება ანგარიშების (რეპორტების) მოსამზადებლად, ძველი მონაცემების შესასწავლად და მათ საფუძველზე ახალი გენერაციის და გადადინების დასაგეგმად, ასევე, გეგმური პროფილაქტიკური სამუშაოების სანარმოებლად. პრაქტიკულად ანალიტიკური ფუნქციების საშუალებით ხდება ავარიული სიტუაციების რეგისტრირება და შემდგომ მათი გამომწვევი მიზეზების მოკვლევა, სხვადასხვა სიმულაციური სცენარის გათამაშება, მონყობილობების ცვეთის ანალიზი და ა.შ. მოცემული ფუნქციები ასრულებს დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებას, შენახვას, ანალიზის და მისი შედეგების წარდგენით პასუხისმგებელი პირებისთვის.

ჭკვიანი ქსელის (smart grid) მთავარი ფუნქციები: მონაცემთა შეგროვება, ანალიზი, გადამცემი ქსელის დიზაინი, დატვირთვის და წარმოების კომპლექსური კონტროლი და შემდგომი შეფასება.

მონაცემთა ანალიზის სამუშაოები მოიცავს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც ამუშავებს და მართავს მეტა-მონაცემებს, ინახავს მათ სხვადასხვა დროის ინტერვალით და საჭიროების შემთხვევაში გადასცემს ხვადასხვა მოდულს ანალიზისთვის.

SCADA სისტემა მართავს და ინახავს უამრავ მონაცემს სხვადასხვა ტიპის და სხვადასხვა დროის ინტერვალით. ძირითადი მონაცემებისგან



განსხვავებით, ტრანზაქციული მონაცემები დაკავშირებულია დროის განზომილებასთან ან გარკვეული ოპერაციის ჩატარების პერიოდში მისი ცვლილებით, რის შედეგად ის აისახება ოპერატორის სამუშაო ადგილზე და შემდგომ ინახება არქივში.

SCADA სისტემის მართვის ფუნქციები უზრუნველყოფს დისპეტჩერის მიერ ელექტროსადგურის და ქვესადგურის დისტანციურ მონიტორინგს, მართვას, სადისპეტჩერო პულტიდან საჭირო პარამეტრების გაგზავნას სადგურში არსებულ მოწყობილობებსა და რეაქტორებზე, განახორციელოს მონაცემების შეგროვება და მისი ანალიზი მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად.

SCADA სისტემის გამართული მუშაობის უპირველესი როლი არის აპარატურული და პროგრამული კომპლექსის კომპონენტების კონტროლი, რაც უზრუნველყოფილია ავტომატიზებული, ინდივიდუალურად გაფართოებადი მონიტორინგისა და მოწყობილობის კონტროლის ფუნქციებით.

SCADA სისტემის კრიტიკულობის და მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეულ მომხმარებელს მინიჭებული აქვს შესაბამისი ავტორიზაციის უფლებები. მაგალითად, დისპეტჩერებს აქვთ ენერგოსისტემაში გადართვების წარმოების, ჩართვა-გამორთვის, მონაცემთა მართვის და ა.შ. უფლებები, რაც მაგალითად, არ აქვს პროგნოზირების მოდულის მომხმარებლებს. ასევე სისტემაში არის ადმინისტრატორის როლის მქონე რამდენიმე მომხმარებელი, რომელთაც შეუძლიათ შექმნან, დაარედაქტირონ ან წაშალონ მომხმარებელი, მიანიჭონ ესა თუ ის უფლებები ან ჩამოართვან ისინი.

## დასკვნა და რეკომენდაციები

მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი როლი შეასრულა ენერგეტიკის მართვის სრულყოფაში. ელექტროენერგეტიკის განვითარების დონე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მწარმოებლური ძალეების განვითარების დინამიკასა და განლაგებაზე, ქმნის აუცილებელ წინაპირობას მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

სამეცნიერო კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ელექტროენერგეტიკაში SCADA სისტემის დანერგვის მნიშვნელობა და მისი განვითარების ეტაპების ანალიზი. SCADA სისტემის დანერგვამ ხელი შეუწყო დისპეტჩერული მართვის და კონტროლის განვითარებას, რამაც შეამცირა ტექნოლოგიური ავარიების რიცხვი და სტაბილური გახადა საქართველოში

ენერგეტიკული სექტორი. ქვესადგურების მართვის სისტემის დანერგვამ უზრუნველყო ქვესადგურების სრული ლოკალური კონტროლი. SCADA სისტემის პროგრამულმა და აპარატურულმა განახლებამ ხელი შეუწყო ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების დისტანციური სახით სრულ მონიტორინგს და მართვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კვლევის საფუძველზე შევიმუშავეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში არსებული SCADA სისტემის ავტომატური გენერაციის კონტროლის მოდულში რეკომენდებულია რამდენიმე მარეგულირებელი ელექტროსადგურის ინტეგრირება, რაც უზრუნველყოფს ენერგოსისტემის მდგრადობას, გაზრდის გადადინების კონტროლს, მეტ სტაბილურობას შესძენს და შეამცირებს ელექტროენერგიის გადადინების დანაკარგებს;

- დისპეტჩერული მართვისა და კონტროლის სტაბილურად ფუნქციონირებისათვის, რეკომენდებულია სარეზერვო სადისპეტჩერო ცენტრის ჩამოყალიბება, რომელიც განთავსებული იქნება დაშორებულ ლოკაციაზე და იმუშავებს ცენტრალური სადისპეტჩეროს პარალელურად, შესაბამისად, SCADA სისტემის კავშირგაბმულობის ქსელში ხარვეზების წარმოქმნისას არ მოხდება ენერგობიუტებიდან წვდომის სრული დაკარგვა, რაც მეტ მდგრადობას შესძენს საქართველოს ელექტროენერგეტიკას და თავიდან ააცილებს ავარიული სიტუაციების წარმოქმნას.

- მიზანშეწონილია ენერგიის შემნახველი სისტემების ფართოდ დანერგვა, რომლის საშუალებით შესაძლებელია ელექტროენერგიის დისბალანსის კონტროლი.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში საქართველოს ენერგოსისტემა გახდება სტაბილური და ეფექტიანი, მოცემული კვლევა სასარგებლო იქნება იმ ენერგოკომპანიებისთვის, სადაც ინერგება ან დანერგილია SCADA სისტემა.

### **ლიტერატურა:**

- ჩომახიძე დ., ნარმანია დ. (2020). საქართველოს ელექტრობალანსი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წლებში (1989-2019), ჟურნ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #9, გვ 197-202.
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს №46 დადგენილება. [https://gse.com.ge/sw/static/file/bazris\\_wesebi\\_konsolidirebuli\\_14\\_11\\_2022.pdf](https://gse.com.ge/sw/static/file/bazris_wesebi_konsolidirebuli_14_11_2022.pdf) (ბოლო ნახვა 7 სექტემბერი, 2023).

- ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს, ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.
- Preview (gnerc.org) (ბოლო ნახვა 7 სექტემბერი,2023).
- საქართველოს მთავრობის დადგენილება ქ. თბილისის ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.
- Preview (genex.ge) (ბოლო ნახვა 7 სექტემბერი,2023).
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება, 2020-2021 წლების ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსების დამტკიცების შესახებ.
- Energy\_balance\_geo.pdf (esco.ge) (ბოლო ნახვა 7 სექტემბერი,2023).
- საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2022-2032.
- TYNDP\_GE-2022-2032\_GEO.pdf (gse.com.ge) (ბოლო ნახვა 7 სექტემბერი,2023).
- საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული დადგენილებები.
- <https://gnerc.org/ge/search?q=%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98> (ბოლო ნახვა 7 სექტემბერი,2023).
- Abbas H., Rahim N. A. & Abd Majid M. Z. (2018). A Review on SCADA System for Smart Grid: Issues and Challenges. Journal of Telecommunication, Electronic and Computer Engineering, 10(1-12), 73-79.
- Alves J. P. & Ferreira, J. P. (2019). SCADA System Security Analysis and Recommendations for the Power Grid. Energies, 12(3), 518.
- Chen L., Zou Y., Xiao X. & Huang H. (2020). A Security Model for Supervisory Control and Data Acquisition Systems in Smart Grids. IEEE Access, 8, 173359-173374.
- Chomakhidze D. (2016). Energy balance of Georgia, Annals of Agrarian Science. Volume 14, Issue 3, September 2016, Pages 196-200.
- Chomakhidze D., Narmania D. (2018) Synthetic Management of Energy and Ecology in Georgia, International Journal of Investment Management and Financial Innovations 2018; 4(2): 14-17
- Chomakhidze D., Narmania D. (2018). Ecological Challenges in the Development of Georgia Energy, Globalization and Business, №5, DOI: 10.35945/gb.2018.05.001
- Chomakhidze D., Tskhakaia K., Shamaevi D. (2017). Twenty Years' Experience of the Regulation of Energy in Georgia, Energy Procedia, Volume 128, Pages 130-135.
- Chomakhidze D., Tskhakaia K., Zivzivadze L., Moseshvili T., Shamaevi D. (2018). Electricity Balance of Georgia: Trends and Prospects. Energy Procedia. Volume 147, August 2018, Pages 581-587.
- Chomakhidze D., Zivzivadze O., Kachkachishvili P., Kiladze A., (2018). The Role and Importance of the Energy Saving in Georgia. Theoretical Economics Letters, Vol.8 No.10, June 20, Georgia Energy Resources. Central Asian and the Caucasus 4 (46).
- Davitaia S. (2020). Major Challenges in Georgia's Energy Sector Management, Strate-

- gic Imperatives of Modern Management, Kyiv, pp 358 (45-48).
- Davitaia S., Machitidze M. (2021). Organizing The Management Processes Of Energy Enterprises, (presented the paper entitled) at the 7th International Scientific Symposium “Economics, Business & Finance”, Latvia, Jurmala, July 28 – 29.
  - Jamil F., Ahmad E., (2014). An Empirical Study of Electricity Theft from Electricity Distribution Companies in Pakistan, Pakistan Dev. Rev. 53 (3) 239–254.
  - Khan I., Khan N., Yaqub A., Sabir M., (2019). An Empirical Investigation of the Determinants of Co2 Emissions: Evidence From Pakistan, Environ. Sci. Pollut. Control Ser. 26 (9) 9099–9112.
  - Khan S., Khan R., Al-Bayatti A., (2019). Secure Communication Architecture for Dynamic Energy Management in Smart Grid, IEEE Power Energy Technol. Syst. J. 6 (1) 47–58.
  - Khurana R., & Ahuja S. (2019). Iot And SCADA Based Monitoring and Control System for Smart Grid. International Journal of Power Electronics and Drive System, 10(4), 1749-1759.
  - Kim J. & Lee J. (2018). An Intelligent Data Processing Model for Improving the Accuracy of Electric Power Demand Forecasting in SCADA Systems. Applied Energy, 221, 440-453.
  - Laayati O. and etc., (2020). Smart Energy Management: Energy Consumption Metering, Monitoring and Prediction for Mining Industry. IEEE 2nd International Conference on Electronics, Control, Optimization and Computer Science (ICECOCS). 20364014.
  - Liu F., Wang L., Wei G. & Ma Y. (2019). Cyber Security Assessment of SCADA Systems in Power Grids. Energies, 12(4), 651.
  - Machitidze M. (2020). The Role of Information Technologies in Managing Decision-Making, Strategic Imperatives of Modern Management, Kyiv, pp 358 (100-102); ISBN 978-966-926-325-1.
  - Mathew B. & Varghese R. (2018). A Review on SCADA System n Power Systems: Design, Implementation and Challenges. International Journal of Advanced Research in Computer Science, 9(2), 7-13.
  - Mohamed A. Ali and etc., (2021). Micro-Grid Monitoring and Supervision: Web-Based SCADA Approach. Journal of Electrical Engineering & Technology. 2313-2331.
  - Munir S., Khan A., (2014). Impact of Fossil Fuel Energy Consumption on CO2 Emissions: Evidence From Pakistan (1980-2010), Pakistan Dev. Rev. 53 (4I) 327–346.
  - Pogarcic I., Seturidze R., Jankovi S. R., (2017). How Does the Help Desk Quality Improve Customer Satisfaction?, Athens Journal of Mass Media and Communications, Volume 3, Issue 4, Pages 343-362,;
  - Qays M. O. and etc., (2022). Monitoring of Renewable Energy Systems by Iot-Aided SCADA System. Energy Science & Engineering, Volume10, Issue 6, Pages 1874-1885.
  - Raza M. A. and etc., (2022). Challenges and Potentials of Implementing a Smart Grid for Pakistan’s, Energy Strategy Reviews 43 100941.

- Yang J., Shi H., Li X. & Zeng P. (2018). A Novel SCADA System Framework for Smart Grid Based on Cloud Computing. International Journal of Electrical Power & Energy Systems, 103, 412-422.
- Zhang X., Belmans R., Kirschen D., Sun D., Vaahedi E., Xue Y., (2013). Guest Editorial: Introduction to the Special Section on Planning and Operation of Transmission Grid with Applications to Smart Grid – From Concept to Implementation, IEEE Trans. Smart Grid 4 (3) 1619–1620.

### References:

- Chomakhidze D., Narmania D. (2020). sakartvelos elektrobalsansi sakhelmtsipoebrivi damoukideblobis tslebshi [Georgia Electricity Balance During the Years of State Independence (1989-2019). Globalization and Business, №9, pp. 197-202. ] in Georgia
- Abbas H., Rahim N. A. & Abd Majid M. Z. (2018). A Review on SCADA System for Smart Grid: Issues and Challenges. Journal of Telecommunication, Electronic and Computer Engineering, 10(1-12), 73-79.
- Alves J. P. & Ferreira, J. P. (2019). SCADA System Security Analysis and Recommendations for the Power Grid. Energies, 12(3), 518.
- Chen L., Zou Y., Xiao X. & Huang H. (2020). A Security Model for Supervisory Control and Data Acquisition Systems in Smart Grids. IEEE Access, 8, 173359-173374.
- Chomakhidze D. (2016). Energy balance of Georgia, Annals of Agrarian Science. Volume 14, Issue 3, September 2016, Pages 196-200.
- Chomakhidze D., Narmania D. (2018) Synthetic Management of Energy and Ecology in Georgia, International Journal of Investment Management and Financial Innovations 2018; 4(2): 14-17
- Chomakhidze D., Narmania D. (2018). Ecological Challenges in the Development of Georgia Energy, Globalization and Business, №5, DOI: 10.35945/gb.2018.05.001
- Chomakhidze D., Tskhakaia K., Shamaevi D. (2017). Twenty Years' Experience of the Regulation of Energy in Georgia, Energy Procedia, Volume 128, Pages 130-135.
- Chomakhidze D., Tskhakaia K., Zivzivadze L., Moseshvili T., Shamaevi D. (2018). Electricity Balance of Georgia: Trends and Prospects. Energy Procedia. Volume 147, August 2018, Pages 581-587.
- Chomakhidze D., Zivzivadze O., Kachkachishvili P., Kiladze A., (2018). The Role and Importance of the Energy Saving in Georgia. Theoretical Economics Letters, Vol.8 No.10, June 20, Georgia Energy Resources. Central Asian and the Caucasus 4 (46).
- Davitaia S. (2020). Major Challenges in Georgia's Energy Sector Management, Strategic Imperatives of Modern Management, Kyiv, pp 358 (45-48).
- Davitaia S., Machitidze M. (2021). Organizing The Management Processes Of Energy Enterprises, (presented the paper entitled) at the 7th International Scientific Sym-

- posium “Economics, Business & Finance”, Latvia, Jurmala, July 28 – 29.
- Jamil F., Ahmad E., (2014). An Empirical Study of Electricity Theft from Electricity Distribution Companies in Pakistan, *Pakistan Dev. Rev.* 53 (3) 239–254.
  - Khan I., Khan N., Yaqub A., Sabir M., (2019). An Empirical Investigation of the Determinants of Co2 Emissions: Evidence From Pakistan, *Environ. Sci. Pollut. Control Ser.* 26 (9) 9099–9112.
  - Khan S., Khan R., Al-Bayatti A., (2019). Secure Communication Architecture for Dynamic Energy Management in Smart Grid, *IEEE Power Energy Technol. Syst. J.* 6 (1) 47–58.
  - Khurana R., & Ahuja S. (2019). Iot And SCADA Based Monitoring and Control System for Smart Grid. *International Journal of Power Electronics and Drive System*, 10(4), 1749-1759.
  - Kim J. & Lee J. (2018). An Intelligent Data Processing Model for Improving the Accuracy of Electric Power Demand Forecasting in SCADA Systems. *Applied Energy*, 221, 440-453.
  - Laayati O. and etc., (2020). Smart Energy Management: Energy Consumption Metering, Monitoring and Prediction for Mining Industry. *IEEE 2nd International Conference on Electronics, Control, Optimization and Computer Science (ICECOCS)*. 20364014.
  - Liu F., Wang L., Wei G. & Ma Y. (2019). Cyber Security Assessment of SCADA Systems in Power Grids. *Energies*, 12(4), 651.
  - Machitidze M. (2020). The Role of Information Technologies in Managing Decision-Making, *Strategic Imperatives of Modern Management*, Kyiv, pp 358 (100-102); ISBN 978-966-926-325-1.
  - Mathew B. & Varghese R. (2018). A Review on SCADA System n Power Systems: Design, Implementation and Challenges. *International Journal of Advanced Research in Computer Science*, 9(2), 7-13.
  - Mohamed A. Ali and etc., (2021). Micro-Grid Monitoring and Supervision: Web-Based SCADA Approach. *Journal of Electrical Engineering & Technology*. 2313-2331.
  - Munir S., Khan A., (2014). Impact of Fossil Fuel Energy Consumption on CO2 Emissions: Evidence From Pakistan (1980-2010), *Pakistan Dev. Rev.* 53 (411) 327–346.
  - Pogarcic I., Seturidze R., Jankovi S. R., (2017). How Does the Help Desk Quality Improve Customer Satisfaction?, *Athens Journal of Mass Media and Communications*, Volume 3, Issue 4, Pages 343-362,;
  - Qays M. O. and etc., (2022). Monitoring of Renewable Energy Systems by Iot-Aided SCADA System. *Energy Science & Engineering*, Volume10, Issue 6, Pages 1874-1885.
  - Raza M. A. and etc., (2022). Challenges and Potentials of Implementing a Smart Grid for Pakistan’s, *Energy Strategy Reviews* 43 100941.
  - Yang J., Shi H., Li X. & Zeng P. (2018). A Novel SCADA System Framework for Smart Grid Based on Cloud Computing. *International Journal of Electrical Power & Energy Systems*, 103, 412-422.
  - Zhang X., Belmans R., Kirschen D., Sun D., Vaahedi E., Xue Y., (2013). Guest Editori-

al: Introduction to the Special Section on Planning and Operation of Transmission Grid with Applications to Smart Grid – From Concept to Implementation, IEEE Trans. Smart Grid 4 (3) 1619–1620.

- [https://gse.com.ge/sw/static/file/bazris\\_wesebi\\_konsolidirebuli\\_14\\_11\\_2022.pdf](https://gse.com.ge/sw/static/file/bazris_wesebi_konsolidirebuli_14_11_2022.pdf) (last seen 05.09.2023.)
- Preview (gnerc.org) (last seen 05.09.2023.)
- Preview (genex.ge) (last seen 05.09.2023.)
- Energy\_balance\_geo.pdf (esco.ge) (last seen 05.09.2023.)
- TYNDP\_GE-2022-2032\_GEO.pdf (gse.com.ge) (last seen 05.09.2023.)
- <https://gnerc.org/ge/search?q=%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98> (last seen 05.09.2023.)

## **The Improvement Ways of SCADA System Management in Power Energy**

### **Davit Narmania**

*Professor  
Iv. Javakhishvili  
Tbilisi State University  
davit.narmania@tsu.ge*

### **Rusudan Seturidze**

*Associate Professor  
Iv. Javakhishvili Tbilisi State  
University  
rusudan.seturidze@tsu.ge*

### **Murtaz Maghradze**

*Emeritus  
Iv. Javakhishvili Tbilisi State  
University  
murtaz.maghradze@tsu.ge*

### **Shorena Davitaia**

*Doctoral Student  
Iv. Javakhishvili Tbilisi State Uni-  
versity  
shorena.davitaia@tsu.ge*

### **Mikheil Machitidze**

*Doctoral Student  
Iv. Javakhishvili Tbilisi State Uni-  
versity  
misha.machitidze@gmail.com*

*The development of technologies in the world has played a big role in the improvement of energy management. The level of development of electric energy has a great influence on the dynamics and arrangement of the country's productive forces, creating a necessary prerequisite for raising the standard of living of the population and improving working conditions. The level of the national economy and the energy supply of the population largely depends on the energy industry. Its development rates and scales have a decisive influence on the final results of the country's economic development.*



*Supervisory Control and Data Acquisition (SCADA) is an important and relevant component of the electric power industry, which provides real-time monitoring and management of electricity production, transmission and distribution. The main purpose of the SCADA system is the management and operation of technological automated processes.*

*SCADA system includes hardware and software components. The equipment collects data from the transformers on the power plant and provides them to the field controllers, which in turn transmit the data to the first and second level systems, And they, in turn, process and display information through a corresponding graphical interface on the video wall or at the operator's workstation. SCADA systems also record the status and corresponding changes of all processes occurring in the power system.*

*The control functions of the SCADA system ensure remote monitoring and management of the power plant and substation by the dispatcher, sending the necessary parameters from the control panel to the devices and relays in the station, to carry out data collection and their analysis for management decisions.*

*“Georgian State Electrosystem” is one of the leading companies in the implementation of modern information systems. The function of GSE is to maintain system stability and reliability in both short and long term periods. There was implemented in GSE the project of updating software and hardware components of Supervisory Control and Data Acquisition system on the basis of SINAUT SPECTRUM 7 (SIEMENS), which was due to the rapid development of the electrical network, what followed was the addition of new energy facilities to the system and the correspondingly increased amount of incoming data. The old hardware was not designed for a such large load and therefore caused overloading of servers/hardware, which, in turn, was a hindering factor for effective dispatch management and control.*

*Within the framework of the scientific research, the significance of the installation of the SCADA system in the electric power industry and the analysis of its development stages were highlighted. The introduction of the SCADA system contributed to the development of dispatch management and control, which reduced the number of technological accidents and made the energy sector stable in Georgia. The introduction of the substation management system ensured full local control of the substations. The software and hardware upgrade of the SCADA system facilitated complete remote monitoring and management of power stations and substations.*

Based on the above scientific research, the following recommendations were developed:

- In the Automatic Generation Control module of the SCADA system in Georgian State Electrosystem, it is recommended to integrate several regulatory power plants, which will ensure the stability of the power system, increase overflow control, add more stability and reduce electricity overflow losses;
„სამოგზაურო პაკეტებისა და მასთან დაკავშირებული სამოგზაურო შეთანხმებების შესახებ“ დირექტივის მე-17 მუხლის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მათი ტერიტორიის ფარგლებში რეგისტრირებული ტუროპერატორების მიერ თანხის დაბრუნებისთვის უსაფრთხოების გარანტიების შექმნა (Directive 2015/2302 “Package Travel and Linked Travel Arrangements, Article 17). ამასთან, დირექტივა ითვალისწინებს ტუროპერატორის ვალდებულებას შეუსრულებელ მოთხოვნებთან მიმართებით, რომელიც გამომდინარეობს ტურისტული პაკეტიდან, კერძოდ, თანხის დაბრუნება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ ტურისტის მოთხოვნისთანავე, რაც ტურისტის ინტერესების რაც შეიძლება მცირე დროში დაკმაყოფილებას ემსახურება (Directive 2015/2302 “Package Travel and Linked Travel Arrangements, Article 11.5).

ამ პროცესის ეფექტიანობა დამოკიდებულია შესაბამის ქვეყანაში კანონმდებლობით რეგულირებულ სამართლებრივ მექანიზმებზე, მათ შორის იმაზეც, თუ რომელი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები

იქნება გამოყენებული. მოგზაურობის მომწყობის გადახდისუნარობისგან დაცვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა დაზღვევა, თუმცა, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში ასევე ვხვდებით სხვადასხვა ფონდებს (Faure, Weber 2013, 6).

ეკონომიკურ საქმიანობას თან ახლავს რისკი, ვინაიდან ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარეა მომხმარებელი, რომელიც ტურისტულ საწარმოსთან შედარებით, „სუსტ მხარედ“ მიიჩნევა (Goretta, 2018, 92). ევროპული სტანდარტები მიმართულია სუსტი მხარის ინტერესების დასაცავად – შექმნას მაქსიმალურად ეფექტიანი მექანიზმები. ზოგადად, ტერმინი „მორალური რისკი“, რომელიც თან ახლავს ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ მენარმე სუბიექტს, აიძულებს რისკის შემქმნელს წვლილი შეიტანოს კომპენსაციის გადაწყვეტაში, ვინაიდან მას წვლილი აქვს შეტანილი რისკის წარმოშობაში (Faure, Weber 2013, 5). შესაბამისად, ტურისტული საწარმოსთვის, მსგავსად სხვა სუბიექტებისა, საქმიანობის ეტაპზე დამახასიათებელია ადამიანის ინტერესებისთვის ზიანის მიყენების მაღალი რისკი. ევროპული სტანდარტები მიმართულია ეფექტიანი მექანიზმებით მინიმუმამდე შეამციროს შესაბამისი რისკის წარმოშობა (Directive 2015/2302 “Package Travel and Linked Travel Arrangements, Recital 39). აღსანიშნავია, რომ ამგვარი რისკის წარმოშობის აღბათობა განსაკუთრებით მაღალია მცირე და საშუალო ტურისტული სააგენტოების შემთხვევაში, როგორც წესი, ისინი განიცდიან ფინანსებისა და ადამიანური რესურსების სიმცირეს, რაც მათ მოწყვლად ჯგუფებად აქცევს, შესაბამისად ისინი მუდმივად ფინანსური პრობლემების წარმოშობის საფრთხის ქვეშ არიან (Abdul-Wahab, Hussien, Mohamed 2020, 297).

ფინანსური რისკის ხუთ სახეობას გამოყოფენ – საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი, ლიკვიდურობის რისკი, ოპერატიული რისკი და საქმიანი რეპუტაციის რისკი (Abdul-Wahab, Hussien, Mohamed 2020, 298-299). საკრედიტო რისკი განისაზღვრება როგორც „აღბათობა იმისა, კანონიერად აღსრულებადი შეთანხმება შეიძლება გახდეს გამოუსადეგარი (ან არსებითად შეიძლება შემცირდეს ღირებულება), თუ კონტრაგენტი არღვევს ვალდებულებას და წყვეტს საქმიანობას“ (Abdul-Wahab, Hussien, Mohamed 2020, 298-299), შესაბამისად, ტურისტული საწარმოს საქმიანობის შეწყვეტის შედეგებისგან დაზღვევის მიზნით, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ტურისტის დაცვის მექანიზმები განისაზღვრა, მაგალითად, პოლონეთმა ევროკავშირის მოთხოვნებიდან გამომდინარე განსაზღვრა ტურისტის მოგზაურობის მომწყობი სუბიექტის გადახდისუნარობისგან დაცვის მექანიზმი. კერძოდ, ტუროპერატორი ვალდებულია ტურისტს წა-

რუდგინოს დაზღვევა, რომელიც მოიცავს მოგზაურობის გაგრძელების ან მისი რეპატრიაციის ხარჯებს (როგორც მგზავრობა, ასევე განთავსება), ასევე ყველა სხვა ხარჯს დაკავშირებულს ტურისტულ მომსახურებასთან (Marak 2023, 29).

ტურიზმი ადამიანებისთვის მათი უფლებების რეალიზების ყველაზე ეფექტიან საშუალებად იქცა (United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD), Manual on Consumer Protection, 2016, 2.). შესაბამისად, ტურიზმის სექტორის პოპულარობის ზრდისთვის მნიშვნელოვანია ეთიკური ქცევის სტანდარტების დაცვა. ტურიზმის ინდუსტრიაში ეთიკური ქცევა გულისხმობს შემდეგი კომპონენტების არსებობას: ზრუნვა, პასუხისმგებლობა, ალტრუიზმი, ჰუმანურობა, გრძელვადიან ურთიერთობაზე ორიენტირებულობა, კლიენტებთან მეგობრული ურთიერთობა, დაინტერესებული პირების პატივისცემა და სხვ (Marin-pantelescu, Tachicio, Capusneanu, Topor 2017, 36-48). ყოველივე აღნიშნულის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ტურისტს ჰქონდეს მოლოდინი, რომ მყარი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ფარგლებში, მას ექნება შესაძლებლობა კანონმდებლობით დადგენილი წინაპირობების არსებობისას მიიღოს კუთვნილი თანხა.

სხვადასხვა ქვეყნისთვის მიღებული პრაქტიკაა ფონდების არსებობა ტურისტული საწარმოს გადახდისუუნარობისგან ტურისტის დაცვის კუთხით. მაგალითისთვის, ნიდერლანდებში არსებობს „მოგზაურობის საკომპენსაციო ფონდი“. მოვაჭრეები, რომლებიც არიან ANVR-ის (Netherlands Travel Trade Association) წევრნი დაკავშირებულნი არიან ორ ფონდთან „კატასტროფის ფონდი“ და „მოგზაურობის საკომპენსაციო ფონდი“. „მოგზაურობის საკომპენსაციო ფონდი“ ფუნქციონირებს, ტუროპერატორისა და ტურაგენტის გადახდისუუნარობის შემთხვევაში, მომხმარებლისთვის კომპენსაციის უზრუნველსაყოფად (Weber 2014, 151).

ევროპული სტანდარტები უცხო არ არის ავსტრალიისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ის ევროკავშირის წევრს ქვეყანას არ წარმოადგენს, თუმცა გაზიარებულია ის სტანდარტი, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ფარგლებში არსებობს. ავსტრალიაში მოქმედებს ტურაგენტებისთვის სავალდებულო ლიცენზირების და ასევე, გადახდისუუნარობისგან დაცვის რეჟიმი. ამ ღონისძიებების მიზნია: ა) კომპეტენცია – მომხმარებლის დაცვა ტურაგენტის არაადეკვატური მომსახურებისგან; ბ) კომპენსაცია – კომპენსაციით უზრუნველყოფა ტურისტის მოვალის გადახდისუუნარობის შემთხვევაში. ასევე, მოსალოდნელი გადახდისუუნარობისგან დაცვის მიზნით, ზედამხედველობის განხორციელება; გ) ხელმძღვანელობა – ბიზნესის ქცევის გაუმჯობესება ინდუსტრიაში დისციპ-



ლინური უფლებამოსილებების ნაწილში, რაც მინიჭებული აქვს შესაბამის სალიცენზიო ორგანოს (Review of Consumer Protection in the Travel and Travel Related Services Market 2010, V-VI).

### **ტურისტული სანარმოს გადახდისუნარობისგან ტურისტის დაცვის ქართული სტანდარტი**

ევროკავშირის ქვეყნებში, მომხმარებლის ტურისტული სანარმოს გადახდისუნარობისგან დაცვის მიღებული პრაქტიკაა, ტურისტულმა სანარმომ წარმოადგინოს დაცვის ისეთი ეფექტიანი საშუალებები, როგორც არის დაზღვევა და საბანკო გარანტია (Weber 2014, 151).

საქართველოს სახელმწიფომაც, ევროპული რეგულაციების სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება გადაწყვიტა, კერძოდ, „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით განსაზღვრა, რომ ტუროპერატორის გადახდისუნარობისგან დაცვის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაზღვევა ან საბანკო გარანტია („ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი). ამასთან, ტურისტული პაკეტის დაწყებამდე ტუროპერატორი ვალდებულია – ტურისტს გადასცეს დაზღვევის ან საბანკო გარანტიის სერტიფიკატი, რაც იმის მტკიცებულებაა, რომ სადაზღვევო კომპანია ან ფინანსური ინსტიტუტი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს ტურისტს თანხა პაკეტის მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, რომელიც გამომწვეულია ტუროპერატორის გადახდისუნარობით. თავის მხრივ, უზრუნველყოფაში მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის გამცემი სუბიექტის მონაცემები, მათ შორის საიდენტიფიკაციო ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი და სხვა მონაცემები, რაც აუცილებელი იქნება უზრუნველყოფის გამოსაყენებლად.

„ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი განსაზღვრავს, რომ გადახდისუნაროდ მიიჩნევა ტუროპერატორი, თუ იგი ვერ უზრუნველყოფს ვადადამდგარი ვალდებულებების შესრულებას/გადახდას, რაც შეუძლებელს ხდის ტურისტული მომსახურების შესრულებას (საქართველოს კანონის პროექტი „ტურიზმის შესახებ“, მუხლი 26.4).

საბანკო გარანტია კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა, სადაც ბანკი, სადაზღვევო კომპანია ან სხვა საკრედიტო ორგანიზაცია კისრულობს ვალდებულებას მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დაკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა. აღსანიშნავია, რომ საბანკო გარანტია მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფ, ეფექტიან და ამავდროულად, ძვირ საშუალებად მიიჩნევა (ლიპარტია 2018, 22). შესაბამისად,

მნიშვნელოვანია მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებების ეკონომიკური ეფექტის შეფასება ტურიზმის სექტორზე, კერძოდ იმ კუთხით, თუ რა რა ფინანსურ რისკებთან იქნება დაკავშირებული ტურისტული სანარმოებისთვის ახალი ფინანსური ვალდებულებების დაწესება, როცა ცვლილებები ემსახურება განსაკუთრებულ მიზანს – მომხმარებლის (ტურისტის) ინტერესების დაკმაყოფილებას.

### **ტურისტული სანარმოს გადახდისუნარობისგან ტურისტის დაცვის მექანიზმის დადგენის მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი საქართველოს ტურიზმის ბაზარზე**

ტურისტული სანარმოს გადახდისუნარობა იწვევს რისკს, რაც ტურისტის ინტერესების დაკმაყოფილებას საფრთხეს უქმნის. ტურიზმის ინდუსტრია პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის შედარებით ახალგაზრდაა, თუმცა დინამიკურად მზარდი ინდუსტრიაა (Hedija 2017, 325). ახალი ფინანსური ვალდებულებების დაწესება საქართველოს ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის არაერთ სირთულესთანაა დაკავშირებული, თუმცა, არამხოლოდ მათთვის. ტურიზმი დღეს ერთ-ერთი უმსხვილესი ინდუსტრიაა და მისი განსაკუთრებული როლი ნათლად წარმოჩინდა კოვიდ პანდემიის პირობებში, ვინაიდან გადაადგილებასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე, დიდი ფინანსური დანაკარგი მოუტანა ბევრ ქვეყანას.

შესაბამისად, ახალი ფინანსური რეგულაციების დაწესება თითოეული ქვეყნისთვის მეტ-ნაკლებად გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული. პრაქტიკიდან გამომდინარე, სირთულეს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ერთ-ერთი ტურისტული კომპანიის გაკოტრებამ შეიძლება გამოიწვიოს მასთან დაკავშირებული პარტნიორი, როგორცაა ტურისტული სააგენტოები, სასტუმროები და გადამყვანი კომპანიების გაკოტრებაც. მაგალითად ცნობილმა ტურისტულმა კომპანიამ Thomas Cook-მა 2019 წელს გამოაცხადა თავი გადახდისუნაროდ, ორი დღის შემდეგ კომპანიის 100%-ის მფლობელ პოლონურ ფილიალსაც (Neckermann Polska) მოუწია კომპანიის გადახდისუნარობის გამოცხადება. მიუხედავად დამოუკიდებელი ფინანსებისა, კომპანიამ ვერ შეძლო სათაო კომპანიის გარეშე ფუნქციონირება. ასევე, ბრიტანეთის პრაქტიკის საფუძველზე არაერთი მაგალითის დასახელება შეიძლება, როდესაც ტურისტული კომპანიის გადახდისუნარობამ სხვა, მასთან დაკავშირებული სუბიექტების გაკოტრებაც გამოიწვია, მათ შორის საფრთხე სასტუმროს ინდუსტრიასაც შეეხო (Marak 2023, 27).



„ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი მიზანია განსაზღვროს ტურისტის დაცვის გარანტიები, კერძოდ, კანონპროექტში ჩადებული მექანიზმები მიმართულია თავიდან აიცილოს ტურისტული საწარმოების გადახდისუუნარობის შედეგად მომხმარებლის ინტერესების დაზიანება (საქართველოს კანონის პროექტის „ტურიზმის შესახებ“ განმარტებითი ბარათი, 2-3). ზოგადად, ტურისტული საწარმოების გადახდისუუნარობას ახასიათებს არსებითი ეკონომიკური რისკი ქვეყნის მასშტაბით, რაც გავლენას ახდენს სხვადასხვა სექტორსა და დაინტერესებულ მხარეებზე. მნიშვნელოვანია შეფასდეს რა რისკს შეიცავს კანონპროექტით შემოთავაზებული აღნიშნული მექანიზმები. ქვემოთ დახასიათებულია რამდენიმე პოტენციური ეკონომიკური რისკი:

**ა) ეკონომიკური გავლენა ტურიზმის სექტორზე** – ტურისტული საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტურიზმის ინდუსტრიაში და მათი გადახდის უუნარობის ფართო გავრცელებამ შეიძლება გამოიწვიოს ტურისტული აქტივობის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც გავლენას მოახდენს სასტუმროებზე, ტურისტულ სააგენტოებზე, ტუროპერატორებსა და მათთან დაკავშირებულ ბიზნესებზე. ამან შეიძლება გამოიწვიოს ტურისტების ჩამოსვლის შემცირება, და ადგილობრივი ბიზნესის შემოსავლის შემცირება.

**ბ) უმუშევრობის ზრდა და შემოსავლების შემცირება** – ტურისტული საწარმოების გადახდისუუნარობამ შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ადგილების დაკარგვა დაზარალებულ საწარმოებსა და მათთან დაკავშირებულ სექტორებში. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს უმუშევრობის მაჩვენებლების ზრდას და შემოსავლის დაკარგვას იმ პირებისა და ოჯახებისთვის, რომელთა საარსებო წყაროს ტურიზმის ინდუსტრია წარმოადგენს.

**გ) გავლენა მცირე ბიზნესსა და მომწოდებლებზე** – ტურისტულ საწარმოებს ხშირად აქვთ კავშირები სხვადასხვა ადგილობრივ მომწოდებლებთან, რესტორნებთან, ტრანსპორტის პროვაიდერებსა და მცირე ბიზნესთან. მათმა გადახდისუუნარობამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების გადაუხდელობა ან დაგვიანება, რაც გავლენას მოახდენს ამ მცირე ერთეულების ფინანსურ სტაბილურობაზე.

**დ) საბიუჯეტო შემოსავლების დაკარგვა** – გადახდისუუნარობის გამო ტურიზმის შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს ტურიზმიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების შემცირება, რაც გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტზე.

**ე) სავალუტო ზარალი** – ტურიზმი არის საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო. თუ ტურისტუ-

ლი კომპანიები გადახდისუნარობის წინაშე დადგებიან, ამან შეიძლება გამოიწვიოს უცხოური ვალუტის შემოდინების შემცირება, რაც გავლენას მოახდენს სავალუტო გაცვლით კურსზე (ლარი გაუფასურდება).

**ვ) კრედიტორებისა და ფინანსური ინსტიტუტების რისკი** – ფინანსური ინსტიტუტებს, რომლებმაც გასცეს სესხები ან კრედიტი ტურისტულ სანარმოებზე, გაეზრდებათ დეფოლტის რისკი და ზარალი, თუ ეს სანარმოები გადახდისუნაროები გახდებიან, ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს ფინანსური სექტორის მთლიან სტაბილურობაზე.

**ზ) ნეგატიური წარმოდგენები და მომავალი ინვესტიციები** – ტურიზმის სექტორში გადახდისუნარობამ შეიძლება დააზიანოს ქვეყნის, როგორც ტურისტული ადგილის რეპუტაცია. პოტენციურმა ტურისტებმა შეიძლება აღიქვან ქვეყანა არასტაბილურად ან სარისკოდ, რაც გამოიწვევს სამომავლო ჯავშნებისა და ტურისტული ინვესტიციების შემცირებას.

### **გადახდისუნარობისგან დაცვის მექანიზმების დადგენის მოსალოდნელი დადებითი გავლენის შეფასება**

ევროპული სტანდარტების იმპლემენტაციას, რომელიც ტურისტულ სანარმოებს ავალდებულებს გააჩნდეთ ფინანსური უზრუნველყოფა (დეპოზიტი) გადახდისუნარობის თავიდან ასაცილებლად, შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ეკონომიკური ზემოქმედება. მოსალოდნელ დადებით ეფექტებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

**ა) გაუმჯობესებული ფინანსური სტაბილურობა** – ტურისტული სანარმოებისადმი ფინანსური უზრუნველყოფის მოთხოვნამ შეიძლება გააძლიეროს მათი ფინანსური სტაბილურობა, რაც უზრუნველყოფს სანარმოების გაუთვალისწინებელი გარემოებების სამართავად სახსრების ხელმისაწვდომობას, ამცირებს გადახდისუნარობის ალბათობას.

**ბ) შემცირებული გადახდისუნარობის რისკი** – ფინანსური უზრუნველყოფის მოთხოვნამ შეიძლება გამოიწვიოს ტურიზმის სექტორში გადახდისუნარობის შემცირება. სანარმოები, რომლებსაც აქვთ გამოყოფილი ადეკვატური სახსრები, უკეთეს მდგომარეობაში არიან თავიანთი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, ასევე უკეთ შეუძლიათ გაუძლონ ეკონომიკურ ვარდნას ან შეფერხებებს, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები ან პანდემიები.

**გ) მომხმარებელთა გაძლიერებული ნდობა** – სავალდებულო ფინანსური უზრუნველყოფის არსებობას შეუძლია ტურისტებისა და მომხმარებლების ნდობა განამტკიცოს. იმის ცოდნამ, რომ მათი სახსრები ნაწილობრივ უზრუნველყოფილია დეპოზიტის საშუალებით, შეიძლება წაახა-

ლისოს ისინი დატავშნონ სერვისები უფრო მშვიდად, რაც პოტენციურად გაზრდის ტავშნებს და მთლიან შემოსავალს.

**დ) ინვესტიციების ნახალისება** – ტურიზმის ინდუსტრიაში გაზრდილი ფინანსური სტაბილურობის აღქმას შეუძლია მეტი ინვესტორის მოზიდვა. ინვესტორებმა შესაძლოა სექტორი ნაკლებად სარისკოდ მიიჩნიონ და, შესაბამისად, გაზარდოს მათი საინვესტიციო მზაობა/სურვილი, რაც გამოიწვევს ტურისტული კომპანიების ზრდას და გაფართოებას.

**ე) კონკურენტული უპირატესობა შესაბამისი კომპანიებისთვის** – ტურისტულმა კომპანიებმა, რომლებიც ინარჩუნებენ საქირო დეპოზიტს, შეიძლება მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე, არაფორმალური სერვისების მიმწოდებლებთან შედარებით. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ეს უპირატესობა, რათა მოიზიდონ მომხმარებლები, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ ფინანსურ უსაფრთხოებას ტურისტული სერვისების არჩევისას.

### **გადახდისუნარიანობისგან დაცვის მექანიზმების დადგენის მოსალოდნელი უარყოფითი გავლენის შეფასება**

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ინიციატივას აქვს განსაკუთრებული მიზანი, კერძოდ „სუსტი მხარის“ ინტერესების დაცვისთვის დამცავი მექანიზმების შექმნა, ვინაიდან ტურისტი მასთან შედარებით ძლიერ მხარესთან აფორმებს ხელშეკრულებას, მნიშვნელოვანია შეფასდეს ის ეკონომიკური რისკი, რაც მოსალოდნელია ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის მიღების შედეგად.

**ა) გამონვევები მცირე ბიზნესისთვის** – მცირე და განვითარებად ტურისტულ საწარმოებს შეიძლება შეექმნათ გამონვევები საქირო დეპოზიტის დაგროვებასა და შენარჩუნებაში. ამან შეიძლება შექმნას ახალი ბიზნესების ბაზარზე შესვლის ბარიერი, რაც პოტენციურად გამოიწვევს ბაზრის კონსოლიდაციას. ამ პროცესმა გრძელვადიან პერიოდში, თავის მხრივ, შეიძლება ხელი შეუშალოს ტურიზმის სფეროში ინოვაციებისა და ახალი იდეების განხორციელებას. ასევე, ხელს შეუშლის მცირე ზომის ტუროპერატორების მუშაობას ბაზარზე, რაც თავის მხრივ შემცირებს კონკურენციას და მეტ საბაზრო წილს დაუთმობს მსხვილ ტურისტულ კომპანიებს. ეს კი, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება უმუშევრობის დონეზე და ტურიზმის ინდუსტრიით დაინტერესებულ ადამიანებს ნაკლებ შესაძლებლობას შესთავაზებს.

**ბ) ფულადი ნაკადების და ლიკვიდობის პრობლემები** – დეპოზიტის მოთხოვნა აკავშირებს კომპანიის სახსრების ნაწილს, რაც პოტენციურად

იმოქმედებს ფულადი სახსრების მოძრაობასა და ლიკვიდობაზე. კერძოდ, მცირე ბიზნესს შეიძლება გაუჭირდეს ლიკვიდობის საჭიროების დაბალანსება სავალდებულო დეპოზიტის მოთხოვნასთან.

**გ) სამომხმარებლო ფასების პოტენციური ზრდა** – სავალდებულო დეპოზიტის დასაკმაყოფილებლად ტურისტულმა კომპანიებმა შესაძლოა გაზარდონ ფასები მოგების მარჟის შესანარჩუნებლად. ამან შეიძლება გამოიწვიოს უფრო მაღალი ხარჯები მომხმარებლებისთვის, რაც პოტენციურად იმოქმედებს ტურისტულ მოთხოვნასა და კონკურენტუნარიანობაზე. ასევე შეამცირებს ამ კონკრეტული მიმართულებით ინვესტიციების მოცულობას, რაც, თავის მხრივ, ბიზნესის განვითარებაში უნდა აისახოს.

**დ) რეგულაციებთან შესაბამისობის გამონწევები** – ტურისტულ საწარმოებს შეიძლება გაუჭირდეთ დეპოზიტის შენარჩუნებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და ადმინისტრაციული მოთხოვნების გაგება და ნავიგაცია, რაც პოტენციურად საჭიროებს დამატებით რესურსებს შესაბამისობისთვის. დეპოზიტის შექმნისა და მართვის პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიების ადმინისტრაციული და შესაბამისობის ხარჯები. ამან შეიძლება მოითხოვოს ინვესტიციები ფინანსური მართვის სისტემებში და პოტენციურად იმოქმედოს მთლიან მომგებიანობაზე. ასევე, სახელმწიფოს მხრიდან ამ კანონის აღსრულების კონტროლმა შესაძლოა გაზარდოს სახელმწიფო დანახარჯები, თანაც კონტროლის ეფექტიანობაც ჯერჯერობით ბუნდოვანია.

**ე) ჩრდილოვანი ტურიზმი** – პროცესში შესაძლოა დამკვიდრდეს არალეგალური

პრაქტიკა, რომელიც კანონისთვის გვერდის ავლას შეეცდება, რაც თავის მხრივ, დააზარალებს ზოგადად ტურიზმის ინდუსტრიასა და ტუროპერატორებს.

**ვ) უმუშევრობის გაზრდა** – შესაძლოა გაზარდოს უმუშევრობის დონე, რადგან ახალმა და მცირე ზომის ტუროპერატორებმა ვერ გაუძლონ დიდი კომპანიების ზენოლასა და კონკურენციას. ამას, თავის მხრივ, გავლენა ექნება იმ კომპანიებზე, რომლებიც ტუროპერატორებს სხვადასხვა პროდუქტსა თუ მომსახურებას სთავაზობენ.

## დასკვნა

შიგა ბაზრის საჭიროებები განაპირობებს სამართლებრივი გარემოს განვითარებას. სწორედ ტურისტის, როგორც განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე სუბიექტის საერთაშორისო დონეზე აღიარებამ,

განაპირობა ტურისტული პაკეტთან დაკავშირებული სტანდარტების სპეციალური საერთაშორისო აქტებით განსაზღვრა. საქართველოსთვის ევროინტეგრაციის გზაზე არსებითია იმ ღირებულებების გაზიარება, რასაც ევროკავშირი ეფუძნება. შესაბამისად, დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია, შეუერთდეს საერთაშორისო რეგულაციებს და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტები შიგასახელმწიფოებრივ აქტებში ასახოს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც სამართლებრივი რეგულაციების, ასევე მათი აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების დადგენა.

ტურისტული სანარმოს (ტურაგენტი, ტუროპერატორი) გადახდისუუნარობისგან დაცვის ახალი სამართლებრივი რეგულაციები სწორედ ტურისტის დაცვის ინტერესს ემსახურება. საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვამ ცხადყო, რომ დაზღვევა, საბანკო გარანტია და ფონდების არსებობა, ტურისტის ფინანსური ინტერესების დაცვის ყველაზე ეფექტიანი საშუალებებია. საქართველოს სახელმწიფოს არჩევანიც სწორედ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების შედეგია, რათა გამოყენებულ იქნეს გადახდისუუნარობისაგან დაცვის ფინანსურ გარანტიად დაზღვევა ან საბანკო გარანტია. წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია საკანონმდებლო ცვლილების სავარაუდო თანმდევნი შედეგები (დადებითი და უარყოფითი), რომელიც გადახდისუუნარობის შედეგად დამდგარი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რეგულაციების დადგენის შემდეგ, საქართველოს ტურიზმის სექტორისთვის არის მოსალოდნელი. მიუხედავად, იმისა, რომ კვლევაში წარმოდგენილი რამდენიმე გარემოება უარყოფითად შეფასდა, როგორც მოსალოდნელი ეფექტი, სრულად უნდა იქნეს გაზიარებული ზემოაღნიშნული რეგულაციების მიღების მიზნის პრიორიტეტულობა – დაცულ იქნეს, ტურისტი, როგორც „სუსტი მხარე“ ფინანსური ზიანისგან.

### ლიტერატურა:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
- „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/>
- საქართველოს კანონი „ტურიზმის შესახებ“ (პროექტი) განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/>
- ლიპარტია ნ. (2018). საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და მისი სამართლებრივი შედეგები.
- „On Package Travel and Linked Travel Arrangements“ Directive (EU) 2015/2302 of 25

- November 2015.
- “Package Travel, Holidays and Package Tours” Directive (EU) 90/314/EEC of June 13, 1990.
  - Tarlow E. P. (2014). *Tourism Security: Strategies for Effectively Managing Travel Risk and Safety*. Elsevier.
  - Faure M., Weber F. (2013). *Security Mechanisms for Insolvencies in the Package travel Sector: An Economic Analysis*, *Journal of Consumer Policy*.
  - Marak K. (2023). *Financial Securities for Tour Operators in Case of Insolvency Resulting from the Directive 2015/2302 of the European Parliament and of the Council Which are in Force in Poland*. *Eurasian Journal of Social Sciences*, 11(1).
  - Marin-pantelescu A. Tachicio L. Capusneanu S. and Topor D. I. (2019). *Role of Tour Operators and Travel Agencies in Promoting Sustainable Tourism*, *Amfiteatru Economic*, 21 (52).
  - Abdul-Wahab El-sisi S. Hussien Abdelkafy J. and Mohamed Soliman D. (2020). *Study the Financial Risks Facing Small and Medium-Sized Travel Agencies in Egypt: An Exploratory Study*. Vol. 9. Issue N 2. *IAJFTH*.
  - Weber F. (2014). *The Law and Economics of Enforcing European Consumer Law (A Comparative Analysis of Package Travel and Misleading Advertising, Markets and The Law*.
  - State o. Baicu Gabriela C. Popescu D. (2014) *The Responsibility of Organisations Towards Customers. Case Study – Romanian Travel Agencies*. *The Amfiteatru Economic Journal*. Vol. 16. Issue 35.
  - Hedija V. (2017). *Financial Health of Travel Agencies and Tour Operators in the Czech Republic: Evidence from Bankruptcy Models*. Conference: 4<sup>th</sup> International Multidisciplinary Scientific Conference on Social Sciences & Arts SGEM 2017, Vol 4.
  - Goretti M. Lima S. (2018) *Traveller Vulnerability in the Context of Travel and Tourism Contracts (A Comparison of Brazilian and EU Law)*, Springer, Brazil.
  - *Review of Consumer Protection in the Travel and Travel Related Services Market*, Prepared for the Department of the Treasury, on Behalf of the Standing Committee of Officials of Consumer Affairs, November 2010.
  - Stevic I. Stevic R. S. (2012). *Challenges for the Survival of Travel Agencies Due to New Tendencies on the Tourism Market*, Conference Paper – 6<sup>th</sup> World Conference for Graduate Research in Tourism, Hospitality and Leisure. [https://www.researchgate.net/publication/283318319\\_Challenges\\_for\\_the\\_survival\\_of\\_travel\\_agencies\\_due\\_to\\_new\\_tendencies\\_on\\_the\\_tourism\\_market#:~:text=Travel%20agencies%20are%20being%20increasingly,for%20users%20of%20tourism%20services.](https://www.researchgate.net/publication/283318319_Challenges_for_the_survival_of_travel_agencies_due_to_new_tendencies_on_the_tourism_market#:~:text=Travel%20agencies%20are%20being%20increasingly,for%20users%20of%20tourism%20services.) / ბოლო ნახვა 5 სექტემბერი, 2023/
  - *Bucholtz v. Sirotkin Travel Ltd.*, 74 Misc. 2d 180, 343 N.Y.S.2d 438 (N.Y. Dist. Ct. 1973).
  - United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD), *Manual on Consumer Protection* (2016).



• **References:**

- sakartvelos samokalako kodeksi. [Civil Code of Georgia.] in Georgian
- sakartvelos kanoni „turizmis shesakheb“ (proekt’i). [Law of Georgia “On Tourism” (draft).] in Georgian
- Lipartia n. (2018). sabanko garantiis sapudzvelze benepitsiaris motkhovnis martva da misi samartlebrivi shedegebi. [Management of the beneficiary’s claim based on the bank guarantee and its legal consequences.] in Georgian
- „On Package Travel and Linked Travel Arrangements” Directive (EU) 2015/2302 of 25 November 2015.
- “Package Travel, Holidays and Package Tours” Directive (EU) 90/314/EEC of June 13, 1990.
- Tarlow E. P. (2014). Tourism Security: Strategies for Effectively Managing Travel Risk and Safety. Elsevier.
- Faure M., Weber F. (2013). Security Mechanisms for Insolvencies in the Package travel Sector: An Economic Analysis, Journal of Consumer Policy.
- Marak K. (2023). Financial Securities for Tour Operators in Case of Insolvency Resulting from the Directive 2015/2302 of the European Parliament and of the Council Which are in Force in Poland. Eurasian Journal of Social Sciences, 11(1).
- Marin-pantelescu A. Tachicio L. Capusneanu S. and Topor D. I. (2019). Role of Tour Operators and Travel Agencies in Promoting Sustainable Tourism, Amfiteatru Economic, 21 (52).
- Abdul-Wahab El-sisi S. Hussien Abdelkafy J. and Mohamed Soliman D. (2020). Study the Financial Risks Facing Small and Medium-Sized Travel Agencies in Egypt: An Exploratory Study. Vol. 9. Issue N 2. IAJFTH.
- Weber F. (2014). The Law and Economics of Enforcing European Consumer Law (A Comparative Analysis of Package Travel and Misleading Advertising, Markets and The Law.
- State o. Baicu Gabriela C. Popescu D. (2014) The Responsibility of Organisations Towards Customers. Case Study – Romanian Travel Agencies. The Amfiteatru Economic Journal. Vol. 16. Issue 35.
- Hedija V. (2017). Financial Health of Travel Agencies and Tour Operators in the Czech Republic: Evidence from Bankruptcy Models. Conference: 4<sup>th</sup> International Multidisciplinary Scientific Conference on Social Sciences & Arts SGEM 2017, Vol 4.
- Review of Consumer Protection in the Travel and Travel Related Services Market, Prepared for the Department of the Treasury, on Behalf of the Standing Committee of Officials of Consumer Affairs, November 2010.
- Stevic I. Stevic R. S. (2012). Challenges for the Survival of Travel Agencies Due to New Tendencies on the Tourism Market, Conference Paper – 6<sup>th</sup> World Conference for Graduate Research in Tourism, Hospitality and Leisure. [https://www.researchgate.net/publication/283318319\\_Challenges\\_for\\_the\\_survival\\_of\\_travel\\_agencies\\_due\\_](https://www.researchgate.net/publication/283318319_Challenges_for_the_survival_of_travel_agencies_due_)



tonew\_tendencies\_on\_the\_tourism\_market#:~:text=Travel%20agencies%20are%20being%20increasingly,for%20users%20of%20tourism%20services. / last seen 25 October, 2023/

- Bucholtz v. Sirotkin Travel Ltd., 74 Misc. 2d 180, 343 N.Y.S.2d 438 (N.Y. Dist. Ct. 1973).

## **Impact of New Legal Mechanisms of Tourism Enterprise Insolvency Protection on Georgia's Tourism Industry**

**Valeri Arghutashvili**

Associate Professor  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
valeri.arghutashvili@tsu.ge

*In case of insolvency of the tour operator and travel agent, there is a real risk of damage to the interests of the tourist, as the insolvency may complicate the implementation of the tourist package and at the same time, threaten the fulfillment of the existing financial obligations to the tourist. The purpose of the law is to balance the interests of the tourist as a “weaker party” by establishing preventive mechanisms, for this purpose it establishes a mechanism for ensuring the fulfillment of obligations arising from the insolvency of the tourist enterprise. It is important to assess the likely impact of these regulations on the tourism industry.*

*Tourism in Georgia is developing at a fast pace, therefore, as a result of imposing new financial obligations for tour operators, there is a high risk that small and medium-sized business entities will not be able to meet these requirements, which is why there is a threat of their liquidation. Within the framework of the present study, new means of ensuring the liability arising from the insolvency of tourist enterprises are evaluated, which will determine the expected positive and negative impact on the tourism sector of Georgia as a result of the adoption of the Law of Georgia “On Tourism”.*

*Directive 2015/2302 “On travel packages and related travel arrangements” adopted on November 25, 2015, is the main document regulating travel packages today. With the adoption of the new directive, a higher standard of protection of the tourist's rights was established, which is in full compliance with the needs of the internal market, and all the gaps that existed within the framework of*

*the previous directive were eliminated. The initiation of the adoption of the Law of Georgia “On Tourism” serves to reflect the standards stipulated by the above-mentioned directive. The fulfillment of the mentioned obligations will have a positive effect, in particular, the changes will contribute to the attraction of foreign tourists, Georgia will become a more popular tourist destination country, as a result of the fulfillment of international obligations, the tourists will feel safe in Georgia, at the same time, tourism activity as a business activity will be established as a very sustainable institution. However, in this process, our country may face some difficulties. Meeting new legal requirements and transitioning to a new reality for countries with an economy like Georgia’s will not be a very painless and easy process, since, in many cases, lack of awareness of the issue and, on the other hand, new additional financial obligations represent unwanted news for business entities operating in the tourism sector.*

*The implementation of European standards, which oblige tourism enterprises to have financial security (deposit) to avoid insolvency, can have both positive and negative economic effects.*

*Although the legislative initiative has a special purpose, namely the creation of protective mechanisms for the protection of the interests of the “weaker party”, since the tourist signs a contract with a stronger party, it is important to assess the economic risk that is expected as a result of the adoption of the above-mentioned legislative initiative.*

*The objective of the present study is to discuss the new legal mechanisms for fulfilling the obligations arising from the insolvency of the tour operator, as well as to evaluate the positive and negative economic impact of the aforementioned new financial obligations on the tourism sector of Georgia. Among the expected positive effects, the following can be distinguished:*

**Improved financial stability** – *the requirement of financial security for tourism enterprises can strengthen their financial stability, which ensures the availability of funds to manage the unforeseen circumstances of the enterprises, reducing the probability of insolvency.*

**Enhanced consumer confidence** – *having mandatory financial security can strengthen the confidence of tourists and consumers.*

**Reduced insolvency risk** – *the requirement for financial security can lead to reduced insolvency in the tourism sector.*

*Among the expected negative effects, the following can be distinguished:*

**Challenges for Small Businesses** – *Small and emerging tourism enterprises*

may face challenges in accumulating and maintaining the required deposit.

**Potential increase in consumer prices** – To meet the mandatory deposit, travel companies may increase prices to maintain profit margins.

**Cash Flow and liquidity issues** – A deposit requirement ties up a portion of a company's funds, potentially affecting cash flow and liquidity. In particular, small businesses may find it difficult to balance the need for liquidity with the requirement of a required deposit.

The needs of the domestic market determine the development of the legal environment and the international recognition of the tourist as a subject in need of special protection led to the determination of the standards related to the tourist package by international special acts. It is essential for Georgia to share the values on which the European Union is based on the path of European integration. Accordingly, one of the priorities for our country today is to join the international regulations and reflect internationally recognized standards in domestic acts. However, it should be noted that it is equally important to establish both legal regulations and effective mechanisms for their enforcement.

The new legal regulations for the protection of the tourist enterprise (tour agent, tour operator) from insolvency serve the interest of protecting the tourist. The analysis of international practice revealed that insurance, bank guarantees, and the existence of funds are the most effective means of protecting the tourist's financial interests. The choice of the state of Georgia is the result of sharing the best international practices for using insurance or bank guarantees as a financial guarantee for insolvency protection. The present study presents a detailed analysis of the likely results (positive and negative) that are expected for the tourism sector of Georgia after the establishment of regulations related to ensuring the fulfillment of obligations arising from insolvency. Despite the fact that several circumstances presented in the study were negatively evaluated as an expected effect, the priority of the goal of adopting the above-mentioned regulations should be fully shared – to protect the tourist as a “weak party” from financial damage.

**Keywords:** Tourism, tour operator, tourist, insolvency, insurance, bank guarantee, economic assessment.

**JEL Codes:** L82, L83, L89

## Geographical Distribution of the Tourism Value Chain of Georgia by the Example of Accommodations

**Mariam Sharia**

Ph.D. student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

mariamshariag@gmail.com

The value chain of the tourism industry is remarkably diverse and includes many different sectors of the economy, be it agriculture, food industry, services, construction sector, etc. Accordingly, the development of tourism in the country, in the wake of meeting the needs of tourists can lead to the development of a number of other sectors and, in this way, have a positive impact on the country's economy as a whole.

However, the situation is different for import-dependent countries like Georgia. The value chain of tourism significantly deviates from the country's borders and, accordingly, there is an outflow of tourism revenues from the country. In order to make the most of the positive effects of tourism, it is necessary to optimize the spatial value chain and integrate the local product as much as possible.

Before creating optimal spatial models, it is necessary to conduct an in-depth study and analysis of the current situation. Within the scope of this research, we have narrowed down the tourism value chain to the level of the accommodation value chain.

This paper explores and analyzes the geographic diversification of the Georgian tourism value chain through a comparative analysis of the export-import balance of the group of main products included in the value chain of accommodations in Georgia.

The article is a part of the dissertation research, the methodology of which is the transdisciplinary approach. As part of the research, in-depth interviews and structured interviews with representatives of accommodations have already been conducted; in-depth interviews with industry experts; Secondary statistical data were collected and analyzed.

The data obtained as a result of the research were processed mainly using Excel and MAXQDA.

This research [PHDF-21-4839] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

**Keywords:** Tourism value chain, export-import balance, tourism in import-dependent countries, Georgia.

**JEL Codes:** L80, L83, L89

## **Introduction**

In the process of meeting the needs of tourists, the tourism industry increases the demand for diverse products and services in the market, therefore, it stimulates the development of different sectors of the economy, which should ultimately contribute to the strengthening of the country's whole economy. Considering this, tourism has the potential to positively affect the country's socio-economic condition.

Tourism value chain analysis provides an opportunity to evaluate how well the country is utilizing the potential of the tourism industry. The tourism business has a complex value chain that includes accommodations, restaurants, attractions, other service industries, agriculture, catering, handicrafts, creative industries, distribution, etc. (Vanriel 2013, 2-3).

For tourism to generate maximum economic benefits, the tourism value chain needs to be integrated into local economies and local production needs to be promoted. This will spread the benefits of tourism to the local population and keep income in the country (Baidoo et al. 2022, 5). Well-planned, implemented and managed tourism industry contributes to the overall economic development of a destination by creating and strengthening linkages between different sectors of the economy (Wondirad et al. 2021, 2). Taking this approach, the tourism industry can fully realize its potential and strengthen other economic sectors.

However, the situation is different in import-dependent countries. For countries whose economies are undiversified and highly dependent on tourism, and whose tourism industry is overly dependent on imported products, the problem of financial leakage arises (Baidoo et al 2022, 2). Georgia also falls within the category of countries whose imports are much more than exports and where imports make up a vast majority of the basket of goods (Papava 2018).

While the tourism industry in Georgia is one of the leading sectors of the economy, and at the same time, tourism has the potential to be a driver for the development of other fields of the economy, it is interesting what fact Georgia is actually facing. Does it use tourism opportunities positively or vice versa?

In order to make it possible to rationally plan the development of the tourism sector, to develop optimal models and to use the tourism potential as much as possible, it is necessary to study and analyze the current situation at the initial stage. Therefore, the aim of this paper is to reveal and analyze the geographical diversification of the tourism value chain of Georgia and present poten-

tial opportunities. This goal required the following actions to be accomplished: A) Identifying the main product groups involved in the tourism value chain; B) revealing Georgian products' share of the tourism value chain; C) studying the geography of the tourism value chain through analyzing the trade balance of the main product groups.

### **Literature review**

The indirect impact of tourism on the economy and its value chain is a relatively less studied topic than the popular ones in this area (Salukvadze, Gugushvili 2019, 173-174). However, both in the world and in Georgia, there are researchers who write about the above-mentioned topics that are important for this article. All of them agreed that the tourism industry creates direct and indirect demand in other economic fields. Some of them focus on strategies that ensure greater involvement of local products in the tourism value chain, while others point to challenges, especially in developing and import-dependent countries.

Wesley Vanriel assumes that countries need to strengthen and invest in other sectors of the local economy such as agriculture, manufacturing, technologies and so on in order to reap the maximum benefits from the tourism industry. Providing local products to tourists can only be achieved by strengthening the local economy. The author also points out the challenges of developing countries' economies in terms of the competitiveness of local products compared to imported ones. He mentioned that developing countries tend to be dependent on imports. Therefore, he believes that the priority of the state should be investing in other sectors of the economy and strengthening the links between tourism and the local economy (Vanriel 2013, 4-5).

For import-dependent countries, the evaluation of the Georgian academician, Vladimir Papava, should also be taken into account. According to him, tourists who come to the country consume the same basket of goods, which means that along with the growth of the number of tourists, the dependence on imported products also increases. In the end, it turns out that the country's tourism industry does not develop other sectors of the country's economy but those of the importing countries (Papava 2018).

Professor Ioseb Khelashvili highlights the main challenges of the tourism industry in Georgia: an overdependence on several segments (tourist-generator countries); a low multiplier effect; and a high level of dependence on imports. The ability of the local economy to meet tourism-generated demands from va-

rious sectors of the economy determines the high level of the multiplier effect. And those requirements that cannot be satisfied by the local economy are satisfied by imported products. Accordingly, the revenue received through tourism leaves the country and we are facing a low multiplier effect and financial leakages (Khelashvili 2018, 505-507).

Gvantsa Salukvadze whose main research focus is on the tourism supply chain in high-mountain Georgia, with her colleagues provides several interesting articles about the linkages of tourism and tourism-driven economic activities. She agrees that the contribution of tourism to the overall economy cannot be assessed if we do not assess its relationship with other sectors of the economy (Salukvadze, Backhaus 2020, 30). According to her research, in Georgia's highland destinations, among local products, agricultural products are more integrated into the tourism value chain than others (Salukvadze, Gugushvili 2019, 185).

João Garcia Rodrigues and Sebastián Villasante emphasize tourism-driven opportunities for the local economy and small-scale businesses. As specified by the authors, tourists can pay higher prices for products than local consumers, so they can buy the most expensive ones (Rodrigues, Villasante 2016, 38). Therefore, the country can increase the production of expensive seafood, agriproducts or products for which the state has the appropriate resources (Rodrigues, Villasante 2016, 34).

Other researchers indicate culinary and agritourism's role as a driver of regional economic development and socio-cultural revitalization. For tourists for whom culture is the main motivation for travel, culinary tourism provides an opportunity to share local culture through local cuisine. Consuming local products creates an authentic experience for tourists (Wondirad et al. 2021, 3). However, they also point to the obstacles that prevent local products from being integrated into the tourism value chain. They identify specific challenges: low productivity of local agriculture, difficulty in ensuring quality and stable product supply, insufficient entrepreneurial and innovative efforts, outdated technologies for growing, producing, storing and selling products and lack of qualified human resources (Wondirad et al. 2021, 8).

In order to present the topic in every way, it is important to discuss an interesting paper ("Importing to Feed International Tourists: Growth Implications for Islands across the Globe") that emphasizes not tourism-driven possibilities for the local economy, but the correlation between tourism and import growth. According to that paper the demand for basic goods and services from tourism industry representatives and international tourists due to increased tourism au-



tomatically increases the demand for imports to supplement or in some cases replace local products (Baidoo et al. 2022, 2). The authors focus on several reasons why restaurants and accommodations prefer to buy imported products: A) Some tourists prefer to use a product they are familiar with, it is safer in terms of quality. B) The local product does not meet high standards and is also unstable in supply. C) Sometimes the imported product is cheaper. D) Local producers lack information, do not know the requirements of restaurants and accommodations about product standards and are also unstable in supply (Baidoo et al. 2022, 4).

The challenges listed by foreign authors in the last two paragraphs are related to Georgia.

## **Methodology**

Considering the complexity of the tourism value chain, it was decided to use a transdisciplinary theoretical approach to this topic, which involves studying the topic from a variety of perspectives and combining theoretical and practical knowledge (Khelashvili 2020). Using this approach, it is possible to bridge the information gap between different academic fields as well as between academia and real-life experience (Hadorn, et al. 2008, 3).

Within the scope of this research, we have narrowed down the tourism value chain to the level of the accommodation value chain.

და კითხვაზე – რა სარგებელს ელოდებიან ციფრული ტრანსფორმაციიდან, გამოკითხულთა 59,7% აღნიშნავს, რომ მიღებული სარგებელი იქნება სამუშაო პროცესების გამარტივება და/ან რესურსების დაზოგვა, 46,8%-ის აზრით, ეს გამოიწვევს პროდუქტიულობის გაზრდას, 44,6%-ს მიაჩნია, რომ ადგილი ექნება დანახარჯების შემცირებას, 39,1% თვლის, რომ სარგებელი იქნება წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვის ხარისხის გაუმჯობესება, 25,6%-ის აზრით, ადგილი ექნება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას (იხ. სქემა).

**აგროსასურსათო სექტორის ციფრული ტრანსფორმაციიდან მიღებული სარგებელი**

**სქემა**



**დასკვნები და რეკომენდაციები**

აგროსასურსათო სექტორი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, განსაკუთრებით სურსათზე მოთხოვნის ზრდის, მომხმარებელთა პრეფერენციებში ცვლილებების, ტექნიკურ-ტექნოლოგიური განვითარების, გლობალიზაციის, ურბანიზაციისა და სხვა ფაქტორების გავლენის გამო. ამ პირობებში ციფრული ტრანსფორმაცია კონკურენტუნარიანობის ზრდის, პროდუქტიულობის ამაღლებისა და მდგრადი განვითარების შესაძლებლობაა. თუმცა, გაციფრულების პროცესის განხორციელება რთულია სექტორისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამო. კვლევით გამოვლინდა, რომ აგროსასურსათო სექტორში დასაქმებულთა მხოლოდ 2,6% იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს.

რაოდენობრივი კვლევით გამოვლინდა აგროსასურსათო სექტორში ციფრული ტრანსფორმაციის შემდეგი ბარიერები: ინტერნეტზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, მწირი ფინანსური რესურსები, ციფრული ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციული დეფიციტი, ცოდნის/ციფრული უნარების ნაკლებობა და სხვა. ციფრული ტრანსფორმაციის პრიორიტეტული საჭიროებებია: საგანმანათლებლო ტრენინგების, სასწავლო კურსებისა და სემინარების სისტემური მიწოდება, ციფრულ ტექნოლოგიებსა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება, ინვესტირება ციფრული პლატფორმების შესაქმნელად, სახელმწიფოს როლის გაზრდა ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასა და დანერგვაში, კვლევების დაფინანსება და სხვა.

ციფრულ ტექნოლოგიებში ინვესტიციების განხორციელებას გეგმავს გამოკითხულთა 62,2%, ამრიგად, ციფრული ტრანსფორმაცია აგროსასურსათო სექტორის განვითარების ახალი შესაძლებლობაა. რასაც ადასტურებს ამ პროცესიდან მიღებული სარგებელიც: სამუშაო პროცესების გამარტივება და/ან რესურსების დაზოგვა, პროდუქტიულობის გაზრდა, წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვის ხარისხის გაუმჯობესება, დანახარჯების, ასევე, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება.

### ლიტერატურა:

- სამჭკუაშვილი ნ. (2020). „ციფრული ეკონომიკა: პრობლემები და პერსპექტივები“. <https://shorturl.at/ruPQ7>
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2023). სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრი – ეკონომიკური სუბიექტების ჩამონათვალი. <https://shorturl.at/zV012>
- ხარაიშვილი ე., ლობჯანიძე ნ. (2022). „აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობა: გამოწვევები და შესაძლებლობები COVID-19 პანდემიის პირობებში“. უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „COVID 19 პანდემია და ეკონომიკა“. SBN 978-9941-491-70-2 (pdf). გვ. 423-435. თბილისი. <https://tsu.ge/assets/media/files/7/siax-le%202022/2022---%20konferencia.pdf>
- ხარაიშვილი ე., ნაცვლიშვილი ი. (2019). „ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა“. გლობალიზაცია და ბიზნესი, N8. <https://www.eugb.ge/uploads/content/N8/Eter-Kharaihvili.pdf>
- ჯოლია გ. (2021). „განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში“. <https://publishhouse.gtu.ge/post/1665>



- ABANMAI O. (2022). 'The Importance of Going Digital for SMEs'. <https://www.smefinanceforum.org/post/the-importance-of-going-digital-for-smes>
- Ancín M., Pindado E., Sánchez M. (2022). 'New trends in the global digital transformation process of the agri-food sector: An exploratory study based on Twitter'. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0308521X22001561>
- Blok V. & Gremmen B. (2018). 'Agricultural Technologies as Living Machines: Toward a Biomimetic Conceptualization of Smart Farming Technology'. <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/21550085.2018.1509491>
- Chen Y.-Y.K., Jaw Y.-L., Wu B.-L. (2016). 'Effect of digital transformation on organisational performance of SMEs'. [https://www.researchgate.net/publication/29136108-5\\_Effect\\_of\\_digital\\_transformation\\_on\\_organisational\\_performance\\_of\\_SMEs](https://www.researchgate.net/publication/29136108-5_Effect_of_digital_transformation_on_organisational_performance_of_SMEs)
- Demiryurek K., Köksal O., Kawamorita H. (2021). 'Acceleration of Digital Transformation in Agriculture Sector for Ensuring Sustainable Food Security (in TÜRKİYE)'. [https://www.researchgate.net/publication/358301789\\_ACCELERATION\\_OF\\_DIGITAL\\_TRANSFORMATION\\_IN\\_AGRICULTURE\\_SECTOR\\_FOR\\_ENSUREING\\_SUSTAINABLE\\_FOOD\\_SECURITY\\_IN\\_TURKIYE](https://www.researchgate.net/publication/358301789_ACCELERATION_OF_DIGITAL_TRANSFORMATION_IN_AGRICULTURE_SECTOR_FOR_ENSUREING_SUSTAINABLE_FOOD_SECURITY_IN_TURKIYE)
- EFAA (2021). მცირე და საშუალო პრაქტიკის მეორე ფორმების მომავალი: ციფრული ტრანსფორმაცია. [https://www.saras.gov.ge/Content/files/20210218-SMPWebinar\\_March4\\_Geo.pdf](https://www.saras.gov.ge/Content/files/20210218-SMPWebinar_March4_Geo.pdf)
- European Union (2018). 'EU businesses go digital: Opportunities, outcomes and uptake'. <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/683fe365-408b-11e9-8d04-01aa75ed71a1>
- Food and Agriculture Organization of the United Nations (2017). 'The future of food and agriculture: Trends and challenges'. <https://www.fao.org/3/i6583e/i6583e.pdf>
- Gondchawar N. & Kawitkar B. (2016). 'IoT based Smart Agriculture'. <https://shorturl.at/uUWZ0>
- Hardi K. V., Legowo N. (2023). 'Enterprise Architecture: Enabling Digital Transformation for Operational Business Process during COVID-19'. <https://hightechjournal.org/index.php/HIJ/article/view/294>
- Hasiholan Tobing R. D., Ratnayake R. M. C., Togar Simatupang T., Liane Okdinawati L., Mulyono N. B. (2023). 'On the Necessity for Digital Transformation in Agriculture Supply Chains: A Review from Task, Organization, Behavior, and Application Perspectives'. [https://www.researchgate.net/publication/368256374\\_On\\_the\\_Necessity\\_for\\_Digital\\_Transformation\\_in\\_Agriculture\\_Supply\\_Chains\\_A\\_Review\\_from\\_Task\\_Organization\\_Behavior\\_and\\_Application\\_Perspectives](https://www.researchgate.net/publication/368256374_On_the_Necessity_for_Digital_Transformation_in_Agriculture_Supply_Chains_A_Review_from_Task_Organization_Behavior_and_Application_Perspectives)
- John Wiley & Sons (1977). Copyright William G. Cochran (1963), 'Sampling Techniques third edition', pg.90. [https://ia601409.us.archive.org/35/items/Cochran1977SamplingTechniques\\_201703/Cochran\\_1977\\_Sampling%20Techniques.pdf](https://ia601409.us.archive.org/35/items/Cochran1977SamplingTechniques_201703/Cochran_1977_Sampling%20Techniques.pdf)
- Khanna M. (2020). 'Digital Transformation of the Agricultural Sector: Pathways, Drivers and Policy Implications'. [https://www.researchgate.net/publication/346316399\\_](https://www.researchgate.net/publication/346316399_)

Digital\_Transformation\_of\_the\_Agricultural\_Sector\_Pathways\_Drivers\_and\_Policy\_Implications

- Kharashvili E., Gechbaia B., Erkomaishvili G., Lobzhanidze M., Natsvlshvili I. (2021). 'Shipping policy of agri-food products and the formation of food markets in Georgia.' <https://doi.org/10.1051/mateconf/202133901001>
- Kharashvili E. & Lobzhanidze N. (2022). 'Preliminary Impacts of the Covid-19 Pandemic on Agri-Food Trade: Challenges and Development Scenarios (Case of Georgia)'. *Globalization and Business*. 13, pp. 41-50. <https://doi.org/10.35945/gb.2022.13.006>
- Kharashvili E. & Lobzhanidze N. (2023). 'Challenges and Opportunities for Promoting Sustainable Development in Small and Medium-Sized Enterprises (Case of Georgia)'. *Medicon Agriculture & Environmental Sciences*, Volume 4 Issue 5 May 2023
- Kirkaya A. (2020). 'Smart Farming- Precision Agriculture Technologies and Practices'. [https://www.researchgate.net/publication/341407755\\_SMART\\_FARMING-PRECISION\\_AGRICULTURE\\_TECHNOLOGIES\\_AND\\_PRACTICES](https://www.researchgate.net/publication/341407755_SMART_FARMING-PRECISION_AGRICULTURE_TECHNOLOGIES_AND_PRACTICES)
- Lyytinen K., Yoo Y., R.J. Boland Jr. (2015). 'Digital product innovation within four classes of innovation networks'. <https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/isj.12093>
- Martens K., Zscheischler J. (2022). 'The Digital Transformation of the Agricultural Value Chain: Discourses on Opportunities, Challenges and Controversial Perspectives on Governance Approaches'. <https://publications.zalf.de/publications/5d83e06e-15d2-4de8-a44d-fa35ca1f661b.pdf>
- McKinsey&Company (2018). 'The Internet of Things: How to capture the value of IoT'. <https://shorturl.at/axBMS>
- Mujianto M., Hartoyo H., Nuralina R., Yusuf E. Z. (2023). 'The Unraveling Loyalty Model of Traditional Retail to Suppliers for Business Sustainability in the Digital Transformation Era: Insight from MSMEs in Indonesia'. <https://www.scopus.com/record/display.uri?eid=2-s2.0-85147859849&origin=resultlist>
- OECD (2021). 'The Digital Transformation of SMEs'. <https://www.oecd.org/industry/smes/PH-SME-Digitalisation-final.pdf>
- Pearson Education Limited (2014). 'Pearson New International Edition Social Research Methods: Qualitative and Quantitative Approaches W. Lawrence Neuman Seventh Edition'. [https://letrunghieutvu.yolasite.com/resources/w-lawrence-neuman-social-research-methods\\_-qualitative-and-quantitative-approaches-pearson-education-limited-2013.pdf](https://letrunghieutvu.yolasite.com/resources/w-lawrence-neuman-social-research-methods_-qualitative-and-quantitative-approaches-pearson-education-limited-2013.pdf)
- Rodrigues M., Franco M., Sousa N., Silva R. (2021). 'COVID 19 and the business management crisis: an empirical study in SMEs'. <https://www.mdpi.com/2071-1050/13/11/5912>
- Rose D. CH. & Chilvers J. (2018). 'Agriculture 4.0: Broadening Responsible Innovation in an Era of Smart Farming'. <https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fsufs.2018.00087/full>
- Satpathy B. (2022). 'Digital transformation for sustainable agriculture: a progres-

- sive method for smallholder farmers'. <https://www.currentscience.ac.in/Volumes/123/12/1436.pdf>
- Smart Agriculture Market (2023). 'Smart Agriculture Market by Offering (Hardware, Software, Services), Agriculture Type, Farm Size (Large, Medium, Small), Application (Precision Farming, Livestock Monitoring) and Region (America, Europe, Asia Pacific, Row) – Global Forecast to 2028'. Retrieved from – <https://shorturl.at/iFOPZ>
  - Trendov N., Varas S., Zeng M. (2018). 'Digital echnologies in Agriculture and Rural Areas Status Report'. – [https://www.researchgate.net/publication/344041500\\_DIGITAL\\_TECHNOLOGIES\\_IN\\_AGRICULTURE\\_AND\\_RURAL\\_AREAS\\_STATUS\\_REPORT](https://www.researchgate.net/publication/344041500_DIGITAL_TECHNOLOGIES_IN_AGRICULTURE_AND_RURAL_AREAS_STATUS_REPORT)
  - Varda AG (2023). 'Three ways digitalization is reshaping agriculture'. <https://shorturl.at/ekpDH>
  - Whyatt T. (2022). 'Why SMEs Should Go Big on Their Digital Offering'. <https://www.one-beyond.com/why-smes-should-go-big-on-their-digitaloffering/#:~:text=Why%20should%20SMEs%20go%20digital,if%20you%20do%20it%20well>
  - World Economic Forum (2022). 'The digital divide: Why SMEs must cross borders'. <https://www.weforum.org/agenda/2022/08/smes-small-medium-business-cross-border-enterprise/>
  - Zhang A., Heath R., McRobert K., Llewellyn R., Sanderson J., Wiseman L., Rainbow R. (2021). 'Who will benefit from big data? Farmers' perspective on willingness toP-erspective share farm data'. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0743016721002308#:~:text=The%20results%20show%20that%20only,share%20data%20was%20mostly%20positive>

## References:

- Samchkuashvili N. (2020). "tsipruli ekonomika: problemebi da perspektivebi". ["The Digital Economy: Problems and Prospects"]. in Georgian <https://shorturl.at/ruPQ7>
- Geostat (2023). statistikuri sametsarneo reestri – ekonomikuri subiektების ჩამონათვალი. [Statistical Business Register – List of Economic Subjects.] in Georgian <https://shorturl.at/zV012>
- Kharashvili E., Lobzhanidze N. (2022). "agrosasursato produqtebit vachroba: gamotsvevebi da shesadzleblobebi COVID-19 pandemiis pirobebshi". ["Agri-food Trade: Challenges and Opportunities in the Face of the COVID-19 Pandemic". International Scientific Conference Dedicated to the 100th Anniversary of the University: "The COVID 19 pandemic and the Economy". pp.423-435. Tbilisi.] in Georgian <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/2022---%20konferencia.pdf>
- Kharashvili E., Natsvlishvili I. (2019). „sakartvelos agrosasursato bazrebi da eksportis mastimulirebeli ekonomikuri politika“. ["Georgian Agro-food Markets and Export Stimulating Economic Policy". Globalization and Business, N8.] in Georgian <https://www.eugb.ge/uploads/content/N8/Eter-Kharashvili.pdf>

- Jolia G. (2021). „ganatleba da dasakmeba tsiprul garemoshi“. [“Education and Employment in the Digital Environment”.] in Georgian <https://publishhouse.gtu.ge/ge/post/1665>
- ABANMAI O. (2022). ‘The Importance of Going Digital for SMEs’. <https://www.smefinanceforum.org/post/the-importance-of-going-digital-for-smes>
- Ancín M., Pindado E., Sánchez M. (2022). ‘New trends in the global digital transformation process of the agri-food sector: An exploratory study based on Twitter’. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0308521X22001561>
- Blok V. & Gremmen B. (2018). ‘Agricultural Technologies as Living Machines: Toward a Biomimetic Conceptualization of Smart Farming Technology’. <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/21550085.2018.1509491>
- Chen Y.-Y.K., Jaw Y.-L., Wu B.-L. (2016). ‘Effect of digital transformation on organisational performance of SMEs’. [https://www.researchgate.net/publication/291361085\\_Effect\\_of\\_digital\\_transformation\\_on\\_organisational\\_performance\\_of\\_SMEs](https://www.researchgate.net/publication/291361085_Effect_of_digital_transformation_on_organisational_performance_of_SMEs)
- Demiryurek K., Köksal O., Kawamorita H. (2021). ‘Acceleration of Digital Transformation in Agriculture Sector for Ensuring Sustainable Food Security (in TÜRKİYE)’. [https://www.researchgate.net/publication/358301789\\_ACCELERATION\\_OF\\_DIGITAL\\_TRANSFORMATION\\_IN\\_AGRICULTURE\\_SECTOR\\_FOR\\_ENSUREING\\_SUSTAINABLE\\_FOOD\\_SECURITY\\_IN\\_TURKIYE](https://www.researchgate.net/publication/358301789_ACCELERATION_OF_DIGITAL_TRANSFORMATION_IN_AGRICULTURE_SECTOR_FOR_ENSUREING_SUSTAINABLE_FOOD_SECURITY_IN_TURKIYE)
- EFAA (2021). mtsire da sashualo praktikis mkone pirmebis momavali: tsipruli transformatsia. [The Future of Small and Medium-Sized Practice Firms: Digital Transformation.] in georgian [https://www.saras.gov.ge/Content/files/20210218-SMPWebinar\\_March4\\_Geo.pdf](https://www.saras.gov.ge/Content/files/20210218-SMPWebinar_March4_Geo.pdf)
- European Union (2018). ‘EU businesses go digital: Opportunities, outcomes and uptake’. <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/683fe365-408b-11e9-8d04-01aa75ed71a1>
- Food and Agriculture Organization of the United Nations (2017). ‘The future of food and agriculture: Trends and challenges’. <https://www.fao.org/3/i6583e/i6583e.pdf>
- Gondchawar N. & Kawitkar B. (2016). ‘IoT based Smart Agriculture’. <https://shorturl.at/uUWZ0>
- Hardi K. V., Legowo N. (2023). ‘Enterprise Architecture: Enabling Digital Transformation for Operational Business Process during COVID-19’. <https://hightechjournal.org/index.php/HIJ/article/view/294>
- Hasiholan Tobing R. D., Ratnayake R. M. C., Togar Simatupang T., Liane Okdinawati L., Mulyono N. B. (2023). ‘On the Necessity for Digital Transformation in Agriculture Supply Chains: A Review from Task, Organization, Behavior, and Application Perspectives’. [https://www.researchgate.net/publication/368256374\\_On\\_the\\_Necessity\\_for\\_Digital\\_Transformation\\_in\\_Agriculture\\_Supply\\_Chains\\_A\\_Review\\_from\\_Task\\_Organization\\_Behavior\\_and\\_Application\\_Perspectives](https://www.researchgate.net/publication/368256374_On_the_Necessity_for_Digital_Transformation_in_Agriculture_Supply_Chains_A_Review_from_Task_Organization_Behavior_and_Application_Perspectives)
- John Wiley & Sons (1977). Copyright William G. Cochran (1963), ‘Sampling Techniques

- third edition', pg.90. [https://ia601409.us.archive.org/35/items/Cochran1977SamplingTechniques\\_201703/Cochran\\_1977\\_Sampling%20Techniques.pdf](https://ia601409.us.archive.org/35/items/Cochran1977SamplingTechniques_201703/Cochran_1977_Sampling%20Techniques.pdf)
- Khanna M. (2020). 'Digital Transformation of the Agricultural Sector: Pathways, Drivers and Policy Implications'. [https://www.researchgate.net/publication/346316399\\_Digital\\_Transformation\\_of\\_the\\_Agricultural\\_Sector\\_Pathways\\_Drivers\\_and\\_Policy\\_Implications](https://www.researchgate.net/publication/346316399_Digital_Transformation_of_the_Agricultural_Sector_Pathways_Drivers_and_Policy_Implications)
  - Kharaishvili E., Gechbaia B., Erkomaishvili G., Lobzhanidze M., Natsvlishvili I. (2021). 'Shipping policy of agri-food products and the formation of food markets in Georgia.' <https://doi.org/10.1051/mateconf/202133901001>
  - Kharaishvili E. & Lobzhanidze N. (2022). 'Preliminary Impacts of the Covid-19 Pandemic on Agri-Food Trade: Challenges and Development Scenarios (Case of Georgia)'. *Globalization and Business*. 13, pp. 41-50. <https://doi.org/10.35945/gb.2022.13.006>
  - Kharaishvili E. & Lobzhanidze N. (2023). 'Challenges and Opportunities for Promoting Sustainable Development in Small and Medium-Sized Enterprises (Case of Georgia)'. *Medicon Agriculture & Environmental Sciences*, Volume 4 Issue 5 May 2023
  - Kirkaya A. (2020). 'Smart Farming- Precision Agriculture Technologies and Practices'. [https://www.researchgate.net/publication/341407755\\_SMART\\_FARMING-PRECISION\\_AGRICULTURE\\_TECHNOLOGIES\\_AND\\_PRACTICES](https://www.researchgate.net/publication/341407755_SMART_FARMING-PRECISION_AGRICULTURE_TECHNOLOGIES_AND_PRACTICES)
  - Lyytinen K., Yoo Y., R.J. Boland Jr. (2015). 'Digital product innovation within four classes of innovation networks'. <https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/isj.12093>
  - Martens K., Zscheischler J. (2022). 'The Digital Transformation of the Agricultural Value Chain: Discourses on Opportunities, Challenges and Controversial Perspectives on Governance Approaches'. <https://publications.zalf.de/publications/5d83e06e-15d2-4de8-a44d-fa35ca1f661b.pdf>
  - McKinsey&Company (2018). 'The Internet of Things: How to capture the value of IoT'. <https://shorturl.at/axBMS>
  - Mujianto M., Hartoyo H., Nurmalina R., Yusuf E. Z. (2023). 'The Unraveling Loyalty Model of Traditional Retail to Suppliers for Business Sustainability in the Digital Transformation Era: Insight from MSMEs in Indonesia'. <https://www.scopus.com/record/display.uri?eid=2-s2.0-85147859849&origin=resultlist>
  - OECD (2021). 'The Digital Transformation of SMEs'. <https://www.oecd.org/industry/smes/PH-SME-Digitalisation-final.pdf>
  - Pearson Education Limited (2014). 'Pearson New International Edition Social Research Methods: Qualitative and Quantitative Approaches W. Lawrence Neuman Seventh Edition'. [https://letrunghieutvu.yolasite.com/resources/w-lawrence-neuman-social-research-methods\\_-qualitative-and-quantitative-approaches-pearson-education-limited-2013.pdf](https://letrunghieutvu.yolasite.com/resources/w-lawrence-neuman-social-research-methods_-qualitative-and-quantitative-approaches-pearson-education-limited-2013.pdf)
  - Rodrigues M., Franco M., Sousa N., Silva R. (2021). 'COVID 19 and the business management crisis: an empirical study in SMEs'. <https://www.mdpi.com/2071-1050/13/11/5912>

- Rose D. CH. & Chilvers J. (2018). 'Agriculture 4.0: Broadening Responsible Innovation in an Era of Smart Farming'. <https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fsufs.2018.00087/full>
- Satpathy B. (2022). 'Digital transformation for sustainable agriculture: a progressive method for smallholder farmers'. <https://www.currentscience.ac.in/Volumes/123/12/1436.pdf>
- Smart Agriculture Market (2023). 'Smart Agriculture Market by Offering (Hardware, Software, Services), Agriculture Type, Farm Size (Large, Medium, Small), Application (Precision Farming, Livestock Monitoring) and Region (America, Europe, Asia Pacific, Row) – Global Forecast to 2028'. Retrieved from – <https://shorturl.at/iFOPZ>
- Trendov N., Varas S., Zeng M. (2018). 'Digital echnologies in Agriculture and Rural Areas Status Report'. – [https://www.researchgate.net/publication/344041500\\_DIGITAL\\_TECHNOLOGIES\\_IN\\_AGRICULTURE\\_AND\\_RURAL\\_AREAS\\_STATUS\\_REPORT](https://www.researchgate.net/publication/344041500_DIGITAL_TECHNOLOGIES_IN_AGRICULTURE_AND_RURAL_AREAS_STATUS_REPORT)
- Varda AG (2023). 'Three ways digitalization is reshaping agriculture'. <https://shorturl.at/ekpDH>
- Whyatt T. (2022). 'Why SMEs Should Go Big on Their Digital Offering'. <https://www.one-beyond.com/why-smes-should-go-big-on-their-digital-offering/#:~:text=Why%20should%20SMEs%20go%20digital,if%20you%20do%20it%20well>
- World Economic Forum (2022). 'The digital divide: Why SMEs must cross borders'. <https://www.weforum.org/agenda/2022/08/smes-small-medium-business-cross-border-enterprise/>
- Zhang A., Heath R., McRobert K., Llewellyn R., Sanderson J., Wiseman L., Rainbow R. (2021). 'Who will benefit from big data? Farmers' perspective on willingness toP-erspective share farm data'. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0743016721002308#:~:text=The%20results%20show%20that%20only,share%20data%20was%20mostly%20positive>

## **Trends and Prospects of Digital Transformation in the Agri-food Sector of Georgia**

***Eter Kharashvili***

*Professor*

*Iv.Javakhishvili Tbilisi State University*

*eter.kharashvili@tsu.ge*

*The paper substantiates the necessity of implementation of digital transformation in the agri-food sector of Georgia. The importance of digitization in increasing competitiveness is evaluated taking into account the peculiarities of the sector.*

*The level of digital transformation in the agri-food sector of different countries is studied through bibliographic research; various opinions of researchers on the concept of digitization are evaluated.*

*It is substantiated that digitization provides new opportunities for development in many industries; application of digital technologies allows ensuring the sustainability of the agri-food sector and increasing the productivity.*

*Based on the analysis, the primary areas influenced by the digital transformation are revealed; it is concluded that the implementation of the digitization process should start at the enterprise level.*

*The paper is based on various theoretical and methodological research tools – bibliographic research has been conducted; research methods such as analysis, synthesis, comparison, expert, matrix, factorial and various statistical methods have been applied. A quantitative study was conducted in May-June 2023 with the purpose to identify problems of digital transformation in the agri-food sector of Georgia. 466 respondents were interviewed using Google Form online questionnaire.*

*A representative sample (466 respondents) was selected from the general population for the survey. This number meets the volume sampling methodology (John Wiley & Sons, 1977. Copyright William G. Cochran, 1963). The reliability of the research results with this methodology is 95%; the sampling error is 3%.*

*The sample size was verified using Neuman's method. The overall study population (2,108 respondents) was found to meet the medium sample size (from 1,000 to 10,000 respondents), with a sample size of 10%; (Pearson Education Limited (W. Lawrence Neuman), 2014). Therefore, the survey of 211 respondents with a 4% margin of error would be also adequate. In fact, the survey covered 466 respondents, with a sample size of 22.1%. This resulted in the reduction of the error to 3%.*

*Quantitative research was carried out according to the sections such as identification, competences, practical and assessment sections – the distribution of respondents according to gender, age, professional, organizational and regional distribution is studied based on the identifying section; the competence section studies the respondents according to their length of service, the area of land owned and the level of digital skills proficiency; the practical section contains questions that need to be answered based on one's experience, specifically, the length of using digital technologies, the purposes of using digital technologies, the applications and services used; the assessment section deals with the level of digital divide, access to the Internet, the existing barriers to the use of*



digital technologies; in addition, the role of the state in the digital transformation of the agri-food sector is assessed, the needs of digital transformation of the sector are identified, and the benefits from digital transformation are identified.

The majority of respondents (97.4%) perceive the use of digital technologies as a new opportunity for development. However, only 87.4% of them declare that their action plan include strategy for operating in the digital world.

The research has shown that there are different purposes for using digital technologies. Manufacturers mostly use mobile phones and computers (97%); while drones, GPSs and electronic sensors are used by only 2.6%. In addition, there was an individual answer of the respondent that along with the mentioned technologies he also uses the weather station and internet-controlled irrigation systems.

Manufacturers use various applications/services for achieving the stated goals, including: Microsoft programs (Word, Excel, PowerPoint, Outlook, Teams), social networks (Facebook, YouTube, Instagram, Whatsapp, Messenger, LinkedIn, Viber, Telegram), email (Gmail, Yahoo), mobile banks (BOG, Liberty), state programs (My.gov.ge). The applications/services used by them are provided by public sector (54.2%) and private sector (45.8%). In addition, 33% of the respondents regularly update digital technologies, 32.2% update them sometimes, 31.3% – rarely, and 3.4% – never.

Access to internet was found out. The survey, as expected, showed that there is a so-called 'Digital divide'. Over half of the respondents (approximately 53%) note that their access to the Internet is limited. In addition, while using digital technologies, manufacturers face other serious barriers, including: limited financial resources (39.5%), lack of information about digital technologies (35.6%), lack of knowledge/digital skills (32.6%), etc.

The priority needs of the digital transformation of the agri-food sector were identified according to the manufacturers' assessment. The majority indicate the necessity of educational trainings, training courses and seminars; increasing access to digital technologies and financial resources; the development of digital infrastructure.

The paper provides conclusions on the peculiarities of digital transformation trends and the existing challenges, offers recommendations on prospective directions of development for digitization.

**Keywords:** Digital transformation, digitization trend, agri-food sector, development prospects for digitization.

**JEL Codes:** O13, Q10, Q13, Q18

## ციფრული საგანმანათლებლო ტექნოლოგიები

### ჟანა თორღავა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური  
მოდელირების და სწავლების ინტეგრირებული  
მეთოდების საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო  
ცენტრის მეცნიერ-ხელმძღვანელი  
tolordava@hotmail.com

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში ციფრულმა ტექნოლოგიებმა (დიგიტალიზაცია) დიდი ხანია მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. დიგიტალიზაცია აჩის ციფრული ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებისა და დანეგვის პირობის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სფეროში – ეკონომიკა, კულტურა, განათლება და ა.შ. დღეს ახალი ციფრული ტექნოლოგიები, ინოვაციური ბიზნეს – მოდელები საზოგადოების ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში ინეგება, ხამაც ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

დიგიტალიზაცია განათლების სფეროში ხამდენიმე ამოცანას მოიცავს, ესენია: პიროვნულ-მასწავლებელთა უნაჩებისა და შესაძლებლობების სხუდყოფა ციფრული ტექნოლოგიების სფეროში, მაგეჩიადუხი ინფხასტრუქტუხის განვითარება, ონდინ სწავლების გაუმჯობესება; ციფრული პიროგამების დანეგვა სასწავლო პიროცესში.

ამასთან დაკავშირებით, განათლების დიგიტალიზაციის საკითხებისა და მისი აქტუადუხი პირობეების შესწავლა სამეცნიერო კვდვის მეგად მნიშვნელოვანი და აუცილებელი სფერო გახდა.

**საკვანძო სიგყვები:** დიგიტალიზაცია, ციფრული ტექნოლოგიები, ციფრული გხანსფოხმაციები, ციფრული პიროგამები, სასწავლო პიროცესის ვიზუალიზაცია.

### შესავალი

დიგიტალიზაცია, განათლებაში არის გადასვლა ელექტრონულ სასწავლო სისტემაზე. ყველა სასწავლო მასალა (სახელმძღვანელოები, ონლაინ-ლექციები), ასევე ცოდნის შეფასების ელექტრონული ჟურნალები, რაც უნდა გამოიყენონ არამხოლოდ მასწავლებლებმა, არამედ სტუდენტებმა და მშობლებმაც განრიგის, შეფასებებისა და დავალებების შემომების მიზნით. ჩვეულებრივ პრაქტიკუმებს, კოლოკვიუმებს, ტესტებსა და

დავალებებს სტუდენტები კომპიუტერზე და პლანშეტზე შეასრულებენ. ამასთან ერთად, ამით მათ ეძლევათ ვიზუალური ინფორმაციის (ფერადი ვიდეომასალების, ილუსტრაციების) გამოყენების საშუალება, რაც მეცნიერთა აზრით, მოტანილი მასალის უკეთ დამახსოვრებას უწყობს ხელს და სასწავლო პროცესს უფრო შემოქმედებითს ხდის.

ი. რობერტი სასწავლო პროცესში გამოყოფს პროგრამული საშუალებების გამოყენების შემდეგ მეთოდურ მიზნებს (თოლორდავა, 2015):

- შესასწავლო პროცესებისა და მოვლენების მოდელირება და იმიტირება;

- ლაბორატორიაში რეალური ექსპერიმენტის ჩატარება კომპიუტერული იმიტაციის პირობებში;

- სწავლების თვითკონტროლისა და თვითკორექციის განხორციელება;

- სწავლების პროცესის ინდივიდუალიზაცია და დიფერენცირება;

- სასწავლო დროის გამოთავისუფლება კომპიუტერის საშუალებით შრომატევადი და რუტინული გაანგარიშებების შესრულების ხარჯზე;

- სასწავლო პროცესის ვიზუალიზაცია;

- სხვადასხვა სიტუაციაში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარის ფორმირება;

- შემეცნებითი კულტურის ჩამოყალიბება და სხვ.

აუცილებელია საგანმანათლებლო სივრცის გაუმჯობესება არამხოლოდ ცალკეული დისციპლინების დიგიტალიზაციის გზით, არამედ ინტერდისციპლინარული მიდგომით, განათლების საგნების ცალკეულ სფეროებსა და პროფესიულ დისციპლინებს შორის ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. ამასთან ერთად, სხვადასხვა სახის აქტივობის (საგანმანათლებლო, სასწავლო და კვლევითი-სამეცნიერო) ინტეგრაცია, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება ხელმისაწვდომი ინფორმაციის უკეთ გამოყენების გზით, ასევე სტუდენტთა მოტივაციისა და მასწავლებელთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებით მიიღწევა მომავალ სპეციალისტთა ახალი კომპეტენციების ჩამოყალიბება მაღალგანვითარებულ საინფორმაციო გარემოში.

ამ პირობებში ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვა, განმავითარებელი და პროექტზე დაფუძნებული სწავლება, საქმიანი თამაშები, ვიზუალიზაცია, იმიტაციური მოდელირება, დისტანციური სწავლება დიდ პედაგოგიურ პოტენციალს მოიცავს, რაც იწვევს სწავლებისადმი ინტერესის გაღვივებას და თეორიული და პრაქტიკული მასალის უკეთ ათვისებას.

ამრიგად, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ქმნის ახალ

პერსპექტივებს სტუდენტების კარიერისა და სოციალური თვითრეალიზაციისთვის, ხოლო დიגיტალიზაცია ხელს უწყობს სტუდენტების ახალი კომპეტენციების ჩამოყალიბებას მაღალგანვითარებულ ინფორმაციულ გარემოში ცხოვრებისათვის (Шишкина, Гаттарова, Исламов, 2021).

### **ციფრული ტრანსფორმაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები**

საინტერესოა თვით სტუდენტების აზრი განათლების დიგიტალიზაციის ძირითადი დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. ამ ინოვაციამ გარკვეული რეპუტაცია მოიპოვა სტუდენტებში, რომლებიც ხაზს უსვამენ ისეთ დადებით ასპექტს, როგორიცაა მობილურობა, რადგან განათლება არის ხელმისაწვდომი ნებისმიერ დროს.

მეორე დადებითი თვისება აღმოჩნდა პრაქტიკულობა, რაც იმით გამოიხატება, რომ ინფორმაციის ელექტრონული მატარებლები არ ფუჭდება ისე, როგორც ქალაქდებუ დაბეჭდილი ტექსტი.

მესამე დადებითი თვისება სტუდენტებისთვის ფიზიკური მოხერხებულობა აღმოჩნდა, რადგან მძიმე წიგნების ტარება დიდ დისკომფორტს უქმნის მათ. მეოთხე დადებითი მახასიათებელია ეკონომიკური მიზანშეწონილობა, რომელიც გამოიხატება სასწავლო ლიტერატურის შეძენაზე ხარჯების შემცირებით და ქალაქის წარმოებისთვის საჭირო ხე-ტყის რესურსის დაზოგვით (Гордеева и др. 2021).

განათლებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება უდავოდ პროგრესული მოვლენაა, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ დიგიტალიზაციას უარყოფითი მხარეებიც აქვს, ამიტომ მისი განხორციელება გაანალიზებული და დასაბუთებული უნდა იყოს. მეცნიერების აზრით, განათლების დიგიტალიზაციის ეს მხარეებია გონებრივი აქტივობის დაქვეითება, კრეატიულობის ნაკლებობა, ცუდი სოციალიზაცია, უარყოფითი შედეგების რისკი (<https://plusminusi.ru/cifrovizaciya-obrazovaniya-osnovnyeplyusy-i-minusy/>, 2021).

**გონებრივი აქტივობის დაქვეითება.** ეს მოვლენა უკვე შეინიშნება. ადამიანი არ ცდილობს ინფორმაციის დამახსოვრებას, მის გაანალიზებასა და გამოყენებას სხვადასხვა სიტუაციაში. საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად სრულიად საკმარისი გახდა ინტერნეტთან წვდომა. მაღალი გონებრივი აქტივობის მქონე პიროვნება უკეთესად იმახსოვრებს, უფრო სწრაფად აკეთებს ანალოგიებსა და დასკვნებს წინა გამოცდილების ან მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, რაც მას კონკურენტუნარიანს ხდის, როგორც კარიერაში, ასევე ცხოვრებაში.

**ფიზიკურ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები.** ეკრანებთან ხანგრძლივი ჯდომა, უპირველეს ყოვლისა გავლენას ახდენს

მხედველობაზე და მცირე მოტორიკაზე. კლავიატურასა და პლანშეტთან მუშაობამ შეიძლება შეცვალოს ძვლების, სახსრებისა და კუნთების სტრუქტურა.

**კრეატიულობის ნაკლებობა.** მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ფერები ადამიანებს ინფორმაციის უკეთ დამახსოვრებაში ეხმარება. ზრდასრულებსაც კი მოუნოდებენ დასამახსოვრებელ ტექსტებში შეიტანონ საკუთარი მცირე ცვლილებები, დამახსოვრების ე.წ. საცნობარო (საყრდენი) სიგნალები. კრეატიულობა ასევე ხელს უწყობს შემოქმედების განვითარებას, პროგრესულ მიდგომას, ფანტაზიისა და ორიგინალურობის არსებობას. ინფორმაციული ტექნოლოგია კი გამორიცხავს თვითგამოხატვის შესაძლებლობას და რჩება „მშრალი“ ხასიათის ელექტრონული ვერსია, რასაც მომხმარებლები სწრაფად ეჩვევიან.

**ცუდი სოციალიზაცია.** მოსწავლე, რომელიც პირველად მოდის სკოლაში, მაშინვე ხვდება სხვა სოციუმში, სადაც არავის იცნობს. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ის იღებს არამხოლოდ ცოდნას, არამედ იძენს მეგობრებს, სწავლობს საზოგადოებასთან ურთიერთობას. საინფორმაციო ტექნოლოგიები, კომპიუტერთან დიალოგური რეჟიმით მუშაობა საგრძნობლად ამცირებს ადამიანის სოციალიზაციის დონეს, რაც გავლენას ახდენს პიროვნების შემდგომ განვითარებაზე. სოციალური უმნიშვნელობა, რაც სტუდენტს მოსდევს სკოლიდან, შეიძლება დაიძლიოს უნივერსიტეტში სწავლების ინტერაქტიული მეთოდებით (იმიტაციური ექსპერიმენტები, საქმიანი თამაშები და სხვ.), სადაც მას უხდება მუშაობა გუნდურად და კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება.

სოციალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია მომავალი ბიზნესმენისთვის, მისი აუცილებელი კომპეტენციაა, ვინაიდან ის დიდწილად გადამწყვეტია წარმატებული ბიზნესის მისაღწევად სოციალურ გარემოში შესვლის გზით, მისი სოციალური ნორმების, წესებისა და ღირებულებების, ცოდნის, უნარ-ჩვევების დაუფლებით, რაც მას საშუალებას მისცემს წარმატებით იმოქმედოს საზოგადოებაში (თოლორდავა, 2021).

**უარყოფითი შედეგების რისკი.** ეს ცვლილებები რადიკალური იქნება. დანამდვილებით შეუძლებელია იმის თქმა, იქნება თუ არა ასეთი ინოვაციები დადებითი. ეს სისტემა პირველად იქნება გამოყენებული, რის გამოც შეუძლებელია მისი შედარება რაიმე ანალოგთან.

## **მასწავლებლის როლი და ფუნქცია ციფრული ტექნოლოგიების პირობებში**

ციფრული ტექნოლოგიების პირობებში პროფესორ-მასწავლებლების როლი და დანიშნულება არსებითად შეიცვლება. პროფესიონალების

უმრავლესობა, რომლებსაც ჩაანაცვლებს რობოტები და ვირტუალური სისტემები, დაკარგავს სამსახურს. საჭირო გახდება ელექტრონული სწავლების მასწავლებელთა მომზადება-გადამზადება (თოლორდავა, 2021).

ციფრული ტექნოლოგიების პირობებში მასწავლებელი ყოველთვის იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, პროგრამულ უზრუნველყოფას. ამ ინსტრუმენტების ღრმად ათვისების შემდეგ მასწავლებლები ამუშავებენ კონკრეტულ სასწავლო ამოცანებს და ამით აყალიბებენ ე.წ. Learning – სისტემას (სასწავლო სისტემა), რათა შემდგომში გამოიყენონ სასწავლო პროცესში. შედეგად, მასწავლებლები არამხოლოდ იძენენ ახალ უნარებს თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში, არამედ სტუდენტებს მოამზადებენ მათი მომავალი პროფესული საქმიანობის ამსახველი პრაქტიკული ამოცანებისა და იმიტაციური მოდელების ათვისებით.

სასწავლო პროცესში ციფრულ ტექნოლოგიებთან ერთად, მასწავლებლებმა უნდა გამოიყენონ გეიმიფიკაციის (თამაშის) მეთოდები.

გეიმიფიკაცია განათლებაში არის „სერიოზული“ თამაშების გავრცელების პროცესი განათლების სხვადასხვა სფეროზე, რაც სწავლებისა და აღზრდის საშუალებას იძლევა, ამავდროულად ის საგანმანათლებლო მუშაობის ფორმა და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების საშუალებაა.

მმართველობით და ეკონომიკურ თამაშებში ჩადებულია თავისუფალი მოქმედების პრინციპი, რაც ექსპერიმენტირებისა და გადანყვეტილების მიღების ფართო საშუალებას იძლევა (პრობლემის გადანყვეტის სხვადასხვა შესაძლო ვარიანტის განხილვით) ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, რაც შეუძლებელია რეალურ ცხოვრებაში ნატურული ექსპერიმენტის ჩატარების პირობებში (Толордава, 2020).

იტალიელი კოლეგების აზრით, „თამაშებსა და სხვა ციფრულ საშუალებებში სტუდენტებს ეძლევათ მუშაობის ავტონომიის, კომპეტენციების ზრდის შესაძლებლობები. სათამაშო ელემენტების ჩართვა სასწავლო სცენარებში არის საშუალება, რომ სტუდენტებმა მეტი ცოდნა მიიღონ, დამოუკიდებლად იმოქმედონ, გადანყვეტილების მიღების მუშაობის ჯგუფურ რეჟიმში გამოიყენონ ცოდნა, უნარ-ჩვევები და ისწავლონ სხვებისგან“ [https://it.qaz.wiki/wiki/Gamification\\_of\\_Learning](https://it.qaz.wiki/wiki/Gamification_of_Learning), 2022).

სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვნად ცვლის მასწავლებლის როლს, გარდა აკადემიური, დიდაქტიკური, პერცეპტიული და მეტყველებითი ნიჭის ფლობისა, მას ემატება სხვა მისიაც. ის უნდა იყოს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც ორგანიზებას გაუწევს სტუდენტთა კოლექტივს გარკვეული პროგრა-



მის დაუფლების მიზნით, აკონტროლებს მათ ინდივიდუალური დავალებების, შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსებისა და კონსულტირების საშუალებით.

### **სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების სამამულო გამოცდილება**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიული მეთოდების საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის საქმიანობა სწორედ სწავლების ახალი ტექნოლოგიების, ციფრული პროგრესული მეთოდების შერჩევას, კონსტრუირებას და გამოყენებას მოიცავს. აქ შემუშავებულია კომპიუტერული და ე.წ. „სამაგიდო“ სიმულაციური ბიზნესმოდელები, კომპიუტერული იმიტაციები (Impliciti-ს, საწარმოს დიაგნოსტიკის, გეოეკონომიკური იმიტაციური მოდელების სახით). ფართოდ გამოიყენება კომპიუტერული learning სისტემები, სადაც შედის მაკონტროლებელი, მატესტირებელი და ბიჰევიორული ექსპერტული learning პროგრამები.

აღსანიშნავია, რომ ცენტრში, პირველად საქართველოში ეკონომიკურ მეცნიერებაში გამოყენებულ იქნა ჯერ ელექტროგამომთვლელი მანქანა, შემდეგ კი კომპიუტერული ტექნიკა (თოლორდავა, 2017).

ცენტრის იმიტაციური მოდელები შესულია საერთაშორისო კატალოგებში და რეკომენდებულია სასწავლო პროცესში დასანერგად, თვით ავტორი კი არის იმიტაციური მოდელირების მსოფლიო ასოციაციის ISAGA- ს წევრი, მოპოვებული აქვს ორი ვერცხლის ჯილდო ევროპაში, ჰეკელის მედალი ეგმ-ზე მოდელების შემუშავებისათვის და მრავალი დიპლომი და სიგელი.

ბიზნესსწავლებისთვის დამახასიათებელია მეცადინეობის სხვადასხვა მეთოდის სიმრავლე, რომლის მეშვეობით გადაიცემა არამართო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები, არამედ მომავალი პროფესიული ბიზნეს-საქმიანობის რეალური გამოცდილებაც. ასეთებია: ინტერაქტიული მეთოდები, ანუ საქმიანი (სიმულაციური) თამაშები, კოგნიტიური მოდელები, კეისმეთოდი, ექსპერტული სისტემები და სხვ. ყველა ეს მეთოდი, რომელიც გამოიყენება აღნიშნული ცენტრის მიერ, სტუდენტებს უვითარებს ბიზნესის, მენეჯმენტის, სფეროში აუცილებელ სოციალურ უნარ-ჩვევებს, როგორცაა: კომუნიკაციის ხელოვნება, გუნდური მუშაობა, გადანყვეტილების მიღება, საკუთარ თავზე რისკის



აღება, ცვლილებებისადმი ადაპტირება ან მათი მართვა და სხვ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მეთოდებში კიდევ ერთ ასპექტს – სოციალიზაციისადმი სტუდენტში უნარის განვითარებას. სოციალიზაცია, რომლის არსია ადამიანის კონკრეტული საზოგადოებისადმი შეგუება ან მისი იგნორირება, ბიზნესმენისთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის წარმატებული ბიზნესის ერთერთი პირობაა (Tolordava, 2017).

აღსანიშნავია, რომ ცენტრის მუშაობა წარიმართება სწავლების შერეული ფორმატით, როდესაც გამოიყენება როგორც სწავლების ტრადიციული ოფლაინ-რეჟიმი თავისი სემინარებითა და პრაქტიკუმებით, ასევე ონლაინ-ტექნოლოგიები. ტრადიციულ ოფლაინ ფორმატშიც იყენებენ სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებს. ასე, მაგალითად, მიღებულია ოქსფორდის უნივერსიტეტის ე.წ. „ბინარული სემინარი“, რომლის დროს გამოდის ორი მომხსენებელი და დიალოგის ფორმატით აუდიტორიას მოახსენებს სასემინარო მასალას, რაც მსმენელთა დაინტერესებასა და გააქტიურებას იწვევს.

ასევე გამოიყენება „შეჯიბრის ტიპის“ როლებრივი სემინარი, სადაც სტუდენტები გუნდებად იყოფა, რომლის შემადგენლობაში არიან გუნდის „ლიდერი“ (ხელმძღვანელი), „მომხსენებლები“, „ოპონენტები“ და „არბიტრები“. სემინარის მონაწილეთა ასეთი პერსონიფიკაცია და გუნდთაშორის შეჯიბრის რეჟიმის არსებობა ხელს უწყობს მათ საქმიან აქტიურობას. ამ ტიპის სემინარის გამოყენება შესაძლებელია სწავლების ონლაინ-რეჟიმის ფორმატშიც.

### **სწავლების შერეული ფორმატი**

განათლების ხელოვნური ინტელექტის (IAIED), საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტის, UCL Knowledge ლაბორატორიის დირექტორის, სტარტაპების EDUCATE აქსელერატორის, პროფესორ როუზ ლაკინის აზრით, ხელოვნური ინტელექტი სასარგებლოა, მაგრამ მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად. საზოგადოებას არ სჭირდება ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებადი განათლების სისტემები.

როუზ ლაკინი თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში წერს: „ვალდებულნი ვართ ინფორმატიზაციის მნიშვნელოვან როლს განათლების სისტემის სრულყოფაში, მაგრამ არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ განათლება არის სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა. ცხადია, რომ აღმზრდელობითი კომპონენტი ხელოვნური ინტელექტის პროგრამებში ვერ გადავა, ის რჩება ცოცხალ

მასწავლებელთან. ცოდნის სხვადასხვა სფეროს შორის ინტერდისციპლინური კავშირების დამყარების უნარი, ემოციური ინტელექტის განვითარება და გუნდური მუშაობის უნარები ძნელია ჩამოყალიბდეს სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის გარეშე. ამ თვალსაზრისით ადამიანს ვერ შეცვლის ალგორითმი“ (Luckin R.).

აქედან გამომდინდინარე შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ციფრული საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვა არ გულისხმობს ტრადიციული სწავლების ფორმების სრულ გაუქმებას უმაღლეს სასწავლებლებში, კოლეჯებსა და სკოლებში. საჭიროა და აუცილებელიც არის სწავლების შერეული ფორმატის დანერგვა, რომელიც გაზრდის სწავლების ეფექტიანობას, სტუდენტებს გამოუმუშავებს საქმიანი აქტივობის, კომუნიკაციის დამყარების უნარებს, ჩამოუყალიბებს პასუხისმგებლობის გრძნობასა და თვითდისციპლინას. ამასთან ერთად, ამ ფორმატში შემავალი ინფორმაციული სერვისებითა და ტექნოლოგიების დახმარებით შესაძლებელი ხდება სტუდენტების მუდმივი თვითგანვითარება, ცოდნის არეალის გაფართოება და სრულყოფა. ამ შემთხვევაში ციფრული ტექნოლოგიები მოქმედებს როგორც სასწავლო პროცესის ინტელექტუალური მხარდაჭერის მძლავრი საშუალება.

## დასკვნა

საჭიროა შეიქმნას ეროვნული და საერთაშორისო სტრუქტურები, რომელთა კომპეტენციაში შევა ხელოვნური ინტელექტის პროგრამების სახელმწიფო და საერთაშორისო ექსპერტიზა საზოგადოებისა და განათლების სისტემისთვის მათი უსაფრთხოების დადგენის მიზნით. ამ ექსპერტიზების დასკვნების შესაბამისად, სისტემური პროგრამირების სპეციალისტები უნდა შეთანხმდნენ შემოქმედების თავისუფლების შეზღუდვაზე კაცობრიობისთვის პოტენციურად საშიშ სფეროებში.

ამასთან ერთად, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ ინტერნეტი ცოდნის მიღების უზარმაზარი სივრცეა, მაგრამ ეს მასშტაბურობა ზოგჯერ შეიძლება იყოს პრობლემა, ვინაიდან აქ იყრის თავს უამრავი დაბალი ხარისხის ინფორმაციული რესურსი, რომელიც იძლევა არასწორ მონაცემებსა და დასკვნებს. აქ უკვე საქმე გვაქვს ე.წ. ფსევდოსწავლებასთან და, შესაბამისად, მავნებლობასთან. ამიტომ, საჭიროა პროფესიონალების მიერ დამოწმებული მაღალი რეპუტაციის მქონე საიტები.

პუბლიკაციების ავტორები თვლიან, რომ განათლების დიგიტალი-

ზაციისთვის მნიშვნელოვანია დროში გამოცდილი და მეცნიერულად დადასტურებული საგანმანათლებლო რესურსების არსებობა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისთვის. ამასთან დაკავშირებით რჩევას აძლევენ მათ გამოიყენონ ისეთი ე.წ. „სანდო საიტები“, როგორიცაა ვიკიპედია, ონლაინ ბიბლიოთეკები და ვებინარები, სადაც არიან სხვადასხვა დარგის ექსპერტები.

მნიშვნელოვანია შერეულ საგანმანათლებლო სისტემაში მუშაობის პირობების შექმნა და დამატებითი უნარების გამომუშავება

### ლიტერატურა:

- თოლორდავა ჟ. (2015). ინფორმატიკა და იმიტაციური მოდელირება. საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში“. თბილისი
- Шишкина Ю. М., Гаттарова Л. Х., Исламов А. Э. (2021). Классификация и инструменты современных цифровых технологий в образовании // Актуальные исследования. №47 (74). С. 136-138. URL: <https://apni.ru/article/3238-klassifikatsiya-i-instrumenti-sovremennikh>
- Гордеева Е.В и др. (2021). Цифровизация в образовании. Journal of Economy and Business, vol. 4-1 (74), . (cyberleninka.ru)
- Цифровизация образования — основные плюсы и минусы. <https://plusinusi.ru/cifrovizaciya-obrazovaniya-osnovnye-plyusy-i-minusy/> 2022
- თოლორდავა ჟ. (2021). მომავლის განჭვრეტადი პროფესიების კომპეტენციების ფორმირება. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ № 4.
- Толордава Ж. (2020). «Серьезные игры» и образование ჟურნ. „ეკონომიკა“ №10-12.
- Gamificazione dell'apprendimento. [https://it.qaz.wiki/wiki/Gamification\\_of\\_learning](https://it.qaz.wiki/wiki/Gamification_of_learning), 2022
- თოლორდავა ჟ. (2017). ბიზნესგანათლება ცოდნის ეკონომიკის ფორმირების საფუძველი. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ №2, თბილისი.
- Tolordava Zh. (2017). Development of the professional identity of the economics students trough the simulation modeling method. 10th edition of the International Conferences “Advances in Science, Innovation and Management” Romania.
- Савельева В. В., Савельева С. Е. (2021). Цифровые технологии в учебном процессе. Сборник научных трудов по материалам Международной научно-практической конференции.: Белгород С. 13-18. URL: <https://apni.ru/article/1895-tsifrovie-tehnologii-v-uchebnom-protseste>
- Luckin R. (2020). The Role of Artificial Intelligence in Education. Neuromation / Rose Luckin. – URL: <https://medium.com/neuromation-ioblog/the-role-of-artificial-intelligence-in-education-7010aeb17ef1>, last accessed 2020/04/20

## References:

- Tolordava ZH. (2015). inpormatika da imitatsiuri modelireba. [Informatics and Simulation Modeling. International Conference “Modern Information Technologies in the Conditions of Economic Globalization”. Tbilisi] in Georgian
- Shishkina Yu. M., Gattarova L. Kh., Islamov A. E. (2021). Klassifikatsiya i instrumenty sovremennykh tsifrovyykh tekhnologiy v obrazovanii. [Classification and Tools of Modern Digital Technologies in Education // Current research. No. 47 (74). pp. 136-138.] In Russian URL: <https://apni.ru/article/3238-klassifikatsiya-i-instrumenti-sovremennikh>
- Gordeeva E.V. et al. (2021). Tsifrovizatsiya v obrazovanii. [Digitalization in Education. Journal of Economy and Business, vol. 4-1 (74) (cyberleninka.ru).] in Russian
- Tsifrovizatsiya obrazovaniya – osnovnyye plyusy i minusy. [Digitalization of Education – Main Pros and Cons.] In Russian <https://plusimiusi.ru/cifrovizatsiya-obrazovaniya-osnovnye-plyusy-i-minusy/> 2022
- Tolordava Zh. (2021). momavlis ganchvretadi propesiuli kompaniebis pormireba. [Formation of Future Foresight-Competecies, “Economics and Business” No. 4.] in Georgian
- Tolordava Zh. (2020). «Seryeznyye igry» i obrazovaniye, [“Serious Games” and Education. Economics #10-12.] in Georgian
- Gamificazione dell’apprendimento. [https://it.qaz.wiki/wiki/Gamification\\_of\\_learning](https://it.qaz.wiki/wiki/Gamification_of_learning), 2022
- Tolordava Zh. (2017). biznesganatleba tsodnis ekonomikis pormirebis sapudzveli [Business Education is the Basis for the Formation of the Knowledge Economy. “Economics and Business” No. 2, Tbilisi.] in Georgian
- Tolordava Zh. (2017). Development of the Professional Identity of the Economics Students trough the Simulation Modeling Method. 10th edition of the International Conferences “Advances in Science, Innovation and Management” Romania.
- Savelyeva V.V., Savelyeva S.E. (2021). Tsifrovyye tekhnologii v obrazovatelnom protsesse. [Digital Technologies in the Educational Process. Collection of Scientific Papers Based on the Materials of the International Scientific and Practical Conference.: Belgorod, pp. 13-18.] in Russian URL: <https://apni.ru/article/1895-tsifrovie-tekhnologii-v-uchebnom-protsesse>
- Luckin R. (2020). The Role of Artificial Intelligence in Education. Neuromation / Rose Luckin. – URL: <https://medium.com/neuromation-ioblog/the-role-of-artificial-intelligence-in-education-7010aeb17ef1>, last accessed 2020/04/20

---

## Digital Educational Technologies

### **Zhana Tolordava**

Doctor of Economics  
Scientific Head of the Educational & Scientific  
Center of Imitation Modelling.  
Iv. Javakishvili Tbilisi State University  
tolordava@hotmail.com

Digital technologies have for a long while taken up an important place in the economic development of many countries of the world. Digitalization is the process of wide distribution and implementation of digital technologies into various areas of public life: economy, business, culture, education, etc. Nowadays new digital technologies and innovative business models are implemented in every area of the economic activities, thus contributing to the emergence of digital economy.

Digitalization (digital transformation) of education includes several tasks, such as: improvement of the skills and abilities of professors and teachers in the field of digital technologies, development of material infrastructure, development of online education; implementation of digital programs in the educational process.

In this regard, the study of issues of digitalization (digital transformation) of education and its current problems has become a very important and called for area of scientific research.

Under the said conditions, introduction of new educational technologies, developmental and project-based teaching, business games, visualization, simulation modeling and distance learning present great teaching potential, leading to inspiring the interest in learning and improving assimilation of both theoretical and practical material.

Digitization in education is in fact transition to an electronic learning system with all study materials (textbooks, online lectures), as well as e-journals for knowledge assessment transferred to a digital domain. Generally, students will complete practical sessions, colloquiums, tests and assignments on computers and tablets.

According to Prof. Rose Labkin, President of the International Artificial Intelligence in Education Society (IAIED), Director of the startup accelerator program EDUCATE, artificial intelligence is a beneficial tool, but it can only be used to solve specific tasks. Society does not need education systems generated by artificial intelligence.

Thus, it can be concluded that introduction of digital educational technologies does not mean complete abolition of traditional forms of education in universities, colleges and schools.

It is necessary and even essential to introduce a mixed format of teaching, which will increase the effectiveness of teaching, develop students' business activity, communication skills, and form a sense of responsibility and self-discipline.

At the same time, information services and technologies included in this format allow for students' continuous self-development, expansion and perfection of their scope of knowledge. In that instant, digital technologies act as a powerful tool of intellectual support in the learning process.

**Keywords:** Digitalization, digital technologies, digital transformation, digital programs, visualization of the educational process.

**JEL Codes:** O30, O31, O32, O33

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია CRITICISM and BIBLIOGRAPH

### მნიშვნელოვანი ნაშრომი ეროვნული ეკონომიკის ყველაზე მონყვლად სექტორზე<sup>1</sup>

აგრარული სექტორი ყოველთვის იყო ქართული ეკონომიკური მეცნიერებისა და ზოგადად, ქვეყნის ბედ-იღბალზე მოფიქრალ-ამაგდარ ადამიანთა ყურადღების ცენტრში. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც სოფლის მეურნეობა, მინა არამარტო წარმოების საშუალება, არამედ ქართველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების, მისი მდგრადობის გამოხატულების უმნიშვნელოვანესი პირობა და სასიცოცხლო სივრცეა. ყოველივე ეს ყველაზე კარგად უწყიან ქართული აგრარული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა რევაზ ასათიანმა და პაატა კოლუაშვილმა და ბუნებრივიცაა, რომ მათი ამგვარი დამოკიდებულება ძალუმად იგრძნობა აღნიშნული მონოგრაფიის პირველიდან ბოლო გვერდამდე.

ნაშრომის არსი, ლაიტმოტივი მისი სათაურიდანვე ჩანს – ის გვეუბნება, რომ ამ სფეროში ყველაფერი რიგზე არაა და დარგი სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. მაგრამ, სათაური ასევე აგრძნობინებს მკითხველს, რომ ეროვნული ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს აქვს პრობლემების დაძლევის და განვითარების შანსი და რესურსი.

ის, რომ აღნიშნული სფერო სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების საფუძველზე, აღებული აქვს ვალდებულება უზრუნველყოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; სოფლის მეურნეობაზე ყურადღების გაძლიერების აუცილებლობას მიუთითებს ქვეყნის მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების ზრდა და არასტაბილური გეოპოლიტიკური

1 რევაზ ასათიანი, პაატა კოლუაშვილი – „საქართველოს სოფლის მეურნეობა – გამოწვევები და პერსპექტივები“, რედაქტორები: პროფ. იოსებ არჩვაძე, აკად. ნაპოლეონ ქარქაშაძე, გამომცემლობა „პოლიგრაფი“, 154 გვ., თბ. 2023.  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით რეცენზირებული მონოგრაფია აღიარებულ იქნა წლის საუკეთესო ნაშრომად აგრარულ სფეროში.



ვითარება, ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში აგრო-სასურსათო პროდუქციის ქრონიკული დეფიციტი. მხოლოდ ამ საუკუნეში აღნიშნულმა დეფიციტმა – უარყოფითმა სალდომ, თითქმის 12 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც სულ ცოტა, 8-ჯერ აღემატება 2022 წელს საქართველოს აგრარულ სექტორში შექმნილ დამატებულ ღირებულებას.

ის, რომ გლობალური მასშტაბით მოსახლეობის მატების ტემპი უსწრებს მსოფლიოში აგრარული პროდუქციის წარმოების ზრდას, ხოლო ამ უკანასკნელის მატება საგრძნობლად ჩამორჩება გლობალური ეკონომიკის ზრდას, განაპირობებს იმას, რომ არსებითად იზრდება მოთხოვნა სურსათზე და მის ძირითად მატერიალურ საფუძველზე – სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, რის გამოც მწვავედება კონკურენცია სურსათის მომხმარებელთა შორის გლობალურ ბაზრებზე სურსათზე ფასების ზრდის ნეგატიური შედეგით.

ასეთ პირობებში, საქართველოს სტრატეგია უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი ზრდა, შრომის მწარმოებლურობის ამაღლება აგრარულ სექტორში, აღნიშული კომპონენტით საგარეო სავაჭრო ბალანსის მკვეთრი გაუმჯობესება და როგორც შედეგი, საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის თავისებური სტიგმის – „ეროვნული ეკონომიკის ყველაზე სუსტი რგოლის“ დაძლევა. ავტორებს გააზრებული აქვთ, თუ რა გზით, როგორ და რა რესურსებითაა შესაძლებელი, რა დროშია მიღწევადი ამგვარი სტიგმის დაძლევა და აგრარული სექტორის საქართველოს ეკონომიკის ძლიერ რგოლად გადაქცევა.

ამასთან, მონოგრაფიის ავტორები აგრარული სექტორის განვითარებას არ უკავშირებენ მხოლოდ მოსახლეობის მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებას და მისი კეთილდღეობის ამაღლებას. – მათი აზრით, ამგვარ ძალისხმევას აქვს კიდევ ერთი ასპექტი – **ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცება**. – სასურსათო უსაფრთხოებას, სურსათით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის ამაღლებას ავტორები თვლიან ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანეს კომპონენტად.

პროფესორები რ. ასათიანი და პ. კოლუაშვილი მიიჩნევენ, რომ დასახული მიზნების რეალიზაცია ორ ეტაპად უნდა განხორციელდეს: პირველ ეტაპზე ( 2023-2026 წწ.) უნდა მოხდეს დარგის მთავარი წარმოების საშუალების და ფაქტორის – მიწების ინვენტარიზაცია, მათზე დაფუძნებული წარმოების რეაბილიტაცია-განვითარება; მეორე ეტაპზე (2027-2030

ნნ.) კი განსახორციელებელია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, სოფლის მეურნეობის მაღალტექნოლოგიურ დარგად ტრანსფორმაცია და უპირატესად ინტენსიური გზით განვითარების უზრუნველყოფა.

ავტორები დასახული ამოცანების რეალიზაციას უკავშირებენ მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენებისათვის საჭირო სწავლებასა და ცოდნას; ამავე დროს, ისინი დიდ როლს აკუთვნებენ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას – როგორც ეკონომიკური მექანიზმის ფორმირების, ასევე კონკრეტული პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის გზით. უაღრესად საინტერესო და საგულისხმოა ამ ასპექტით მათი ხედვა აგრარული და სასურსათო პროდუქციის წარმოების, აგრეთვე რეგიონების განვითარების კუთხით სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციის, მათ შორის ინოვაციური ტექნოლოგიებისა და უცხოური კაპიტალის მოზიდვის მხრივ.

მთლიანობაში, ნაშრომის გაცნობა იძლევა შესაძლებლობას, მკითხველი თანმიმდევრულად გაეცნოს ავტორთა მიერ დარგის განვითარებისათვის გადასაწყვეტ ამოცანებს. ამასთან, ისინი გვთავაზობენ არამარტო ეკონომიკის აღნიშნული სექტორის განვითარების მოდელს, არამედ უფრო მასშტაბური ამოცანის გადაწყვეტის გზასაც – ქვეყნის არაურბანული დასახლებების (სოფლების) სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა პირობებს.

აგრარული სექტორის წინაშე არსებული პრობლემები მონოგრაფიაში წარმოჩენილია კომპლექსურად, ხატოვნად რომ ვთქვათ, „სამ განზომილებაში“, ამ პროცესში მასში ჩართული სუბიექტებისა და ინსტიტუტების როლისა და ფუნქციების ჩვენებით. აღსანიშნავია, რომ ისინი საკითხს განიხილავენ, არამარტო ეკონომიკური, არამედ ფილოსოფიური ასპექტითაც (ნაშრომის ერთ-ერთი პარაგრაფის მრავლისმეტყველი სახელწოდებაა „მინის როლი ქართულ ცნობიერებაში“). მსჯელობენ რა აგრეთვე მინისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართებაზე, მინის რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და ამ კუთხით იმ გამოწვევებზე, რაც თანამედროვე ეპოქას მოაქვს ზოგადად, კერძოდ კი – ჩვენი ქვეყნისათვის. რაც უნდა პათეტიკურად მოგვეჩვენოს ავტორთა ნათქვამი, არ შეიძლება არ დაეთანხმო მის პათოსს: „ქართული სახელმწიფოს წინაშე დღეს არსებულ მრავალ გამოწვევას შორის უმთავრესი მინის საკითხის გადაწყვეტაა. მინის საკითხი ყველაზე არსებითად არის დაკავშირებული ქვეყნის ბედთან, რადგან ტერიტორიული იდენტობა ეროვნული ცნობიერების ნიადაგია, ხოლო

მისი შენარჩუნება მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის მოუწესრიგებლად წარმოუდგენელია. მიწა ერის სასიცოცხლო და შემოქმედებითი სივრცეა“ (გვ. 9).

დიდძალი სტატისტიკური მასალა მონოგრაფიის ავტორებს ეხმარება რელიეფურად წარმოაჩინოს მიწათსარგებლობაში არსებული მდგომარეობა, მიწათმონყობის პრობლემები, მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ზოგადად ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარება. განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორთა მოსაზრება **სახელმწიფოს როლზე მიწათსარგებლობის ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და ინსტიტუციურ საკითხებზე**. ავტორები ერთმნიშვნელოვნად ხაზს უსვამენ, რომ მიწის საკითხი და მიწის გადაწყვეტა ორგანულად უნდა გამომდინარეობდეს საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობიდან. ამასთან, თავიანთი პოზიციის გასამყარებლად იშველიებენ სხვადასხვა მოწინავე ევროპული ქვეყნის (გერმანია, შვეიცარია, ავსტრია) მიწათსარგებლობის გამოცდილებას. მათი ვერდიქტი ერთმნიშვნელოვანი და ცალსახაა: სახელმწიფოს აქტიური ჩარევის გარეშე შეუძლებელი იქნება ისეთ გამონწვევებთან გამკლავება, როგორცაა მიწების პარცელიზაცია, ნიადაგის დაბალი ნაყოფიერება, ბოლო ათწლეულებში განადგურებული ქარსაფარი/მინდორსაფარი ზოლების აღდგენა, დაურეგისტრირებული ნაკვეთების რეგისტრაცია, მიწათმოსარგებლეთა იურიდიული პერსონიფიკაცია და სხვ.

ავტორები ავითარებენ აზრს, რომ ნებისმიერი განზრახვა უცხოელებისთვის მიწის მიყიდვისა, კანონსაწინააღმდეგოდ უნდა იქნეს მიჩნეული და რომ ასეთი ნასყიდობები გასაუქმებელია, აგრეთვე იმას, რომ კატეგორიულად დაუშვებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადაყვანა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებაში, მისი შემდგომი პრივატიზაციის მიზნით. (გვ. 15-16).

მონოგრაფიის ავტორები რ. ასათიანი და პ. კოლუაშვილი ხაზს უსვამენ მაღალ კორელაციას მიწათსარგებლობის ეფექტიან გამოყენებასა და სოფლის, როგორც აგრარული სექტორის, მთელი ქვეყნის სიძლიერის საძირკვლის განვითარებას შორის, იმ როლს, რაც აგრარული სექტორის განვითარებაში შეუძლია შესრულოს ინკლუზიურმა სამეწარმეო განვითარებამ და თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებამ. ნაშრომი უხვად შეიცავს რეკომენდაციებს, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით კოოპერაციის შესაბამისი მოდელის ფორმირებისათვის, აგრეთვე, სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის ფორმირებისა და განვითარებისათვის (კოოპერაციაზე დაფუძნებული ეფექტია-

ნი საზღვარგარეთული მოდელების ადაპტირება ქართულ რეალობასთან, სათემო კოოპერატივებისთვის უპირატესობის მინიჭება, სოფლისათვის საძოვრების, სათიბების, წყლის და ტყის ფონდის, აგრეთვე საერთო სარგებლობის სამეურნეო თუ კომუნალური ინფრასტრუქტურის უვადო სარგებლობაში დაბრუნება და სხვ.), სოფლის (თემის), როგორც სრულფასოვანი სამართალსუბიექტის სტატუსის აღდგენა და ა.შ.

ავტორები ხაზს უსვამენ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას აქვს არამარტო ეკონომიკური, არამედ – პოლიტიკური ასპექტიც და ეს არის ეროვნული უშიშროების საფუძველი. მათი ხედვები სასურსათო უსაფრთხოების არაერთ ასპექტს ეხება – სურსათის უვნებლობიდან დაწყებული და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური და ორგანიზაციული ღონისძიებებით დამთავრებული. ხაზგასმულია, რომ სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა (უშიშროების) და მდგრადობის გარანტიაა (გვ. 79), რომ სასურსათო უსაფრთხოების (უშიშროების) პრობლემის გადაწყვეტა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ტოლფასია (გვ. 80). ამ ასპექტით შემოთავაზებულია აგროსასურსათო სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფების გამოყოფით. მოტანილი სტატისტიკა სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით არამარტო იძლევა მკაფიო წარმოდგენას, თუ რა მასშტაბის სახელმწიფოებრივი დახმარება ხორციელდება აგრარულ სექტორზე ამ სფეროში დასაქმებულ თითოეულ პირზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთეულსა თუ ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე, არამედ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციაცაა განსჯისა და მოქმედებებისათვის ქვეყნის აგრარული პოლიტიკის მფორმირებელი და განმახორციელებელი სტრუქტურებისთვისაც.

ყურადსაღებია ავტორთა მოსაზრებები საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, მათ შორის ხელისუფლებისათვის გამიზნული შესაბამისი სარეკომენდაციო ინსტიტუციური, ორგანიზაციული და პროგრამული ღონისძიებები. სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტით ავტორები განიხილავენ აგრეთვე სურსათის უვნებლობას, იმ ღონისძიებების ეფექტიანობას, რაც გატარდა საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

სოფლის მეურნეობის, მთლიანად აგრარული სექტორის განვითარების მაგისტრალური ხაზი, ავტორთა აზრით, გადის ამ სფეროს მოდერნიზაციაზე, თანამედროვე მოთხოვნილებების დონეზე გაყვანაზე. ამ სფეროს დაჩქარებული განვითარება და საქმიანობისა და ინვესტიციების სტიმულირების გაზრდა საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა:

- ა) მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები;
- ბ) სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემა და ფერმერული მეურნეობებისათვის იაფ კრედიტზე ხელმინვდომობა;
- გ) აგროდაზღვევა;
- დ) იაფი სანვავი;
- ე) ინოვაციური ტექნოლოგიები.

აღნიშნულის მისაღწევად ავტორები გვთავაზობენ 2030 წლამდე სამოქმედო მეგაპროექტს, რომლითაც უნდა შეიქმნას „სპეციალიზებული/ აგრარული საინვესტიციო ფონდი“ სახელმწიფო და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მონაწილეობით, განხორციელდეს ქვეყნის საბანკო და საფინანსო ინსტიტუტების ორიენტაცია **აგროსასურსათო სექტორის მაღალტექნოლოგიურ დარგად ტრანსფორმაციისათვის**; შეღავათიანი რეჟიმების შემოღება ამ სფეროში დაფუძნებული ქართულ-უცხოური კომპანიებისათვის, სპეციალიზებული აგროინოვაციური, აგროტურისტული, აგროსასწავლო, აგროინდუსტრიული და სხვა ზონების შექმნა ქვეყნის რეგიონული მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მოსახლეობის/ფიზიკური პირების ქართულ-უცხოური ერთობლივი კომპანიების ფასიან ქალაქებში, ექსპორტზე ორიენტირებული სწრაფი მოდერნიზაციის ინტერესებისა და ინვესტიციების დაცვისთვის საერთაშორისო არბიტრაჟის/დავების დამრეგულირებელი ორგანოს დაფუძნება და სხვ.

აღნიშნული მონოგრაფია არ არის რიგითი სამეცნიერო პუბლიკაცია. ის გარკვეული წესით, სამოქმედო პროგრამაცაა. ნათქვამია, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო. შესაბამისად, პირველ რიგში, სწორედ ხელისუფლების მხრიდან უაღრესად ყურადსაღები და გასათვალისწინებელია ისეთი რეკომენდაციები სოფლის განვითარებისთვის, როგორცაა სოფლისათვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭება და სოფლის მართვის არჩევითი ორგანოს – სოფლის საბჭოს აღდგენა; სოფლისათვის, როგორც იურიდიული პირისათვის, ქონების ფლობის და უვადო სარგებლობის უფლების დაბრუნება, სოფლის ვალდებულება ნიადაგის ნაყოფიერებისა და გარემო პირობების შენარჩუნება/გაუმჯობესების თაობაზე და სხვ.

ნაშრომის ბოლოს მოყვანილი მდიდარი სტატისტიკური მასალა კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ღვანლმოსილი მეცნიერების იდეების წარმოჩენას, მათ შეხედულებებს საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული გამოწვევებისა და მათი გადაწყვეტის გზების შესახებ.

აღნიშნული მონოგრაფია, მისი კომპლექსური ხასიათის, თეორიული დასკვნებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქართული ეკონომიკური და აგრარული მეცნიერების, მნიშვნელოვანი შე-

ნაძენია. ამავე დროს, ვფიქრობთ, რომ იგი სამაგიდო წიგნი უნდა იყოს არამარტო აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისათვის, არამედ მათთვისაც, ვინც ჩვენს ქვეყანაში დაკავებულია ეკონომიკური, კერძოდ აგრარული პოლიტიკის შემუშავებით და რეალიზებით. მონოგრაფიის გამოყენება მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრეთვე ეკონომიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა თემის სწავლებისას.

დარწმუნებული ვართ, რომ აღნიშნულ ნაშრომს ხანგრძლივი და წარმატებული მომავალი, მკითხველთა გარანტირებულად დიდი დაინტერესება და გათვალისწინება ელის...

**იოსებ არჩვაძე** – პროფესორი, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ქუთაისის უნივერსიტეტი

**რევაზ გოგოხია** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ივ. ჭავჭავაძის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ელგუჯა მექვაბიშვილი** – პროფესორი, ეკონომიურ მეცნიერებათა  
დოქტორი, ივ. ჭავჭავაძის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **An Important Work of National Economy on the Most Vulnerable Sector<sup>1</sup>**

The monograph of the renowned experts in agrarian science – Mr. Revaz Asatiani and Paata Koguashvili – is dedicated to the most crucial field for the national economy and national security: the situation in agriculture, the problems, potential ways to overcome them, and development prospects.

The authors not only realize that Georgia's state strategy should involve a sharp increase in agricultural production, an improvement in labor productivity in the agrarian sector, a drastic enhancement in the foreign trade balance, thereby overcoming the existing stigma of Georgia's agriculture as „the weakest link of the national economy“. They also present their systematic and comprehensive visions of how, with what resources, and in what manner it is possible to overcome the aforementioned stigma and turn the agrarian sector into a robust pillar of Georgia's economy.

<sup>1</sup> Revaz Asatiani, Paata Koguashvili – “Georgian Agriculture – Challenges and Perspectives”. Editors: Prof. Ioseb Archvadze, Acad. Napoleon Karkashadze, “Polygraph” publishing house, 154 pp., 2023.



The authors of the monograph pay special attention to the development of the agrarian sector in one of its most critical aspects – strengthening the security of the country – by increasing food security and the production of agricultural products, considering it a crucial component of national security.

B-Bi R. Asatian and P. Koguashvili believe that achieving the set goals will occur in two stages: the first stage (2023-2026) involves the primary means and factors of production in the field, such as land inventory and production rehabilitation and development based on them; in the second stage (2027-2030), innovative technologies need to be implemented, transforming agriculture into a high-tech sector and ensuring predominantly intensive development.

The problems faced by the agrarian sector in the monograph are presented in a comprehensive manner, figuratively speaking, „in three dimensions,“ illustrating the roles and functions of the entities and institutions involved in this process. It is noteworthy that they discuss the issue not only from an economic perspective but also from a philosophical aspect (one of the paper's paragraphs is titled „The role of land in Georgian consciousness“). The authors also address the relationship between land and the state, the rational use of land resources, and the challenges brought about by the modern era in their country.

The extensive statistical material helps the authors of the monograph demonstrate the landscape of land use, the problems of land cultivation, and the overall situation of spatial planning in the territories. Of particular importance is the authors' view on the role of the state in economic, organizational, and institutional aspects of land use. The authors emphasize that the issue of land and its resolution must be organically derived from the national interests and public expediency of their own country. Additionally, they draw insights from the land use experiences of Germany, Switzerland, and Austria to strengthen their position.

Gentlemen R. Asatian and P. Koguashvili underscore the high correlation between effective land use and the foundation of a robust agrarian sector and its implications for the entire country. They argue that achieving this requires inclusive entrepreneurial development and taking into account modern international experiences. The paper contains numerous recommendations for fostering an appropriate model of cooperation and for the establishment and development of social and industrial infrastructure, including the adaptation of effective foreign models based on cooperation with Georgian reality, preference for community cooperatives, utilization of pastures for rural areas, return to the



permanent use of pastures, water, and forest funds, as well as shared agricultural or communal infrastructure, etc.

According to the authors, the main direction for the development of agriculture and the entire agrarian sector is the modernization of this field to meet modern needs. Accelerated development and increased incentives for activities and investments require state-sponsored measures such as: A) State Support Programs; B) Specialized agroscredit systems and access to affordable credit for farms; C) Agroinsurance; D) Affordable fuel; E) Innovative technologies.

To achieve this, the authors propose a mega-project of action to be undertaken before 2030, with the participation of the „Specialized/Agrarian Investment Fund“ and State and International Financial Institutions. The project aims to direct the country's banking and financial institutions toward the high-tech sector of the agri-food sector for transformation. The proposal also includes introducing preferential regimes for Georgian-foreign companies operating in this field, focusing on specialized agro-innovative, agritourism, agro-training, and creating agro-industrial and other zones, taking into account the regional diversity of the country.

This monograph is not a typical scientific publication. It serves as a comprehensive program of action prepared and proposed by the government at the highest academic level. The government's attention and recommendations for rural development should be taken into account, including granting legal status to the village and restoring the village governing body. This grants the village the status of a legal entity and the right to own property and utilize land permanently, while also obliging the village to maintain soil fertility and improve environmental conditions.

Given its complex nature, theoretical conclusions, and practical recommendations, this monograph should become a valuable resource not only for representatives of the academic field but also for those engaged in the development and implementation of agrarian policy in the country. Moreover, it is recommended for use in higher education institutions with an economic profile when teaching various topics.

**Joseph Archvadze** – Professor, Doctor of Economic Sciences.  
Kutaisi University.

**Revaz Gogokia** – Doctor of Economic Sciences.  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

**Elguja Mekvabishvili** – Professor, Doctor of Economic Sciences.  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

## საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

პროფესორ **გიორგი ჰაპავას** დაბადებიდან  
100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო  
კონფერენცია –

### „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით“



2023 წლის 7 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ინიციატივით ჩატარდა პროფესორ **გიორგი ჰაპავას** დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით“.

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

კონფერენცია გახსნა პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **რამაზ აბესაძემ**.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **ჭაბა სამუშია**, საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი **თეიმურაზ დოჭვირი**, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, აკადემიკოსი **სოლომონ პავლიაშვილი**, საქართველოს ერო-

ვნიული აკადემიის აკადემიკოსი **მიხეილ ჯიბუტი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **გიორგი ლაღანიძე**.

გამომსვლელებმა ისაუბრეს ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში პროფ. გიორგი პაპავას მიერ შეტანილ წვლილზე, საქართველოს ეკონომიკის წინაშე თანამედროვე პირობებში არსებული პრობლემების გადაჭრაში ქართველი სწავლული ეკონომისტების მონაწილეობაზე.

მოგონებებით გამოვიდნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი **ნოდარ ჭითანავა**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მურმან კვარაცხელია**, რომლებმაც თბილად გაიხსენეს პროფ. გ. პაპავასთან მათი პირადი და კოლეგიალური ურთიერთობის ეპიზოდები, რითაც ნათლად წარმოაჩინეს მისი, როგორც ნოვატორი მეცნიერის, გულისხმიერი და კეთილშობილი პიროვნების ბუნება-ხასიათი.

პროფ. გიორგი პაპავას ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა **რ. აბესაძემ**. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ბატონი გიორგის განვლილი რთული ცხოვრება, ასევე ნაყოფიერი სამეცნიერო თუ პედაგოგიური მუშაობა, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მის ნიჭიერებას, გამორჩეულ მეცნიერულ აზროვნებასა და მისი სამეცნიერო ნაშრომების მნიშვნელობას. გიორგი პაპავა – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, კვლევის საოცარი ალღოთი გამორჩეული პიროვნება იყო.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მოხსენებებით წარდგინენ:

პროფესორი **ელგუჯა მექვაბიშვილი** – „პროფესორ გიორგი პაპავას თეორიულ-ეკონომიკური მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“;

აკადემიკოსი **ვლადიმერ (ლადო) პაპავა** – „საბანკო კრიზისის, ეკონომიკის ზომბირების ახალი ტალღის და ოლივერ-ტანცის ეფექტის შესახებ“;

პროფესორი **თამარა ოვაკიმიანი** – ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთი) – „მიმდინარე პროცესები და გამოწვევები სამეცნიერო და ეკონომიკურ ურთიერთობებში“.

პლენარული სხდომის შემდეგ მუშაობა განახლდა სექციებში, სადაც განხილული იქნა ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის; მაკროეკონომიკის, მდგრადი განვითარების, ფინანსებისა და საბანკო საქმის; სექტორული და რეგიონული ეკონომიკის; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერ-

თობების და გლობალიზაციის; დემოგრაფიის, სოციოლოგიისა და შრომის ეკონომიკის დარგების სხვადასხვა აქტუალური პრობლემა.

სამუშაო დღის ბოლოს ჩატარდა კონფერენციის შემაჯამებელი სხდომა. ანგარიში და შეფასებები წარადგინეს კონფერენციის სექციის ხელმძღვანელებმა.

პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით“, ჩატარდა საინტერესო და საქმიან ვითარებაში.

ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“  
მთავარი სპეციალისტი **მარი უკლება**

## ჩვენნი იუბილარი ANNIVERSARIES

### **პროფესორი ეთერ ხარაიშვილი** **Professor Eter Kharaihvili**

პროფესორი **ეთერ ხარაიშვილი** დაიბადა საჩხერის რაიონის სოფ. ხვანში. წარმატებით დაამთავრა ქიათურის #2 საშუალო სკოლა.

1970-1975 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარგობრივი ეკონომიკის ფაკულტეტზე, 1975-1978 წლებში იყო ამავე ფაკულტეტის ასპირანტი. 1981 წელს დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და მიენიჭა დოცენტის წოდება, ხოლო 1999 წელს დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

1978-1983 წწ. იგი იყო თსუ-ის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და შრომის ეკონომიკის კათედრის მასწავლებელი; 1983-2000 წლებში ამავე კათედრის დოცენტი, ხოლო 2000-2002 წლებში – პროფესორი; 2002-2006 წლებში იყო ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრის პროფესორი, ხოლო 2006 წლიდან დღემდე არის მიკროეკონომიკის კათედრის პროფესორი და კათედრის ხელმძღვანელი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, აკადემიურ თანამდებობასთან ერთად, მრავალი წელი ეწეოდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ საქმიანობას, კერძოდ: 1996-1999 წლებში იყო ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში; 1999-2006 წლებში ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მაგისტრატურაში სწავლების დარგში; 2009-2010 წლებში – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან



ურთიერთობის სამსახურის უფროსი, 2015-2021 წლებში – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. 2021 წლიდან დღემდე არის ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი.

პროფესორი ე. ხარაიშვილი არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და ვიცე-პრეზიდენტი, ბუნების ისტორიის ევროპული აკადემიის ნამდვილი წევრი, სოფლის მეურნეობის ეკონომისტთა ევროპული ასოციაციის წევრი. ასევე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

მას გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია და სახელმძღვანელო.

ქალბატონ ეთერს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო პროექტსა და პროგრამაში, მათგან აღსანიშნავია გაეროს განვითარების პროგრამები – „ეფექტიანი მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის სახელმწიფო კომისიის მხარდაჭერა დეცენტრალიზაციის საკითხებში“, „საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის საქმიანობის ეფექტიანობისა და ტრანსპარენტობის გაუმჯობესება“; Tempus Tacis-ის პროექტები – „ინფორმაციისა და ლიბერალური უმაღლესი განათლების ცენტრი“, „სტუდენტთა მომსახურებისა და წარმოებასთან კავშირის ცენტრი“; ციურისის (შვეიცარია) ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტები – „სამეცნიერო კვლევების მეთოდოლოგია“, „ინვესტიციები უკეთესი უნივერსიტეტისათვის – პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ანალიზის მეთოდები“, „ინოვაციური მიდგომები კვლევებისა და სწავლების მეთოდების განვითარებისათვის“; აშშ ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭოს პროგრამები – „ამერიკელ პროფესორ-მასწავლებლების სასწავლო ტური საქართველოში“, „სტუდენტთა და მოსწავლეთა ოლიმპიადები“; მეწარმეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი – „ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება საქართველოში“; ევროკავშირის სამეზობლო პარტნიორობის პროგრამა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD) – „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“.

თსუ სახელმძღვანელოების თარგმნის პროექტის ფარგლებში, სახელმწიფო გრანტით, მისი ხელმძღვანელობით გამოცემულია სამი სახელმძღვანელო (მიკროეკონომიკის თეორია: ძირითადი პრინციპები და გავრცობა; მენეჯერული ეკონომიკა, ეკონომიკა ბიზნესისათვის).

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორ ეთერ ხარაიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელდა სამეცნიერო მიზნობრივი პროექტები: „ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები – ევროკავშირის მოდელები და გამოწვევები საქართველოში“; „მცირე და საშუალო მენარმეობის მდგრადი განვითარების მექანიზმი: გამოწვევები და შესაძლებლობები სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფისათვის“; „ციფრული ტრანსფორმაცია მცირე და საშუალო ფირმებში: გამოწვევები და პერსპექტივები მდგრადი განვითარებისათვის“:

იგი მონაწილეა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში გამართული მრავალი სამეცნიერო კონფერენციების, საზაფხულო სკოლებისა და ტრენინგ კურსების: – პირეუსის (საბერძნეთი) და ბერლინის (გერმანია) ტექნიკურ უნივერსიტეტებში, დუბლინის (ირლანდია), ტრინიტი კოლეჯისა და გრენობლის (საფრანგეთი), ბრუნელის (ლონდონი), შავი ზღვის (თურქეთი), ტრენტოს და პარმას (იტალია), ციურიხის (შვეიცარია) ტექნოლოგიური, ბენგურიონის (ისრაელი), ბარსელონას (ესპანეთი) და სხვა უნივერსიტეტებში.

პროფესორი ე.ხარაიშვილი არის ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების მოდულისა (მენეჯერული ეკონომიკა, ბაკალავრიატი) და კონცენტრაციის (ბიზნესის ეკონომიკა, მაგისტრატურა) ხელმძღვანელი. კითხულობს მიკროეკონომიკისა და ბიზნესის ეკონომიკის სალექციო-სასწავლო კურსს. ასევე არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი – შემფასებელი.

იგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის რედაქტორი და რეცენზენტია, ასევე არის ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი, სადისერტაციო ნაშრომების დაცვის სხვადასხვა კომისიის წევრი, ოპონენტი და შემფასებელი, ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომი. იგი სტუდენტებისთვის გულისხმიერი ლექტორია და მათი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებად აღზრდის საქმეს დაულალავად და უანგაროდ ემსახურება. აღსანიშნავია, რომ მისი აღზრდილები წარმატებულ მოღვაწეობას ეწევიან საქართველოსა და საზღვარგარეთის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე წარმატებით საქმიანობენ ბიზნესსფეროში.

პროფესორი ეთერ ხარაიშვილი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, უნივერსიტეტის ოქროს მედლით – თსუ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ივ. ჭავჭავიძის სახელობის მედლით – თსუ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიან-



ნობაში შეტანილი განსაკუთრებული დამსახურებისათვის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით – ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებაში ეკონომიკური მეცნიერების პოპულარიზაციასა და სწავლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ასევე პაატა გუგუშვილის სახელობის ინსტიტუტის მედლით – ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობისათვის.

ქალბატონი ეთერი გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობითა და ორგანიზებულობით, არის სიახლეებზე მუდმივად ორიენტირებული მეცნიერი და პედაგოგი, მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს კოლეგებსა და სტუდენტებს შორის.

ქალბატონ ეთერს ჰყავს მეუღლე ალექსანდრე ქათამიძე, ქალიშვილი ანი და სიძე თემურ მიმინოშვილი, რომლებიც დღეს აქტიურ და შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან ეკონომიკისა და ბიზნესის დარგში, ასევე ჰყავს ტყუპი ვაჟი შვილიშვილები.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ულოცავს პროფესორ ეთერ ხარაიშვილს სახელოვან იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ, ნაყოფიერ სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ რედაქცია, სარედაქციო კოლეგია.**

გამოცემაზე მუშაობდნენ ნათია დვალი, ლელა წიკლაური  
და ნინო ებრალიძე  
Prepared for publication by Natia Dvali, Lela Tsiklauri  
and Nino Ebralidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

---

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1  
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279  
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

